

1942



საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი
ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიკური ინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტის

უ რ ო მ ე ზ ი

Т Р У Д Ы

КУТАЙССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО
ИНСТИТУТА ИМЕНИ А.А. ЦУЛУКИДZE

IV

ქ უ თ ა ი ს ი

1 9 4 2



საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი
ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიკური ინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტის

უ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

КУТАЙССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО
ИНСТИТУТА ИМЕНИ А.И. ЦУЛУКИДЗЕ

გ ო მ ე ბ ი IV ტ ო მ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ალ. ჟულჯიკის სახელობის ჭუთაიის სახელმწიფო სამამულო ომის დღეებში

მეორე, წელია, რაც საბჭოთა ხალხი და წითელი არმია გმირულ ბრძოლებს ეწევიან ფაშისტ ოკუპანტებთან. ჰიტლერული ზანდების წინააღმდეგ დიდმა სამამულო ომმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საბჭოთა უმაღლესი სკოლების მუშაობაში. ომმა გვიცარნახა მთელი მუშაობა გარდაგვექმნა საომარ ყაიდაზე. მიუხედავად სიძნელებისა, სამშობლო სამამულო ომის დროსაც სრულფასოვან ცოდნას შოიოხვებს ახალგაზრდა სპეციალისტებისაგან. ამ მხრივ ომი არავითარ „შეღავათს“ არ იძლევა.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო განმათავისუფლებელ ომში უმაღლესი სკოლის მუშაკები მთელ თავის ენერგიას, ძალას და ცოდნას ახმარებენ ფაშისტი ოკუპანტების დამარცხების საქმეს.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენენ უმაღლესი სკოლების განვითარებისა და განმტკიცებისათვის. პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი სამამულო ომის პირობებში უმაღლესი სკოლების შემდგომი განმტკიცებისა და პროფესორ - მასწავლებელთა შემოქმედებითი მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ, ახალი სტიმულია, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს, აღაგზნებს უმაღლეს მასწავლებლების მუშაკებს და სტუდენტებს საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის.

დიდი ბელადის ამხ. ი. სტალინის მითითებითა საფუძველზე უმაღლესი სკოლების მუშაკები და სტუდენტები თავდადებით იბრძვიან ახალ-ახალი წარმატებებისათვის, ყოველნაირად ეხმარებიან ჩვენს სახელოვან წითელ არმიას მტერზე საბოლოო გამარჯვების ნომოვებისათვის.

საბჭოთა სტუდენტობის ანტიფაშისტურ მიტინგზე, რომელიც შესდგა 1942 წლის 15 ნოემბერს ქ. მოსკოვში, უმაღლესი სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ს. ვ. კატანოვმა აღნიშნა, რომ „სამამულო ომის გამოცხადების პირველსავე დღეებში ათიათასობით სტუდენტებმა უმაღლესი სკოლის აუდიტორია-ლაბორატორიები შესცვალეს სანგრებით, ხოლო წიგნი საბრძოლო იარაღით.

მარტო ლენინგრადის უნივერსიტეტიდან ფრონტზე წავიდა 2,500 სტუდენტი და მასწავლებელი. მრავალმა სტუდენტმა გვიჩვენა ვაეკაცობისა და გმირობის ნიმუში. მთელი ხალხისათვის ცნობილია საბჭოთა კავშირის გმირი სტუდენტების ლენინგრადელ ფრეილინცევისა და მოსკოველი დისკინის სახელი.

დაახლოებით 150 ათასი საბჭოთა სტუდენტი ათავსებს სწავლას წარმოებაში მუშაობასთან, ეხმარება რა ამით ჩვენს მრეწველობას საბრძოლო იარაღისა და ომისათვის საჭირო მასალის დამზადებაში. ომის განმავლობაში საბჭოთა უმაღლესმა სკოლამ ჩვენს ქვეყანას მისცა 170 ათასზე მეტი სხვადასხვა დარგის სპეციალისტი. ჩვენ კიდევ მოგვიხდება ვადაწყვეტი ბრძოლა თავისუფლების, მეცნიერებისა და კულტურის მტრის წინააღმდეგ. საჭიროა ჩვენი ძალების გაათავსება, რითაც დავაჩქარებთ წყვეულ ფაშიზმზე გამარჯვებას“.

საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხი, მუშები, გლეხები, საბჭოთა ინტელიჯენცია წითელ არმიასთან ერთად ძაბავენ მთელს თავის ძალებს მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. გერმანიის ფაშიზმი მეცნიერების და კულტურის უბოროტესი მტერია. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ნცობა, გამოქვეყნებული 1942 წლის 17-ნოემბრის გაზეთ „პრავდაში“, ფარდას ხდის ჰიტლერულ ყაჩაღთა საზიზღარ მოქმედებას საბჭოთა დროებით ოკუპირებულ რაიონებში. ჰიტლერის ლაქების რიბენტროპისა და როზენბერგის განსაკუთრებით დანიშნულების ბატალიონებისა და კომანდების მიერ გატაცებული და განადგურებულია ოკუპირებულ რაიონებში დარჩენილი სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა უაღრესად ძვირფასი ნივთები.

საბჭოთა სტუდენტობის ანტიფაშისტურ მიტინგზე პრადისა და მოსკოვის უნივერსიტეტების პროფესორი ზ დ ე ნ ე კ ა ნ ე ე დ ლ ი აღელვებით აღნიშნავდა, თუ როგორ გაანადგურეს ფაშისტმა ბარბაროსებმა ცენტრალური ევროპის უძველესი პრადის უნივერსიტეტი, დაარსებული XIV-საუკუნეში. გაძარცვეს ათინის, ბელგრადის, ლეიფენის, ოსლოს, მიწსკის, კიევის, ოდესის უნივერსიტეტები.

ჰიტლერელებმა მოსპეს და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს ათასობით მეცნიერების მუშაკები და სტუდენტები. ფაშისტური ოკუპანტები მოსაობით ემუქრებიან ყველაფერს, რაც საბჭოთა ხალხმა შრომით მოიპოვა მეოთხედი საუკუნის მანძილზე. მათ ჩვენი ახალგაზრდობისათვის მოაქვს სამარცხვინო მონობა.

გრძნობს რა ამ უდიდეს საფრთხეს, რომელიც ემუქრება ჩვენს სამშობლოს, საბჭოთა ხალხი როგორც ერთი კაცი აღსდგა ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამბ. სტალინი 1941 წლის მარტის რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავს, „ჩვენ უნდა განვამტკიცოთ წითელი არმიის ზურგი და ამ საქმის ინტერესებს დავუმორჩილოთ მთელი ჩვენი მუშაობა, უნდა უზრუნველვყოთ ყველა საწარმოს გაძლიერებული მუშაობა, მეტი შაშხანის, ტყვიამფრქვევის, ქვემუხის, ეაზის, კურ-

ვის, თვითმფრინავის წარმოება, უნდა მოვაწყოთ ქარხნების, ელექტროსადგურების, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის დაცვა, უნდა მოხდაგვაროთ ადგილობრივი თავდაცვა“.

დიდი ბელადის ამ მოწოდების საფუძველზე გარდაქმნა თავისი მუშაობა საბჭოთა უმსაღესმა სკოლამ. აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედინსტიტუტმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა სამამულო ომის პერიოდში. სამშობლოს პირველ დაძაბვბოსთანავე სტუდენტთა და მეცნიერმუშაკთა დიდმა ნაწილმა წიგნი შეშხანით შესცვალა და საკუთარი მეგრდით გმირულად იცავს ჩვენს ქვეყნის ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ომის გამოცხადების შემდეგ 50-მდე მეცმუშაკი და 600-დე სტუდენტი ჩაღვა წითელი არმიის რიგებში. ჩვენს ინსტიტუტის კედლებში აღზრდილი და მომუშავე ყოფილი სტუდენტები და მეცმუშაკები ვაჟაკურად ძირძვიან სამამულო ომის მოწინავე პოზიციებზე. მაქსიმალურად იყენებენ რა ამ სამხედრო ცოდნას, რომელიც მათ ინსტიტუტში მიიღეს მშვიდობიანობის დროს. ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს სამამულო ომის ფრონტებზე მყოფ მებრძოლ თავის აღზრდილებთან. დირექციას და ორგანიზაციებს მრავალი წიგნი მოსდით ფრონტიდან.

ინსტიტუტის მთელი კოლექტივი ამაყოფს იმით, რომ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა არაერთმა სტუდენტმა და მეცმუშაკმა, რომლებიც ჩვენს ინსტიტუტში სწავლობდნენ და მუშაობდნენ. მრავალი მათგანი დაჯილდოებულია სსრკ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ლეონი დე ვარლამიძე ცაგარეი შვილი სტუდენტობის დროს წარჩინებულად სწავლობდა. დაამთავრა რა ინსტიტუტი, იგი დატოვებულ იქნა მოტანიკის კათედრასთან ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდეგ გადაყვანილ იქნა ასისტენტის თანამდებობაზე. ომის გამოცხადების პირველ დღეებშივე, იგი წითელ არმიასში გაიწვიეს. ცოტა ხნის შემდეგ ამხ. ლ. ცაგარეიშვილი უკვე წითელი მეთაური გახდა და რამდენიმე მკაცრ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მან 1942 წლის მისში, როცა პირადი გმირობის მაგალითი უჩვენა თავის მებრძოლებს და არაერთხელ უსუაქცია მტერი, გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ მედჯარი და თავდადებული ბრძოლისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

სევასტოპოლის გმირული დაცვა საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ისტორიასში შევა, როგორც მისი ერთ ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი. გმირი ქალაქის შეუპოვარ დამცველთა შორის საპატო ადგილი დაიკავა ზესტაფონელმა ჭაბუკმა შალვა კობაძემ. ამხ. შალვა დავითისძე კობაძე 1940 წელს შემოვიდა ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. პირველი კურსი

დანვე იგი წითელ არმიამში გაიწვიეს. 1942 წ. 25-ივნისს გაზ. „კომუნისტის“ მოსკოველი კორესპონდენტი იუწყებოდა: „სევასტოპოლთან ბრძოლებში თავი გამოიჩინა ქვემეხის მეთაურმა უმცროსმა სერჟანტმა შალვა კობაძემ. კობაძე ბატარიაში საუკეთესო მებრძოლად ითვლება. ერთ ბრძოლაში მისი ქვემეხის ზუსტად და მიზნების მიუხეობით მოგერიებულ იქნა ფაშისტების იერიში და დამსხვრეულ იქნა ფაშისტების ნაღმსატყორცი ბატარია. კობაძე წითელ არმიამში ომის პირველი დღეებიდანვე. იგი მუდამ მამაცურად იცავდა ყოველ მტკაველ სამჭოთა მიწაწყალს.

ერთხელ მოწინააღმდეგემ ორი ბატარიის ცეცხლი დაუშინა მის ქვემეხს, მაგრამ კობაძე მტკიცედ განაგრძობდა ბრძოლას და საცეცხლზე მონიციიდან მხოლოდ მას შემდეგ მოიხსნა, რაც მრძნება მიიღო. ფრონტის ყირიმის ჯბანზე ნოემბრის ბრძოლების დროს კობაძე პირდაპირ დაშენით იგერიებდა მტრის იერიშს და ფუშავდა მის გეგმებს. მის გუნდში მწყობრიდან გამოყვანილ იქნა ორი მემკვიდრე, მაგრამ იგი ინტენსიურ სროლას განაგრძობდა და თავიდან აიცილა გარემოცვა. ქვემეხის მეთაური კობაძე პარტიის წევრია, სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა შ. კობაძის სამბრძოლო დამსახურებას!! გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის სამბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის შალვა დავითისძე კობაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. ხ რ ი ს ა ნ თ ე მ შ ე დ ი ს ძ ე ქ უ რ ი დ ი ა 1935 წლიდან სწავლობდა პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე და ითვლებოდა სწავლის ფრიადოსნად. ამავე დროს იგი მუშაობდა ალკკ. ინსტიტუტის მდივნად. 1939 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და წითელ არმიამში გაწვევამდე მუშაობდა საქ. ალკკ. ქუთაისის ქალაქკომის მდივნად. წითელ მებრძოლთა სრიგებში გაწვევის შემდეგ ამხ. ხ. ურიდია გმირულად იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ბრძოლებში გამოჩენილი შედეგრობისათვის იგი დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“. ამავე ფაკულტეტის პირველი კურსის ყოფილი სტუდენტი ამჟამად პოლიტხელის მოადგილე ივანე სარდიონისძე წუღია. — „გმირულად იბრძოდა ოდესის, სევასტოპოლის და სტალინგრადის დაცვისათვის. მთავრობის მიერ იგი დაჯილდოებულია მედლით „სამბრძოლო დამსახურებისათვის“.

ისტორიის ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი სერჟანტი აკაკი ამბროსიძე ფ ა ნ ზ უ ლ ი ძ ე დაჯილდოებულია მედლით „სამბრძოლო დამსახურებისათვის“. ხოლო ფიზიკა-მათემატიკის კურსდამთავრებული სერჟანტი დ ა ვ ი თ ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ს ძ ე ლ ე კ ვ ე ი შ ვ ი ლ ი — მედლით „მამაცობისათვის“.

ვაკ. სტუდენტებთან ერთად აღსანიშნავია ის სტუდენტები ქალები, რომლებიც მოხალისედ წავიდნენ წითელ არმიის რიგებში, რათა უწყვეტად მონაწილეობა მიიღონ ფაშისტო-ოკუპანტების დამარცხების საქმეში. ინსტიტუტთან არსებული უცხოურ ენათა ორწლიანი კურსებიდან და ინსტიტუტის საექსტერნო განყოფილებიდან მოხალისედ წითელი არმიის რიგებში წავიდა რამდენიმე ათეული სტუდენტი ქალი. მოხალისე სტუდენტი ქალებში ენერგიულად შრომობენ სამხედრო საქმის ღრმად შეთვისებისათვის და მოწინავენი გახდნენ: ანუ შაგ., ნ. ს. მურღულიამ და რ. ა. გოლიაკოვამ, როგორც მოწინავეებში რევოლუციას მიიღეს საჯ. კ. პ. (ბ) რიგებში შესვლისათვის. მიუხედავად იმით გამოწვეული სოგეირთი სიძნელებისა, ინსტიტუტის თანამშრომლები და სტუდენტები, რომლებიც ზურგში მუშაობენ, თავის ყოველდღიურ საქმიანობას უკავშირებენ ღირსების ინტერესებს და წარმატებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. სტუდენტები და თანამშრომლები სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, საზაფხულო დასვენების ნაცვლად გულმოდგინეთ მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებში. მარტო ქ. ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებსა და ქალაქის გასამაგრებელ სამუშაოებზე ინსტიტუტის კოლექტივის მიერ შესრულებულია 15.000 დღის სამუშაო.

ინსტიტუტის თანამშრომლები და სტუდენტები მხურვალედ გამოეხმაურა თავდაცვის ფონდის გაძლიერების საქმეს. ათასეული მანეთობით დანაზოგი ფული და ობლიგაციები შეტანილ იქნა თავდაცვის ფონდში. ასევე ერთსულოვნად ჩატარდა სახელმწიფო თავდაცვის სესხზე ხელმოწერა და ლოტბილეთების რეალიზაცია. სისტემატურად ეგზავნებოდა ჩვენს გმირ მებრძოლებს, საჩუქრები და თბილი ტანსაცმელი. ამ მიმართულებით აღსანიშნავია მეცნიერმუშაკთა კოლების საბჭო (თავმჯდომარე ლ. დარჩია), რომელიც სისტემატურად მუშაობს წითელი არმიის მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმელის და საჩუქრების მიწოდების საქმეზე. სამამულო ომის პერიოდში ინსტიტუტის კოლექტივის მიერ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დანაზოგი თანხები გაღებული აღნიშნული მიზნებისათვის.

ინსტიტუტის დირექცია და ორგანიზაციები სისტემატურად შრომობენ წითელ არმიის გაწვეულთა ოჯახებზე და თვალსაჩინო მუშაობას ატარებენ ღირსების დასახმარებლად.

წითელი მებრძოლები, რომლებიც სამამულო ომში დაჭრისა და კონტუზიის გამო ინსტიტუტში დაბრუნდნენ, განსაკუთრებული შრომუნველობის ქვეშ იმყოფებიან. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ასეთ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია აკადემიური მაჩვენებლების მიუხედავად, თავისუფლებიან სწავლის გადასახადსა და ა. შ. სამამულო ომიდან დაბრუნდნის გამო უკანვე დაბრუნდებიან.



ნების შემდეგ ინსტიტუტი დაამთავრეს სტუდენტებმა — ი. ნებოჯრიძემ, ნ. აბულაძემ, გ. მანდარიამ და სხვებმა. ამჟამად სხვადასხვა კურსებზე კვლავ სწავლობენ დაჰრალი მეზრძოლები: მ. კავაძე, შ. მანარაშვილი, ვ. ჭინჭიხაძე, ბ. მუჟაძე, ი. მელია და სხვ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ჩვენს ინსტიტუტში განაგრძობენ თავიანთ მუშაობას სოფიურთი დროებით ოკუპირებული საბჭოთა რაიონების უმაღლესი სკოლების მეცნიერმუშაკები და სტუდენტები. მაგალითად: ენისა და ლიტერატურის რუსულ სექტორზე სამუშაოდ მიღებულია პროფ. ნ. დოდენკოვი, სტუდენტები — მ. მერიონოვა, ნ. მოისენკო, ლ. ჩუმუკოვი, ს. მქრინოვა, ი. ბარკალოვა და სხვა.

სამამულო ომის მოთხოვნებთანაა დაკავშირებული ინსტიტუტის მთელი სასწავლო-კვლევითი და სხვა საქმის მუშაობა. სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეტანილია ცვლილებები, რომლებიც ომითაა ნაკარნახევი. პედაგოგიური და სტუდენტები ინერგიულად მუშაობენ, რათა პასხათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. 1941/42 წლის სასწავლო გეგმები დროულად და ხარისხიანად იქნა შესრულებული. ფაკულტეტების მიხედვით გეგმების შესრულება შემდეგ სურათს იძლევა: ისტორიის ფაკულტეტი 101,7%, ფიზიკა-მათემატიკის — 100,5%, მეცნიერებისმეტყველების 107,5%, ენისა და ლიტერატურის ფაკ. 101,7%, გეოგრაფიის 101,3%, ფიზკულტურის 102,7% და პედაგოგიური 102,9%. ამრიგად, სასწავლო გეგმების შესრულება ინსტიტუტში უდრის 102,3%. მიუხედავად სიძნელეებისა წარმატებით ჩატარდა სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა, როგორც IV, ისე III კურსებზე. 1941/42 სასწავლო წელში სტუდენტთა საშუალო აკადემიური წარმატება უდრის 86,4%. სამამულო ომის პერიოდში ინსტიტუტმა სამშობლოს მისცა 600-მდე მაღალკვალიფიციური პედაგოგი (ისტორიკოსები, ლიტერატორები, მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ბუნებისმეტყველები, გეოგრაფები, ფიზკულტურელები და პედაგოგიკის მასწავლებლები). ამასთან ერთად ინსტიტუტთან არსებული უცხოურ ენათა ორწლიანი კურსები (ფრანგული და გერმანული განყოფილება) დაამთავრა 40-დე მსმენელმა. კურსდამთავრებულთა უმრავლესობას შეადგენენ ქალები, რომლებმაც შესცვალეს წიგით არმიასი გაწვეული პედაგოგები და წარმატებით ასრულებენ მათ დაკისრებულ საპატიო მოვალეობას.

სამამულო ომის პერიოდში საგრძნობად გაუმჯობესდა ინსტიტუტის მეცმუშაკთა საკვლევო მუშაობა. ინსტიტუტის კათედრებმა ომის მოთხოვნებს შეუფარდეს თავის საკვლევო თემატიკა. მაგ: აღამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრამ დაამუშავა თემები: „სისხლის გადასხმის საფუძვლები“, უახლოესი მიღწევები სისხლის გადასხმის დარგში“, ჭიმიის კათედრამ შეასრულა სპეციალური დაეალემა ცეცხლწამკიდი ბოთლების შესახებ, ჩაატარა

ცდენში — „გუმბარინის მიერ სხვადასხვა გაზების ადსორბციაზე“, ფიზ. გეოგრაფიის კათედრამ — „ბარიტის მრეწველობა საქართველოში და მისი განვითარების უახლოესი ამოცანები“, ქართული ლიტერატურის კათედრამ — „პატრიოტული მოტივები ქართულ ლიტერატურაში“ და სხვა.

კათედრების მიერ გათვალისწინებული საკვლეო თემების უმრავლესობა შესრულებულია. დამუშავებული თემების ნაწილი წაკითხულია ინსტიტუტის მეცმუშაკთა IV სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1942 წლის თებერვალ-მარტში. კონფერენციამ მოიხმინა მოხსენებები: დ. თ. კობალაძის — „გერმანელი ოკუპანტების და მათი არმიების განადგურება ვარდუჯალაში“, დოც. ა. ნ. მოსიავეას — „მებრძოლის დისციპლინისა და თავდაპირველობის ფსიქოლოგიისათვის“, დოც. ივ. ს. გოშხეთელიანი — „ახალი, რევოლუციური მიმდინარეობის შესახებ გენეტიკაში“, ს. კარსანიძე — „ვ. თ. ლენინის შრომა „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია და ომის შემდგომი კრიტიკალიზმი“, ფ. გ. გოკიელი — ერნსტ ჰემინგუეს შემოქმედებითი გზა“, დოც. შ. ნ. ჩხარტიშვილი — „დემონის ფსიქოლოგიური ანალიზი“, შ. ზარქუა — „დემონი“ (იმპინენტური კრიტიკის ცდა), მაიორი ა. ბ. წულუკიძე — „თანამედროვე ომების შესახებ“, ფ. ლ. კაპანაძე — „მოსწავლეთა მომზადება პრაქტიკული საქმიანობისათვის და ქვეყნის თავდაცვა“, დოც. ა. მ. გოცირიძე — „კუნთზე ტემპერატურისა და ეთერით მოქმედების გავლენა ბერიტაშვილის ფენომენის მიმდინარეობაზე“, დოც. ივ. ს. გოშხეთელიანი — „ხნოვანებისა და მალაქი ტემპერატურის გავლენა სპერმის გამანაყოფიერებელ თვისებაზე“, დოც. გ. ი. კოკოჩაშვილი — „უკრაინის სალამურას არსებობის საკითხისათვის საქართველოს მტკნარ წყლებში“, დოც. გ. ბ. ჩხოვაძე — „სიტყვაწარმოების საერთო საფუძვლებისათვის ქართველურსა და აფხაზურ-უმიხურ-ადიღურ ენებში“, პროფ. ა. თ. ბოჭორიშვილი — „სიტყვის მნიშვნელობა საკითხისათვის“, М. П. Советов — „О началах этимологии“, доц. Н. Н. Кутагеладзе — „Фашистские извращения на фронте литературы“, დოც. ი. გ. მეცხვარიშვილი — „პოლიმორფული ფუნქციის წარმოდგენა წრფივლი სვოლის წიგნით, მეორე რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის საშუალებით“, დოც. ვ. ა. სულავეა — „მცირესიმექსივიან ერთგვაროვან გაზებში მულტალებური სპექტრალური ხაზების სიგანეები“, დოც. დ. ბ. გაბრიძე — „დიმეტილციკლოპენტოქარბინოლი და მისი გარდაქმნა“, გ. ფ. ქელიძე — „გურჯიის კიმურული ნალექები“, თ. ა. საღინაძე — „წყალტუბოს ვულკანური ყელის

პეტროგრაფია“, ვ. მიზანდარი, — „ფერების შესრევა შესამდ-
ბისათვის“.

1941/42 სასწავლო წელში გამოსცა ინსტიტუტის შრომების
II და III — ტომები. შრომების II ტომში მოთავსებულია შემდე-
გი მასალები: შრომ. ა. მთკორიშვილი — „ფსიქოლოგიის
საგნის პრობლემა კონსტრუქტიულ ფსიქოლოგიაში (Münsterberg)“,
დოც. შ. ჩხარტიშვილი — „ფსიქოფიზიკური პრობლემისათვის
(ფსიქოლოგიის საგნის პრობლემასთან დაკავშირებით)“, დოც. ა.
მოსიავა — „ყურადღების დისტრინქციის საკითხისათვის, დოც. ი.
უინცაძე — „რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის და-
ზვერვის და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ XVIII საუკუნის
მეორე ნახევრის საქართველოში“ დოც. ნ. შენგელია — „ვაზირის
თანამდებობა დასავლეთ საქართველოში“, დ. უჩანეიშვილი —
„მასალა მე-19 საუკუნის საბეგრელოს ისტორიისათვის“, დოც. ა.
გორგაძე — „ისტორიული“ დოკუმენტის გამოყენება ისტორიის
სწავლებაში“, შრომ. გ. თავზიშვილი — „ქ. დ. უშინსკი“, დოც. კ.
მეძველია — „ნ. ბარათაშვილის „მერანი“, დოც. გ. სამხარაძე —
„ლავრენტი ბერიძე ქართულ ზეპირსიტყვაობაში“, ასისტ. მ. ალავე-
ძე — „ლენინუმურის თავისებურებანი“, ასისტ. ქ. სანიციძე — „და-
ვით რექტორის დამატებანი „თიშარიანში“, М. Советов —
„Грамматическая категория видов в глаголах русского языка“,
დოც. გ. როგავა — „სიტყვაწარმოების საერთო საფუძვლებისათვის
ქრათველურსა და აფხაზურ-უმბისურ-ადიღურ ენებში“, დოც. ხაფ-
თაძი — „მამია გურიელის არქივიდან“, მ. შახათაძე — „პატრიო-
ტული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“.

ინსტიტუტის „შრომების“ III-ტომში მოთავსებულია შემდეგი
გამოკვლევები და ბიბლიოგრაფიული წერილები: პროფ. მ. ბეჭაია
და ასისტ. ე. გამსახურდია — „თუთის ხის ნაყოფის ქიმიური ანა-
ლიზი“, დოც. ლ. ჰელიძე — „ბინარული სისტემების $Ag_2Cl_2-Cu_2S$
და $Cu_2Cl_2-Ag_2S$ ლობადობის დიაგრამების შესწავლისათვის“,
ლ. დარჩია — „ნასაკირალის მინერალური წყლების ფიზიკურ-
ქიმიური თვისებები“, დოც. გ. კოკჩაშვილი — „ნასაკირალში
შეგროვილი მუცელფეხიანი მოლუსკები“, ქ. სვანიძე — ქუთაისის
მიდამოების ტარანტულების ეკოლოგიიდან. ტარანტულების სო-
როები“, პროფ. მ. ბეჭაია და ე. გამსახურდია — „მაკლიურას ფო-
თლის და ნაყოფის ანალიზი“, დოც. გ. კოკჩაშვილი — „ფასციო-
ლოზის გადამტანი მოლუსკის გავრცელების საკითხისათვის საქარ-
თველოში“, დოც. Г. Кокчалыши — „Заметка о нахождении речного угря в
реке Риони под Кутаиси“, დოც. ქ. ჭანიშვილი — „რამის პლანტაციის ნა-
ყოფიერება წლოვანების მიხედვით“, გ. ჰელიძე — „მასალები დას. სა-
ქართველოს გეოლოგიისათვის“, დოც. ა. გოცირიძე — „მასალები
კუნთის პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების შესახებ“, გ.

დეკლარიანი — „სამეგრელოს ვაკის მდინარული ტერასების დათარიღებისათვის“, ლ. მარუაშვილი — „ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების „წიკვარამები“, ი. საგინაძე — „წყალტუბოს ვულკანური ყელის პეტროგრაფია“, М. Советов — „Исследование былинны о Дунае“, доц. Г. Хажалия — „Об одном минимальном свойстве конформного отображения двувязных областей“, доц. А. Бегияшвили — „О некотором обобщении смешанной задачи относительно давления жесткого профиля на прямолинейную границу упругой полуплоскости“, გ. ქელიძე — „Проф. А. Джанелидзе. „Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума“ და დოც. შ. ჩხარტიშვილი — „დ. უზნაძე. „ზოგადი ფსიქოლოგია“.

სამამულო ომის პერიოდში მეც. მუშაყთა საკმაო ნაწილი მუშაობდა სამეცნიერო წარობის მიღებისათვის. 1941/42 წელს დისერტაციებში დაიცვეს ამხანაგებმა: ვ. კოლაძემ (ფილოსოფიური მეცნიერებათა კანდიდატი), გ. სიჩინაძემ (ისტორიული მეცნიერებათა კანდიდატი) და გ. კვიციანიძემ (ეკონომიური მეცნიერებათა კანდიდატი).

ნაყოფიერად მუშაობდნენ, აყრდნობენ კათედრებთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. სტუდენტთა მიერ სამეცნიერო წრეებში დამუშავებული საუკეთესო თემები გამოტანილ იქნა სტუდენტთა III კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1942 წლის მაისში. კონფერენციამ მოისმინა 20-მოსხენება, რომელთა დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო სამამულო ომთან. მაგ. სტუდენტთა ა. აბუთიძემ წაიკითხა მოსხენება თემაზე „გიორგია სააკაძის სოციალური წარმომოხის საკითხი“, М. Алавиძე — „Проблема войны и творчестве Маяковского“, Д. Хамасуридзе — „Лев Толстой и патриотизм“, С. Шембель — „Поход Наполеона в изображении Толстого“ და სხვა.

სასწავლო და საკვლევო მუშაობასთან ერთად სამამულო ომის დღეებში ინსტიტუტის დირექცია და ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის სათანადო სიმძლვეზე დაყენების საქმეს. ამ მხრივ აღსანიშნავია სამხედრო (კათედრის უფროსი მაიორი ა. წურწუშია) და ფიზკულტურის (კათედრის გამგე ნ. წერეთელი) კათედრების ნაყოფიერი მუშაობა წითელი არმიისათვის რეზერვების მომზადების დარგში.

„სამხედრო ცოდნა სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის, რა სპეციალობისათვის არ უნდა ემზადებოდეს იგი. ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტი ყოველ წუთს მზათ უნდა იყოს, რომ წითელი არმიის მებრძოლი და მეთაური გახდეს სამხედრო ცოდნა და სამხედრო პრაქტიკა, რომელსაც საბრძოლო ვითარების მზგავს პირობებში ვადახს, უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც უნდა იყოს იგი, თუნდაც ათასობით კვლომეტრით იყოს და,

„მოკრებული საომარი მოქმედების ასპარეზს, რეზერვებს უნდა უმზადებდეს ფრონტს“ („პრავდის“ მოწინავე 18/1-42 წ.)

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ინსტიტუტმა მშვიდობიანობის დროს სამხედრო ცოდნით აღჭურვა ასობით და ათასობით სტუდენტს, რომელთა დიდი ნაწილი ახლა ფრონტის ზამზეა და პირნათლად ასრულებენ სამშობლოს დაცვის საპატიო ამოცანას. ჩვენს საზღვრებზე ფაშისტურმა ხროვის თავდასხმის შემდეგ ინსტიტუტმა საგრძნობლად გააუმჯობესა სამხედრო ფიზკულტურული მუშაობა. 1941/42 წლის სასწავლო გეგმები 100%-ით იქნა შესრულებული. სტუდენტთა ახსოვლუტურმა უმრავლესობამ სამხედრო საქმე „ფრიადზე“ და „კარზე“ ჩააბარეს.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მუშაობის წარმატებით შესრულების გარდა, სამხედრო და ფიზმომზადების კათედრების მიერ მომზადებულია პირველი საფეხურის ვოროშილოვისებური მსარეზერვისი, დაზვის მეტყვიამფრქვევეები, ტანკამანადგურებლები, ქიმიანსტრუქტორები, ტელეფონისტები, ხელის მეტყვიამფრქვევები, ხელჩართული მებრძოლები, ჩაბარებულია „მთ“ I და II საფეხურის ნორმები და სხვა. ჩატარებულია ინსტიტუტის კოლექტივის პაირჩინალებით დამუშრობა 16 ჯერ, ხოლო ტაქტიკური ლაშქრობა ველად 5-ჯერ. ინსტიტუტის სტუდენტები სისტემატურად მონაწილეობდნენ მასიურ გასამხედროებულ შეჯიბრებებში, რისათვისაც ფიზმომზადების კათედრას მიღებული აქვს 12 „სიგელი“. სამხედრო და მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების ინიციატივით ჩატარებულია სამხედრო ხასიათის სხვადასხვა მოხსენებები. სამხედრო ფიზ. მომზადების დარგში ენერგიული მუშაობისათვის პედიანსტიტუტს მიღებული აქვს საქალაქო გაძრდამავალი დროშა. ინსტიტუტში სამხედრო მუშაობის კარგათ დაყენებისათვის გარდამავალ დროშას ინარჩუნებს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

სამხედრო საქმის შესწავლას დიდი ინტერესით ეცილებიან ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები. მათ წარმატებით გაიარეს საყოველთაო სამხედრო მზადების 110 საათიანი პროგრამა. დაეუფლენ მამხანის, ხელყუმბარის, ტყვიამფრქვევის ხმარებას და სხვა. ამჟამად ისინი კიდევ უფრო აღრმავებენ თავის სამხედრო ცოდნას.

ინსტიტუტის სამხედრო და ფიზმომზადების კათედრები მუშაობენ არა მარტო ინსტიტუტს შიგნით, არამედ ისინი დიდ დანაშაულებას უწევენ ქ. ქუთაისის სამხედრო კომისარიატს რეზერვების მომზადების საქმეში. ინსტიტუტის სამხედრო კაბინეტით, ფიზკულტურის დარბაზებით და მათი ინვენტარით სისტემატურად სარგებლობენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების დანაყოფები. მათ სამხედრო სწავლებაში აქტიურად მონაწილეობენ ფიზმომზადების კათედრის წევრები. სამხედრო და ფიზმომზადების კათედ-

რები ამჟამად კიდევ უფრო ნაყოფიერად მუშაობენ სამამულო ომში საქმიანობის რეზერვების მოსამზადებლად.

სტუდენტთა შორის პატრიოტული გრძნობის კიდევ უფრო გაღვივებასა და სამშობლოს დაცვის საპატიო ამოცანის შესრულება-სადმი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით ინსტიტუტში მოეწყობა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ინსტიტუტის კედლებში აღწერილი ამჟამად სამამულო ომში მონაწილე იმ სტუდენტთა პორტრეტები, რომლებიც საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის მთავრობის მიერ დაჯილდოებულნი არიან ორდენებით და მედალებით.

ინსტიტუტის დირექცია და ორგანიზაციები დიდი სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ინსტიტუტის სტუდენტთა და თანამშრომელთა შორის პოლიტიკურ აღმზრდელობით მუშაობის გაძლიერებას. სისტემატურად სწავრობებს აკადემიურ ჯგუფებსა და თანამშრომელთა შორის აგრიცაცია, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებული ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობასთან.

ცალკე ფაქტეტების მიხედვით და თანამშრომელთა შორის გამოიღოს კედლის გაზეთები, რომლებიც ასახავენ ინსტიტუტის ცხოვრებას. სტუდენტთა და თანამშრომელთა შორის სისტემატურად ტარდებოდა საჯარო ლექციები, ამ მიმართულებით აღსანიშნავია მარქსიზმ - ლენინიზმის კათედრის (გამგე დ. კოპალიანი) მუშაობა. კათედრის ინიციატივით ომის პერიოდში ჩატარებულია 200-დე ლექცია, როგორც ინსტიტუტში, ისე ქალაქის წარმოება დაწესებულებებსა და სხვაგან. ლექციები ჩატარებულია შემდეგ თემებზე: „საბჭოთა პატრიოტიზმი“ (დ. კოპალიანი), „ფაშისმიზმის რასიული თეორია და ადამიანთა რასების ბიოლოგიური არსი“ (დოც. ივ. გომბეტელიანი), „დიდი სამამულო ომი და საერთაშორისო მდგომარეობა“ (პროფ. ტ. ათაბეგოვი), „რუსი ხალხის პატრიოტიზმი 1812 წლის სამამულო ომში“ (ა. პაეინი), „ვინ არიან ნაციონალ სოციალისტები“ (ი. მატარაძე), „გერმანელ ოკუპანტების დამარცხება 1918 წელს უკრაინაში“ (დ. კოპალიანი), „7 წლიანი ომი და რუსი ჯარების მიერ ბერლინის აღება“ (პროფ. ნ. დუბროვსკი), „ქართველი ხალხის ბრძოლა სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ მე-17 საუკუნეში და გიორგი სააკაძე“ (პროფ. ზ. კაკაბაძე), „ლენინურ სტალინური მოძღვრება სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ“ (გ. ჩხეიძე), „ფრონტის და ზურგის ერთიანობა სამამულო ომში“. (ზ. რამიშვილი), „ქართველი ხალხის გმირული წარსული“ (პროფ. ს. კაკაბაძე), „ქართველი ხალხის ბრძოლა ბიზანტიელთა წინააღმდეგ VI-საუკუნეში“ (პროფ. ს. ყაუხ-

ჩიშვილი), „ფაშიზმი — კულტურის მტერია“ (დოც. ნ. ქუთათელაძე), „ნიცშე და ფაშიზმის ფილოსოფია“ (პროფ. კ. ბაქრაძე), „პ. ბაგრატიონი, როგორც სარდალი“ (დოც. ალ. გიორგაძე), „კაცი-ჭამია ფაშიზმის ფილოსოფია“ (პროფ. ა. ბოჭორიშვილი), „ბრუსილოვის გარღვევა I იმპერიალისტურ ომში“ (ს. კარსანიძე), „დიდი რუსი ხალხის გმირი წინამძღოლები ნეველი, კუტუზოვი, სუვოროვი“ (დოც. ვ. კილაძე).

1942 წლის დეკემბერში ჩატარდა ანტიფაშისტური კონფერენცია სადაც წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები: პროფ. ა. ბოჭორიშვილი — „პიროვნების პრობლემა დღეს“, ფ. გოკიძე — „მსოფლიო ანტიფაშისტური მწერალი ქალები“, ვ. გოშხეთელიანი — „ფაშიზმის რასიული თეორია“, ნ. ქუთათელაძე — „ფაშიზმი კულტურის მტერია“, ნ. კუბლაშვილი — „საბჭოთა ქალი სამამულო ომის პერიოდში“, გ. სამხარაძე — „პატრიოტიზმი და გმირობა ძველ ხალხურ პოეზიაში“.

ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრასთან შექმნილი ლექტორიუმი, ინსტიტუტის სხვადასხვა კათედრის 40-ლექტორისაგან. ლექტორიუმი ითვალისწინებს 1942/43 წლის მანძილზე 60-სხვადასხვა სასიათის მოხსენების წაკითხვას, როგორც ინსტიტუტში, ისე ქალაქის წარმოებულ დაწესებულებებში.

ინსტიტუტში არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტი (გამგე. გ. ჩხეიძე), რომელიც უზრუნველყოფილი არის თვალსაჩინო მასალებით და მარქსიზმის კლასიკოსების ლიტერატურით. კაბინეტში დიდ დახმარებას უწევს ინსტიტუტის ლექტორთა მშრომლებს და სტუდენტებს იდეური დონის ამაღლების საქმეში. კაბინეტთან შექმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ლექტორებისაგან კონსულტანტთა ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურ კონსულტაციებას ატარებს საკ. კ. ბ. (ბ) ისტორიის, ფილოსოფიის, სამამულო ომის და საერთაშორისო საკითხებზე. სამამულო ომის დაწყების დღიდან კაბინეტში კონსულტაცია მიიღო 4.037 ცაცმა, ამასთან ჩატარებულია 60-ჯგუფური კონსულტაცია. კაბინეტში მოწყობილია გამოფენა თემაზე: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“. კაბინეტმა სამამულო ომის საკითხებზე შეადგინა ბიბლიოგრაფიული საძიებელი, რომელიც სერიოზულ დახმარებას უწევს ავტორთარებს სხვადასხვა თემების დამუშავების დროს. კაბინეტთან შექმნილია წიგნები: თემატიკური და საკ. კ. ბ. (ბ) ისტორიის ოქტომბრის შემდგომი პერიოდის შემსწავლელი. წიგნები გაერთიანებულია ინსტიტუტის თანამშრომლები 40 კაცის რაოდენობით. თემატიურმა წიგნმა უკვე დაამთავრა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯ.

დომარის ამხ. ი. ბ. სტალინის მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე გაკეთებული მოხსენებისა და საოქტომბრო ბრძანების შესწავლა. პოლიტალმწიფობითი მუშაობის გაუმჯობესებაში თვალსაჩინო როლი ითამაშა ინსტიტუტის კლუბმა და ბიბლიოთეკამ. ინსტიტუტის კლუბში სისტემატურად ტარდებოდა ლექციები სხვადასხვა თემებზე, იმართებოდა საღამო-წარმოდგენებში და კონცერტები. ინსტიტუტის კლუბთან არსებულ დრამსწრისა და მომღერალთა გუნდის მიერ ჩატარებულია 14 საღამო-წარმოდგენა და 2 კონცერტი.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა წიგნადი ფონდის დამუშავებისა და ლაბორატორია-კაბინეტების მომსახურების მხრივ. 1941/42 წელში ბიბლიოთეკამ შეიძინა 10.000 მანეთის ლიტერატურა უმთავრესად სამამულო ომის საკითხებზე, მოაწყო ახალი წიგნების გამოფენა და სხვ.

პედინსტიტუტმა მეორე სასწავლო წელი დაიწყო დიდი სამამულო ომის პირობებში. საჯ. კ. პ. (ბ) და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლ. 5 მაისის დადგენილების და უმაღლეს სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტის № 79 ბრძანების საფუძველზე ინსტიტუტმა სათანადო მუშაობა ჩაატარა 1942/43 სასწავლო წლის მოზადებულად შეხვედრისათვის. დროულად იქნა დაკომპლექტებული პირველ კურსებზე მისაღები კონტიგენტი, დამტკიცდა საშტატო ერთეულები, ნორმალურად დაიწყო სასწავლო და კვლევითი მუშაობა. სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო განმტკიცდა შრომის დისციპლინა. სოციალისტური შეჯიბრის გაშლის საფუძველზე გადაჭარბებით იქნა შესრულებული მეცმუშაკების მიერ რიგი აღებული ვალდებულებებისა. ინსტიტუტის დირექცია და ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თანამშრომელთა და სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებს საფუძველზე ინსტიტუტთან შექმნილია დამხმარე მეურნეობა. 1941/42 წელს მეურნეობისათვის გამოყოფილია 120,000 მანეთი. მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულია 10 ჰექტარზე მარცვლეული კულტურების და ბოსტნეულის გაშენება. მეურნეობას ექნება აგრეთვე მეფუტკრეობის და მესაქონლეობის ფერმები. უკვე შექმნილია რამდენიმე ათეული ძირი ფუტკარი, მერჩეულია მეურნეობისათვის საჭირო ფართობი, შექმნილია ნაწილი სამნეო ინვენტარისა და სხვ. მეურნეობის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებით სავარაუდოდ გაუმჯობესდება თანამშრომელთა და სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობები.

დიდი სამამულო ომის პირობებში ინსტიტუტის კოლექტივი შეთელი თავისი ენერგიით იმუშავებს სამშობლოსათვის თავდადებული კადრების აღზრდისათვის, რითაც თავის წვლილს შეიტანს კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ფაშიზმის დამარცხების საქმეში.

ა. ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
 სახკადინსტიტუტის დირექტორი
 დოც. ლ. ჭელიძე

კუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო
პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942 წ.
Труды Кутаисского Государственного
Педагогического Института имени
А. Цулукидзе, т. IV, 1942 г.

ლ. კოპალიანი

ანტიჰიტლერული კოალიცია ქლიერდება

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანიის ხროვა მუხანათურად თავს დაესხა ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას და წელიწადნახევარზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყნის გმირული ხალხები ეწვეიან გამათავისუფლებელ ბრძოლას ცივილიზაციისა და კაცობრიობის პროგრესის უმთავრესი მტრების — ჰიტლერული ბარბაროზების წინააღმდეგ.

XX საუკუნის ვანდალიზმის ბელადი — ჰიტლერი, გათავსებული დასავლეთ ევროპაში მოპოვებულ „გამარჯვებებით“, ხელმძღვანელობს ცნობილი რომაული ანდაზით: „ხალხს შენი ემინოდეს და თუ მას სძულხარ, არაფერია“. ჰიტლერი თავისთავს შრესის მეფის ფრიდრიხ მეორის „საიმედო“ მემკვიდრედ სთვლის და თავის ბოროტების წიგნში „ჩემი ბრძოლა“ დიდად უთანაგრძობს თავის წინაპრის ანდერძს: „თუ თქვენ მოგწონთ სხვისი პროვინცია და სათანადო ძალები მოგეპოებათ, დაუყოვნებლივ დაიკავეთ იგი. როგორც ამას შეასრულებთ, თქვენ ყოველთვის იპოვნით იურისტების საკმაო რაოდენობას, რომელნიც დაასაბუთებენ, რომ თქვენ ამ ტერიტორიის დაკავებისათვის ყველა უფლებას გქონდათ“. „დაჰყავი და იბატონე!“ — ასეთია ჰიტლერის პროგრამა. ამ პროგრამით მან ფეხქვეშ გასრისა დასავლეთ ევროპის ხალხთა უფლებები, ხოლო შემდეგ კი ბრძოლის ასპარეზი საბჭოთა მიწა-წყალზე გადმოიტანა, გამოაცხადა რა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ომი“.

ჰიტლერულ გერმანიას, რომელიც სარგებლობდა დაპყრობილი ქვეყნების ნადავლით, დიდ ფასად დაუჯდა ეს ომი.

„ღვარად დააყენეს მტრის, მისხლი ჩვენი არმიისა და ფლოტის მესობოლებმა, რომლებიც სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას იცავენ, რომლებიც მამაცურად იგერიებენ გაბზეცებული მტრის იერიშებს, და გულადობისა და გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ“ (ი. სტალინი).

საპქოთა ხალხების თავდადებული ბრძოლების შედეგად პიტლერებს „ელვისებური ომის“ გიჟური გეგმა სამარცხვინოდ და საბოლოოდ ჩაეშალათ.

„უწინარეს ყოვლისა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მათი ვარაუდი ემყარებოდა სერიოზულ იმედს, რომ შექმნიდნენ საყოველთაო კოალიციას სსრ კავშირის წინააღმდეგ, ჩააბამდნენ ამ კოალიციაში დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რისთვისაც წინასწარ დააშინებდნენ ამ ქვეყნების მმართველ წრეებს რევოლუციის აჩრდილით და, ამრიგად, საუკესმით ჩამოაცილებდნენ ჩვენს ქვეყანას სხვა სახელმწიფოებს“ (ი. სტალინი).

პიტლერი ყოველთვის გაურბოდა ძლიერი სახელმწიფოთა კოალიციას. პიტლერი თავის ბოროტების წიგნში „ჩემი ბრძოლა“ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ვიღველმური გერმანია 1914-18 წ. წ. იმისათვის დამარცხდა, რომ მას სუსტი მოკავშირეები ჰყავდა და ამავე დროს გერმანიის წინააღმდეგ იდგნენ დიდი სახელმწიფოები: ინგლისის, ამერიკისა და რუსეთის სახით.

მაგრამ პიტლერის გეგმა ვერ იქნა რეალიზებული, რადგანაც პიტლერის მრავალი ვარაუდი ცხოვრების ძლიერმა ლოგიკამ უარყო, როგორც გიჟური და თანამედროვე ბირობებისათვის შეუფერებელი. ვადის სამამულო ომის დაძაბული დღეები და პიტლერის გერმანიის დაღუპვა უფროდაუფრო აშკარა და გარდუვალი ხდება. გერმანელ ოკუპანტებისა და მათი არმიების განადგურება გარდუვალია. იმ მიზეზთა კლასიკური ანალიზი, რომელთაც უხდა გამოიწვიონ პიტლერული გერმანიის დამარცხება და მისი ვეფხურთულა სამხედრო მანქანის დამსხვრევა, მოგვცა დიდმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში 1941 წლის 6 ნოემბერს. ერთერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი ამ ბირობათა ჯაჭვიდან, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, ის არის, რომ არჩებობს

„სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოალიცია გერმანელ ფაშისტ იმპერიალისტების წინააღმდეგ“.

პიტლერულთა იმედები, რომ შესძლებდნენ თავი დაეღწიათ მძლავრი დემოკრატიული ქვეყნების კოალიციისაგან, არ გამართლდა. ეს გერმანიისათვის ნიშნავს „ბროლას ორ ფრონტზე“, რაც ფაშისტთა ხროვისათვის სასიკვდილო და გამანადგურებელია.

გერმანელი ექსტრემები მოლტკე და შლიფენი არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ „ორ ფრონტზე ომი“ კომპარიაო.

ბისპარკს, რომელსაც მკლტარისტული გერმანიის მამად ხვლიან, სულს უხუთავდა მძლავრი სახელმწიფოების კოალიციის საშიშროება ევროპაში გერმანიის ჰეგემონიის დამყარების წინააღმდეგ, განსაკუთრებით დიდ საფრთხედ მიაჩნდა რუსეთისა და

ინგლისის კავშირი. ამისათვის იგი თავის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის მიმართავდა ამ დიდ ქვეყნებს შორის დაჯახებისა და წასისიანების ტაქტიკას. ბისმარკის შემდგომი მიმდევრებიც ამ ტაქტიკას ადგნენ და განუწყვეტლივ იბრძოდნენ რუსეთ-ინგლისის მოსალოდნელი კავშირის ჩასაშლელად. მაგრამ ეს ბრძოლა, როგორც ცნობილია, თითქმის ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა.

დიდი სამამულო ომის პერიოდშიც გერმანიის მილიტარისტული წრეების ყოველგვარი ოინისა და პროვოკაციის მიუხედავად, შეიქმნა ძლიერი კოალიცია ფაშისტური გერმანიისა და მისი „მოკავშირეების“ წინააღმდეგ. ამხანაგმა სტალინმა გენიალურად გნკურითა და ჯერ კიდევ 1941 წლის 3 ივლისს აღნიშნა, რომ „ამ გამათავისუფლებელ ომში ჩვენ მარტონი არ ვიქნებით“. და მართლაც, ომის დაწყების პირველსავე დღეებში შეიქმნა ერთიანი ფრონტი თავისუფლებისმოყვარე ხალხებისა, ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

1941 წლის 12 ივლისს მოსკოვში სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის ხელმოწერილ რქნა შეთანხმება, რომელიც მიმართულსა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ.

1941 წლის სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ ცხადჰყო, რომ ამ სამმა ქვეყანამ საერთო ენა გამოიხატეს და მტკიცედ გადასწყვიტეს ითანამშრომლონ ერთმანეთთან საერთო მტრის — ფაშისტის საბოლოოდ განადგურებისათვის.

მთელი პროგრესიული კაცობრიობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის მიმდინარე, წლის 26 მაისის ხელშეკრულებას „სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამხედოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთ დახმარებაზე“. აგრეთვე იმ მოლაპარაკების კეთილსაშუროველად დამთავრებას, რომელსაც ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვი ა. შ. შტატებში აწარმოებდა. ეს ხელშეკრულებები კიდევ უფრო აძლიერებენ დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის სპარძლო თანამეგობრობას. იგი ახალი ძალით აღავსებს ყველა თავისუფლებისმოყვარე ერებს, რომლებმაც ჰიტლერული გერმანიის თავდასხმა განიცადეს, ამ რომელთაც ამ თავდასხმის საფრთხე ემუქრებათ.

სამთა ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა შემთხვევითი მოვლენა როდია, — იგი ისტორიული აუცილებლობაა. დიდი რუსი ხალხი და ინგლისელი ხალხი პირველად როდი გამოდიან ხელიხელ

ჩაკიდებული საერთო მტრის წინააღმდეგ. 1812 წლის ნაპოლეონის წინააღმდეგ გამართულ სამამულო ომში დიდი რუს ხალხს მხარს უჭერდა ინგლისელი ხალხი. ნაპოლეონ ბონაპარტე მაშინ ოცნებობდა მთელი მსოფლიოს ზელში ჩაგდებაზე, მაგრამ მისი დაპყრობითი პოლიტიკის განხორციელებას სწელს უშლიდა ორი ფაქტორი: 1) უდიდესი საზღვაო სახელმწიფო — ინგლისი და 2) უდიდესი სახმელეთო სახელმწიფო — რუსეთი. აწარმოებდა რა დაუმთავრებელ დაპყრობითს ომებს, ნაპოლეონი მიზნად ისახავდა ინგლისის ძლიერების მოსპობას, სწელზე, ამასთან მისი მიზანი იყო ახლო აღმოსავლეთის, მესოპოტამიისა და ინდოეთის ზელში ჩაგდება და აკრიტიკებდა ალექსანდრე მკედონელის მიერ ოდესღაც წარმოებული ომების სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს. იგი ამბობდა: „ალექსანდრე მკედონელს არ უნდა გადაეღება დიდი მანძილები, რათა მიეღწია განგამდე. დღეს მე უნდა დავიპყრო ინდოეთი სხვა მხრიდან, ეგრობის მხრიდან, რათა პარალიზება ვუყო ინგლისს. წარმოიდგინეთ მხოლოდ, თუ მოსკოვი იქნება დაკავებული, მაშინ რატომ არ შეუძლია საფრანგეთის არმიას, გაძლიერებულს ახალი ჯარებით, მიაღწიოს განგამდე თბილისის მხრიდან და იქითი დარტყმით შეაჩვიოს ინგლისის ძლიერების მთელი შენობა?“ ნაპოლეონის გეგმები ემყარებოდა იმ ვარაუდს, რომ რუსეთი და ინგლისი საერთო ენას ვერ გამოიხატავდნენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ნაპოლეონი შეცდა. როგორც კი გაღმოსავლეთ ნებანი საფრანგეთის არმიამ, ინგლისმა და რუსეთმა შეჰქმნეს ძლიერი კოალიცია, რომელმაც მოამზადა ნაპოლეონის ძლიერების სრული კატასტროფა, მისი ძლიერების საბოლოო დაქსნავევა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდშიც (1914 წ.) ინგლისი და რუსეთი შეერთებული ძალით იბრძოდნენ გერმანიის წინააღმდეგ. სამბტომსტურია აგრეთვე, რომ ინგლისი პირველი იყო დიდი სახელმწიფოებიდან, რომელმაც სცნო საბჭოთა კავშირი, როგორც იურადიულად, ისე ფაქტიურადაც.

ასევე შეიძლება ითქვას ამერიკასა და რუსეთის ურთიერთობაზეც. ისტორიულ-ტრადიციულად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის არასოდეს რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ არსებობდა, პირიქით, ამ ქვეყნების ხალხები ურთიერთმეგობრობის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს რუსეთის პოზიცია ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში, როცა რუსეთმა მხარი დაუჭირა ჩრდილოეთის შტატებს მოწინააღმდეგელებს წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ინგლის-ამერიკის დახმარებას უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა მთელი მოწინავე პროგრესული კაცობრიობა. უდიდესი და ფასდაუდებელია ამხანაგ სტალინის როლი ამ ანტიპიტლერული კოალიციის

შექმნაში. მხოლოდ სტალინის გენიას შეეძლო განეკუთვნა და განემტკიცებინა ეს კავშირი, მითუმეტეს, ისეთ პირობებში, როცა ფაშისტთა ბარბაროსული ტყვეობა და მძვინვარებელი ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ყვირილით ევროპასა და ამერიკის მომსავალი ბოლშევიზაციის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი ანტიკოალიციური პროპაგანდისა, სამჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების „კოალიცია რეალური საქმეა“.

პიტლერულმა გერმანიამ მძლავრი დემოკრატიული ქვეყნების ამ რეალურ კოალიციას დაუპირისპირა „ახალი კოალიცია“ ევროპისა, თითქოს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევროპაში იქმნებოდა ხალხმრავალი ძლიერი, რომელიც ბოლომდე იომებს საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. მაგრამ ყველამ კარგად იცის, თუ რა ფასი აქვს პიტლერულთა ამ ლაქლასს. ევროპის დამონებული ხალხები საბჭოთა ხალხის სამართლიან ომს თანაუგრძობენ და მას ყოველმხრივ უჭერენ მხარს.

რაში მდგომარეობს ანტიპიტლერული კოალიციის შექმნის პრაქტიკული შედეგი?

უბრველეს ყოვლისა იმაში, რომ სამი დიდი ქვეყნის გაერთიანების შედეგათ გაერთიანებულ იქნა სამხედრო-ეკონომიური ძლიერება, რესურსები და რეზერვები, რომელნიც მათ განკარგულენაში იმყოფება და რომელიც დიდათ აღემატება გერმანიისა და მისი „მოკავშირე“ ქვეყნების სამხედრო-ეკონომიურ ძლიერებას, რესურსებსა და რეზერვებს. ეს ფაქტორი კი მეტად საყურადღებოა. ომის მოგების მანსები მხოლოდ იმას გააჩნია, ვის განკარგულენაშიც მეტი რესურსებისა და რეზერვების ფონდია. ამ მხრივ გერმანიის რეზერვებისა და რესურსების გაშლისა და გამოყენების შესაძლებლობანი მეტად შეზღუდულია, განსაკუთრებით სამჭოთა კავშირთან წარმოებულნი გამანადგურებელი ომის შემდეგ, ხოლო მის წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციის შესაძლებლობა — უზარმაზარი, აურაცხელი, უღლევი. ვ. ი. ლენინი 1919 წელს ხანგასმით აღინშნა და, რომ ომში ის ქვეყანა იმარჯვებს, „ვისაც აქვს მეტი რეზერვები, ძალის მეტი წყაროები, მეტი სიმტკიცე ხალხის მასებში“ (ლენინი, ტომი XXIV, გვ. 493).

ანტიფაშისტური კოალიციის რესურსები უზარმაზარია. ის შევრად აღემატება გერმანიისა და მის „მოკავშირეთა“ რესურსებს.

„იქნებ კოალიციის ძალთა თანაფარდობის საკითხში აღადგინოთ და მატერიალური რესურსების თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ აქ ჩვენ უღადვო უპირატესობა გვაქვს, ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მხარეზე“ (ი. სტალინი).

მაგრამ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი: სამხედრო-ეკონომიურ რესურსებს არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილი არ იქნება რეალურ მუშაობაზე და გამოყენებული არ იქნება დანიშნულების მოხედვით. ამხანაგი სტალინი თავის 1942 წლის 6 ნოემბრის ისტორიულ მოსახენებში ამბობდა:

„...ხომ არის ისეთი შემთხვევები, როცა რესურსები ძელომსა და, მაგრამ ეს რესურსები ისე უთავბოლოდ იხარჯება, რომ უპირატესობა ნულად იქცევა. ცხადია, რომ ვარდა რესურსებისა დაჯიშობა კიდევ ამ რესურსების მოხილიშების ნიჭი და მათი სწორად დიხარჯვის უნარი“.

ჩვენმა მოკავშირეებმა ბევრი რამ გააკეთეს იმ უზარმაზარი რესურსებისა და რეზერვების მობილიზაციის საქმეში, რომელნიც მათ განკარგულებაში იმყოფებიან. აი ზოგიერთი ციფრებიც მასალა.

1941 წელს ინგლისის პრესის ცნობა შეომსჩი ქვეყნების სამხედრო პოტენციალის შესახებ ასეთი იყო: გერმანია — 100, იტალია — 20, გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნები — 25, იაპონია — 40, ერთად ღერძის სახელმწიფოები — 185; დიდი ბრიტანეთის — 80, დონინონები და ინდოეთი — 30, ამერიკის შეერთებული შტატები — 200, ე. ი. 1½ — 2 ჯერ მეტი, ვინემ ღერძის სახელმწიფოების სამხედრო-ეკონომიური პოტენციალი. სამხედრო პროდუქცია კი 1941 წლისათვის მნიშვნელოვნად ჩამოუყარდებოდა ღერძის სახელმწიფოებისას, რის მიზეზიც ის იყო, რომ ამ დროისათვის გერმანიაში მრეწველობის 80% ემსახურებოდა სამხედრო საჭიროებას, ინგლისში — 45%, ა. შ. შტატებში კი — 15%. 1942 წლის ბოლოსათვის კი დიდი ბრიტანეთისა და ა. შ. შტატების სამხედრო წარმოებამ 1½-ით მაინც გადააჭარბა ღერძის ქვეყნების სამხედრო წარმოებას.

საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი ხალხი თავისი მოწინავე ტექნიკით, ძლიერი ეკონომიკით, ზურგისა და ფრონტის ერთიანობით, საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ჩვენი ქვეყნის მასების მორალურ — პოლიტიკური ერთიანობის საფუძველზე კჰმნის თავის უძლეველ ძალას. სტალინურ შორისმჭვრეტელობის შედეგად საბჭოთა კავშირის ღრმა ზურგში დროულად ვითარდებოდა სამხედრო მრეწველობა, რომელიც ამჟამად სრული მოცულობით მუშაობს და რომელიც ყოველდღე ამზადებს ნიადაგს გერმანიის ძლიერი სამხედრო მანქანის დამსხვრევისათვის. სამამულო ომის მძიმე პერიოდში მოხერხდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მრეწველობის ბაზების ღრმა ზურგში გადატანაც, მუშებისა და საწარმოთა მოწყობილობის ახალ ადგილებში ევაკუაცია და

„ჩვენ სამხედრო ქარხნები და მათი მომიჯნავე საწარმოები პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ წითელ არმიას ქვემეხებით, ნაღმსა, ტყვორცნებით, თვითმფრინავებით, ტანკებით, ტყვიამფრქვევებით, შაშხანებით, საომარი მასალებით“ (ი. სტალინი).

საბჭოთა კავშირის ფრონტი და ზურგი სამამულო ომში იქცა ერთ ურყევ ბანაკად, რის შესახებაც ამხ. სტალინი ამბობს: „უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჯერ კიდევ არასოდეს არ ქონია“. სამამულო ომის პერიოდში ომის მთელი სიმძიმე ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს გადააქვს, მაგრამ ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის გახსნის აუცილებლობა პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბუნებრივად სვამს ჩვენს წინაშე საკითხს ჩვენი მოკავშირეების სამხედრო - ეკონომიური პოტენციალისა და მზადყოფნის შესახებ. ამისათვის შევეცდებით ჩვენი მოკავშირეების — დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ამ მხრივ მოკლედ დახასიათებას.

დიდი ბრიტანეთი, რომელიც გვერდით ამოუდგა საბჭოთა კავშირის, უდიდესი ინდუსტრიული ქვეყანაა. დიდი ბრიტანეთის განკარგულებაშია ნახშირის მსოფლიო მოპოვების 22, მსოფლიო მანქანათმშენებლობის 11, ფოლადის 12, მსოფლიო ზამბეულის მრეწ. 29, მსოფლიო სავაჭრო ფლოტის 26 და გემთმშენებლობის 40 პროცენტი.

ინგლისს თავის კოლონიებით მეოთხედი ნაწილი უჭირავს დედამიწის ზედაპირისა. მისი მოსახლეობა უდრის 534 მილ. კაცს, ამავე დროს დიდელ ბრიტანეთი უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოა მსოფლიოში. მას ჰყავს დიდი ძლიერი სამხედრო საზღვაო ფლოტი.

გერმანია - ინგლისის ომთან დაკავშირებით დაიწყო დიდი ბრიტანეთის იმპერიის უღვევი რესურსების მობილიზაცია. დიდი ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში შედის კანადა, რომელსაც პლატინისა და ნიკელის მოპოვებით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. აქვე ვითარდება საავიაციო მრეწველობა, საზღვაო ფლოტი და სხვა. ავსტრალია, რომელიც ინგლისის იმპერიაში შედის, დამოუკიდებლად ამზადებს სამხედრო მასალებს მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად. სამხრეთ ამერიკის კავშირი დაირაზმა ინგლისთან ერთად. კანადა ბრიტანეთის იმპერიის ბელეღია.

ოფიციალური ცნობების თანახმად ინგლისი ამჟამად იძლეო
 თვითმფრინავს ამზადებს, რამდენსაც გერმანია, ხოლო ტანკების
 დამზადების მხრივ მალე დაეწევა გერმანიას.

ადამიანთა ძალების მობილიზაციის მხრივ ინგლისი უდიდეს
 წარმატებას აღწევს. 1942 წლის ზაფხულისათვის ინგლისში 14
 წლიდან 65 წლის ასაკი უდრიდა 33 მილიონს. 16 მილ. კაცია და-
 კავებული წარმოებაში, 6 მილ. სამხედრო ნაწილებში, ხოლო და-
 ნარჩენი კი წარმოადგენს რეზერვს.

1942 წლის იანვრიდან ამავე წლის შუა ზაფხულამდე
 ლერძის სახელმწიფოთა წყალქვეშა ნავებმა, ჩასძირეს ატლან-
 ტიკის ოკეანეში 347 გემი, წყნარ ოკეანეში — 13. ინგლისის
 საზღვაო ფლოტის წინაშე დასმული ამოცანა ხორციელდება, მიუ-
 ხედავად სერიოზული წინააღმდეგობისა, რომელსაც ინგლისი
 წააწყდა. გაერთიანებული ქვეყნების საზღვაო ძლიერების საუკე-
 თესო ილუსტრაციას წარმოადგენს ამერიკა—ინგლისის შეერთებუ-
 ლი ჯარების ორგანიზებული გადასხმა ჩრდილოეთ აფრიკაში, რო-
 მელსაც 750-მდე გემმა მიიღო მონაწილეობა. იმ უდიდესი მნიშვნე-
 ლობის კამპანიაში, რომლის განხორციელებაც მათ იწყეს, უთუოდ
 ინგლისის ძლიერ ფლოტს პირველხარისხოვანი როლი მიუძღვის.
 კიდევ მეტი იქნება ინგლისის ფლოტის მნიშვნელობა, როდესაც
 მოკავშირეები წარმატებით განდევნიან გერმანია-იტალიის ჯარებს
 ჩრდილოეთ აფრიკიდან და ლიბიიდან, მაშინ საკითხი დაისმება
 ხმელთაშუა ზღვაში კვლავ ინგლისის სრულ ბატონობის შესახებ,
 უნდა ვიგულისხმოთ, რომ იტალიის გერმანია-იტალიის კოალიცი-
 ისაგან ჩამოცილების საქმეში უდიდეს როლს ითამაშებს მოკავში-
 რეების ფლოტი და კერძოდ კი ინგლისის ფლოტი.

სამარცხვინოდ ჩაიშალა პიტლერის ტრაბახი იმაზე, რომ „ავი-
 აციისა და საზღვაო დესანტებით ავილებთ ინგლისსო“. ინგლისმა
 მოახერხა მაშინ ზღვაში და ჰაერში ბატონობის შენარჩუნება.

1940 წლის აგვისტო-ოქტომბერში გერმანელებმა ლონდონზე
 თავდასხმების დროს დაჰკარგეს 2.375 თვითმფრინავი და 6 ათასი
 მფრინავი, მაშინ გერმანიამ წაავო ინგლისისათვის ბრძოლა. მაშინ
 ინგლისის ავიაცია გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე დღეს. დღეი-
 სათვის კი ინგლისის ავიაცია რიცხობრივად გაუთანაბრდა გერმა-
 ნიისას, ხოლო ხარისხით კი უკეთესია.

ინგლისის ავიაციის ზრდის საუკეთესო ილუსტრაციას წარ-
 მოადგენს ინგლისის ავიაციის ფაქტიური ბატონობა დასავლეთ

ბის 1/3 უდრის. ა. შ. შტატების მრეწველობა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი მრეწველობაა. 1941 წლისათვის ფოლადის გამოდნობა უდრიდა 86 მილ. ტონას, 1942 წლის ბოლოსათვის კი, 100 მილიონ ტონაზე კიდევ მეტს. ლენინი სწერდა: „ყველა ქვეყნისათვის არსებობს ზღვარი. სხვადასხვა ქვეყნისათვის — სხვადასხვა ზღვარი, რომლის შემდეგ ომის წარმოება, კაპიტალისტების ინტერესების გულისათვის, შეუძლებელია“. (თხზ; ტ. XXIV, გვ. 60-61)

გერმანიისათვის ეს საგულისხმო ზღვარი, რომლის შესახებაც ლენინი ლაპარაკობს, შორს არ არის: პიტლერული გერმანია კატასტროფის წინაშე დგას.

ა. შ. შტატები მშვიდობიანობის პერიოდში არ საჭიროებდა დიდ სამხედრო რეგულიარულ ჯარს. მას ჰყავდა სულ 150 ათასიანი დაქირავებული არმია, რომელსაც რეგულიარული ჯარი ერქვა. ერთი წლის განმავლობაში ამერიკამ შეჰქმნა მრლიონ ნახევარი კაცი საგან შემდგარი ტექნიკურად შეიარაღებული ძალა, ხოლო დღეისათვის 5 მილიონიანი არმია. მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკაში არ არსებობდა მუდმივი სამხედრო მრეწველობა კრუპის, შკოდის, შნეიდერ კრუზოს ტიპებისა. მცირე დროის განმავლობაში ამერიკამ შესძლო თავის ინდუსტრიული მრეწველობის ომის ყაიდაზე გარდაქმნა. 1941 წლისათვის მის სამხედრო მრეწველობას ჰქონდა მიცემული ასეთი დაკვეთა: 17 ათასი მძიმე და 25 ათასი მსუბუქი ქვემეხისა, 13 ათასი ნაღმსატყორცისა, 9.200 ტანკისა, 300 ათასი ტყვიამფრქვევისა; ამერიკის ფოლადის გამოდნობის ქარხნები თვეში ამზადებენ 7 მილიონ ტონა პროდუქციას. ამჟამად ამერიკის მარტო ირვინგ-ფოლდისის ტრესტი გვაძლევს ფოლადის მეტ პროდუქციას, ვინემ გერმანიის ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები ერთად.

ამერიკის ავტომრეწველობის წარმოების შესაძლებლობა განისაზღვრება 8 მილიონი ავტომობილით, ე. ი. 35,40-ჯერ მეტით, ვიდრე გერმანიის შესაძლებლობა. ამერიკის ძლიერება განუზომელია განსაკუთრებით საავიაციო მრეწველობის დარგში. სამხედრო თვითმფრინავების გამოშვება 1941 წლისათვის თვეში უდრიდა 1.500 ერთეულს. 1942 წლისათვის ნავარაუდები იყო მისი ორჯერ გადიდება, ფაქტურად კი ყოველთვიურად ამერიკა უშვებს 5 ათას თვითმფრინავს. 1942 წლის პირველ ნახევარში ამერიკა ამზადებდა მეტ თვითმფრინავს, ვიდრე გერმანია თავის „მოკავშირეებთან“ ერთად. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამერიკის თვითმფრინავების ხარისხი არ ჩამოუვარდება დასავლეთ ევ-

რობის ქვეყნების საუკეთესო თვითმფრინავების მარკებს. მათ შეუძლიათ ნიუ-იორკიდან დაბომბონ ბერლინი.

საზღვაო მშენებლობა, რომელიც გაშალა ამერიკამ ჯერ კიდევ 1941 წელს მეტად დიდია: 17 სახაზო გემი, 50 კრეისერი, 200 ნალმოსანი, რაც გადაჭარბებით შესრულდა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, შეიარაღების განხორციელების მიზნით, 1940 წლისათვის გაიღო 55 მილიარდი დოლარი.

ამჟამად სამხედრო შეიარაღებისათვის გაღებულია 252 მილიარდი დოლარი.

ამხანაგი სტალინი თავის 1942 წლის საოქტომბრო ბრძანებაში აღნიშნავდა: „ომის განმავლობაში წითელმა არმიამ მწყობრიდან გამოიყვანა მტრის 8 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ახლა ჰიტლერელთა არმია, რუმინელებით, უნგრელებით, იტალიელებით, ფინელებით შერეული მნიშვნელოვნად უფრო სუსტი გახდა, ვიდრე 1941 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე იყო“ (ი. სტალინი).

სამხედრო პოტენციალის სერიოზულ ელემენტს წარმოადგენს ნედლეულის რესურსები. ნახშირი, ნავთი, კაუჩუკი, ბამბა. შავი და ფერადი ლითონები აუცილებელი ნედლეულია თანამედროვე მოტორული ომისათვის, მაგრამ ამ მხრივაც გერმანია განიცდის დიდ დაბრკოლებებს. მართალია, გერმანიას აქვს ნახშირის საგრძნობი მარაგი, მაგრამ მისი მოპოვების რაიონები: სილესია, რური (70%), საარი, ავსტრია, ლოთარინგია და სხვა, მუშაობენ არა ინტენსიურად, რადგან ინგლისის თვითმფრინავები თავს ესხმიან ამ რაიონებს და სპობენ როგორც მრეწველობის ობიექტებს, ისე ტრანსპორტს. ამასთან ამ რაიონებში აღვილი აქვს ანტიფაშისტთა დივერსიებს.

ახლანდელ ომში განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს ნავთს. „თანამედროვე ომი მოტორების ომია“, ამბობს ამხანაგი სტალინი. მაგრამ მოტორებს საწვავი სჭირდება. გერმანიას ამ მხრივ ცუდად აქვს საქმე. მას ელევა საწვავი მარაგი, ხოლო რუმინეთის ნავთსარეწებს, რომელნიც ნახევრად დანგრეულია საბჭოთა ავიაციის მიერ, არ შეუძლია დააკმაყოფილოს გერმანიის არმიის მზარდი მოთხოვნილება.

ამრიგად გერმანია ღარიბია საჭირო რესურსებით; ოკუპირებულ ქვეყნებს არ ძალუძთ დააკმაყოფილონ ფაშისტური გერმანიის მოთხოვნილებები, ხოლო ევროპის კონტინენტგარეშე ბაზრები, საიდანაც გერმანიას მანამდე შემოჰქონდა საჭირო სამხედრო რესურსები, ამჟამად მოსპობილია მისთვის, ეკონომიური და საზ-

დგომ ბლოკადის გამო. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „ჩვენმა საბჭოთა ხალხმა ღირსეულად გადაიტანა განსაცდელი, რომელიც მათ წილად ხვდა, და აღსავსეა გამარჯვების ურყევი რწმენით. — ომი გახდა საბჭოთა წყობილების ძალისა და სიმტკიცის მკაცრი შემოწმება. გერმანელთა იმპერიალისტების ვარაუდი საბჭოთა სახელმწიფოს დაშლისა სავსებით ჩაიფუშა. ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა მრეწველობამ, საკოლმეურნეო წყობილებამ, ხალხთა მეგობრობამ, საბჭოთა სახელმწიფომ გვიჩვენეს თავიანთი სიმტკიცე და შეუმუსვრელობა. ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები, მთელი ინტელიგენცია, მთელი ჩვენი ზურგი პატიოსნად და თავდადებით მუშაობს ჩვენი ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად“ (ი. სტალინი).

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხები, როგორც ერთი კაცი, აღსდგენ გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ. ისინი იბრძვიან ლოზუნგით: „სხსნლი სისხლისა წილ, სიკვდილი სიკვდილისა წილ! გაველიტოთ უკლებლივ ყველა ოკუპანტი“. ამ დიდ საქმეში საბჭოთა ხალხს ეხმარებიან ინგლისისა და ამერიკის ხალხები და ყველა ის ხალხები, რომლებიც გერმანიის ფაშისტების უღელქვეშ გმინავენ. წითელი არმიის ძლიერებამ, მათმა წინააღმდეგობამ ნაცარტუტად აქცია მითი გერმანიის „უძლეველობისა“.

„ისტორია გვიჩვენებს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ უძლეველი არმიები არ არიან და არც ყოფილან. ნაპალეონის არმიას უძლეველად სთვლიდნენ, მაგრამ იგი დაამარცხა ხან რუსეთის ხან ინგლისის, ხან გერმანიის ჯარებმა... ჰიტლერის არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს, და დამარცხდება კიდევ, როგორც დამარცხდნენ ნაპალეონისა და ვილჰელმის არმიები“.

„შორს არ არის ის დღე, როცა წითელი არმია თავისი მძლავრი დარტყმებით უკუაგდებს გამხეცებულ მტრებს ლენინგრადიდან, გასწმენდს მათგან ბელორუსიისა და უკრაინის, ლატვიისა და ლიტვის, ესტონეთისა და კარელიის ქალაქებსა და სოფლებს, გაათავისუფლებს საბჭოთა ყირიმს, და მთელ საბჭოთა მიწა-წყალზე კვლავ ძლევაძმოსილად იფრიალებს წითელი დროშები“ (ი. სტალინი).

ბელადის ეს გენიალური პროგნოზიც, როგორც ყოველთვის, გამართლდა: ჩვენი უძვირფასესი მიწა-წყლის გაწმენდა ბოროტ და ველურ დამპყრობთაგან დაწყებულია. იგი დამთავრდება ჩვენი გამარჯვებით და ჰიტლერის გერმანიის განადგურებით.



ბ. რ ბ ი ძ ი

ლენინურ-სტალინური მოძღვრება კაპიტალიზმის არა-
თანაბარი განვითარებისა და ერთ ქვეყანაში სოცია-
ლიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ

ლენინისა და სტალინის მოძღვრება კაპიტალიზმის ეკონომიუ-
რი და პოლიტიკური არათანაბარი განვითარებისა და ერთ ქვეყანა-
ში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ წარმოად-
გენს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთერთ ძირითად და უმ-
ნიშვნელოვანეს საკითხთაგანს.

შემოქმედებითი მარქსიზმის უდიდესმა ოსტატმა ლენინმა
1915 წელს პირველმა აღმოაჩინა და მეცნიერულად დაასაბუთა
ეკონომიური და პოლიტიკური არათანაბარი განვითარების კანონი,
რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ კაპიტალისტური წყობილე-
ბისათვის. ლენინმა ამ კანონიდან გამომდინარე შექმნა თეორია
ყველა ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად გა-
მარჯვების შეუძლებლობისა და რამდენიმე ან ერთ ქვეყანაში სო-
ციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ისტორიამ გაამართლა ლენინური პროგნოზი. დიდი ოქტომბ-
რის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბრწყინვალედ და-
დასტურა პრაქტიკაში ლენინური თეორიის სისწორე.

სტალინის მრძნული ხელმძღვანელობით სინამდვილედ იქცა
სოციალიზმის გამარჯვება ლენინური იდეებით გასხივოსნებულ სა-
ბჭოთა ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის ხალხებმა, ააგეს რა სოცია-
ლისტური საზოგადოება, იწყეს თანდათანობით გადასვლა სოცია-
ლიზმიდან კომუნისმისაკენ.

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი, როგორც ერთი
კაცი, ფეხზე ამდგარა და სამამულო ომში სოციალისტური სამშობ-
ლოს დასაცავად შეუბოვრად, ისტორიაში არნახული გმირობით
ანადგურებს ფაშისტ ბარბაროსებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს

ჩვენი ტერიტორიის დაპყრობა და კომუნისტური საზოგადოების მშენებელ ხალხთა მონებად გადაქცევა, სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორია წარმოადგენს უძლეველ დროშას პირისხლიან ფაშიზმზე გამარჯვებისათვის.

* * *

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა განმარტეს სოციალიზმი, როგორც კაპიტალიზმის განვითარების შედეგი, დაასაბუთეს კომუნისტური საზოგადოების აგების აუცილებლობა კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობის გზით. მათ გვიჩვენეს, რომ

„კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს პერიოდი რევოლუციონური გარდაქმნის ეროსისა მეორედ. მას შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციონური დიქტატურა“¹.

მარქსმა და ენგელსმა გამოამჟღავნეს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი და მისი განვითარების კანონები, რითაც მეცნიერულ-ეკონომიური დასაბუთება მისცეს საკუთარ მოძღვრებას პროლეტარულ რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურაზე. მართალია, მარქსი და ენგელსი არ მოსწრებიან მონობოლიანტური კაპიტალიზმის განვითარებას, მაცრამ ისინი მოწმენი იყვნენ იმპერიალიზმის პირველი ნაბიჯებისა. როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, მარქსსა და ენგელსს შეეძლოთ მხოლოდ დაახლოებით გათვალისწინება კაპიტალიზმის განვითარების იმ ახალი პირობებისა, რომლებიც შეიქმნა კაპიტალიზმის ახალ ფაზასთან, იმპერიალისტურ ფაზასთან დაკავშირებით, როდესაც კაპიტალიზმის ევოლუციურ განვითარებას სცვლის კაპიტალიზმის ნახტომისებური, კატასტროფული განვითარება.

როდესაც კაპიტალისტური გაერთიანებანი ვითარდებოდნენ, მიმდინარეობდა კაპიტალისტური წარმოების ცენტრალიზაციის და მონოპოლიების თანდათან ზრდის პროცესი, მარქსი და ენგელსი უკვე ხედავდნენ კაპიტალიზმის განვითარებაში ისეთი ხანის დაღვრვას, როდესაც კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა განვითარებას აღარ შეესაბამება არსებული წარმოების თეორია, რის გამოც შეუძლებელი ხდება კაპიტალისტური წარმოების შემდგომი გან-

¹ კ. მარქსი, „გოთას პროგრამის კრიტიკა“, გვ. 33, ქართ. გამოც. 1932 წ.

ვითარება და კაპიტალიზმი უნდა დაიღუპოს. სწორედ ამას გულისხმობდა მარქსი, როდესაც „კაპიტალში“ წერდა:

„კაპიტალის მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად... იზრდება სილატაკე, ჩაგვრა, დამონავეება, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება მუდამ ზრდაში მყოფ და კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილ, გაერთიანებულ და ორგანიზაციულად დარაზმულ მუშათა კლასის აღშფოთება. კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან მათ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ექსპროპრიატორები ექსპროპრიაციაქმნილი ხდებიან“¹.

მარქსს და ენგელს არ შეეძლოთ ეჩვენებინათ ის, თუ როგორ უფრო მწვავედ და ახალ ფორმებში ვითარდება კაპიტალიზმის ეკონომიური და კლასობრივი წინააღმდეგობა იმპერიალიზმის ხანაში. ლენინმა გენიალურად გაუკეთა ანალიზი კაპიტალიზმის განვითარებას იმპერიალიზმის ეპოქაში:

„მარქსისტთა შორის ლენინი პირველი იყო, რომელმაც ნამდვილი მარქსისტული ანალიზი გაუკეთა იმპერიალიზმს, როგორც კაპიტალიზმის ახალსა და უკანასკნელ ფაზას, ახალი გაგებით დააყენა საკითხი ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და დადებითად გადასჭრა იგი“².

როდესაც ვლადარაკობთ ლენინის ამ გენიალური დამსახურების შესახებ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლენინის სხვა შრომებთან ერთად პირველყოფლისა ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. რომელიც დაწერილია 1916 წლის განათხულებზე და ლენინის წერილი „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 1915 წლის აგვისტოში.

¹ კ. მარქსი, „კაპიტალი“ ტ. I. გვ. 704. ქართ. გამოც. 1930 წ.

² Ленин и Сталин, Сборник произведений к изучению истории ВКП(б) т. ш. стр. 81.



ლენინის შრომა „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ მარქსის „კაპიტალის“ შემდეგ უდიდესი მნიშვნელობის შრომა არის მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. მასში დასაბუთებული არის ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი თეორიული და პოლიტიკური დებულებანი. ამ წიგნში ნაჩვენებია, რომ თავის უმაღლეს სტადიაში კაპიტალიზმი იქცევა პარაზიტულ, ლპობად, მომაკვდავ კაპიტალიზმად, რომ „იმპერიალიზმი არის პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინდღე“. ამ წიგნში „ლენინმა ცხადყო, რომ კაპიტალიზმის განვითარების სწორედ ამ უთანაბრობის შედეგად ხდება იმპერიალისტური ომები, რომლებიც ასუსტებენ იმპერიალიზმის ძალებს და შესაძლებელს ხდიან იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევას იქ, სადაც იგი ყველაზე უფრო სუსტი აღმოჩნდება“¹.

ვინაიდან ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის დასკვნა ლენინმა გამოიტანა კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონიდან და ამ არათანაბრობის გამწვავებიდან იმპერიალიზმის ეპოქაში, ამიტომ საჭიროა დავახასიათოთ კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური არათანაბარი განვითარების კანონი.

* * *

კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონი, რომელიც აღმოაჩინა, ჩამოაყალიბა და დაასაბუთა ლენინმა, ხოლო შემდგომ განავითარა და დეტალურად დაამუშავა ამხანაგმა სტალინმა, წარმოადგენს ლენინიზმის, კერძოდ კი იმპერიალიზმის ლენინური თეორიის ქვაკუთხედს. ლენინმა და სტალინმა კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონის საფუძველზე განავითარეს თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ. თეორია რომლის საფუძველზეც ძღვევამოსილ ოქტომბრის ქვეყანაში აშენებულია კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა—სოციალიზმი.

„ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა,—წერდა ლენინი,—კაპიტალიზმის უდავო კანონია“².

არათანაბარი განვითარება კაპიტალიზმის თანდაყოლილ თვისებას შეადგენს, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალისტური წარმოების ძირითადი წინააღმდეგობიდან, პირველ რიგში კი წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო წესს შორის არსებულ წინააღმდეგობიდან.

¹ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვ. 204.

² ლენინი, თხზ. ტ. XVIII, გვ. 280, ქართ. გამოც. 1929 წ.

მისი აღმოცენების დღიდანვე კაპიტალისტური წყობილების წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს კაპიტალისტთა კლასის საკუთრება წარმოების საშუალებებზე. იმის გამო, რომ წარმოების პროცესი კაპიტალიზმის დროს თანდათან საზოგადოებრივ ხასიათს ღებულობს, მილიონობით მუშები ებმებიან ფაბრიკა-ქარხნებში, ხოლო შექმნილი პროდუქციის მისაკუთრების წესი რჩება კერძო კაპიტალისტური, ამიტომ კაპიტალისტური წარმოების გაფართოების სტიმულს წარმოადგენს კაპიტალისტებს შორის გამართული საკონკურენციო ბრძოლის საფუძველზე გაცოფებული მისწრაფება მოგებისაკენ. მეტიდამეტი მოგებისადმი კაპიტალისტების დაუცხრომელ მისწრაფებას მიეყვართ წარმოების მაქსიმალურ გაფართოებამდე.

კაპიტალისტური მეურნეობის ღრმა ანარქიის გამო წარმოების გაფართოება სწარმოებს არათანაბრად. ირღვევა პროპორცია წარმოების ცალკე დარგთა შორის, წარმოების ერთი დარგი წინ უსწრებს მეორეს.

წარმოების სხვადასხვა დარგში მოგების სხვადასხვა ნორმის არსებობა იწვევს კაპიტალისა და შრომის გადასვლას დაბალი მოგების ნორმის მქონე წარმოების დარგიდან წარმოების იმ დარგებში, რომლებიც უფრო მეტ მოგების ნორმას იძლევიან. სწორედ ამის შედეგად უნდა ავხსნათ დისპროპორცია და არათანაბრობა კაპიტალისტური წარმოების ცალკე დარგთა განვითარებაში. მაშასადამე, კაპიტალისტურ წარმოებას თანაბარი განვითარება არ შეუძლია. მარქსი წერდა:

„...საზოგადოდ კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელი იქნებოდა, მისი განვითარება ყველა დარგში რომ ერთდროულად და თანაბრად ყოფილიყო საჭირო.“¹

არათანაბრად ხდებოდა კაპიტალიზმის აღმოცენება ცალკე ქვეყნებში, არათანაბრად და სხვადასხვა დროს ხდებოდა მრეწველობის ცალკე დარგების აღმოცენება და განვითარება კაპიტალიზმის დროს. მაგრამ წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში განვითარების არათანაბრობა არ ასრულებდა ისეთ როლს, როგორც იმპერიალიზმის ეპოქაში. მაშასადამე, განვითარების უთანაბრობა დამახასიათებელია სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქისათვისაც, მაგრამ იგი იმპერიალიზმის დროს ღრმავდება და მწვავედება.

¹ К. Маркс. „Теория прибавочной стоимости“ т. II. ч. 2-я, стр. 207.

კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარება შეიძლება გავარჩიოთ ცალკე ქვეყნების განვითარებაში, მეურნეობის ცალკე დარგთა განვითარებაში და აგრეთვე ცალკე წარმოებათა განვითარებაშიაც კი.

ყოველ ცალკე აღებულ პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების განვითარება მოგვაგონებს ერთგვარ კიბეს, თუ ჩვენ ავიღებთ XIX საუკუნის მეორე ნახევარს, მას ყველაზე უფრო ნათლად ახასიათებს კაპიტალისტური ქვეყნების განლაგება ამ კაპიტალისტურ კიბეზე. ერთი ქვეყანა მოწინავეა, მეორე ჩამორჩენილი, მესამე კიდევ უფრო ჩამორჩენილი, მაგრამ ეს განლაგება კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით როდია მყარი, დღეს ქვეყანა, რომ მოწინავეა შეიძლება რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა ქვეყანა დადგეს მის წინ. მაშასადამე, არათანაბარი განვითარების გამო ცალკე ქვეყნების ადგილი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მუდამ იცვლება.

ყველაზე მკაფიო სურათს ამ მხრივ ინგლის-გერმანიის მაგალითი წარმოადგენს.

ინგლისი ის სახელმწიფოა, რომელიც ყველაზე ადრე იწყებს განვითარებას მრეწველობის მხრივ და სადაც პირველად დაირწა ბურჟუაზიული დემოკრატიის აკვანი. ის კაპიტალიზმის მოწინავე კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენდა და სამრეწველო განვითარების მხრივ პირველობა ჰქონდა მთელს მსოფლიოში თითქმის საფრანგეთ-პრუსიის ომამდე (1870 წ.). ინგლისში განვითარებული იყო არა მარტო საფეიქრო მრეწველობა, არამედ მეტალურგიულიც, ინგლისი იყო მონოპოლისტი არა მარტო ევროპაში არამედ ევროპის გარეთაც. მას გააჩნდა გიგანტური მანქანათმშენებლობა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანია ინგლისთან შედარებით ძალზე ჩამორჩენილი და პოლიტიკურად დაქუცმაცებული ქვეყანა იყო.

1870-ანი წლების შემდეგ, ე. ი. XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში, როდესაც „თავისუფალი კონკურენციის“ ადგილს მონოპოლიები იკვრს, ინგლისის მრეწველობა კარგავს ჰეგემონიას მსოფლიო ბაზარზე, მისი მანქანათმშენებლობა უთმობს ადგილს გერმანიის მანქანათმშენებლობას.

საფრანგეთ-პრუსიის ომში, როცა საფრანგეთი დამარცხდა და სედანთან ბრძოლის დროს 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი პრუსიელებს ჩაუვარდა ხელში და როცა გერმანიამ მიიღო ელზას-ლოთარინგია და 5 მილიარდი ფრანკი ოქროთი, გაძლიერდა ეკონომიურად და

საქართველო-სტალინური მოძღვრება კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარებისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ

სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. კოლოსალურად გაიზარდა მისი კაპიტალი. ლოტარინგიის რკინის მადანშა და ქვანახშირმა, ასევე რურისა და რენის მადნებმა გერმანიის ინდუსტრია წინ გადაქანა. გერმანია თითქმის ყველა დარგში სწრაფად ვითარდება და უკან იტოვებს ინგლისს და საფრანგეთს. ის შეუდგა აგრეთვე ინგლისის განდევნას მსოფლიო ვაჭრობის სხვადასხვა სფეროდან. მისი საქონელი შეიჭრა ინდოეთსა, ავღანისტანსა, ჩინეთსა და ევროპის მთელ სახელმწიფოებში. გერმანიამ მოიპოვა მსოფლიო ბაზარზე გაბატონებული ადგილი და მიმართა იარაღი ნედლეულისა და ბაზრების მოპოებისათვის, იწყო კოლონიების ზედიზედ დაპყრობა.

ამრიგად, გერმანია იწყებს სწრაფად განვითარებას კაპიტალისტური გზით და XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში იქცევა ინგლისის სერიოზულ კონკურენტად მსოფლიო ბაზარზე.

ამას მოწმობენ შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: ინგლისის წილი მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს პროდუქციაში შეადგენდა:

წარმოების დარგების დასახელება	1881—1890 წწ.	1901—1910 წწ.	1924—1929 წწ.	1933—1937 წწ.
თუჯის გამოდნობა	36.2%	18.0%	7.9%	10.3%
ფოლადის გამოდნობა	31.7%	12.9%	8.2%	11.8%
ნახშირის მოპოება	39.2%	25.5%	16.8%	18.2%

1881 წლიდან 1937 წლამდე ინგლისის პროდუქციის ხვედრითი წონის ასეთ კატასტროფულ დაცემასთან ერთად შესამჩნევი ზდება გერმანიის პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა კაპიტალისტური მსოფლიოს საერთო პროდუქციაში.

წარმოების დარგების დასახელება	1881—1890 წწ.	1901—1910 წწ.	1924—1929 წწ.	1933—1937 წწ.
თუჯის გამოდნობა	15.2%	18.8%	13.6%	19%
ფოლადის გამოდნობა	17.6%	22.1%	14.1%	17.9%
ნახშირის მოპოება	17.6%	19%	21%	24%

კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება ამავე პერიოდის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა.

წარმოების დარგების დასახელება	1881—1890 წწ.	1901—1910 წწ.	1924—1929 წწ.	1933— 1937 წწ.
თუჯის გამოდნობა	26 ^o / ₁₀₀	40,9 ^o / ₁₀₀	47,2 ^o / ₁₀₀	37,4 ^o / ₁₀₀
ფოლადის გამოდნობა	30,9 ^o / ₁₀₀	43,1 ^o / ₁₀₀	50,2 ^o / ₁₀₀	42,2 ^o / ₁₀₀

მაშინ, როდესაც ინგლისის მთელი სამრეწველო პროდუქცია 1870 წლიდან 1913 წლამდე $2\frac{1}{4}$ -ჯერ გაიზარდა, გერმანიის პროდუქცია $4\frac{1}{2}$ -ჯერ გაიზარდა და აშშ-ის 9-ჯერ ¹.

ჩვენს მიერ მოყვანილი მაჩვენებლები ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ თუ, XX საუკუნის დასაწყისში გერმანია თავისი ინდუსტრიული განვითარების დონით როგორ დაეწია და გაუსწრო ინგლისს, ბოლო მოუღო მის სამრეწველო მონოპოლიას და გადასწია ის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მესამე ადგილზე.

ცნობილია, რომ 1914—18 წ.წ. პირველი იმპერიალისტური ომი კაპიტალიზმის ამ არათანაბარმა განვითარებამ წარმოშვა. როდესაც გერმანია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სახალხო მეურნეობის განვითარების დონის მხრივ არა მარტო დაეწია ინგლისს, არამედ კიდევაც გაუსწრო მას, იწყო თავისთვის ადგილის მოთხოვნა „მზისქვეშ“ სხვა სახელმწიფოებისა და კერძოდ ინგლისის ხარჯზე.

ამჟამად, როდესაც მეორე იმპერიალისტურმა ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო, არსებითად შეიცვალა და დაძაბული გახდა ფაშისტური გერმანიის მდგომარეობა. ფაშისტებმა ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ქვეყნის მთელი ეკონომიკა სამხედრო რელსებზე გადაიყვანეს. მცირდება ნახშირის ამოღების დინამიკა. განსაკუთრებით არასრული სიმძლავრით მუშაობს რურის აუზის ქვანახშირის მრეწველობა ინგლისის ავიაციის მიერ აქტიური ბომბარდირების შედეგად. არანაკლები სიძნელეები შეიქნა რკინის მადნის მო-

¹ См. „Под знаменем Марксизма“ № 1, 1940 г. стр. 47.

პოეზის დარგში. სულ უფროდაუფრო მცირდება ნავთის მოპოება, ფოლადისა და თუჯის გამოდნობა და სხვ... საბჭოთა კავშირზე ავაზაკურმა თავდასხმამ კიდევ უფრო გაამწვავა გერმანიის ეკონომიკის დაძაბული მდგომარეობა. გერმანიის სამრეწველო პოტენციალი ბევრად ჩამორჩება ინგლისისა და ამერიკის სამრეწველო პოტენციალს. მცირდება ფაშისტური გერმანიის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე.

დღითიდღე უძლურდება და სუსტდება ფაშიზმის სამხედრო მანქანა, რომელსაც უპირისპირდება ანტი-ჰიტლერული კოალიციის მზრდადი სამხედრო მრეწველობა.

მართალია დროის ფაქტორი მრეწველობის მობილიზაციის საქმეში თამაშობს მნიშვნელოვან როლს, მაგრამ შედარებით მოკლე პერიოდში ინგლისმა და ა. შ. შტატებმა წინ გაუსწრო გერმანიას სამხედრო მრეწველობის განვითარების მხრივ.

მაშინ, როდესაც ფაშისტურმა გერმანიამ დიდი ხნის მზადების შემდეგ გააჩაღა ყაჩაღური ომი მსოფლიო ბატონობის მისაღწევად და იწყო თავისუფალი ქვეყნების დაპყრობა, ინგლისისა და ა. შ. შტატების წინაშე დაისვა გადაუდებელი ამოცანა: თავდაპირველად დაწეოდნენ ხოლო შემდეგ კი გაესწროთ გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის. თუ ფაშისტურ ქვეყნებს ქონდათ 6—7 წელი სამხედრო წარმოების გაშლისათვის, ინგლისის განკარგულებაში ამ რთული ამოცანის შესასრულებლად იყო მხოლოდ 3—4 წელი, ა. შ. შტატებს კი გააჩნდათ მხოლოდ 2—3 წელი.

ცნობილია, რომ ცალკეული ქვეყნები საიდუმლოდ ინახავენ და არ აქვეყნებენ კონკრეტულ მონაცემებს სამხედრო წარმოების შესახებ, რის გამოც შეფასების გაკეთება ხდება არაპირდაპირი მაჩვენებლების (სამხედრო ბიუჯეტები, სამრეწველო პროდუქციის ინდექსები და ა. შ.) და აგრეთვე ოფიციალური პირების ცალკეული სიტყვების საფუძველზე.

ასეთი გამოანგარიშების მიხედვით შეიარაღებული წარმოების საერთო მოცულობის დინამიკა, რაც კვლავ ადასტურებს კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების გამწვავებას მეორე იმპერიალისტური ომის წლებში შემდეგი სახით წარმოგვიდგება.

სამხედრო მრეწველობის პროდუქცია (მილიარდ დოლარებში)

	გერმანია (ოკუპირებული ქვეყნებში)	ინგლისი	ა. შ. შტატები	ინგლისი ა. შ. შტატებთან, დომინიონებთან და კოლონიებთან ერთად
1937 წ.	3	0,5	0,4	1
1938 „	5	1	0,5	1,7
1939 „	9	2	1	3,4
1940 „	12	5	2,5	8
1941 „	14	9	6	16
1942 წ. (პროგრამები)	—	12	20	35

მოყვანილი მაჩვენებლები ცხადყოფენ, რომ ინგლისი და ა. შ. შტატები, რომლებიც 1940 წელს ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს, 1941-42 წლისათვის აღწევენ დიდ უპირატესობას გერმანიის სამხედრო მრეწველობასთან შედარებით.

განსაკუთრებით დამახასიათებელია განსხვავება სამხედრო მრეწველობის ზრდის ტემპებში. გერმანიაში სადაც მრეწველობის მობილიზაცია ძირითადად მთავრდება ომის დაწყებამდე, ტემპები ნელდება. ინგლისსა და ა. შ. შტატებში სამხედრო წარმოების განვითარების ტემპები ორკეცდებოდა და სამკეცდებოდა.

ამრიგად, კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონის ძალით კვლავ იწყებს შემცირებას გერმანიის პროდუქციის ხვედრითი წონა მსოფლიო კაპიტალისტურ პროდუქციაში.

ასეთია ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარი განვითარების სურათი.

არათანაბრად ვითარდებოდნენ არამარტო კაპიტალისტური ქვეყნები, არამედ კაპიტალისტური მეურნეობის ცალკეული დარგებიც. მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, როცა კაპიტალისტური განვითარება საკუთარ ტექნიკურ ბაზას ქმნიდა წარმოების დარგთა შორის, პირველი ადგილი ეჭირა საფეიქრო მრეწველობას და მხოლოდ მანქანური წარმოების განვითარებამ შექმნა პირობა თანამედროვე მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის.

მაგრამ კაპიტალიზმი არათანაბრად ვითარდებოდა არა მარტო ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურადაც. მაგალითად, ბურჟუაზიულ რევოლუციას ინგლისში ადგილი ჰქონდა XVII საუკუნის შუა პერიოდში. ვიდრე ასეთი რევოლუცია საფრანგეთში მოხდებოდა ერთ-

ნახევარმა საუკუნემ განვლო (XVIII საუკ. ბოლოს), ხოლო ნახევარ საუკუნეზე მეტი დასჭირდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, რომ ასეთი რევოლუციები დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში მომხდარიყო (1848 წ.) დას. ევროპაში მომხდარ 1848 წლების რევოლუციების შემდეგ ერთნახევარ ათეულ წელზე მეტი გავიდა, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს თავიდან მოეშორებინა მონათმფლობელური ინსტიტუტი. მართალია, კაპიტალიზმისათვის დღიდან მისი აღმოცენებისა დამახასიათებელია განვითარების არათანაბრობა, მაგრამ დიდია განსხვავება ერთის მხრივ მონოპოლიზმამდე არსებულ კაპიტალიზმის არათანაბარ განვითარებასა და იმპერიალიზმის ეპოქის კაპიტალიზმის არათანაბარ განვითარებას შორის.

თავისი განვითარების უკანასკნელ საფეხურზე კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა ზრდამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მისი განვითარების არათანაბრობის უკიდურეს გამწვავებაში.

„იმპერიალიზმის შესწავლის დროს,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—განსაკუთრებით ომის პერიოდში, ლენინი მივიდა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის, ნახტომობრივობის კანონამდე. ამ კანონის მიხედვით, საწარმოების, ტრესტების, მრეწველობის დარგებისა და ცალკე ქვეყნების განვითარება ხდება არათანაბრად, არა ერთხელ დაწესებული რიგის მიხედვით, არა ისე, რომ ერთი ტრესტი, მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი ქვეყანა მუდამ წინ მიდიოდეს, ხოლო სხვა ტრესტები ან ქვეყნები უკან რჩებოდნენ თანმიმდევრობით ერთი მეორეს,—არამედ ეს განვითარება ხდება ნახტომისებურად, შეწყვეტებით ერთი ქვეყნების განვითარებაში და წინსვლის ნახტომებით მეორე ქვეყნების განვითარებაში“¹.

მაშასადამე, მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს განვითარების უთანაბრობა მკვეთრად იზრდება და სტალინის გამოთქმით ლებულობს „გადამწყვეტ მნიშვნელობას“, თუმცა საფუძველი ამ კანონისა ისევ წინანდელი რჩება.

სტალინიმა განავითარა და გააღრმავა ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის განვითარების არათანაბრობის გაძლიერების შესახებ და მან ამ კანონის გაშლილი დახასიათება მოგვცა.

¹ ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 109. ქართ. გამოც. 1939 წ.

„არათანაბარი განვითარების კანონი იმპერიალიზმის ხანაში ნიშნავს ზოგიერთ ქვეყნების ნახტომებით განვითარებას, მსოფლიო ბაზრიდან ზოგიერთ ქვეყნის გამოდევნას მეორე ქვეყნების მიერ, სამხედრო შეტაკებათა და კატასტროფათა საშუალებით უკვე გაყოფილ მსოფლიოს ხელახალ გაყოფას, კონფლიქტების გაღრმავებასა და გამწვავებას იმპერიალისტთა ბანაკში, მსოფლიო კაპიტალიზმის ფრონტის შესუსტებას, და ამ შესუსტებული ფრონტის გარღვევის შესაძლებლობას ზოგიერთი ქვეყნის პროლეტარიატის მიერ და ცალკე ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას“.¹

იმპერიალიზმის ეპოქამდე კაპიტალიზმის განვითარება ხდებოდა აღმავალი ხაზით. ამ დროს არათანაბრობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ქვეყნები ერთი მეორეს ეწეოდნენ და ერთი მეორეს უსწრებდნენ, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, ჩვეულებრივ წესით ეგრედ წოდებულ ევოლუციონური წესით, ნახტომების, სამხედრო დამარცხებებისა და მსოფლიოს ხელახალი განაწილების გარეშე. ამ პერიოდში ზოგიერთი ქვეყნების წინ გასწრება სხვა ქვეყნებისათვის ხდება ნანგრძლივი დროის განმავლობაში.

მაგრამ მონოპოლიების ბატონობის ეპოქაში, როდესაც კაპიტალისტური წინააღმდეგობანი იმდენად გამწვავდა, რომ შეუძლებელი გახდა საზოგადოებრივი წარმოების შეთავსება კაპიტალისტურ მითვისებასთან და კაპიტალიზმი მთლიანად დაღმავალი ხაზით იწყებს განვითარებას, მაშინ არათანაბარი განვითარებისათვის დამახასიათებელი ხდება ნახტომობრივი ხასიათი.

რა ფაქტორები იწვევს იმპერიალიზმის ეპოქაში არათანაბარი განვითარების გაძლიერებას და გამწვავებას? რით ახსნათ, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება შეუძლებელი ხდება იმპერიალისტთა ბანაკში? მაშასადამე, რა ნიშნები ახასიათებს კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონს იმპერიალიზმის დროს?

ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს ამხანაგი სტალინი კომინტერნის აღმასკომის VII პლენუმზე როდესაც გამანადგურებელ ლახვარს სცემდა კონტრევოლუციურ ტროცკისტულ ოპოზიციას:

„პირველი, მსოფლიო უკვე გაყოფილია იმპერიალისტთა ჯგუფებს შორის, უკვე აღარ არსებობს მსოფლიოში „თავისუფალი“

¹ ი. სტალინი, „კიდევ სოციალ-დემოკრატიულ გადახრაზე ჩვენს პარტიასში“, გვ. 80. ქართ. გამოც. 1932 წ.

ფალი“, ჯერ კიდევ დაუკავებელი ტერიტორია და ამიტომ, რომ დაკავებულ იქნეს ახალი ბაზრები, ნედლი მასალის ახალი წყაროები, რომ გაფართოვდეს ესა თუ ის იმპერიალისტური სახელმწიფო—აუცილებელია ტერიტორიის ძალით დაპყრობა.

მეორე, ის რომ ტექნიკის არაჩვეულებრივმა ზრდამ და კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარების დონის თანდათანობითი გათანაბრებამ შესაძლებელი გახადა და გააადვილა ზოგიერთი ქვეყნების ნახტომებით დაწინაურება, შესაძლებელი გახადა უფრო ძლიერი ქვეყნების შევიწროება ნაკლებად ძლიერ ქვეყნების მხრით. რომლებიც, სამაგიეროდ, უფრო სწრაფად ვითარდებიან.

მესამე, ისა რომ გავლენის სფეროების ძველი განაწილება იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის ყოველთვის ეჯახება ძალთა ახალ დამოკიდებულებას მსოფლიო ბაზარზე; ის, რომ გავლენის სფეროების ძველი განაწილებისა და ძალთა ახალ დამოკიდებულების შორის „თანასწორობის“ დასაცავად აუცილებელია პერიოდულად მსოფლიოს ხელახალი გაყოფა იმპერიალისტური ომების საშუალებით“¹.

ისმება კითხვა, როდის აღმოჩნდა მსოფლიო პირველად განაწილებული იმპერიალისტთა ჯგუფებს შორის. ამის შესახებ ლენინი გარკვეულად პასუხობს, რომ მსოფლიოს გაყოფა დამთავრდა მე-20 საუკუნის დასაწყისს. თუ მსოფლიოს გაყოფა მე-20 საუკუნის დასაწყისს დამთავრებული იყო, როდის უნდა დასმულიყო საკითხი მსოფლიოს ხელახლა გაყოფის შესახებ? „იმპერიალისტური ომის პირველს პერიოდში“—ამბობს ამხანაგი სტალინი. აქედან დასკვნა, რომ კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური არათანაბარი განვითარების კანონი შეიძლება აღმოჩენილიყო და დასაბუთებულიყო მე-20 საუკუნის დასაწყისში და იგი მართლაც აღმოჩენილ და დასაბუთებულ იქნა ლენინის მიერ სწორედ ამ პერიოდში.

* * *

კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების ლენინური კანონი ააშკარავებს კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავების მთელ სიღრმეს, იგი პროლეტარიატს უჩვენებს გზებს რამდენიმე ან მარტო ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

¹ ი. სტალინი, „კიდევ სოციალ-დემოკრატიულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში“, გვ. 80. ქართ. გამოც. 1932.

ამ კანონის საფუძველზე დაყრდნობით ლენინმა დაასკვნა: „... რომ სავსებით შესაძლებელია იმპერიალისტური ფრონტის გარღვევა პროლეტარიატის მიერ სადმე ერთ ადგილას ან რამდენიმე ადგილას, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ქვეყანაში ან ერთს, ცალკე ადგილზე, ქვეყანაშიც კი, რომ ყველა ქვეყანაში სოციალიზმის ერთდროისი გამარჯვება ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის გამო—შეუძლებელია, რომ სოციალიზმი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენი ქვეყნები ერთხანს ბურჟუაზიულ ქვეყნებად დარჩებიან“¹.

ეს უგენიალურესი დასკვნა რამდენიმე ან ერთს კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინმა მოგვცა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში.

1915 წლის აგვისტოში დაწერილ სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ ლენინი შემდეგს წერდა:

„ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უდავო კანონია. აქედან გამომდინარე, რომ შესაძლებელია თავდაპირველად სოციალიზმის გამარჯვება რამდენსამე ანდა თუნდაც ერთ, ცალკეულად ადგილზე, კაპიტალისტურ ქვეყანაში“².

ამავე საკითხს ლენინი უბრუნდება ერთი წლის შემდეგ 1916 წლის შემოდგომაზე დაწერილ სტატიაში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“.

„კაპიტალიზმის განვითარება ფრიად უთანაბროდ სწარმოებს სხვადასხვა ქვეყნებში. სხვანაირად არც შეიძლება სასაქონლო წარმოების დროს. აქედან გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმს არ შეუძლია გაიმარჯვოს ერთ დროულად ყველა ქვეყანაში. ის გაიმარჯვებს პირველად ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები რამდენიმე ხნის განმავლობაში დარჩებიან ბურჟუაზიულ ან წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად. ამან უნდა გამოიწვიოს არა მხოლოდ შეხლა-შემოხლა, არამედ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის პირდაპირი მისწრაფება გაანადგუროს სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი პროლეტარიატი.“

¹ „საქ. კ. ბ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 204—205.

² ლენინი, თხ. ტ. XVIII, გვ. 280. ქართ. გამოც. 1929 წ.

ამ შემთხვევებში ომი ჩვენი მხრივ იქნებოდა კანონიერი და სამართლიანი. ეს იქნებოდა ომი სოციალიზმისათვის, ბურჟუაზიისაგან სხვა ხალხთა განთავისუფლებისათვის¹.

ასეთი იყო ბოლშევიკების ბელადის ლენინის აღმოჩენა ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ. როგორც ბოლშევიზმის მეცნიერულ ისტორიაში—„საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიის მოკლე კურსში“ არის ნათქვამი, „ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ახალი, დამთავრებული თეორია“. ამ მოძღვრების საფუძვლები ლენინმა დაამუშავა ჯერ კიდევ 1905 წელს თავის შრომაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. ამ შრომაში განვითარებულია შემდეგი ძირითადი ტაქტიკური დებულებები: 1) ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესახებ.

2) ცარიზმის დამხობა ხალხის ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების შედეგად.

3) ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციად და რევოლუციის ამ ეტაპისათვის პროლეტარიატისა და დანარჩენი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების კავშირის უზრუნველყოფა.

ამ ბრწყინვალე იდეებში მოიპოვებოდა ყველა ძირითადი ელემენტები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორიის აღმოჩენისათვის, რომელ დასკვნამდეც ლენინი მივიდა „ორი ტაქტიკის“ გამოქვეყნებიდან ათი წლის ქემდეგ.

როდესაც ლენინმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონი და დაამტკიცა, რომ სავსებით შესაძლებელია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, ამით მან განაგრძო და განავითარა მარქს-ენგელსის მოძღვრება სოციალიზმის შესახებ.

რომ ნათელი გახდეს ლენინური დაყენება საკითხისა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მოკლედ გავეცნოთ მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს ამ საკითხზე.

მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის განვითარებასთან ერთად იქმნებოდა და ვითარდებოდა მოძღვრება სოციალიზმის შესახებ. გააკრიტიკეს რა სხვადასხვა სახის უტოპიური მოძღვრებები, მარქსმა და ენგელსმა კომუნიზმი განმარტეს, როგორც აუცილებელი და ერთადერთი შესაძლებელი გაგრძელება კაცობრიობის ის-

¹ ლენინი, თხ. ტ. XIX, გვ. 400. ქართ. გამოც. 1936 წ.



ტორიისა. მათ საჯაროდ განაცხადეს კაპიტალისტური წყობილების დაღუპვის გარდუვალობა.

„... მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ბურჟუაზიას ფეხქვეშ ეცლება თვით ის საფუძველი, რომელზედაც იგი პროლეტებს აწარმოებს და ისაკუთრებს. იგი უწინარეს ყოვლისა თავის საკუთარ მესაფლავეს აწარმოებს. ბურჟუაზიის დამხოება და პროლეტარიატის გამარჯვება თანაბრად აუცილებელი არის“¹.

მოდერნება სოციალიზმის შესახებ მარქსმა და ენგელსმა მოგვცა, მაგრამ ისმება კითხვა როგორ სწყვეტდენ მარქსი და ენგელსი საკითხს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, როცა კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონი ჯერ აღმოჩენილი არ იყო და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო აღმოჩენილი. ამის შესახებ ამხანაგი სტალინი XV პარტიკონფერენციაზე ამბობდა:

„ჩვენ ყველანი, მარქსისტები, დაწყებული მარქსიდან და ენგელსიდან, იმ აზრისა ვიყავით, რომ ერთ რომელიმე ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის აუცილებელია სოციალური რევოლუციის მოხდენა მთელ რიგ ქვეყნებში, ყველაზე დაწინაურებულ და განვითარებულ ქვეყნებში მაინც. და ეს შეხედულება სწორი იყო მაშინ“².

ამ შეხედულებათა ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ციტატი ენგელსის შრომიდან „კომუნისმის პრინციპები“, რომელიც დაწერილია 1847 წელს და წარმოადგენს პირველ პროექტს „კომუნისტური პარტიის მანიფესტისას“. აი, რას წერდა ენგელსი ამ შრომაში:

„შეიძლება თუ არა ეს რევოლუცია ერთს რომელსამე ქვეყანაში მოხდეს? (ნაგულისხმევია პროლეტარული რევოლუცია. გ. ჩ.)

პასუხი: არა. მსხვილმა მრეწველობამ უკვე მით, რომ შექმნა მსოფლიო ბაზარი, ისე დააკავშირა ერთმანეთთან დედამიწის ბურთობის ყველა ხალხი, განსაკუთრებით ცივილიზებული ხალხები, რომ თითო-

¹ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, გვ⁴¹ ქართ. გამოც. 1940 წ.

² Ленин и Сталин, Сборник произведения к изучению истории ВКП (б) т. III, стр. 79.

ეული მათგანი დამოკიდებულია იმაზე, რაც ხდება მეორისას. შემდეგ, მსხვილმა მრეწველობამ ისე გაათანასწორა საზოგადოებრივი განვითარება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, რომ ყველგან ბურჟუაზია და პროლეტარიატი გადაიქცა საზოგადოების ორ გადამწყვეტ კლასად და ბრძოლა მათ შორის — ჩვენი დროის მთავარ ბრძოლად. ამიტომ კომუნისტური რევოლუცია იქნება არა მარტო ნაციონალური, არამედ მოხდება ერთსა და იმავე დროს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ე. ი., ყოველ შემთხვევაში, ინგლისსა, ამერიკასა, საფრანგეთსა და გერმანიაში. თითოეულ ამ ქვეყანაში ეს რევოლუცია განვითარდება უფრო სწრაფად ან უფრო ნელა იმაზე დამოკიდებულებით, თუ ამ ქვეყნებიდან რომელში უფრო განვითარებული არის მრეწველობა, მეტია სიმდიდრე დაგროვებული და მოიპოვება მწარმოებელ ძალთა უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამიტომ ეს რევოლუცია ყველაზე უფრო ნელა და ძნელად განხორციელდება გერმანიაში, ყველაზე უფრო სწრაფად და ადვილად — ინგლისში. იგი აგრეთვე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებზე და სრულიად შესცვლის და მეტისმეტად დააჩქარებს მათი განვითარების წინანდებურ მსვლელობას. იგი მსოფლიო რევოლუციაა და ამიტომ მას სარბიელად მსოფლიო ექნება*¹.

არ შეიძლებოდა მარქსის უახლოეს თანამებრძოლს სხვაგვარი პასუხი გაეცა ამ კითხვაზე და ეს პასუხი მაშინ იმდროინდელი ვითარებიდან გამომდინარე სწორი და უდაოდ მეცნიერული იყო. როდესაც ენგელსმა კაპიტალიზმის აღმავალი განვითარების პერიოდში უარყოფითად უპასუხა ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხს, ეს ისეთი პერიოდი იყო, როგორც ამხანაგმა სტალინმა განაცხადა XV პარტიკონფერენციაზე, როცა მთელი მსოფლიო ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დანაწი-

¹ იხ. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანისფესტი“, 33. 85. ქართ. გამოც. 1940. წ.



ლებული ფინანსიურ ჯგუფებს, როცა უკვე დაყოფილის ძალდატანებითი ხელახალი დაყოფა არ შეადგენდა კაპიტალიზმის სამკვდრო სასიცოცხლო საკითხს და როდესაც ეკონომიური განვითარების არათანაბრობა არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო იმდენად მწვავე, როგორც ის გახდა შემდეგში.

მაგრამ ენგელსის მიერ წამოყენებული დებულება არ შეიძლება შესაბამისი ყოფილიყო ახალი პერიოდისათვის, მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქისათვის, როდესაც არათანაბარი განვითარება ლებულობს ნახტომისებურ ხასიათს და როდესაც, როგორც ამხანაგისტალინი ამბობს, ლენინის მიერ აღმოჩენილი კანონი კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის შესახებ საფუძვლად დაედო ცალკე ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების თეორიას. აი რატომ აუცილებლად უნდა შეცვლილიყო ენგელსის ფორმულა მეორე ფორმულით, რომელიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს დადებითად გადასჭრიდა.

„ლენინის, როგორც მარქსის და ენგელსის განმგრძობის სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მონად არ გაუხდა მარქსიზმის ანბანს. თავის გამოკვლევებში ის მიჰყვებოდა მარქსის გზას, რომელიც ხშირად ამბობდა, რომ მარქსიზმი არ არის დოგმა, არამედ იგი სახელმძღვანელო მოქმედებისათვის. ლენინმა იცოდა ეს და სასტიკად ანსხვავებდა რა ერთმანეთისაგან მარქსიზმის ანბანსა და მის რაობას, არასოდეს დოგმად არ სთვლიდა მარქსიზმს, არამედ ცდილობდა გამოეყენებია ის, როგორც ძირითადი მეთოდი კაპიტალისტური განვითარების ახალ პირობებში“¹.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ლენინმა მთელ რიგ შრომებსა და გამოსვლებში დაამუშავა კონკრეტული გზები ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლენინის ცნობილი ბროშურა „კოოპერაციის შესახებ“, რომელიც დაწერილია 1923 წელს და რომელიც ლენინის „პოლიტიკურ ანდერძს წარმოადგენს“. ამ ბროშურაში ლენინმა საბოლოოდ ცხადყო, რომ ჩვენში არსებობდა ყველა პირობა სოციალისტური საზოგადოების ასაგებად. აი, რას ამბობდა ლენინი ამ ბროშურაში:

¹ Ленин и Сталин, Сборник произведений к изучению истории ВКП (б), т. III, стр. 80.

„მართლაც, სახელმწიფო ძალა-უფლება ყველა მსხვილ საწარმოო საშუალებაზე, სახელმწიფო ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელში, კავშირი ამ პროლეტარიატისა მრავალ მილიონიან წვრილ და უწვრილეს გლეხებთან, გლეხობაზე ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა ამ პროლეტარიატისათვის და სხვ.,—განა ყოველივე ეს ის არ არის, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციიდან, მარტოოდენ კოოპერაციიდან, რომელსაც, როგორც ვაჭრულს, წინათ არ ვაფასებდით და რომლის შეუფასებლობის უფლება ერთგვარად ახლაც გვაქვს ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს,—განა ყოველივე ეს ის არ არის, რაც საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაგებად? ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალისტური საზოგადოების აგებას, მაგრამ ეს ყველაფერია, რაც აუცილებელი და საკმარისია ამ აგებისათვის“¹.

როგორც ვხედავთ ამ ციტატაში ლენინი ჩამოთვლის ყველა ძირითად ფაქტორებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

ამ ფაქტორებზე დაყრდნობით ლენინის საქმის გენიალურმა განმგრძობმა ამხანაგმა სტალინმა ტროცკიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიცვა ლენინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, განავითარა ეს მოძღვრება და დაამუშავა პრაქტიკული პროგრამა მისი ცხოვრებაში გატარებისათვის.

კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების ლენინური კანონისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის წინააღმდეგ გაილაშქრა კონტრევოლუციურმა ტროცკიზმმა. ლენინის მიერ აღმოჩენილი კანონის უარყოფა ტროცკიზმის მთელი ხროვისათვის იქცა გამოსავალ პუნქტად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის „დასასაბუთებლად“.

ყოფილიყო თუ არა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში.—აი, საკითხი, რომლის გამოც იუდა ტროცკი ებრძოდა ჩვენს პარტიას, როგორც გაბოროტებული მენშევიკი.

„ტროცკიზმის დედაარსი,—ამბობდა ამხანაგი სტალინი XVI ყრილობაზე,—მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა, იმაში,

¹ ლენინი, „რჩეული ნაწერები“, ტ. V. გვ. 369.

რომ იგი უარყოფს საბჭოთა კავშირში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და გლეხობის ძალებით სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას¹.

ტროცკისტები უარყოფდნენ კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონს. ტროცკმა გაილაშქრა არათანაბარი განვითარების კანონის წინააღმდეგ „რადგან, როგორც ვიცით ეს კანონი თავდაყირა აყენებს ტროცკის თეორიას პერმანენტული რევოლუციის შესახებ“ (ი. სტალინი).

ტროცკისტებს არ ესმოდათ განსხვავება კაპიტალიზმის განვითარების ორ ფაზას შორის. მათ ერთმანეთში აურიეს წინაიმპერიალისტური ფაზა და იმპერიალისტური, შემცდარად გაიგეს არათანაბარი განვითარების ცნებაც, სოციალიზმის მოსისხლე მტრებმა—ტროცკისტებმა არათანაბრობა გაიგეს, როგორც განსხვავება კაპიტალისტური განვითარების დონეში. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების შესახებ, მხედველობაში გვაქვს ცალკე კაპიტალისტური ქვეყნების სხვადასხვა ტემპით განვითარება ისე ძლიერად, რომ მოწინავე ქვეყანა ჩამორჩენილად იქცეს და პირიქით. იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების ლენინური კანონის წინააღმდეგ კონტრევოლუციური ტროცკიზმი გამოვიდა „ნიველირების“ თეორიით. გათანასწოების ტენდენცია, რომელიც ტროცკმა ლენინურ კანონს დაუპირისპირა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს ეს კაუცკის ულტრა-იმპერიალიზმის თეორიის პოზიციაზე დადგომა იყო.

ტროცკისტები გამოდიოდნენ იქედან, რომ იმპერიალიზმის დროს მცირდება განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების დონეთა შორის და ამით ყალბად ამტკიცებდნენ, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში განვითარების უთანაბრობა სუსტდება. ლენინიზმისა და საბჭოთა ხალხის უსაზიზღრესი მტერი ტროცკი, რომელიც უარყოფდა არათანაბარი განვითარების კანონს, როგორც იმპერიალიზმის კანონს XV პარტკონფერენციაზე აცხადებდა „XIX საუკუნეში ეს არათანაბრობა იყო მეტი, ვიდრე XX-შიო“.

ამსხვრევდა რა ტროცკისტების ლენინიზმისადმი მტრულად განწყობილ შეხედულებებს, ამხანაგი სტალინი კომინტერნის აღმასკომის VII პლენუმზე ამბობდა:

„ამგვარად: კითხვა იმპერიალიზმის ხანაში არათანაბარი განვითარებისა არ შეიძლება აურიო სხვადასხვა კაპიტალის-

¹ ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“ გვ. 495. ქართ. გამოც. 1935 წ.

ტურ ქვეყნებში სამეურნეო მდგომარეობის დონის სხვადასხვაობის საკითხში.

შეიძლება კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარების დონის განსხვავების სისუსტე და განვითარება ამ ქვეყნების ნიველიროვკისა აუძლურებს იმპერიალიზმის დროს არათანაბარი განვითარების კანონის მოქმედებას? მატულობს თუ კლებულობს განვითარების დონის ეს განსხვავება? ცხადია კლებულობს. იზრდება თუ ეცემა ნიველიროვკა? უეჭველია იზრდება. ხომ არ ეწინააღმდეგება ზრდა ნიველიროვკისა იმპერიალიზმის დროს არათანაბრობის განვითარებას? არა, არ ეწინააღმდეგება. პირიქით, ნიველიროვკა არის ის ზედაპირი და ის ბაზა, რომელზედაც შესაძლებელია გაძლიერება არათანაბრობის განვითარების გაძლიერებისა იმპერიალიზმის დროს (ხაზგასმა ჩემია გ. ჩ.) ... სწორედ იმიტომ რომ ჩამორჩენილი ქვეყნები დააჩქარებენ თავის განვითარებას მოწინავე ქვეყნებთან-სწორედ ამიტომ მწვავედება ბრძოლა ერთი ქვეყნის მიერ მეორეს გასწრებისათვის, სწორედ იმიტომ ჩნდება შესაძლებლობა ერთი ქვეყნისათვის—გაუსწროს მეორე ქვეყანას და გამოაძევოს ის მსოფლიო ბაზრიდან“...¹

მაშასადამე, ამხანაგმა სტალინმა ნაცარტუტად აქცია ტროცკიზმის წყალ-წყალა შეხედულებანი და დაამტკიცა, რომ ნიველიროვკა არ შეიძლება ასუსტებდეს არათანაბარ განვითარებას, არამედ ის არის ერთი პირობათაგანი არათანაბარი განვითარების გაძლიერებისა იმპერიალიზმის დროს.

ამხანაგი სტალინი ბრძოლის პირველ მომენტიდანვე ლენინთან მხარდამხარ იცავდა რევოლუციურ დებულებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ. ჯერ კიდევ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში პარტიის VI ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... უნდა უკუვაგდოთ დრომოკმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია გვიჩვენოს გზა. არსებობს

¹ ი. სტალინი, „კიდევ სოციალ-დემოკრატიულ გადაბრაზე ჩვენს პარტიაში“, გვ. 79 ქართ. გამოც. 1932 წ.

მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგავარ უკანასკნელის ნიადაგზე“¹.

ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც განავითარა და დაიცვა ლენინიზმი კონტრევოლუციურ ტროცკიზმთან შეუბოვარ ბრძოლაში, მთელი მსოფლიოს მშრომელებს დაანახა ძალა და უძლევლობა პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიისა.

ამხანაგმა სტალინმა მეცნიერული სიცხადით ჩამოაყალიბა და გააღრმავა დებულება იმპერიალისტური ფრონტის გარღვევისა, სადაც იმპერიალისტური ჯაჭვის რგოლები სუსტი აღმოჩნდება.

„კაპიტალის ფრონტი გაირღვევა იქ,—წერდა ამხანაგი სტალინი,—სადაც იმპერიალიზმის ჯაჭვი უფრო სუსტია, რადგან პროლეტარული რევოლუცია შედეგია მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვის გაწყვეტისა ყველაზე უფრო სუსტ ადგილას; ამასთან შესაძლოა მოხდეს, რომ ქვეყანა, რომელმაც დაიწყო რევოლუცია, ქვეყანა, რომელმაც გააღრმავა კაპიტალის ფრონტი, ნაკლებ განვითარებული იყოს კაპიტალისტური მხრით, ვიდრე სხვა, უფრო განვითარებული, ქვეყნები, რომლებიც, მიუხედავად ამისა, მაინც კაპიტალიზმის ჩარჩოებში დარჩენილან“².

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბედის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ლენინის გარდაცვალების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრები ტროცკისტ-ზინოვიელები, მემარჯვენე გამცემლები იწყებენ ამხედრებას ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, შეეცადნენ გამოეცალათ შინაარსი სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის მოსისხლე მტრები ტროცკისტები და ბუხარინელები, რომლებიც გადაიქცნენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის პირდაპირ აგენტებად, გამცემელთა უიდეო ბანდად, ჯაშუშებად და დივერსანტებად, მიზნად ისახავდნენ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა მოსპობას და ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციას.

დიდმა სტალინმა გამოააშკარავა სოციალიზმის მტრების ყველა ოინები და მთელ რიგ თავის ნაშრომებში, როგორიცაა „რკპ (ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის“, „სოციალ-დემოკრატიულ გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში“, „კიდევ სოციალ-

¹ Протоколы VI-го съезда РСДРП (6), Партиздат 1934 г. стр. 233—234.

² ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“ გვ. 24. ქართ. გამც. 1939 წ.

დემოკრატიულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში“ და სხვ... ახალ საფეხურზე აიყვანა ლენინური მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის მოძღვრების შექმნით ამხანაგმა სტალინმა კონკრეტულად დაამუშავა გზები სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი საკუთრების ფორმის დასანერგავად.

ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმის გენიალური დამუშავებით შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში ლენინური მოძღვრების განხორციელება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ. რეალურ ფაქტად იქცა სსრ კავშირში სოციალიზმი.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამხანაგ სტალინის მიერ სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის განვითარების შესახებ, საჭიროა აღვნიშნოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხის ორი მხარის—შინაგანი და საერთაშორისოს ერთმანეთისაგან განსხვავებისა, რის შესახებაც არაერთხელ მიუთითებდა ამხანაგი სტალინი. საკითხის პირველი მხარე ქვეყნის შიგნით კლასთა ურთიერთ დამოკიდებულებას შეეხება, მეორე მხარე—სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებას.

„რაც შეეხება საკითხის შინაგან მხარეს, ესე-იგი ქვეყნის შიგნით კლასთა ურთიერთობას, სსრ კავშირის მუშათა კლასსა და გლეხობას სავსებით შეუძლიათ სძლიონ ეკონომიურად თავის საკუთარ ბურჟუაზიას და ააშენონ სრული სოციალისტური საზოგადოება. მაგრამ არის კიდევ საკითხის საერთაშორისო მხარე, ესე-იგი საგარეო ურთიერთობათა სფერო, ურთიერთობათა სფერო საბჭოთა ქვეყანასა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, საბჭოთა ხალხსა და საერთაშორისო ბურჟუაზიას შორის, რომელსაც სძულს საბჭოთა წყობილება და შემთხვევას ეძებს, რათა მოახდინოს ახალი შეიარაღებული ინტერვენცია საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, მიმართოს ახალ ცდებს სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენისათვის... შეუძლია თუ არა საბჭოთა ხალხს მარტო საკუთარი ძალებით მოსპოს ეს საგარეო საფრთხე, სსრ კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტური

ინტერვენციის საფრთხე? არა, არ შეუძლია. არ შეუძლია, ვინაიდან კაპიტალისტური ინტერვენციის საფრთხის მოსაპოვებლად აუცილებელია კაპიტალისტური გარემოცვის მოსპობა, კაპიტალისტური გარემოცვის მოსპობა კი შესაძლებელია მხოლოდ ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის შედეგად რამდენიმე ქვეყანაში მაინც. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება, რომელიც გამოიხატება მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციასა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის აშენებაში, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოო გამარჯვებად, რამდენადაც უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის ცდების საფრთხე აღმოუფხვრელი რჩება, რამდენადაც სოციალიზმის ქვეყანა ჯერ კიდევ გარანტირებული არ არის ასეთი საფრთხისაგან. უცხოეთის კაპიტალისტური ინტერვენციის საფრთხე, რომ მოისპოს, საჭიროა მოისპოს კაპიტალისტური გარემოცვა“¹.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ ამოცანა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პირველ მხარესთან, შეიძლება გადაჭრილიყო და კიდევ გადაჭრილ იქნა სსრ კავშირში პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევის საფუძველზე, ამ ამოცანის შესრულებისათვის ე. ი. ჩვენი საკუთარი ძალებით სრული სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის საჭირო იყო ეკონომიური ბაზის შექმნა.

მის შემდეგ, რაც ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ პროლეტარიატის დიქტატურის სახით ჩვენს ქვეყანაში შექმნა სოციალიზმის მტკიცე პოლიტიკური ბაზა, ეკონომიური ბაზის შექმნა წარმოადგენდა უფრო რთულსა და ხანგრძლივი დროის საქმეს. იგი მოითხოვდა მთელი ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნას სოციალისტურ საწყისებზე და სსრ კავშირში კაპიტალისტური კლასების ლიკვიდაციას. სოციალიზმისათვის ეკონომიური ბაზის შესაქმნელად საჭირო იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მძიმე ინდუსტრიის საფუძველზე. საბჭოთა კავშირში მოიპოვებოდა ყველა პირობები ამ ამოცანების გადაჭრისათვის და ისინი წარმატებით იქნა გადაჭრილი.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხითხის მეორე მხარესთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორც

¹ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 332-333.

ამხანაგი სტალინი ამბობს, ლენინიზმი ამ პრობლემებზე უარყოფითად უპასუხებს. ე. ი. მანამდე, ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენი ქვეყანა არ შეიძლება გარანტირებულად ჩაითვალოს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის ცდისსაფრთხისაგან. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება ამისათვის კიდევ არ არის საკმარისი.

როგორც საკ. კ. პ. (ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია მიუთითებს „სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ბურჟუაზიულ ურთიერთობათა რესტავრაციისაგან სრული გარანტიის აზრით შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით“.

ამრიგად, ლენინისა და სტალინის მოძღვრებიდან ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ეკონომიური მდგომარეობისა და კლასობრივ ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით სსრ კავშირში მოიპოვება ყველა პირობები სრული სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის. სსრ კავშირის შინაგანი ძალები უზრუნველყოფენ არა მარტო კომუნისმის პირველი ფაზის, არამედ მეორე ფაზის აგებასაც კი. მაგრამ ამავე დროს ლენინიზმი განმარტავს, რომ სრული სოციალისტური საზოგადოების აგება ერთ ქვეყანაში—სსრ კავშირში ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის სრულ საბოლოო გამარჯვებას, რამდენადაც რჩება კაპიტალისტური გარემოცვა.

საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის—სოციალიზმის აგებამ მთლიანად დაადასტურა ლენინისა და სტალინის მოძღვრების სიმართლე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

„... სოციალიზმი ძირითადად უკვე აშენებულია. ამას ჩვენში ეწოდება სოციალიზმის გამარჯვება, ან უფრო ზუსტად, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება ერთ ქვეყანაში“ (ი. სტალინი).

ლენინ-სტალინის იდეების განხორციელების საფუძველზე ჩვენი ქვეყნის ხალხების მიერ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ეს უდიდესი მონაპოვარი ხაზგასმით აღნიშნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ, რომელმაც მთელს მსოფლიოს აცნო, რომ საბჭოების ქვეყანაში დაიწყო ახალი ხანა—უკლასო სო-

ციალისტური საზოგადოების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლისა.

საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორები ლენინი და სტალინი სოციალიზმის მშენებელ ხალხებს ხშირად მოაგონებდნენ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტს, სოციალიზმის ქვეყნის ყოველი წინსვლა აბოროტებს ჩვენს მტრებს და სოციალიზმის ერთადერთი ქვეყნის წინააღმდეგ ქმნის კაპიტალიზმის ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხეს.

„მართლაც, სასაცილო და სისულელე იქნებოდა თვალეზი დაგვეხუჭა და არ დაგვენახა კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და გვეფიქრა, რომ ჩვენი გარეშე მტრები, მაგალითად, ფაშისტები, თუ მათ შემთხვევა მიეცათ, არ შეეცდებიან მოახდინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირზე“.¹

ამხანაგმა სტალინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით გათვალისწინა მოახლოებული ომის გარდუვალობა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანასა და ჰიტლერულ ფაშისტ ავაზაკთა შორის.

ყველაზე უფრო მტაცებელი და ავაზაკი იმპერიალისტების ხროვა გერმანელი ფაშისტების სახით დიდი ხნიდან ამზადებდნენ ჩვენს ქვეყანაზე ყაჩაღურ თავდასხმას.

საბჭოთა ხალხის მიერ გაჩაღებული სოციალისტური მშენებლობის წარმატებებით გონება დაკარგული გერმანული ფაშისმი ცდილობდა საბჭოთა ზურგში შეექმნა თავისი „მეხუთე კოლონა“.

ჰიტლერელთა იმედი ფუჭი გამოდგა, ბოლშევიკურმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაანადგურა და მოსპო საბჭოთა ქვეყანაში ფაშისტური „მეხუთე კოლონა“, რომელსაც ტროცკისტული ნაძირალები მეთაურობდნენ. ჰიტლერელთა ოცნება საბჭოთა ზურგის გახრწნის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შესუსტებისა სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

დიდმა სტალინმა, რომელმაც მომავალ ისტორიულ სიღრმეში გასჭვრიტა ჩვენს ქვეყანაზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის საფრთხე საბჭოთა კავშირს მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობისაკენ მოუწოდა. სოციალისტური მრეწველობა ამარაგებდა წითელ არმიას ყველა სახის იარაღით, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამზადებდა ნედლეულის რეზერვებს მრეწველობისათვის, სურსათის რეზერვებს წითელი არმიისა და მოსახლეობისათვის. ჩვენში შეიქმნა ახალი სოციალისტური ინტილიგენცია.

¹ ანხ. ივანოვის წერილი და ამხ. სტალინის პასუხი, გვ. 16.

საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ ურღვევ სოციალისტურ ოჯახად გააერთიანა საბჭოთა კავშირის მრავალერიანი ხალხები.

საბჭოთა ქვეყანაში მომხდარი ამ უღრმესი ცვლილებების გაუთვალისწინებლად „ჯვაროსნული ლაშქრობის“ გიჟური გეგმით შეპყრობილმა მანიაკმა ჰიტლერმა, 1941 წლის 22 ივნისს თავისი არმია დასძრა სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ეს დღე, 1941 წლის 22 ივნისი, შავ დღედ ჩაიწერება ჰიტლერიზმის საზიზღარ ისტორიაში, როგორც დღე ჰიტლერის ავანტიურისტული რეჟიმის დასასრულის დასაწყისისა.

პირსისხლიანი ფაშისტური ხროვა თავს დაესხა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს უმაგალითო მუხანათური განზრახვით—ფაშისტ ბარბაროსებმა გასისხლიანებული ტორი აღმართეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სოციალისტური წყობილების ლიკვიდაციისა და ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხთა საკუთარ მოწებად გადაქცევის მიზნით.

სსრ კავშირის ბუმბერაზმა ხალხმა გააჩალა წმინდათაწმინდა სამამულო ომი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის.

თამარის გვერდით ქართველი პოეტები და ხალხი ხოტბა-დიდებას ასხამდა თამარის სახელგანთქმულ სარდლებს: დავით სოსლანს, ზაქარია მხარგრძელს და სხვებს. გრიგოლ ორბელიანი ისე გატაცებული იყო თამარის მოღვაწეობითა და მისი ეპოქით, რომ ნიკოლოზ პირველს შესთხოვდა „თამარის დღენი, დიდების დღენი, შენ მოუვლინე შენსა ივერსაო“ („სადღეგრძელო“).

შემდეგ პერიოდში პატრიოტ ქალთა შორის საპატრიო ადგილი, თეიმურაზის დედამ, ქეთევანმა დაიმკვიდრა. იგი სასტიკად აწამა საქართველოს მოსისხლე მტერმა შაჰ-აბასმა, რადგან გმირმა ქალმა ქეთევანმა სამშობლოსა და სარწმუნოებას არ უღალატა. ქეთევანი გახურებულ რკინებზე დააწვინეს, ძუძუები გაზით დაუვლიჯეს, მკერდში გახურებული შანთი გაუყარეს, მაგრამ გმირ ქალს ერთი წუთითაც წარბი არ შეუხვია და სამშობლოსათვის გმირულად დაიღუპა.

ხშირად გმირი ქართველი პატრიოტი ქალები იარაღით ხელში ვაჟაკურად მიდიოდნენ ბრძოლის ველზე მამებისა და ძმების სისხლის ასაღებად. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თათრების წინააღმდეგ გმირულად დაღუპული, პატრიოტი ქალი ლელა ბაჩღელი. როდესაც ფშავ ხევსურთა ლაშქარი ლუხუმისა და ზეზვას სარდლობით ბახტრიონის ციხეზე გალაშქრებისათვის ემზადებოდა, ამ დროს მათთან მივიდა თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი, მხედარი ქალი ლელა. უცნობ ქალს მებრძოლებმა განცვიფრებული მხერა შეახვედრეს. მაშინ, საბრძოლველად გამზადებული, მტრისადმი შურისძიებით ანთიბული ლელა ლაშქარს მოახსენებს:

ვერ მიხვდით? პირდაპირ გეტყვით:

თათრებთან ომი მწადიან,

მინდა რო ჯავრი ვიყარო

ბევრს რამ ავს საქმეს ჩადიან...

...რად გიკვირთ ფშაველ-ხევსურნო,

იქნებ მიწუნებთ ქალობით?

...მაგ ძაღლთ ძმათ სისხლიც მიმართებს,

უნდა ვიძიო იგია.

სისხლის აღება ხომ იცით,

მუდამ წესი და რიგია.

ან უნდა თათრის ხმლით მოვკვდე

მე თავი გადამიდგია.

(ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“)

მხედრებმა იუკადრისეს დედაკაცთან ბრძოლა და ლელას არ მისცეს უფლება მათთან დარჩენისა. მაშინ ატირებული ლელა იძულებული გახდება უკან დაბრუნდეს, მაგრამ იგი სახლში არ მიდის.

იგი კვირიასთან ერთად შეიპარება თათრის ბანაკში და შეტევად მისულ ქართველებს ციხის კარებს შიგნიდან გაუღებს, ამით ქართველების გამარჯვებას უზრუნველყოფს, მაგრამ ლელა სამშობლოს მსხვერპლად შეეწირება. ციხეში შესული ქართველები მოულოდნელად კარებში იპოვნინან გმირულად დაღუპულ ლელას და კვირიას.

გმირ ქართველ ქალებიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან პატრიოტი დედები. XIX საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ პატრიოტი დედების ერთგვარი კულტი შექმნა. გმირ ვაჟაკებს, რაინდ ვაჟებსა და ქალებს, გმირი პატრიოტი დედები ზრიდნან. დედისათვის ყველაზე ძვირფასია შვილი. მაგრამ როდესაც მამული განსაცდელში ვარდება პატრიოტი დედა ამ ყველაზე ძვირფასს, ყველაზე საყვარელს ვაჟაკურად მამულს სწირავს. დედები აკვანშივე უნერგავენ ყმაწვილებს სამშობლოს სიყვარულს და მამულისათვის თავის დადებას, დედის რძესთან ერთად აწოვებენ პატრიოტულ გრძნობას, სამშობლოს სიყვარულს.

„ბახტრიონის“ გმირი ქალი სანათა სახელოვანი შვილების დედაა.

მან სამშობლოს შვიდი ვაჟაკი გაუზარდა და შვიდივე ერთ დღეს დაიღუპა მამულის მტერთან ბრძოლაში და შერვე მამაცი იმათთან მკვდარია.

... შვიდი დავზარდე ვაჟაკი,
 თითო ლომისა დარია.
 შვიდივე გამიწყდა ერთ დღესა,
 მამაც იმათთან მკვდარია
 ზოშარის გორაზედ დავმარხენ,
 თავზედ დასტირის ქარია. (ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“).

მაგრამ გმირი შვილების დედა ბედნიერია, რომ მისი შვილები ვაჟაკურად დაიხოცნენ სამშობლოს მტერთან ბრძოლაში და მტრისათვის ზურგი არცერთს არ შეუქცევიათ. ყველა მათგანს „ნატყვიარი სჭირს მკერდშია“. მას მხოლოდ იგი აწუხებს, რომ ქართველების მოსისხლე მტერი, თათრები ჯერ ისევ დათარეშობენ საქართველოში. და თუ მათი დამარცხების ამბავს გაიგონებს, არც კი იტირებს სამშობლოსათვის გმირულად დახოცილ შვილებს.

ეგებ ინებოს ბატონმა
 გამარჯვებიყოსთ მტერზედა,
 თუ ამას გავიგონებდი,
 არ ვიტირებდი მკვდრებზედა:
 ...თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
 შვილთ არც კი მოვიგონებდი,
 რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
 გაჟღატას გავიგონებდი (იქვე).

გმირი შვილების დედა სანათა ბედნიერია, იმიტომ, რომ მან სახელოვნად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, როგორც ქართველმა დედამ. მისი შვილები სატირალნი არ არიან, ისინი გმირულად დაიღუპნენ სამშობლოსათვის, და ქართველმა ხალხმა მათი სახელი სამარადისოდ უკვდავყო. იგი არ არის სატირალი, ვინც მამულისათვის ვაჟკაცურად დაიღუპება. სატირალი ლაჩრულად გამოქცეული შვილია, შერცხვენილი დედისაგან. უბედურია მისი დედა და კიდევ ეტირების.

ზარიანის ხმით სტირის ბრძოლიდან სამარცხვინოდ გამოქცეული წიწოლას დედა- იგი სტირის შერცხვენილ შვილს. წიწოლას დედაც ბედნიერი იქნებოდა, რომ მისი შვილიც გმირულად მომკვდარიყო მტერთან ბრძოლაში. წიწოლამ შეარცხვინა დედის სახელი, მან დასწყევლა დედის ტკბილი ქუძუ, დედის ტკბილი ნაინა.

სხლოვანს ატირდა ბებერი,
 მოსთქვამ ზარს ზარიანადა:
 „ნეტავი თავზე დამეცეს
 მთა ღელე ბარიანადა.
 ნეტავ არც შვილი მყოლიყო
 არ გავჩენილყავ დედასა,
 თუ ამას შევესწრებოდი,
 ამდენ სირცხვილის კრეფასა!
 შვილო! სირცხვილი მაკამე,
 ძუძუ დასწყევლე დედისა,
 თვითონ შენა ხარ მწამლავი
 თავის უბედო ბედისა.
 რად არ იქ მოკვდი ბეჩო,
 რად-ხარ ყელსაბელიანი?!
 რად არ მომიხვედ, წიწოლა,
 პირნათლი, სახელიანი?“. (იქვე).

შვილი მამულისათვის მკვდარი უკვდავია, და დედას, რომელსაც თავისი შვილი მამულისათვის არ ემეტება, მას თავის შვილი არც უყვარს. აი ასეთია ქართველი დედების რწმენა.

დედისათვის მიუტევებელი ცოდვა და დიდი სირცხვილია, რომ თავისი შვილი სახლში ყავდეს, როდესაც მამულისათვის სხვები იხოცებიან.

სულზედა დიდი ცოდვა უნდა, ედვას დედასა,
 რომ შვილი ამ დროს არ გავზავნოს ძმათა საშველად...
 ღმერთმა გვაშოროს შვილო ჩემო, იმა სირცხვილსა,
 რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან,
 ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისსა შვილსა
 მას შვილი თვისი ჩემო კარგო არ ყვარებია.

(ი. კავჭავაძე, „დედა და შვილი“).

პატრიოტი დედა მხოლოდ იმას სწუხს, რომ ამ განსაცდლის ქამს მისგან შობილი მხოლოდ ერთი შეაკვდება მამულის მტერს ბრძოლაში. მას უნდა, რომ მრავალი შვილი ჰყავდეს და ყველა სახელოვნად შესწიროს მამულს.

სახელოვანი დედა მხოლოდ იმისთვის ზრდის საყვარელ შვილს, იმისთვის აწოვებს ტკბილ ძუძუს, რომ მამულის მტერთან გამირული ბრძოლით დედა ასახელოს. დედისათვის შვილი ყველაზე ძვირფასი და საყვარელია, მაგრამ მამულის სიყვარული სძლევეს შვილის სიყვარულს. ყველაზე ძვირფას შვილს პატრიოტი დედა, მამულს სწირავს.

ჩემის მამულისათვის

მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,

მისი სიკეთისათვის

გაგწირავ და გაბრძოლებ... (ი. ჭავჭავაძე, „ნანინა“).

უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დედას არ აწუხებდეს შვილის სიკვდილი, თუგინდ ეს სიკვდილი სახელოვანი იყოს — მამულისათვის. დედა მამულის სიყვარულით გატაცებული სასიკვდილოდ გზავნის შვილს ბრძოლის ველზე, იგი სახელოვნად იხდის დედის ვალს, მაგრამ იგი მაინც დედაა და შვილის დალუბვა მას სასტიკად ტანჯავს. დედის გულში ორი გრძნობა იბრძვის: შვილი თუ მამული! და ბოლოს მაინც მამულის სიყვარული ძლევს, მაგრამ შვილის სიყვარული მაინც ტანჯავს დედას, ბრძოლის ველზე წასული შვილის სწეული დედა ჯავრით კიდევაც კვდება. (გავიხსენოთ ილიას „დედა და შვილი“) და სწორედ აქ არის დედის პატრიოტიზმი, აქ ჩანს დედის გმირობა, რომ რაც ყველაზე ძვირფასია დედისათვის, რაც მისი სისხლისა და ხორცის ნაწილს წარმოადგენს, რაც მისი სიცოცხლის წყაროა, იმას, იმ ძვირფასს იმეტებს მამულისათვის, რომ შვილის სიყვარულზედაც მაღლა დგას მამულის სიყვარული. როდესაც ახალგაზრდა ირაკლი-პატარა კახად წოდებული 16—17 წლის ჭაბუკი ბრძოლის ველზე მიეშურება, გმირის დედა დედოფალი, როგორც მშობელი, საშინლად იტანჯება, მაგრამ მასში იმდენად ძლიერია გმირული სული, იმდენად უყვარს მას სამშობლო, ბრძოლის ველზე მიმავალ ერეკლეს გამომშვიდობებისას, ამ ერთადერთ საყვარელ ძეს ასეთი სიტყვებით მიმართავს: „წადი, წადი! შვილო ჩემო, მშობლიური გული არ ატირდება შვილის ტანჯვით... ახლავე გამოგეთხოვები გადახვევით ჩემს ერთ ძესა, შენს ლამაზ ლოყებზე უკანასკნელად გაკოცებ, გულში ჩაგიკრავ მარდად, სიყვარულით, ეს არის გამოგიმეტე, მკვდრის საკაცე, ან მამული შვილო.“ (ალ. ორბელიანი „ბატონიშვილი ირაკლის პირველი

კვდავი მოხუცი, რომელსაც მხრებში ორი ახალგაზრდა ვაჟკაცი ჰყავს ამომდგარი, მიმართავს მეფეს:

აჰა მეფე, ორი ბიჭი
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივე ჩემი შვილი არის
ერთი მეორის მჯობნია;
მიერთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე:
ომში, მეფე გიჩვენებენ,
რა ლომებს ზრდის ქართველის ბუდე.

(ი. ჭავჭავაძე, „მეფე დიმიტრი თავდადებული“).

მართალია, ყვინის ჯარი უთვალავი იყო, მაგრამ ქართველები არასოდეს არ შეშინებულან მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის წინაშე და მოხუცი ახლაც მოითხოვდა უომრად არ დამორჩილებოდა საქართველო მტერს:

ჩვენს საქართველოს, ჰე მეფე,
ბევრი რამ გადახედა,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედა.
ნურც დღეს ვიხამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით,
თუ ვერა ვსძლევთ, დავიხოცნით
სახელითა და დიდებით. (იქვე).

ნათქვამია „დევს დევის ძუძუ გამოზრდისო“. ასეთი პატრიოტი გმირი მშობლები გმირ პატრიოტ შვილებს ზრდიან. ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები ვაჟკაცურად მიდიან ბრძოლის ველზე მამულის მტერთან საბრძოლველად. გმირ-შვილს დედა მაშინ უფრო უყვარს, როდესაც დედა მას მამულისათვის იმეტებს. ბრძოლის ველზე მიმავალი შვილი პატრიოტ დედას ასე ემშვიდობება: მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები, ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოკვდები, რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი.

(ი. ჭავჭავაძე, „დედა და შვილი“).

და გმირული გრძნობით აღფრთოვანებული შვილი მამულს შესძახებს:

ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალასა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...

სამშობლოს სიყვარული უძლურს ავაჟკაცებს და დედას შვილის სიყვარულს ათბობინებს:

ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს
სიყვარულში. (იქვე).

მამულის დასაცავად წასული პატრიოტი შვილი დედას სწერს თავისი გმირული ბრძოლების ამბავს და ბოლოს დასძენს:

მშვიდობით... დაჭრეს საყვირსა,
 კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:
 საჩხუბრად სისხლის საღვრელად,
 თოფის, ზარბაზნის სროლაზე...
 მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს
 ლაჩარი შვილის ყოლაზე*.

(ვაჟა-ფშაველა, «ფშაველი ჯარისკაცის წერილი»).

აი, ასეთ პატრიოტებს ზრდიდა საქართველო მრავალი საუკუნეების განმავლობაში. სამშობლოს სიყვარული, სამშობლოსათვის თავის განწირვა თითოეული ქართველი მამულიშვილისათვის ჩვეულებრივ მოვალეობას წარმოადგენდა. სამშობლოსათვის სიკვდილი ყველა პატრიოტ ქართველს უღარეს ბედნიერებად მიაჩნდა და ბუნებრივია დღეს გმირულ ტრადიციებზე აღზრდილი საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობის თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს ვერაგი მტრის—ფაშიზმის წინააღმდეგ. დღეს საბჭოთა პატრიოტები სიამაყით იგონებენ საყვარელი პოეტის ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე სტრიქონებს და საქვეყნოდ გაიძახიან:

მას დედის ძუძუ ტკბილი
 შხამადაც შერგებია,
 მამულისთვის სიკვდილი
 ვისაც დაზარებია („ნანიანა“).





ჭუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო
კალინსტიტუტის შრომათა, ტ. IV, 1942 წ.

Труды Кутаисского Государственного
Педагогического Института имени
А. Цулукидзе, т. IV, 1942 г.

მ. ზოკიელი

ერნსტ ჰემინგუეის შემოქმედებითი გზა

გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ერნსტ ჰემინგუეი მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი დიდი ოსტატთაგანია დასავლეთის თანამედროვე ლიტერატურაში.

თავისებური შემოქმედით, მკვეთრად გამოთქმული პოეტური ინდივიდუალობით, ორიგინალური, როგორც თავის თემატიკაში, ისე წერის ხერხებში, ჰემინგუეი რთულ და საძნელო ამოცანას უსახავს კრიტიკოსს, რომელიც განიზრახავს ჩამოაყალიბოს მისი შემოქმედების არსი და განვითარების გზა, მისი მსოფლმხედველობის პრინციპები. თითქმის ყოველი მისი ნაწარმოების სიუჟეტი მშრალია პირველის შეხედვით და თითქოს არ უნდა იზიდავდეს მკითხველს. საერთოდ, ჰემინგუეი არ არის თემატურად მრავალფეროვანი მწერალი. მისი შემოქმედება ამოიწურება რამოდენიმე შერჩეული, მისთვის საყვარელი თემით. წერის ხერხებიც, ლიტერატურული ოსტატობაც ამ ავტორისა არ სტოვებს პირველ გაცნობისთანავე მკითხველზე ბრწყინვალე შთაბეჭდილებას. ჰემინგუეის უყვარს თითქოს უაზრო დეტალების დაგროვება, პირველის შეხედვით უმნიშვნელო დიალოგების გადმოცემა, გამეორებებს მიმართავს, — მაგრამ ეს საგანგებო, შეგნებული პრიმიტივი ოსტატური ხერხია თავისდათავად: იგი ამ გზით ფსიქოლოგიურად ამზადებს მკითხველს, შეჰყავს იგი თავის სულიერ სამყაროში, იპყრობს მას და შემდეგ ერთი მწვავე, ამაფეთქებელი ფრაზით გააჩირაღდნებს მოთხრობის დრამატიულ კვანძს და ღრმად, ამაღლვებლად განაცდევინებს მკითხველს მოთხრობის გმირთა სულიერ დრამას. შემდეგ კი ისევ დაფარავს სულის გაშიშვლებულ ადგილს გარეგნული ამბების, უმნიშვნელო ფაქტიური შენიშვნების თხელი ფენით. ყოველ მის ნაწარმოებში, — იქნება ეს მოკლე ნოველა თუ რომანი, — იღვის ბირთვი დაფარულია გარეგნულ ფაქტების მკვრივი გარსით.



1937 წელს ამერიკელ მწერალთა მეორე კონგრესზე გუეი პირველად გამოვიდა საჯარო სიტყვით და ასე განმარტა მწერლის დანიშნულება: „მწერალი იცვლება, მაგრამ მისი ამოცანა უცვლელი რჩება. მან მუდამ უნდა სწეროს გულმართლად“. ჰემინგუემ უთუოდ განიცადა გავლენა XIX საუკუნის დამლევის ფრანგული ნატურალიზმისა. მწერალმა, მისი აზრით, უნდა აღწეროს მხოლოდ ჰიმართლე, უჩვენოს მკითხველს სინამდვილე, როგორც იგი არის.

ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში ჰემინგუეი კიცხავს ცნობილ ამერიკელ მწერალს ფოლკნერს სუბიექტური ფსიქოლოგიზმისათვის და უპირისპირებს მას თანმიმდევარ ობიექტივიზმს. არა სუბიექტიურ განცდათა ნაკადი, არამედ ობიექტური სინამდვილის მიუდგომელი დოკუმენტაცია,—ასეთია ჰემინგუეის აზრით მწერლის დანიშნულება. მაგრამ ნატურალისტური მიმართულების გარეგნული ობიექტივიზმი ყოველთვის მოჩვენებითია. მწერლის მსოფლმხედველობა, მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი ყოველთვის მოკმეულია მის ნაწარმოებში, რა გინდ გულწრფელად არ სურდეს მას სრული მიუდგომლობის დაცვა. გარკვეული სიუჟეტის არჩევანი, სწორედ ასეთ, და არა სხვანაირ დეტალების ხაზგასმა, შინაგანი მოტივაცია, „ფსიქოლოგიური ქვეტექსტი“ მისი გმირების ყოფაქცევის, აზრების და განცდებისა,—ყოველივე ეს გვამცნობს ოვით შემომქმედის იდეოლოგიურ პოზიციასზე, მის გარკვეულ მიდგომაზე სინამდვილისადმი, სიცოცხლის მთავარ პრობლემებისადმი. მით უფრო მეტი საფუძვლით ეს ითქმის ჰემინგუეიზე, რადგან იგი სწერს მხოლოდ მის მიერ განცდილის, მის თავზე გარდამხდარის, მისი თვალთ ნახულის შესახებ. ჰემინგუეის პირადი და შემოქმედებითი ბიოგრაფია მკიდროდაა ურთიერთ გარდაქდობილი. ამიტომ ერნსტ ჰემინგუეის მხატვრულ შემოქმედების გზის ანალიზი ამავე დროს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ისტორიაც არის.

*
* *

ერნსტ ჰემინგუეი დაიბადა 1898 წ. დასავლეთ ამერიკაში, ილინოისის შტატში. მისი მამა სოფლის ღარიბი ექიმი იყო, დედა კი ფარისეველი, გარეგნული ღვთისმოსაობით აღსავსე პურიტანი ქალი, კონსერვატიული „ქრისტეს საზოგადოების“ წევრი. თავისი ბავშვობა და სიკაბუკე ჰემინგუეის აღწერილი აქვს ნოველების ციკლში, სათაურით „ჩვენს დროში.“ ამ ნოველების გმირი, ნიკადამსი—ჰემინგუეს მხატვრული ორეული, მისი თაობის ტიპიუ-

რი ქაბუკია. ნიკ. ადამსი იზრდება ყრუ პროვინციაში, ინდოელთა ღარიბ სოფელში. ნიკ. ადამსის მამამ, ნიკიერმა, მაგრამ უცნაურმა ადამიანმა, ინდოელ სიძველეთა შემკრებმა, როგორც ჩანს, დიდი გავლენა იქონია თავის ვაჟზე. მან ჩააუნერგა შვილს ბუნების სიყვარული, სპორტი ბუნების წიაღში: ნადირობა, თევზაობა, თხილამურებით სეირნობა, მთამსვლელობა,

ჰემინგუეის ბავშვობიდანვე შესძულდა ყოველივე ყალბი, ცრუ, შეუყვარდა უბრალოება, სიმართლე და თავისუფალი ყოფა. იგი გარბოდა სახლიდან, მეგობრობდა ინდოელ ბავშვებს, მათთან ერთად დარბოდა ფართო ველებზე, ნადირობდა ტყეებში, თევზაობდა, ცურაობდა სწრაფ, ადიდებულ მდინარეებში. მთელი მისი სიქაბუკე, — ეს ჯერ კიდევ ბუნდოვანი, შეუცნობელი, მაგრამ მტკიცე უარყოფაა „ცივილიზირებულ“ ბურჟუაზიულ საზოგადოების ცხოვრების პრინციპებისა. შემდეგ კი ჰემინგუეიმ შეგნებულად უარყო შინაგანი სიცრუე და თვალთმაქცური ბუნება ბურჟუაზიულ ყალბ მორალისა.

მთელ რიგ ნოველებში ჰემინგუეი თავდაპირილი, მაგრამ დაუნდობელი ირონიით გვიხატავს ბურჟუაზიული ოჯახის დაშლას, ბურჟუაზიული ყოფა-ცხოვრების დაწვრილმანებას. „მისტერ და მისის ელიოტი“ გარეგნულად ბედნიერ მეუღლეთა წყვილია, ნამდვილად კი მათი ცოლქმრული ცხოვრება უფერული, გაცვეთილი კარიკატურაა ცოლქმრობისა. ნოველაში „კატა წვიმის ქვეშ“ ავტორი გარეგნულად მშვიდ, ობიექტიურ ასპექტში, მაგრამ შინაგანი ზიზხლით აღსავსე გვიხატავს ახალგაზრდა, შეძლებულ ამერიკელთა ოჯახს. მათი სურვილები, აზრები საყოველღეო, წვრილმან მოთხოვნილებათა და ინტერესების ზღვარს ვერ გადაცდენია, ისინი მდიდარ სასტუმროში ცხოვრობენ იტალიაში, არ იციან რითი გაერთონ თავი, ჰირვეულობენ და სასტუმროს მოსამსახურენიც ასრულებენ მათი შეძლებული კლიენტების ყოველ სულელურ სურვილს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მდიდრები არიან.

ჰემინგუეი მწვავედ განიცდის ამ გარეგნულად „ცივილიზირებულ“, მაგრამ არსებითად დახავსებულ და გახრწნილ საზოგადოების განწირულობას. იგი ეძიებს ახალ იმპულსებს, ცხოვრების ახალ ფორმებს. ჰემინგუეი სტოვებს ამერიკას და ევროპაში მიემგზავრება. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, მანამდე, სანამ შეერთებული შტატები ოფიციალურად მიიღებდნენ მონაწილეობას ომში, იგი მოხალისედ ჩაირიცხება ჯერ ფრანგულ, შემდეგ იტალიურ არ მიაში, მუშაობს სანიტარულ ნაწილებში და ამავე დროს ვაზეთის რეპორტიორიც არის. ჰემინგუეი მოწმეა და მონაწილე ომის მთელი საშინე-

ლების და ქირ-ვარამისა. იგი რამოდენიმეჯერ მიიღებს სერიოზულ-ქრილობას, მაგრამ ამ ფიზიკურ ქრილობებზე ძლიერი და საბედისწეროა მწერლისათვის ის აუტანელი მორალური ტრავმა, რომელსაც მიაყენებს ომი შემომქმედის სულს.

* *

*

უშუალო მონაწილეობა მსოფლიო ომში საბედისწერო ეტაპია ჰემინგუეის ცხოვრების და შემოქმედებისათვის. სწორედ ომის დროს ჰემინგუეი პირისპირ შეხვდა ცხოვრების გაშიშვლებულ, საზარელ სინამდვილეს. აქ თხრილებში, სანიტარულ საბარგო მანქანაზე, ჰოსპიტალში, ბრძოლის ველზე ჩამოყალიბდა მასში შემომქმედდი, გამომუშავდა მწერალი, რომელიც ყველაფერს იმახსოვრებს, არაფერს ივიწყებს, ყოველივეს აღიბეჭდავს შეგნებაში იმისათვის, რომ შემდეგ დიდი მხატვრული გულწრფელობით და თანაც დიდი ადამიანური უბრალოებით გაუზიაროს მკითხველს ეს უღრმესი მორალური და ფიზიკური ტანჯვით მოპოებული შემოქმედება. აი ამგვარად, ომის დროს დაიბადა ჰემინგუეი შემომქმედდი, მაგრამ სულიერად განადგურდა და დიდი ხნით მორალურ ჩიხში მოემწყვდა ჰემინგუეი—ადამიანი. ამიტომ შემოქმედების მაღლი მისთვის ტანჯვითაა მოპოებული, და თუ შემოქმედება,—ეს „საძნელო საქმეთა მუდმივი შესრულება“ გოეთეს უდიდეს მორალურ კმაყოფილებას გვრიდა, ჰემინგუეისათვის შემოქმედებით პროცესში გამარჯვებულის ხვედრი არ არის სიხარული. „გამარჯვებული არაფერს იღებს,“—ასეთია მრავალმეტყველი სათაური ამ პერიოდში დაწერილ ნოველების კრებულით,—შემოქმედებითი პროცესი მას არაფერს შესძენს, არც დამშვიდებას, არც შვებას და არც სიხარულს.

მსოფლიო ომში ნახულმა და განცდილმა დააკავშირა ჰემინგუეის შემოქმედება სიკვდილის, უაზრო სიკვდილის და თავდავიწყების, მთვრალი თავდავიწყების თემებთან. აქ დაინგრა და დაიმარხა მის შეგნებაში, წვრილი ბურჟუაზიულ ინტელიგენტის შეგნებაში, ბურჟუაზიული ცივილიზაციის ყალბი პრინციპები. ომმა წარუშლელი კვალი დაამჩნია ჰემინგუეის შეგნებას, ომის სურათები ისეთი შთამბეჭდავი ძალით აისახა მის მეხსიერებაში, რომ დიდხანს მწერალი მთლიანად შეპყრობილი იყო განცდილი გულშემზარავი სურათებით. ჰემინგუეი არ არის სანტიმენტალური მწერალი. იგი ყოველთვის ფარავს თავის უაღრეს მგრძნობიარობას ვაჟაკური, თავშეკავებული თხრობის ხერხით, ან კიდევ მოჩვენებითი ინდიფერენტობით. ჰემინგუეი არ მოგვიწოდებს თანაგრძნობის, სიბრალულის

ან პროტესტისაკენ, მაგრამ ის სურათები, რომელთაც მწერალი გვიხატავს,—ცოცხალი პროტესტია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ; თავის მწვერვალს ეს პროტესტი აღწევს ჰემინგუის დიდ რომანში „მშვიდობით, იარაღო“!

„მშვიდობით, იარაღო!“ არის უთუოდ ერთ-ერთი უძლიერესი თხზულებათაგანი, რომელიც დაწერილა ომის შემდეგ და მიმართული არის იმპერიალისტური მილიტარიზმის წინააღმდეგ. ომის შემდეგ მსოფლიო ლიტერატურაში გაჩნდა რამოდენიმე დიდი ანტი-მილიტარისტული ნაწარმოები. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო, მოწინავე, მთელი ეპოქის შემქმნელი ლიტერატურაში, როგორც თავისი მაღალი მხატვრული ფორმით, ისე მომწიფებული პოლიტიკური იდეოლოგიით არის ანრი ბარბუსის „ცეცხლი.“ ა. ბარბუსმა მკაცრი გულწრფელობით აღწერა ომის, ლაშქრული ცხოვრების სურათები:—ჯარისკაცთა ცხოვრება თხრილებში, კრილობები, სიკვდილი, მიწასთან გასწორებული ქალაქები, შეტევა, ცეცხლის ხაზში გავლა,—მაგრამ იგი არ შეიზღუდა ომის საშინელებათა აღწერით. მან მკვეთრად დასვა საკითხი იმპერიალისტური ომის აზრის და მიზნების შესახებ და პასუხიც გასცა. მიუღებელია არა ყოველი ომი, ამბობს ა. ბარბუსი, არამედ ისეთი ომი, როდესაც მშრომელმა, ჯარისკაცმა არ იცის რისთვის იბრძვის და რას იცავს იგი. ა. ბარბუსის „ცეცხლ“-ში დიდი ოსტატობით ნაჩვენებია რევოლუციურ შეგნების თანდათანობითი ზრდა მშრომელ მასებში, მშრომელთა გამსჭვალვა საერთო ინტერესებით და მძაფრი სიძულვილი აგრესორების, იმპერიალისტურ ომის ამტენტთა მიმართ. ომის სინამდვილესთან შეხებამ გადააქცია ა. ბარბუსი რევოლუციურ მწერლად. ასეთივე სოციალურ გამანაყოფიერებელი როლი ითამაშა ომმა ამერიკელ მწერლის ჯონ დოს პასოსის შემოქმედებისთვის; ამას მოწმობს მისი ამავე ომის ეპოქის რომანი „სამი ჯარისკაცი.“

სულ სხვა განწყობილებითაა გაჟღენთილი გერმანელ მწერალ რემარკის ანტიმილიტარისტული ნაწარმოები „დასავლეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია“. გერმანელი ჰაბუკი, გატაცებული შოვინისტური და ყალბი ჰუმანური ლოზუნგებით, ანებებს თავს სკოლას და მიდის მოხალისედ არმიაში. მას აწუხებს თხრილში მყოფ ჯარისკაცის ბედკრული და გაჭირვებული ცხოვრება, მაგრამ ფიზიკურ გაჭირვებაზე უფრო მეტად ქენჯნის და ტანჯავს შეგნება იმისა, რომ იგი მოტყუილებულია, რომ ის ლოზუნგები, რომლებმაც მას ხელში იარაღი ააღებინეს, ყალბი და მოჩვენებითი ლოზუნგებია, რომ მისი მსხვერპლი და თავგანწირვა უაზრო და ამაო არის, რე-

დახვევის დროს იტალიის საველე ჟანდარმერიის ოფიცრები აკავებდენ და განუკითხავად ხვრეტდენ იმ ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო ჩამოსცილდნენ თავიანთ ნაწილებს. ამერიკელი გენრი ფრედი, მოხალისედაა იტალიის არმიაში. იგი სანიტარულ რაზმის მეთაურია. გენრი ფრედი თვით ავტორის მხატვრული ორეულია. უკანდახვევის დროს იგი დაკარგავს თავის სანიტარულ მანქანებს, დაიღუპებიან მისი შოფერებიც. მას კი, როგორც საექვო უცხოელს დაპატიმრებს იტალიის საველე ჟანდარმერია. არც კი გამოიკითხავენ კარგად მის ვინაობას, განაჩენი წინდაწინ გამოტანილია, მას დაუყოვნებლივი დახვრეტა მოეღის. გენრი ფრედი თავს უშველის გაქცევით, მას მისდევენ, ესვრიან, მაგრამ იგი მდინარეს გადასცურავს, თავს დააღწევს მდევარებს და ამ გზით აიცილენს თავიდან უაზრო სიკვდილს. ამგვარად, გენრი ფრედი, იტალიური სამხედრო ჟანდარმერიის აღმამფოთებელი განუკითხაობისა და უპასუხისმგებლობის გამო, ძლივს ვადურჩა დახვრეტას. მას სიკვდილს უქადდენ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, როგორც ამერიკელი წმინდა იტალიური გამოთქმით ვერ ლაპარაკობდა და ამიტომ საექვო პირად, ჯაშუშად მიიჩნიეს. ასე დაუფასეს ღვაწლი იტალიის არმიის მეთაურებმა მათ მებრძოლს. თვით ამ ფაქტს უნდა გამოეწვია გენრი ფრედის გულში მწვავე პროტესტი, აღშფოთება, მაგრამ ეს ასე არ ხდება. მართალია, ამიერიდან გენრი ფრედი სთვლის, რომ იგი აღარაა ვალდებული იმსახუროს ამ არმიაში. მას სურს დაივიწყოს ომი, იცხოვროს მხოლოდ პირადი, ინტიმური ცხოვრებით. პასიურობა, ინერტობა,—აი რა ახასიათებს მას.

მანამდეც გენრი ფრედი უფრო მოწმე და უცხო მაყურებელი იყო იმპერიალისტური ომისა, ვინემ მისი უშუალო მონაწილე. იგი არასდროს არ ყოფილა დაახლოებული ოფიცრობასთან. გარეგნული ობიექტივიზმით, მაგრამ მწვავე ირონიით აღწერს ჰემინგუეი „მშვიდობით იარაღო“-ში მილიტარისტ ოფიცერს, მომავალ ფაშისტს ეტორეს. ნოველაში „უცხო მხარეში“ ჰემინგიუეი გვამცნობს, როგორ უცხოლ და ზედმეტად გრძნობდა იგი თავს ასეთივე მომავალ ფაშისტების, მილიტარისტ ოფიცრების საზოგადოებაში: „სამნი, ორდენით დაჯილდოებულნი, სანადირო მიმინოებს გვანდნენ; მე მიმინო არასდროს არ ვყოფილვარ, თუმცა იმას, ვისაც თავისდღეში, არ უნადირნია, შესაძლოა, მიმინო ვგონებოდნი;—მაგრამ ისინი—სამნი—მშვენიერად ერკვეოდნენ ამაში და ჩვენ თანდათან გავცილდით ერთმანერთს.“

ჰემინგუეი არას დროს არ ყოფილა იტალიურ ოფიცრობასთან, მომავალ ფაშისტებთან ერთად, მაგრამ იგი არც იტალიელ ჯარისკაცებთან და შოფერებთან, იტალიის გლეხებთან და მუშებთან ერთად არ ყოფილა. ყოველივე იმან, რაც მან განიცადა და განიზრა ომის დროს, კვლავ დასტოვა იგი მარტო, განცალკევებული, მხოლოდ უფრო აფორიაქებული სულით და გამოფიტული თვითშეგნებით. რატომ ეს? რატომ არ გაიზარდა ჰემინგუეიში, ა. ბარბიუსის ან დოს პასოსის მსგავსად, რევოლუციური თვითშეგნება, კავშირი მასებთან? იმიტომ, რომ თავისი ბუნებით, აღზრდით და ცხოვრების პირობებით იგი წვრილბუყუაზიული ინდივიდუალისტია. მას არასდროს არ ჰქონია მკიდრო კავშირი მშრომელთა მასებთან. ბავშობის და სიკაბუჯის დროს იგი გარბოდა პირმოთნე, დახავსებულ, პურიტანულ, გარემოდან ბუნების წიაღში. იქ, ბიგ-რივერზე, სწრაფი მთის მდინარის სათავესთან იგი აწყობდა თავის პატარა ბანაკს, ბუნების წიაღში მარტოდ მარტო ცხოვრობდა, თევზაობდა; ან და მთებში, ციკაბო ფერდობის კლაკნილიდან დაეშვებოდა თხილამურებით ძირს, ელვისებურად გაიქროლებდა და თოვლში ჩაეფლობოდა. რა თქმა უნდა, იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ თავისი მატერიალური მდგომარეობით ჰემინგუეი რანტიე იყო, ცხოვრების მომხმარებელი, და არა მწარმოებელი კლასის შვილი. ამერიკელი პროლეტარული მწერალი მაიკლ გოლდი სამართლიანად შენიშნავს, რომ ჰემინგუეის არასდროს არ დაუწერია მუშის მხატვრული პორტრეტი. აქობამდე ჰემინგუეი უფრო მაყურებელი იყო ცხოვრების ჭიდილისა, ვიდრე მისი უშუალო მონაწილე. გავლის წლები და ჰემინგუეი ესპანეთის მშრომელ მასებთან ერთად შეებრძოლება ფაშიზმს, მაგრამ მანამდე მწერალი განიცდის სულიერი მარტოობის უკიდურესი პესიმიზმის და უიმედობის წლებს. იგი უარყოფს ყოველ იდეალებს; მისი აზრით, ეს იდეალები უძლურნი არიან უღმობელი სინამდვილის წინაშე.

„მშვიდობით იარაღი“-ს გმირი გ. ფრედი ცდილობს გაეთიშოს ომს, დაივიწყოს ყოველივე და იცხოვროს მხოლოდ პირადი ცხოვრებით. მაგრამ აქაც მას საბედისწერო მარცხი მოეღის. ქალი, რომელიც მას უყვარს, კეტრინ ბარკი, კვდება მშობიარობის დროს. სიკვდილი, უაზრო სიკვდილი ყველგან,—ასეთია ცხოვრების არსი მწერლის შეხედულებით: „როდესაც ადამიანებს მოაქვთ ამ ქვეყნად ამდენი სიმხნევე, ქვეყანამ უნდა მოკლას ისინი, რომ მოტეხოს და ამიტომ იგი კლავს მათ. ქვეყანა გასტეხს მათ და ბევრნი უფრო მაგარიც კი ხდებიან გადატეხილ ადგილზე. მაგრამ იმათ, ვისაც არ

უნდათ გატყდენ, იგი კლავს. იგი კლავს ყველაზე კეთილებს და ყველაზე ნაზებს, და ყველაზე მამაცებს განურჩევლად. თუ შენ არც ერთი ხარ და არც მეორე, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ შენც მოგკლავენ, ოღონდ აუჩქარებლად.“

* *

ზავის შემდგ ჰემინგუეი მიემგზავრება ამერიკაში, ხანმოკლე დროის შემდეგ ბრუნდება ევროპაში. 1921-1922 წ.წ. იგი ბალკანეთში და საბერძნეთშია, შემდეგ კი პარიზში დასახლდება. აქ ის მოიხვეჭს სახელს, როგორც პარიზში მცხოვრებ ამერიკელთა საყვარელი მწერალი. იგი მოგზაურობს საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, მოივლბს მთელ ესპანეთს. მას განსაკუთრებით შეუყვარდება ესპანეთი, ესპანელები, ხართა ბრძოლის სანახაობა. იგი სპეციალისტი-რეპორტიორია ხართა ბრძოლისა, როგორც ამ სანახაობის ტექნიკის და ისტორიის ღრმა მცოდნე. მაგრამ ეს მუდმივი ბორგვა, მოგზაურობა არ ანიჭებს მას შვებას და სიშვიდეს, მას მუდამ თან სდევს შინაგანი სიცალიერე, „არაფერი არ შეიცვლება იმით, რომ თქვენ სხვა მხარეში გაემგზავრებით. მე ვსინჯე ეს ყოველივე. ვერსად გაექცევი საკუთარ თავს იმით, რომ ადგილიდან ადგილზე გადახვალ; აქ შველა არაფრით არ შეიძლება“.

ე. ჰემინგუეი არ არის განმარტოებული თავის ტრავიულ სასოწარკვეთილებაში. იგი თავის შემოქმედებაში ასახავს წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის მთელი თაობის სულიკვეთებას, იმ თაობისა, რომელმაც განიცადა ომის სუსხი, დაკარგა რწმენა არა მარტო ბურჟუაზიულ-ჰუმანურ, არამედ ყოველგვარ იდეალებისა, გამოირიცხა ცხოვრების რიტმიდან და ერთადერთ მიზნად ცხოვრებაში წარმავალ სიამოვნებათა ძიება დაისახა. „ჩვენ ყველანი დაკარგული თაობა ვართ“. — ასეთი მრავალის მთქმელი ეპიგრაფით ასათაურებს ჰემინგუეი თავის რომანს „ფიესტა“-ს.

„დაღუპულ თაობას“ პირველად უწოდებდნენ თავის თავს პარიზში მცხოვრები ამერიკელი მოდერნისტი-მწერლები. ეს სახელწოდება საბრძოლო, ინდივიდუალურ—ანარქისტული ჯანყის აღმნიშვნელი იყო ბურჟუაზიულ საზოგადოების წინააღმდეგ. მაგრამ სულ მალე სახელწოდებამ „დაღუპული თაობა“ უფრო ღრმა და ფართო შინაარსი მიიღო. „დაღუპული თაობა“ ეწოდა ევროპის და ამერიკის წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთ, რომელთაც განიცადეს მორალური კრიზისი იმპერიალისტური ომის დროს. მათთვის აშკარა გახდა, რომ მმართველთა კლასის მყვირა-

ლა ლოზუნგების მიღმა იმალებოდა ამ კლასის შოვინისტური, მტაცებლური ბუნება. ამიტომ მათ გაწყვიტეს კავშირი ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან, მაგრამ ბურჟუაზიულ ჰუმანიზმის კრიზისი მათ ყოველგვარ საკაცობრიო იდეალების კრიზისად ჩათვალეს. დაკარგულ თაობის ადამიანებმა განვლეს სულიერი მერყეობის, ამოო ძიებათა წლები. შემდეგ ზოგი მათგანი რეაქციის ბანაკში გადავიდა, უმეტესობამ კი რევოლუციურ ბრძოლაში მოიპოვა გამოსავალი მწვავე სულიერ კრიზისიდან. სწორედ ამ თაობის მემკვიდრე და მესაიდუმლე არის ერნსტ ჰემინგუეი ომის შემდგომ წლების პერიოდში. მკითხველთა ფართო წრისათვის იგი დღესაც ცნობილია, როგორც „დაკარგული თაობის“ ლიტერატურული მესვეური. ამ პერიოდში, 1929-1933 წ. ჰემინგუეი სწერს თავის ცნობილ რომანს „ფიესტა“-ს, ეპიკურ ნარკვევს „სიკვდილი ნაშუადღევს“ ესპანეთის ისტორიულ წარსულის შესახებ და ნოველების კრებულს, სათაურით: „გამარჯვებული არაფერს იღებს“.

ამ პერიოდში ჰემინგუეის პესიმიზმი განსაკუთრებით ღრმა და გამოუვალაია. არავითარი ნათელი ვარსკვლავი არც აწმყოში, არც მომავალში, არავითარი ნასახი იმედის, ცვლილებისა: „თუ კი კარგად დავითვრები, სიცოცხლე სწორედ ისეთად მეჩვენება, როგორც იგი ნამდვილად არის. მე ვიცი, რომ ახლა ყველაფერი იცვლება, მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთია. დაე, ყოველივე იცვლებოდეს. ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით ამ ქვეყნად, როცა ყველაფერი საგრძნობლად გამოიცვლება.“

ამიტომ სიცოცხლის საკითხები იმდენად არაა საინტერესო ჰემინგუეისთვის, როგორც სიკვდილის პრობლემა: „მე ვაწვავლობდი წერას და დავიწყე ყველაზე მარტივ მოვლენებისაგან, და ერთ-ერთი ყველაზე მარტივი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენათაგანი არის ძალადური სიკვდილი... სიკვდილი ეს არის ერთ-ერთი ისეთი რასმეთაგანი, რაზედაც ღირს წერა“. ამგვარად ჰემინგუეის შემოქმედების ძირითადი თემა ამ პერიოდში არის სიკვდილი, მაგრამ არა ბუნებრივი სიკვდილი, არამედ ნაადრევი, ძალადური, ხშირად უაზრო სიკვდილი, — „სიკვდილი ნაშუადღევს.“ ასეთია პანსიონში მოსამსახურე ოფიცინანტ ბიჭის პაკოს სიკვდილი ნოველაში „ხარის რქა“. პაკო და მისი ამხანაგი თამაშობენ ხართა ბრძოლობიას. პაკო წამოეგება სკამზე მიმაგრებულ სამზარეულოს ბასრ დანას, რომელიც მათ თამაშში ხარის რქის მაგიერობას სწევდა.

განსაკუთრებული სიყვარულით სწერს ჰემინგუეი იმათზე, ვინც შეუშინებლად უყურებენ სიკვდილს თვალებში. ნოველა „უძლეველი“

გეიხატავს მოხუცი მატადორის მანოლოს შებრძოლებას ხართან. მანოლო დამარცხდება ამ ბრძოლაში, იგი წამოეგება ხარის რქას, მაგრამ სიკვდილის წინ მას აინტერესებს მხოლოდ ერთი რამ,—იგი ეკითხება მეგობარს: „ხომ რიგზე ვიყავი დღეს“-ო? ე. ი. ხომ არ შევმინდი, ხომ არ შევკრთი სიკვდილთან თამაშის დროს?“—ღიახ, ჩემო მოხუცო, დღეს შენ რიგზე იყავი“—უპასუხებს მას მეგობარი.

•გივე იდეა—უშიშარი მოლოდინი სიკვდილის—გატარებულია ნოველაში „მოლოდინი.“ პატარა ბიჭუნა ავადაა. მას მოესმა, რომ 104⁰ სიცხე აქვს. გაგონილი აქვს, რომ 44⁰ სიცხე თუ აქვს კაცს,—იგი კვდება. ამიტომ იგი მოელის სიკვდილს, მაგრამ არავის არაფერს ეუბნება ამის შესახებ, მოელის დაძაბული, მაგრამ შეუშინებელი. იგი მიმართავს მამას: „თუ აქ ყოფნა არ გესიამოვნება,—წადი, გაისეირნეო“. სურს ააცილოს მამას თავიდან მისი სიკვდილის სურათი. მაგრამ მოლოდინი არ უმართლდება. ბოლოს იკითხავს: „რამდენი საათის შემდეგ მოვკვდები“-ო და აქ ირკვევა მისი შეცდომა. ბავშვი მშვიდდება, შინაგანი დაძაბულობა ქრება და შემდეგ იგი ყოველ წვრილმანის გამო ბავშურად ეჩინაობს და ტირის.

ყველაზე წარმტაც სანახაობად, სადაც სიცოცხლე და სიკვდილი ურთიერთ—ჭიდილში არიან, ჰემინგუეის ხართა ბრძოლა მიაჩნია. „ახლა, როდესაც ომები უკვე აღარ არის,—სწერს ჰემინგუეი—ხართა ბრძოლის ასპარეზი ერთადერთი ადგილია, სადაც თქვენ შეგიძლიათ თვალი ადევნოთ სიცოცხლეს და სიკვდილს ე. ი. უეცარ, ძალადურ სიკვდილს.“ სწორედ ამიტომ არის, რომ ხართა ბრძოლა ასეთ თვალსაჩინო როლს თამაშობს ჰემინგუეის შემოქმედებაში. ხართა ბრძოლის სიუჟეტზეა აგებული ნოველები „ხარის რქა“ და „უძღვევლი“, ხართა ბრძოლის ცენტრალური ადგილი უჭირავს რომანში „ფიესტა“ და ბოლოს ლიტერატურულ—ეპიკური ეტიუდი „სიკვდილი ნაშუადღევს“ არის არა სხვა რამ, თუ არ ხართა ბრძოლის ისტორიის ნარკვევი ესპანეთში.

ხართა ბრძოლის სანახაობის გარდა, სინამდვილიდან გაქცევის, თავდავიწყების მეორე საშუალება არის ღვინო, დათრობა. და მართლაც ჰემინგუეის ნაწარმოებთა პერსონაჟები განუწყვეტლივ სვამენ თავის ცხოვრების როგორც უმნიშვნელო, ისე მნიშვნელოვან წუთებში, რათა ღვინით აავსონ, სიმთვრალეში დაივიწყონ როგორც ცხოვრების სიცალიერე.

ჰემინგუეის რომანი „ფიესტა“ სიმთვრალის და ალკოჰოლიზმის „ჭეშმარიტი აპოლოგიაა. სწორედ ამ რომანში ჰყავს მას გამოყვანილი „დაკარგული თაობის“ ხალხი. ეს არის პარიზში მცხოვრებ მწერლებს და ჟურნალისტების წრე. ისინი კლავენ დროს იმით, რომ გადადიან ერთი კაფედან მეორეში, ეწვევიან მონმარტრის ხან ერთ, ხან მეორე სამიკიტნოს, სინჯავენ იქ ნაირ-ნაირ ღვინოებს, კოქტეილებს, აპერიტივებს, სხ. და სხ. სასმელებს. ნერვების გამალიზიანებულ სანახაობის ძიება მიიყვანს მათ ესპანეთში, ქ. პამპლონაში; ფიესტის ე. ი. დღესასწაულის დღეებში აქ დიდი ხართა ბრძოლა იმართება. სისხლიანმა, ამალელებელმა სანახაობამ უნდა აღუძრას მათ მოდუნებული გრძნობები, მაგრამ ვერავითარ დათრობას ალკოჰოლით ან სანახაობით ვერ აუვსია მათი ცარიელი ცხოვრება რაიმე შინაარსით. ჯეიკის და ბრეტ ეშლის სიყვარულიც ასეთივე გამოფიტული, მახინჯი და ნაკლული გრძნობაა, როგორც მთელი მათი ცხოვრება. თვით ჯეიკი, დასახიჩრებული ომის დროს, თითქოს სიმბოლოა დაკარგული თაობის არასრულ ფასიან ადამიანისა, ცხოვრებიდან ამოვარდნილ პიროვნებისა.

ჰემინგუეი მიუდგომელად აღწერს „დაკარგული თაობის“ ყოფა-ცხოვრებას. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთგვარი თანაგრძნობით არის გამსჭვალული მათდამი, გრძნობს, რომ ისიც თითონ დაკავშირებულია ამ თაობასთან. მაგრამ იგი ფხიზლად და გულისხმიერად აკვირდება მათ და მის და უნებურად უღმობელი განაჩენი გამოაქვს მათთვის. იგი გულწრფელი და მართალი აღმწერელია ამ თაობის ცხოვრებისა და ამით მათი პოლიტიკური და მორალური სახის გამკიცხველი, მათი სიცალიერის, უნიათობის მამხილებელი.

„ფიესტა“—ჰემინგუეის ლიტერატურული უღელტეხილია. ერთ-ერთ მოთხრობაში ჰემინგუეი ამბობს: „მე ხშირად მომიშორებია თავიდან რაიმე იმით, რომ დამიწერია ამის შესახებ“-ო. აქაც, იგი განთავისუფლდა უიმედობისაგან, ცარიელ და უაზრო ცხოვრებისაგან იმით, რომ დასწერა სიმართლე „დაკარგული თაობის“ ხალხის შესახებ. მალე მის შემდეგ მისი ცხოვრება და შემოქმედება ახალი შინაარსით აივსო. ესპანეთში ცხოვრების დროს ჰემინგუეი გაეცნო ესპანელთა მამაც ხალხს და შეიყვარა იგი. აქობამდე მას არასდროს არ ჰქონია უშუალო კავშირი მასებთან, არც სამშობლოში, და არც ომის დროს, იტალიაში. იგი კარგად ეპყრობოდა თავისი რაზმის ჯარისკაცებს, შოფერებს, მეგობრობდა მათ, მაგრამ მაინც მათთვის ოფიცერი, Tednente, უცხო კასტის კაცი იყო. აქ კი, ესპანეთში ჰემინგუეი ხანგრძლივად ცხოვრობს გლეხებთან, ეცნობა და

ეთვისება ესპანელ ერს და მის მოაზროვნე ნაწილს, ინტელიგენციას. სწორედ ეს დაკავშირება ესპანელ ხალხთან, მის გლახობასთან, მუშებთან, ინტელიგენციასთან საბოლოოდ გამოიყვანს ჰემინგუეის შემოქმედებითი ჩიხიდან ჰემმარიტად ჰუმანისტურ, დემოკრატიულ ხელოვნების ფართე სარბიელზე.

* *

30-ნ წლებიდან ესპანეთში დაიწყო რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც თავის მწვერვალს მიაღწია 1937 წ., როდესაც ესპანელი რესპუბლიკანელები გმირულად შეებრძოლენ არა მარტო თავის, არამედ იტალიელ და გერმანელ ფაშისტებს.

ჯერ კიდევ 1935 წ. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ესპანეთში დაატყვევეს მთელი რიგი რევოლუციონერები და მათ შორის ცნობილი მხატვარი, მთელს მსოფლიოში სახელმძღვანელო გრავიორი ლუის კინტანილია. მას თექვსმეტი წლის ციხე მიუსაჯეს. ამ განაჩენმა გამოიწვია ღრმა აღშფოთება ყველა ქვეყნის ხელოვნების მუშაკთა შორის. ზოგმა მათგანმა თავისი პროტესტი პრესის საშუალებით გამოსთქვა. ე. ჰემინგუეს წერილი ლუის კინტანილიას დასაცავად მწვავე, რევოლუციური პროტესტითაა აღსავსე. იგი შემდეგი სიტყვებით იწყება: „პატრონი არავინაა, მხატვარი ზის მადრიდის ციხეში, მას ბრალი ედება იმაში, რომ იგი ოქტომბრის აჯანყების რევოლუციური კომიტეტის წევრია. პროკურორი მოითხოვს „16 წლის კატორღას“ და ერთად ერთი „გასამართლებელი საბუთი“ ეს მისი განსაცვიფრებელი გრავიურებია“ გესლით აღსავსე კალმით, გამანადგურებელი და მშოლტავი სიტყვებით კიცხავს ჰემინგუეი იმ სულმოკლეთ და ოპორტიუნისტებს, რომელნიც წარა-მარა ხმარობენ სიტყვას „რევოლუცია“ იმ დროს, როდესაც მათ არა აქვთ უფლება ამ სიტყვის წარმოთქმისა. იგი აღტაცებულია კინტანილიას ღრმა რეალიზმით, მისი სალი, სატირიული ნიჭით, რომლითაც იგი ანსახიერებს ცხოვრებას, მდიდართა კეთილდღეობას, ღარიბთა დამცირებას. ჰემინგუეი მოგვითხრობს კინტანილიას იუმორის, სიბრალულის, გაგების უნარის და რეალისტურ ოსტატობის შესახებ. ჰემინგუეი ხაზს უსვამს იმ გარემოებას რომ კინტანილიას აქვს ცხოვრების ღრმა სიბრძნე,—სწორედ ამიტომ აქვს მას უფლება სატირაზე და თუ კი მას სძულს ექსპლოატატორები, იცის ვინ და რატომ სძულს. კინტანილია—ნამდვილი რევოლუციონერია, მას აქვს უფლება წარმოსთქვას სატყვები „რევოლუცია“, „თავისუფლება“, მაგრამ იგი წყნარად ლაპარაკობს და

კიდევ უფრო წყნარად აკეთებს დიდ საქმეს ხალხის განთავისუფლებისა. თავის წერილს ჰემინგუეი ამთავრებს ირონიულ მიმართვით მშობლიურ ბურჟუაზიისადმი: „მაგრამ თქვენ, ვინც ამას კითხულობთ, არაფერი გემუქრებათ. თქვენ ნუ შესწუხდებით, ნუ აღელდებით. მაღრიდი შორსაა და თქვენ არასდროს არ გავიგონიათ რა ამ ადამიანის შესახებ.“

ამ წერილში ჰემინგუეი აქტიურად ილაშქრებს მსოფლიოს რეაქციურ ძალების წინააღმდეგ, მაგრამ მისი სოციალური პროტესტი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა იმდენად, რომ იგი მწერლის ცხოვრების მამოძრავებელ იმპულსად იქცეს. იგი გრძნობს, რომ ახლოვდება გარდამწყვეტი ბრძოლა მთელს მსოფლიოში ფაშისმსა და თავისუფლების შორის და შემკრთალი ამ ბრძოლის საშინელი მასშტაბის წარმოდგენით, იგი მიმართავს თავის საყვარელ გზას: გარბის ბუნების წიაღში, რათა იქ მოიპოვოს თავდავიწყება, სულიერი შეება. იგი მიემგზავრება აფრიკაში, გადაკვეთს შუა აფრიკის ზეგანს, ცხოვრობს და ნადირობს ტროპიკულ ტყეებში.

მაგრამ თურმე არც აფრიკა ყოფილა დაზღვეული ფაშისტ მტაცებელთა ბრკყალებიდან და აბისინიის ცაში ისმის იტალიურ თვითმფრინავების გუგუნე. იტალიელი ფაშისტები სარგებლობენ არათანაბარ ტექნიკური შეიარაღების უპირატესობით და იმონებენ მამაც აბისინელ ხალხს. თავის წერილში: „ფრთები აფრიკის ცის ტატნობზე“ ჰემინგუეი მიმართავს იტალიელ ლატაკთა შეილებს, მოუწოდებს მათ აიღონ ხელში იარაღი არა თავისუფალი აბისინელი ხალხის, არამედ საკუთარი ქვეყნის ფაშისტ მართველების წინააღმდეგ, გაიგონ „ვინ არის მათი ნამდვილი მტერი და რატომ.“

აფრიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებით დაწერა ჰემინგუემ ორი შესანიშნავი ნოველა, ჰემმარიტი შედევრები. ესენი არიან: „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ და „კილიმანჯაროს თოვლი“. პირველ ნაწარმოებში ჰემინგუეი გვევლინება, როგორც ფსიქოლოგიური ნოველის დიდი ოსტატი. ფრენსის მაკომბერი ამერიკელია, იგი აფრიკაში ნადირობს ლომზე. როდესაც ლომს პირისპირ შეხვდება, მას პანიკური შიში შეიპყრობს, იგი გარბის და საჯაროდ შეირცხვენს თავს ყველა დამსწრეთა წინაშე. იგი გრძნობს, რომ ყველა ცუდად დაფარული ზიზლით უყურებს, ყველა მასში ლაჩარს ხედავს. მართლაც გაუბედაობა არის მის ბუნებაში და საბედისწერო როლსაც თამაშობს მის პირად ცხოვრებაში. მაგრამ მხოლოდ ახლა შეიცნო თავი მაკომბერმა; მასში მწიფდება საპასუხო რეაქცია, იზრდება გაბოროტება, სულიერი აღგზნება და როდესაც მეორე დღეს ის

გარეულ კამეჩებზე ნადირობს შიმის ჩვეულებრივი გრძნობის მაგი-
ერ იგი განიცდის ვაქეაცურ სიმამაცის მოზღვავეებას. მასში შინაგანი
გარდატეხა ხდება. ჯიგი გარდაიქმნა, სხვა ადამიანად იქცა ბედნიერია
ცვლილებით, გრძნობს, რომ ამიერიდან სულ სხვა იქნება, უკეთესი,
მისი ცხოვრებაც სხვაგვარად წარიმართება, მაგრამ შემთხვევით
გასროლილი ტყვია უეცრად მოუსწრაფავს სიცოცხლეს.

ასეთივე სულიერ გარდატეხას განიცდის მომაკვდავი მწერა-
ლი გარი მოთხრობაში „კლიმანჯაროს თოვლი.“ გარი კვდება აფ-
რიკაში, ტბის პირად, მას სისხლი მოეწამლა პატარა განაკაწრი-
სგან; მასთან ერთად არის მხოლოდ მისი ცოლი და რამოდენიმე
მსახური. გარი მოელის თვითმფრინავს, რომელმაც უნდა გაათრი-
ნოს უახლოეს დასახლებულ პუნქტისკენ, მაგრამ სიკვდილი უკვე
მოეპარა. იგი აშკარად გრძნობს ამას და მისი აფორიაქებული
ფიქრთა ნაკადი შეჯამება ცხოვრების განვლილი გზისა. გარი ეუბ-
ნება თავის თავს, რომ მან უღალატა პირვანდელ მიზნებს, ყალბი
გზით ვიდოდა. მას არ დაუწერია ის, რაც ვალდებული იყო; რომ
დაეწერა, არ უცხოვრია იმათ წრეში, ვისთანაც უნდა ეცხოვრა!
„მან განვლო თავისი წუთისოფელი, ის დიდი ხანია, რაც გათავდა,
და ისევ კი ცხოვრობდა, მაგრამ ახლა სულ სხვა ადამიანებთან;
ფულიც მეტი ჰქონდა. ყველა ნაცნობ ადგილებიდან ირჩევდა საუ-
კეთესოებს, მოგზაურობდა, ახალ ადგილებშიდაც იყო; მაგრამ სა-
კუთარ თავს შენ ეუბნებოდი, რომ ოდესმე დაწერ ამ ადამიანებზე;
ყველაზე მდიდრების შესახებ, რომ შენ არა ხარ მათი მოდგმისა;
მხოლოდ მწვერავი ხარ მათ ბანაკში; რომ შენ დასტოვებ მათ და
დაწერ მათ შესახებ და ერთხელ სიცოცხლეში ეს იქნება დაწე-
რილი იმ ადამიანის მიერ, რომელმაც იცის, რაზედაც სწერს. მაგრამ
მან არც ეს გააკეთა, იმიტომ, რომ ყოველი დღე, გატარებული
კომფორტში და უქნარობაში... აჩლუნგებდა მის ნიქს, აღუნებდა
მუშაობის სურვილს, ისე, რომ ბოლოს მან სრულებით დაანება თა-
ვი მუშაობას... რაღა ითქმის მისი ნიქის შესახებ? ნიქი ჰქონდა,
მაგრამ იმის მაგიერ, რომ რაღაცნაირად გამოეყენებინა ეს ნიქი,
იგი ვაჭრობდა ნიქით.“

როდესაც სიკვდილი სულ ახლოს მიეპარა და დაიბუდა გუ-
ლის კუნჭულში, — მას გაახსენდა პარიზის ლატაკთა უბანი, მუფტა-
რის ქუჩა, სადაც იგი სწერდა თავის პირველ სტრიქონებს: „იგი
იცნობდა მაშინ თავისი ბინის ყველა მეზობლებს, იმიტომ რომ ისი-
ნი ლარიბნი იყვნენ... ისინი კომუნარების შთამომავლები იყვნენ

და პოლიტიკა ადვილად ეძლეოდათ. მათ იცოდნენ, ვინ დახვრიტა მათი მამები, მათი ახლობელნი, მათი ძმები, მათი მეგობრები, როდესაც ვერსალის ჯარმა დაიკავა ქალაქი კომუნის შემდეგ და გაუსწორდა ყველას, ვისაც კი დაკოჟრებული ხელები ჰქონდა, ან კები თავზე, ან სხვა რაიმე შესამჩნევი ნიშანი, რითაც შეიძლებოდა მუშა-კაცის გამოცნობა... არავითარი სხვა პარიზი არ უყვარდა მას ისე, როგორც ეს პარიზი. დიად, მას არასდროს არ დაუწერია პარიზზე, ყოველ შემთხვევაში იმ პარიზზე, რომელიც მისთვის ძვირფასი იყო*.

მწერალ გარის აზრები უცნაურად შეესიტყვება მაქსიმ გორკის ღრამის „იეგორ ბულიჩოვის“ გმირის აზრებს. იეგორ ბულიჩოვიც, ლატაკთა და მუშათა წრიდან გამოსული, საკუთარი ნიჭით და უნარით გამდიდრებული ვაჭარი, დაავადდება სასიკვდილოდ კიბოთი და როდესაც შეაჯამებს თავის ცხოვრებას, გრძნობს, რომ გაეთიშა თავის საკუთარ კლასს, იმათ, ვისთანაც უნდა ყოფილიყო და გაატარა ცხოვრება მისთვის უცხო, მტრულ ბანაკში: „не на той улице жила“ — ეს ტრაგიკული ამონაკენესი იეგორ ბულიჩოვის ძლიერ წააგავს გარის დასკვნას, რომ იგი მხოლოდ მზვერავი უნდა ყოფილიყო მდიდრების ბანაკში, დაეტოვებინა ისინი, დაბრუნებულიყო პარიზის მშობლიურ უბანში და დაეწერა მწარე სიმართლე მათ შესახებ. მან კი ეს ვერ შესძლო, სწორედ ამიტომ გამოვიდა უზრო მისი ცხოვრება, ამაოდ გაიფანტა მისი ნიჭი, იეგორ ბულიჩოვსაც და მწერალ გარისაც სული ეხუთებათ შინაურ ატმოსფეროში, თვით მათი ოჯახის წევრები, მტრული ბანაკის, მათთვის უცხო ადამიანები არიან.

* * *

ჰემინგუეის თანაგრძნობა ლატაკებისადმი, მშრომელებისადმი განსაკუთრებით ღრმავდება იმ გრანდიოზული კრიზისის შემდეგ, რომელიც თავს დაატყდა ამერიკას 1929 წელს. ეს იყო უზარმაზარი საზოგადოებრივი უბედურება. კატასტროფიულად იზრდებოდა უმუშევრობა და შიმშილი მშრომელი მასებისა. ამერიკის ინტელიგენციამ მძაფრად იგრძნო, რომ ამერიკის მომავლის ბედ-იღბალი მჭიდროდაა დაკავშირებული თვით ხალხის ბედ-იღბალთან. მწერლობაში იღვიძებს ინტერესი ხალხისადმი. მწერლები ასახავენ თავიანთ ნაწარმოებში ამერიკის მშრომელ მასებს, მუშებს, ფერმერებს, შავკანიანებს. ახალგაზრდა მწერლები ქმნიან ქეშმარიტი დემოკრატიული სულით და მშრომელებისადმი მხურვალე სიმპატიით გამსჭვალულ ნაწარმოებ-

ბეზს, როგორცაა სტეინბეკის „რისხვის მტევნები“ და რაიტის „ამერიკის პირმშო“. ეკონომიურმა კრიზისმა კიდევ უფრო გაამახვილა ჰემინგუის შემოქმედებაში სოციალურ კონფლიქტის, სოციალურ წინააღმდეგობათა ასახვის წყურვილი. სწორედ ამ პერიოდშია მოფიქრებული ჰემინგუეის რომანი „ქონება, არ ქონება“ („To have and to have not“).

როგორც თვით სათაური გვიჩვენებს, „ქონება, არ ქონება“ მთლიანად სოციალურ კონტრასტების ჩვენებაზეა აგებული, რომანში დაპირისპირებულია ორი მსოფლიო: ქონების პატრონების და ლატაკთა, უქონებლებისა და ავტორის მხურვალე სიმპატია უკანასკნელთა მხარეზეა. მოქმედება ხდება ფლორიდის სამხრეთ სანაპიროზე და კუნძულ კუბაზე. რომანის გმირი, მოტორიანი ნავისპატრონი, მეთევზე გარი მორგანია. ის მხნე, მამაცი, გამრჯელი კაცია, მოსიყვარულე მამა, და მეუღლე, მაგრამ მდიდარი სპორტსმენი, რომელიც დაიქირავებს ხანგრძლივი ვადით მის ნავს, მოატყუებს და ქირას არ გადაუხდის, ამიტომ ლუქმა-პურის მოსაპოვებლად და ოჯახის სარჩენად გარი მორგანი იძულებული ხდება იკისროს კონტრაბანდის გადაზიდვა. ერთხელვე მოლიპულ გზაზე დამდგარი, იგი თანდათან ეშვება ძირს, გადაყავს ნავით კუბის ნაპირებიდან ფლორიდაზე სხვადასხვა. საექვო პირები და ხშირადქმისი ამგვარი რეისი სისხლის ღვრით მთავრდება. გარი მორგანი ხელს დაიშავებს. მას ხელს მოჰკრიან, საბაჟო უწყება ნავს ჩამოართმევს, როგორც კონტრაბანდისტს, მაგრამ იგი უკანასკნელ წუთამდე მხნედ იბრძვის თავისი თავის და ოჯახის არსებობისათვის. იგი ამბობს: „მე არ ვიცი, ვინ იგონებს კანონებს, ეს კი ვიცი: არ არის ისეთი კანონი, რომ კაცი შიმშილობდეს.“ მაგრამ გარი ჯერ კიდევ არ არის კლასობრივი შეგნებით გამსჭვალული მუშა. იგი თანაგრძნობით ეპყრობა მასსავით ლატაკებს, უმუშევრებს, ცდილობს მათაც გაუჭინოს საქმე, შეიამხანაგოს, დაეხმაროს რითაც შეუძლია, მაგრამ მასში არ არის მუშათა სოლიდარობის, გაერთიანებული ფრონტით ბრძოლის საჭიროების მომწიფებული შეგნება; იგი ამბობს: „მე მრწამს ჩემი თავის, სხვა კი არაფერი მრწამს.“

მხოლოდ სიკვდილის წინა წუთებში გარი რწმუნდება, რომ ინდივიდუალური პროტესტი, განმარტოებული ბრძოლა ვერ მიიყვანს გამარჯვებამდე. მას აღმოხდება შემდეგი საგულისხმო სიტყვები: „ადამიანი... ადამიანს მარტო არ შეუძლია. ახლა არ შეიძლება, რომ ადამიანი მარტო... რაც არ იყოს, მარტოხელ ადამიანს არაფერი შეუძლია ქვეყანაზე...“ — „მას ცოტა დრო როდი დასჭირდა ამის

სათქმელად, მაგრამ საჭირო გახდა მთელი მისი სიცოცხლე ამის გასაგებად“-ო დაასკვნის ავტორი.

გარი მორგანის და მისი ცოლის მარიამის სახე დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით და შინაგანი ძალითაა მოცემული რომანში. მათ ჰემინგუეი უპირისპირებს მდიდარ, უსაქმო ტურისტებს, საკუთარ იახტების პატრონებს. მქონებელთა უსაქმობის, შინაგანი გაზრწნის საჩვენებლად, იგი მიმართავს ლიტერატურულ გროტესკს და ბრწყინვალე ირონიით აღწერს მათ ყოფა-ცხოვრებას, მათ ინტერესთა წრეს, აზრთა ნაკადს, ფიქრებს.

ფლორიდის საკურორტო ქალაქ კი-უესტში, სადაც მოქმედება ხდება, ისვენებს აგრეთვე მწერალთა ჯგუფი. ეს იგივე „დაღუპული თაობის“ წარმომადგენლებია, რომლებიც ჰემინგუეიმ აღწერა „ფიესტა“-ში, მაგრამ თუ „ფიესტა“-ში ავტორი სიბრაღულით და იღუმალის თანაგრძნობით იყო აღსავეს მათდამი, აქ იგი მათ ქირდავს, დასცინის, როგორც ისეთებს, რომელთაც დაკარგეს ყოველივე ცოცხალი, ადამიანური, მოხეტიალე მანეკენებად გადაიქცნენ. იგი კიცხავს მათ შემოქმედებასაც, სიბეცეს, ხაზს უსვამს იმას, რომ მადლიან ნიჭის ნასახს მოკლებული მათი ლიტერატურა მახინჯად ასახავს სინამდვილეს. ეს მწერლები ცოცხლივ იხრწნებიან და მათ არაფერი აქვთ საერთო ხალხის ნამდვილ ცხოვრებასთან და კირვა-რამთან.

მხატვრული ოსტატობის მხრივ „ქონება და არ ქონება“ არა თანაბარი, მთლიანობას მოკლებული ნაწარმოებია: ბრწყინვალე, შეუდარებელი ოსტატობით დაწერილ სურათების გვერდით, ჩვენ გვხვდება ბუნდოვანი, მკრთალი ადვილები. კომპიზიციურადაც რომანი არ არის მკვრივი, ორგანიულად მთლიანი, მაგრამ იდეურად იგი მოწმობს შემოქმედებით გარდატეხას ავტორისა, მისი შემოქმედების დაკავშირებას ახალ, სოციალურ მოტივებთან,

* * *

1935-2937 წ.წ. ესპანეთში, ჰემინგუეს საყვარელ მხარეში გაჩაღდა უდიდესი რევოლუციური ბრძოლა. ესპანეთის რესპუბლიკა გმირულად შეებძოლა თავისი ქვეყნის და მსოფლიო ფაშიზმს. ეს იყო ავანგარდული შეტაკება იმ გრანდიოზულ ბრძოლისა, რომელიც მძვინვარებს ამჟამად ქვეყნიერების ყველა კუთხეში ათელსა და ბნელს, თავისუფლების მოყვარულ ხალხთა და ფაშიზმის შავბნელ ძალებს შორის. ამ დიად ბრძოლაში ესპანელმა ხალხმა შეიტანა თავისი შალალი, გმირობით აღსავეს, დაუვიწყარი წვლილი.

ჰემინგუეს უყვარდა ესპანელი ხალხი, მისთვის ძვირფასი იყო ესპანეთის თავისუფლება. მან მოწინავე ანტიფაშისტ მწერლებთან ერთად უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ ბრძოლაში, როგორც სანიტარულ რაზმის მეთაურმა.

1937 წ. გაიხსნა მწერალთა მეორე კონგრესი ამერიკაში. ჰემინგუეი აქ პირველად გამოვიდა საჯარო სიტყვით და ამ სიტყვაში უღმობელად ამხილა გერმანიის ფაშისტური მთავრობა, ძლიერი მორალური სილა გააწნა ფაშიზმს.. ჰემინგუეი შემდეგნაირად ახასიათებს ფაშიზმს თავის გამოსვლაში: „არსებობს მხოლოდ მართველობის ერთი ფორმა, რომლის დროს შეუძლებელია კარგი მწერლის გამოჩენა,—ეს არის ფაშიზმი. რადგან ფაშიზმი არის სიცრუე, წარმოთქმული ბანდიტების მიერ. თუ მწერალს არ სურს იცრუოს, იგი ვერ იცხოვრებს და ვერც იმუშავებს ფაშისტურ სახელმწიფოში. რამდენადაც ფაშიზმი—სიცრუის განსახიერებაა, იგი განწირულია ლიტერატურულ უნაყოფობაზე. როდესაც იგი მოისპობა მას არ დაურჩება ისტორია, გარდა კარგად ცნობილ მკვლელობათა და მხეცობათა ისტორიისა, რომელიც ბევრმა ჩვენგანმა საკუთარი თვალით დაინახა უკანასკნელ თვეების განმავლობაში“.

ჰემინგუეი ომსაც ახლა სულ სხვა თვალთ უყურებს: თუ უწინ მისთვის ომი ყველა შემთხვევაში მიუღებელი იყო, ახლა იგი საჭიროდ სთვლის შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევას მტრისათვის და თვით დგება მებრძოლთა რიგებში, როდესაც ხალხი იწყებს ბრძოლას თავისუფლების შესანარჩუნებლად ფაშისტ მხეცებისაგან.

ჰემინგუეი ამავე გამოსვლის დროს ამბობს: „მწერალი, რომელმაც იცის რატომ და რა მიზნით ხდება ომი, ეჩვევა მას... როდესაც თქვენ ყოველდღე ფრონტზე იმყოფებით და ხედავთ ომს თხრილებში, შეტაკებებს, იერიშებს და კონტრ-იერიშებს, ყოველივე ამას აქვს აზრი, მიუხედავად იმისა, რომ არის დანაკლისი მოკლულთა და დაჭრილთა სახით; რადგან თქვენ იცით, რისთვის იბრძვის ეს ხალხი. იცით, რომ მათი ბრძოლა გონიერულია, რადგან ხალხი იბრძვის თავისი ქვეყნის განსათავისუფლებლად უცხოეთის ინტერვენციისაგან და ეს მებრძოლები—თქვენი მეგობრებია, ზოგი—ძველი, ზოგი ახალი მეგობარი. თქვენ იცით, როგორ დაეცნენ მათ თავზე, როგორ იბრძოდნენ ისინი, პირველად თითქმის უიარალოდ; თქვენ უყურებთ მათ ბრძოლას, სიცოცხლეს, სიკვდილს და მხოლოდ მაშინ გაიგებთ, რომ ამ ქვეყანაზე არის უფრო უარესი რამ, ვიდრე ომია: ლაჩრობა—უარესია, გამცემლობა—უარესია და ეგოიზმი—უარესია.“

ასევე იცვლება მწერლის შეხედულება სიკვდილზე. მისი ინიცი-
 ატივით გადაღებულ კინო-ფილმის „ესპანური მიწის“ განმარტებთ-
 ტექსტში ჰემინგუეი ამბობს: „ახალგაზრდობაში შენ სიკვდილს უაღ-
 რეს მნიშვნელობას ანიჭებდი. ახლა არავითარ მნიშვნელობას არ
 ანიჭებ მას. მხოლოდ გძულს სიკვდილი იმ ადამიანების გამო, რო-
 მელთაც ის იტაცებს.“

განსაკუთრებით მძაფრ აღშფოთებას მწერლისა იწვევს ფა-
 შისტთა ბარბაროსობა, მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა და
 მასიური მკვლელობანი. იგი ზიზღით ამბობს: „ტოტალიტარულ
 ფაშისტურ სახელმწიფოებს სწამთ ტოტალიტარული ომი. ეს იმას
 ნიშნავს, რომ ყოველთვის, როდესაც მათ ამარცხებენ შეიარაღებუ-
 ლი ძალები, ისინი გულის ჯგერს უიარაღო სამოქალაქო მოსახლეო-
 ბაზე იყრიან... მე რომ ავწერო ყოველივე მათი ჩანადენი, გულს
 ავიმღვრევდით. შესაძლოა სიძულვილი გამომეწვია თქვენში. მაგრამ
 ჩვენ არ გვინდა სიძულვილი. ჩვენ გვინდა ფაშიზმის დანაშაულებრივ
 ბუნების გონივრული გაგება, გაგება იმისი, როგორ ვებრძოლოთ
 მას. ჩვენ უნდა ვავიგოთ, რომ ეს მკვლევლობანი—ხულიგნის გამო-
 სვლებია... და ხულიგანი მხოლოდ ერთი საშუალებით შეგვიძლია
 ავლაგმოთ: უნდა ვცემოთ ის“.

რადიოს საშუალებით ჰემინგუეი მიმართავს გერმანელ ხალხს
 და მოუწოდებს მას ებრძოლოს ფაშიზმს: „მე მივესალმები ყოველ
 გერმანელს, რომელიც სულით და გულით უწევს წინააღმდეგობას
 ჰიტლერს, გერმანიის დამმონებელს. მე მივიღე ზომები, რათა არც
 ერთი ჩემი წიგნი არ გამოქვეყნდეს გერმანულ სახელმწიფო გამო-
 მცემლობის მიერ, სანამ ხელისუფლება ფაშისტების ხელშია.“

ესპანეთის ამბების უშუალო გავლენით დაწერილია და წინა
 წლებში გამოქვეყნებულია ჰემინგუეის რამოდენიმე ნაწარმოები:
 პიესა „მეხუთე კოლონა“, წერილი „ესპანეთისათვის დაღუპულ ამე-
 რიკელებს“ და ნოველები: „ამერიკელი მებრძოლი,“ „მადრიდელი
 შოფერები“ და „მოხუცი ხიდთან.“

პიესა „მეხუთე კოლონა“— პოლიტიკურად ყველაზე მომწიფე-
 ბული ნაწარმოებია ჰემინგუეის. ავტორის განმარტებით, ეს არის
 „პიესა კონტრდაზვერვის მუშაობის შესახებ მადრიდში.“ პიესის
 გმირი ფილიპი, ამერიკელი, მებრძოლი ესპანეთის თავისუფლები-
 სათვის, მტრების მოსატყუილებლად უდარდელ, მოქეიფე, ზერღვე
 კაცის ნიღაბს ატარებს. ნამდვილად კი,—ის ფხიზელი და გამოცდი-
 ლი რევოლუციონერია, რევოლუციური შტაბის აქტიური მუშაკი-

ფილიპი და მისი მეგობარი, ფაშისტებისაგან განაწამები და გერმანიიდან გამოქცეული გერმანელი მუშა მაქსი, მიაგნებენ კონტრ-რევოლუციურ ბუდეს მადრიდში, აღმოაჩენენ ფაშისტებს, რომელნიც თვით მადრიდში მიმამულან და აქედან ატყობინებენ მტერს რევოლუციურ ჯარების განლაგებას. ფილიპი უარს ამბობს პირად გრძობაზე, მეშინურ კეთილდღეობაზე და იბრძვის საერთო ბედნიერებისთვის, „იმისთვის რომ ყველას ქონდეს ლუკმა-პური, არაფერ იყოს შმიერი, რომ არავის ეშინოდეს სიბერის და ავადმყოფობის, რომ ყველანი ცხოვრებდნენ და მუშაობდნენ ღირსებით, და არა როგორც მონები.“

ნოველაში „მადრიდელი შოფერები“ ჰემინგუეი აღტაცებით მოგვითხრობს ესპანელი მუშის შოფერ იპოლიტოს შესახებ. იპოლიტო მუდამ მშვიდი, მხნე ადამიანია. მან არ იცის, რა არის დაბნეულობა და შიში. „დაე, ვისაც სურს დასდოს სანაძლეო ფრანკოსათვის, მუსოლინის ან ჰიტლერისათვის, მე კი ვდებ სანაძლეოს იპოლიტოს გამარჯვებისათვის“-ო ასე ამთავრებს მოთხრობას ჰემინგუეი.

ესპანელთა ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ მხოლოდ წინასწარი, ავანგარდული შეტაკება იყო. ახლა კი, ჩვენი დიდი სამშობლო, საბჭოთა კავშირის ხალხი თავის მოკავშირეებთან, დიდი ბრიტანეთის და ჩ. ა. შეერთებულ შტატების ხალხთან ერთად შედგრადებრძვის ფაშისტ ინტერვენტებს.

როდესაც ჰიტლერის ბარბაროსი ჯარები ყაჩაღურად თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს, ერნსტ ჰემინგუეიმ შემდეგი შინაარსის დეპეში გამოუგზავნა ჩვენს მთავრობას: „მე-100%-ით სოლიდარული ვარ საბჭოთა კავშირთან, რომელიც სამხედრო წინააღმდეგობას უწევს ფაშისტურ აგრესიას. საბჭოთა კავშირის ხალხი თავისი ბრძოლით იცავს ყველა იმ ერებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ფაშისტურ დამონებას. მხურვალედ ვესალმები საბჭოთა კავშირს მის გმირულ ბრძოლაში.“

წითელ არმიის არსებობის ოცდაათი წლისთავის საზეიმოდ ღღეს ე. ჰემინგუე მიესალმა საბჭოთა კავშირის გმირულ ლაშქარს, მის „სამარადისო დიდებას“. „ყველა, ვისაც უყვარს თავისუფლება, ისე დავალებულია წითელ არმიისაგან—სწერს ჰემინგუეი,— რომ ამ ვალის გადახდას იგი ვერასოდეს ვერ შესძლებს.“

ამჟამად თვით ჩ.-ა. შ. შტატების ხალხმა განიცადა იაპონურ და გერმანულ ფაშიზმის მუხანათური თავდასხმა თავის მიწა-წყალზე და აქტიურად დაირაზმა შავბნელ მტერთან საბრძოლველად. წინასწარ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამერიკის მომქმედ არმიის იქნება ერთი ჩვენთვის ნაცნობი მებრძოლი—მწერალი ერნსტ ჰემინგუეი.



ჭუთაინის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო
 პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942 წ.
 Труды Кутаисского Государственного
 Педагогического Института имени
 А. Цулукидзе, т. IV, 1942 г.

ბ. სამხარაძე

გმირობა და პატრიოტიზმი ძველ ხალხურ პოეზიაში

ჩვენი ხალხის განსაცვიფრებელმა გმირობამ, სამშობლოსა და ხალხისადმი უმწიკლო სიყვარულმა 25 საუკუნის მანძილზე შეუნარჩუნა ქართველ ერს საკუთარი ენა, ნაციონალური შეგნება, კულტურა, საკუთარი ტერიტორია და დამოუკიდებლობა. ქართველი ხალხი გამოჩენილი სარდლებისა და ეროვნული გმირების წინამძღოლობით ებრძოდა შინაურ არეგ-დარეგას, გათიშულობას, გარეშე მოძალადეებსა და ამაოხრებლებს. მოძალადეები კი მრავალზე მრავალი ეხვია საქართველოს საუკუნეთა მანძილზე.

„ქართველი ხალხი, — სწერს ~~ლ. ბ. ბერიძე~~ — მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებას. იგი გმირულად იგერიებდა რომის იმპერატორების, თურქეთის სულთანების, სპარსეთის შახების ურდოთა ურიცხვ თავდასხმას“.

ჩვენი ხალხის, საქართველოს ისტორია გარეშე მტერთაგან აწიოკების, რბევის, აოხრებისა და ჭლეტის ისტორიაა; ქართველმა მემორებმა გამარჯვებათა ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს მატინეში. ჩვენი ისტორია აკინძული წიგნია მოძალადე მტრებთან საოცარი გმირული ბრძოლებისა. ყოველ ფურცელზე სისხლის ღვარება დაყენებული. ყველა მეზობელს, ახლობელს თუ შორეულს, სურდა საქართველოს სიმდიდრის ხელში ჩაგდება, მისი მოსრა და მონად გადაქცევა. სამშობლოს უანგარო სიყვარულმა გამოაწრთო ქართველი ხალხის გმირობა, ამტანიანობა, მამაცობა, მზადყოფნა მამულისათვის თავგანწირვისა. ჩვენს ხალხს შოთასეული აზრი ამოძრავებდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი მიწერილ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილში ისტორიის მძიმე გაცვეთილები

მშვენივრად არის გამოხატული. ხოლო მშრომელთა სისხლით არის დაწერილი ჩვენი ხალხის გმირული წარსულის, ისტორიის ფურცლები.

ჩვენი მოთხრის და გასრვის, ვინღა არ იყო მდომელი: ხმაღს გვცემდა რომის სარდალი, მოგვდევდა მაკედონელი. ვინ არ ჰკორტნიდა ჩვენს მიწას სისხლით გასვრილი ხელებით, არაბ-ოსმალთა, მონღოლთა, სასტიკი დამპყრობელები. გვაობრეს, დაგვანაფოტეს, ცრემლების წყარო გვაძინეს, ყვინ-ხონთქარმა-ფაშებმა მახვილით ჩაგვინადირეს. ცხენქვეშ, ფეხებქვეშ გვლუწავდნენ, მოსჩქედდა სისხლის ღვარები, დათხარეს ჩვენი მთა-ბარი, ამრავლეს ნასახლარები¹.

მაგრამ ამ ათასნაირმა უბედურებამ ვერ შეარყია და ვერ გასტეხა ქართველთა გული. ხალხის გმირული სული ქარიშხალივით უძლეველი აღმოჩნდა. ჩვენს გულისფიცარზე იმსხვრეოდნენ მოწამლული შუბები. ჯავშნით შემოსილი რაინდები ლომებზევით სტორაედნენ ურდო-გადამთიელებს, მაგრამ

ვერ მოსაგეს ხალხი მშრომელი, ვერ შეურყიეს მიზანი,
შიგ ედგა გული რკინისა, გარედი—სალის კლდისანი.
მონობის უღელისათვის არ იყო დაბადებული:
არწივი იყო დაჭრილი კლდეებში დაბუდებული.

ურიცხვი თავდასხმები, აობრება, აწიოკება და ქლექა—აი, რა ბედი განუმზადა ისტორიამ პატარა, მაგრამ ლამაზს, მდიდარს, კულტურით დატვირთულ საქართველოს. ქართველმა ხალხმა თავის წიაღში აღზარდა იშვიათი ძალით დაჯილდოებული რაინდები, გამჭრიახი სარდლები და მედროშენი, მოხერხებული მებრძოლები, რომელთა საერთო ზრუნვამ, სამშობლოსადმი ჩაუქრობელმა სიყვარულმა ასე პატარა ერს ქვეყნისათვის მძიმე განსაცდელის ჟამთა სვლებში შეუნარჩუნა ყოველივე ეროვნული, საკუთარი—სასახელო და ოქროს გვირგვინდადგმული. ქართველთა ჭირი კალმით აუწერელი იყო. ქართველთა მოთქმა და ვაება შორს გაისმოდა. ქართველთა საბრძოლო ყიფინა ცას ქუხილივით სწვდებოდა. ქართველთა მრისხანების ძალა, შურისგების სურვილი მტრებს შიშის ზარსა სცემდა... მაგრამ ხალხმა დიდი წამება და აკლება განიცადა. გული კი გაუტეხელი, კლდეზე მაგარი აღმოჩნდა.

ჩვენი ისტორიის გმირული სული, მამულიშვილობის მარადი გრძნობა, სიცოცხლის სიყვარული, პატრიოტული თავდადება ილია ქავკავაძემ ამაღელვებელ პოეტურ სტროფებში გამოხატა.

¹ ჟურნ. „მნათობი“, თბილისი, 1936 წ., № 2, გვ. 3-4.

ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალათ დაბადებულთ,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გადაუვლია!..
ჯვარცმულის ღეთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიან გზაზე შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათას წელთ ბრძოლა მედგარი
გამოველოს და სრულიად მტერად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ!... მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შეძლებიყოს.
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თავის თავი ქვეყანაზედა
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც „მე“ შენი იღწვოდა,—
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა,—
მამულისა და სჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

ხალხმა თავისი ფაქიზი სიყვარული სამშობლოსადმი, მისთვის
მებრძოლი გმირებისადმი, გამოჩენილი რაინდებისა და მეფეებისად-
მი გამოხატა ზეპირი პოეზიის ნიმუშებში, ხალხის პოეტური მოღვა-
წეობის ხელთუქმნელ საუნჯეებში, რომლებითაც ასე მდიდარი
ქართული ფოლკლორი. ამ გმირთა ბრწყინვალე გაღერეას ეკუთ-
ვნის ვახტანგ გორგასლანი („გორგ-ასლან“—მგელ-ლომი), დავით
აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე და-
დიანი, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი სააკაძე, ერეკლე მეორე, არ-
სენა ოძელაშვილი და მრავალი რეალურ-ისტორიული და ლეგენდა-
რული გმირი, რომელნიც ქართული ეპოსისა და ლირიკის სახელოვა-
ნი პერსონაჟებია.

რუსულ ფოლკლორში აგრეთვე მრავალი პატრიოტული სიმ-
ღერა შეიქმნა სახელოვან სარდლებსა და გამოჩენილ პოლიტიკურ-
სახელმწიფო მოღვაწეებზე.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ხალხთა
დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, წითელ მოედანზე მოსკოვში,
1941 წლის 7 ნოემბერს, წითელი არმიის პარადზე თავის სიტყვაში
მიმართავდა რა გმირ წითელ არმიას, ამბობდა:

„თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია.
მაშ იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწვეით,
არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე ამ ომში
თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების—ალექსანდრე
ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარს-
კის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე!“



ამ გამოჩენილ სარდალთა სასახელო საქმეების გარშემო რუსულ ფოლკლორში ბრწყინვალე ლექსები და სიმღერები შეიქმნა.

სამშობლოს დასაცავად ამდგარი ხალხი დაუნდობლად ანადგურებდა სხვადასხვა ქვეყნიებიდან დროდადრო მომდგარ დამპყრობ ურდოებს. გმირთა შესახებ კი უქკნობი სიყვარული და ხსოვნა შეინახა ხალხის გულმა.

*
**

ქართველი ხალხის ერთი უძველესი და სახელგანთქმული გმირი იყო ვახტანგ გორგასლანი, რომლის შესახებ შექმნილი სიმღერებიდან ფოლკლორში მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. ხალხის ხსოვნაში დღემდე ცოცხლობენ მისი საგმირო საქმეები. ვახტანგი სახელოვანი მამულიშვილების ბრწყინვალე წარმომადგენელია. ხალხურ მეღექსეთა ფანტაზიამ დიდების შარავანდდით შემოსა ვახტანგის პიროვნება, მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე. ვახტანგი გამპკრიახი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან ააცდინა თავისი პირადი გმირობითა დი მოხერხებით მრისხანე მტრების—ბერძნებისა და ერანელებისაგან რბევა-აწიოკება საქართველოს. მან დაიცვა ქართველთა ეროვნული ღირსება.

ვახტანგზე შექმნილმა გმირულმა სიმღერებმა და ეპიურმა ფრაგმენტებმა აღბეჭდა სახე ძღვეამოსილი გმირისა, რომელიც აბჯარასხმული დარაჯად ედგა საქართველოს კარებს, აცამტვერებდა მტრის დაპყრობითს ინტერესებს, იცავდა ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას.

ვახტანგ გორგასლანის სიძლიერე, ჯადოქრული გამბედაობა და ზნეობრივი სიწმინდე ხალხმა პოეტურად წარმოსახა სიმღერაში, რომელსაც ფრაგმენტის სახე შერჩენია. ეს სიმღერა ეხება ახალგაზრდა ვახტანგის ვალაშქრებას 487 წელს, როცა მთელი ხალხი გაჰყვა მას მამულის შემავიწროებელთა—მთის ტომებისაგან შემდგარი ურდოების შესამუსრავად. მისი გმირობა ასეა სიმბოლურად წარმოდგენილი.

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.

ამ ბრძოლის შესახებ „ქართლის ცხოვრებას“, ამ დიად ამბავთა მატთანეს, შემოუნახავს ცნობები. როგორც ცნობილია, ჭაბუკმა

მეფემ პირადი მამაცობით ისახელა თავი და უკვდავყო თავისი სახელი. მეფემ გმირულად, სასიკვდილოდ დაისრა სახელგანთქმული მეთაურები მტრებისა—თარხან და ბაყათარი. ეს უკანასკნელი „ქართლის ცხოვრების“ ცნობით „იყო გოლიათი... ვერვის დაედგნეს მისადა, და მუსრა ყოველი მებრძოლი მისი“.¹ ბაყათარი დამუტრებია ჩვენს მეფეს: „ან უკეთუ შენვე გამოხვიდე ბრძოლად ჩემდა, მოგხედენ ჩემგან ბრძოლანი ფიცხელნი, რომელთაგან ველარა განერე“. ქართველი სარდალი ვერ შეუშინებია ძლიერი გმირის გამოწვევას. ვახტანგის სამაგიერო პასუხი მიუცია ბაყათარისათვის: „არა მეშინის შენგან, ვითარც ძაღლისა ერთისგან“. ისინი შეჭიდებიან ერთმანეთს. ვახტანგს დაუძღვია ბაყათარი, გაუტყვევია იგი ბრძოლის ველიდან, გაუთავისუფლებია ქართველი ტყვე ლაშქარი და მათ შორის მტერთაგან გატაცებული თავისი და მირანდუხტი.

მე-ნ საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს შემოესია ფრანის ყენი კობადი. ვახტანგ გორგასლანმა თავისი ლაშქარი უჯარმის (ქალაქია) წინა ველებზე დააბანაკა მტერთან შესახვედრად განმზადებული. გმირ მებრძოლებს აქეზებდა სამშობლოს სიყვარულით გამთბარი პატრიოტი მეფის სიტყვები:

„ყოველი კაცი, რომელი დარჩეს სიკვდილისაგან, და მტერთა ჩვენთაგანისა თავი ანუ ხელი არ გამოიტანოს, სიკვდილითა მოკვდეს იგი ჩვენ მიერ“ („ქართლ. ცხოვრება“, ბროსეს გამოცემა, გვ. 148). ქართველები გმირულად დახვედრიან მოსეულ მტრებს. მტერი მღ. იორზე გადმოსულა.

ეკლესიის კედელზე წარწერილი ეპიტაფია, რომელიც ვახტანგის მოწინააღმდეგე გმირს ეკუთვნის, ამბობს:

კავკასიონი დავიპყარ,
ოთხ სამეფოს გაუუმკლავდი,
ქართველს ბატონს და მოვსტაცე,
არ დავაგდე ჩემი გვარი,
მამწვდა ფიცით, მილალატა,
მან დაიდვა ჩემი ბრალი,
ბალათარ წყალსა მიეცა
აღიხოცა ჩემი ჯარი.

ერთ გადმოცემაში აღწერილია ვახტანგის ცოლის ლალატი ქმრისადმი. ამ გადმოცემით, ვახტანგ მეფე დიადია, ძლიერი და, რომ ლალატი არა, მას ვერავენ დაამარცხებდა. გადმოცემის ავტორი, უცნობი მთქმელი, აღნიშნავს, რომ ორგული დედოფალი დაეხ

¹ ესარგებლობთ დოც. ქს. სიხარულიძის წერილით (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1942 წ. 17 მაისი).

როგორც საქართველოს ისტორიამ, ისე ხალხის ცოცხალმა ზსოვნამ, ხალხის პოეტური შემოქმედების საუნჯეებმა, ჩვენამდის მოიტანეს ამ შესანიშნავი გმირისა და მთავარსარდლის პატრიოტული თავგანწირვის აღმაფრთოვანებელი საქმეები. ერეკლეს მთავარი საზრუნავი, როგორც მეფე-მეომრისა, იყო საქართველოს ეროვნული სახის დაცვა, თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. სწორედ ამიტომაც, რომ ქართველმა ხალხმა დიდების სიმღერებით შეამკო ერეკლე—სახელგანთქმული სარდალი და პატრიოტი.

მე-18 საუკუნის მღელვარე ეპოქამ შექმნა ერეკლეს გმირული პიროვნება. ერეკლემ მცირე, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული ლაშქრით სასტიკად დაამარცხა ხოლმე გარეშე მტრის ველური ურდოები, რომელთაც სურდათ ჩვენი ხალხის დამონება, ჩვენი მიწა-წყლის აოხრება, მშვიდობიან მცხოვრებთა აწიოკება.

ერეკლეს გმირობამ სახელი გაუთქვა საზღვრების მიღმაც. მის ნიჭიერ სტრატეგიას, უშიშრობასა და პირად სიმამაცეს თვალ-ყურს აღევნებდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, მის ბრძოლათა შესახებ სწერდნენ უცხოურ პრესაში.

საფრანგეთის ყირიმელი ელჩი პეისონელი წიგნში „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელ არეულობათა გამო“ აღნიშნავდა, რომ ერეკლე ჯერხნობით 27 წლის სარდალი და სახელმწიფო მოღვაწეა. „მის ფართო ბუნებას ავსებს ხნოვანებასთან შედარებით მისი მეტი ჭკუა, დიდი გამოცდილება, შეუღარებელი მამაცობა, მუდმივი სამართლიანობა და განუსაზღვრელი ლმობიერება. ეს ღირსებები მას ხდიან თავისი ხალხისა და ჯარისკაცების სათაყვანებელ კერპად, მეზობლების საკვირველებად და მტრების რისხვად“. ხოლო დიდმა გერმანელმა კრიტიკოსმა და დრამატურგმა ლესინგმა თავის პიესაში „მინა ფონ ბარნჰელმი“ ერეკლე დასახა „მამაც ვაჟკაცად, რომელმაც სპარსეთი მოსდრიკა და დღეს თუ არა ხვალ თურქეთის კარიბჭეში შეიჭრებო“. ერეკლეს განსაკუთრებულ პოპულარობას ადასტურებს ისიც, რომ პრუსიის მაშინდელ მეფეს ფრიდრიხ დიდსაც კი უთქვამს: ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში ერეკლეო. აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ერეკლეს „აზიის ლომს“ უწოდებდნენ.

ერეკლე მეფე პირადი სიმამაცით აღაფრთოვანებდა მოლაშქრეებს სახელისა და დიდებისათვის, ჩვენს ქვეყანაში შემოსული მტრების გასაჟლეტად. იგი პირველი თვით შეიჭრებოდა მტრის ბანაკში და მთელს ლაშქარს გაიყოლიებდა. ერეკლეს თავდადებით შთაგონებული გრიგოლ ორბელიანი სწერდა:

აჰა ივერის ნუგეშ-დიდება
 თვისის დროისა გამშვენებელი,
 მამაცთა შორის საკვირველება,
 პატარა კახი, მეფე ირაკლი.

მრავალი პატრიოტული სიმღერა და ლექსი, ეპიკური ტილო შექმნა ქართველმა ხალხმა ერეკლე მეორის სამხედრო მოღვაწეობასთან დაკავშირებით. რა მოსწონს ქართველობას ერეკლეს მოღვაწეობაში? უპირველესად, ნიჭიერი ტაქტიკა, სამხედრო ღონისძიებები, პირადი მამაცობა, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, სამშობლოსადმი გულწრფელი სიყვარული, რომელთა საშუალებითაც უკუგდებულ იყო ხოლმე გარეშე მტრების ბარბაროსული შემოტევა, მუხანათური და ყაჩაღური თავდასხმები. ერეკლე მეორე—გაბედული სარდალი, ჭკუიანი პოლიტიკოსი, მტრის რისხვა იყო. იგი ნერგავდა მებრძოლებში სიხარულს, აღფრთოვანებას, სამშობლოსათვის სიცოცხლის არად ჩაგდებას. ხალხურ სიმღერებში დახატულია მეფე-სარდლის მიერ ჩატარებული ომების სურათები. ასეთებია, მაგალითად, „ერეკლე და რაჯაბა“, „ერეკლე და აზატ-ხანი“ და სხვა მისთანანი.

დილოგურ ფორმაში იშლება საუბარი ერეკლესა და მის ორღესილ ხმალს შორის. ერეკლეს გაბრაზებაზე, თითქოს ხმალი მოუხვდება პატრონს გულის გუმანს, და მშვენიერ პასუხს აძლევს.

ერეკლემ შემოუტია
 ამ თავის გორდა ხმალსაო,
 „რას შერები, ჩემო ფრანგულო,
 რატომ არ გამცემ ხმასაო?“
 —გულუშიშრადა შემოქარ,
 ძალი ატანე კლავსაო.
 და მაშინ სერის უყურე,
 სად გავაგორებ თავსაო.¹

ერეკლეს გმირობაზე მოგვითხრობს ეპიზოდი, სადაც მოქმელი წარმოგვიდგენს ფაშას ჯარებთან შებრძოლებას.

ეს ურჯულო ერის ფაშა
 ერეკლეს აეშალაო.
 ასეთი ჯარი შეჭყარა
 თვალი ვერ გადუწვდინაო.²

ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ მტრის ლაშქარი „თვალ-გადაუწვდენელი“, ძალზე მრავალრიცხოვანი იყო. მაგრამ ერეკლე მეფე, რომელსაც განუსაზღვრელად უყვარდა სამშობლო და თავისი

¹ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937 წ. გვ. 84.

² „ძველი საქართველო“, ტ. III, განყ. მე-2, 1913 წ.

ხალხი, არ შედრკა ქარბი ძალების წინაშე. მან ამ ბრძოლაში მტერი დათრგუნა, გაანადგურა, ჯარების სარდალი ხმლით გაჰკვეთა.

პირველ მსახურად იახლა,
ცხენ წინაც გაიმძღვარაო,
კბილებში ხმალი შემოჰკრა,
ულვაში დაიტანაო.

ერეკლეს გარშემო შექმნილ სიმღერათა ციკლში აღსანიშნავია ის მომენტები, სადაც აღწერილია ერეკლეს ბრწყინვალე ომები ლეკთა ურდოების წინააღმდეგ. ამ ციკლის სიმღერები და ლექსები, როგორც მრავალი სხვა, მაღალი პატრიოტული იდეებითაა ფრთაშესხმული. ხალხური მგოსნები ეძებენ და არჩევენ საუკეთესო პოეტურ სამკაულებს, გამომსახველობითი იერით დაჯილდოებულ სიტყვებსა და ეპიტეტებს, რომ სრულად და მხატვრულად წარმოუდგინონ მკითხველებს ერეკლეს სტრატეგიული ნიჭი, სამხედრო ხელოვნების ვირტუოზული ცოდნა.

ჯარს ეძახს ბატონიშვილი
ერეკლე თავის ყმათაო,
„პირი ქნან ფშაველ-ხევსურთა,
თუშები მიდგას გზასაო“...
გავიდეს ნაყვეჩაოსა,
მაღალს თუშეთის მთასაო,
მობვედვენ გარმოსახედსა,
ლგჯ რომელს მოვას გზასაო.
ხუთშაბათ თენებახედა
ურჯულოდ გარდმოხნდ მთასაო.¹

ამ ლექსში, ქვემოთ, აღწერილია ცალკე გმირთა სასახელო საქმენი, ბრძოლის ტაქტიკა, მებრძოლთა ფიცხელი გადაძახილები.

ხელი გაისვა აბამა,
ხევსურის შვილმა ხმალსაო,
განათდა ბაწარაული,
ცადა უცემდა თვალსაო,
გვერდს ედგეს განაყოფები,
მრავალი უჭერს მხარსაო,
ომობენ ლულელთ შვილები,
ერთი ეძახდა სხვასაო:
„თითოს შეეწირათ თროლი
ლგჯთა ნახოცსა მკვდარსაო“².

ერეკლეს ლაშქარი მტრისადმი, რომელიც სამშობლოს ასათხრებლად მოსულა, შეუბრალებელია; ერეკლეს ცხენის ნესტოების ქშენა შორს მიჰქონდა ხოლმე ქარს.

¹ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 100, 1937 წ., თბილისი.

² იქვე, გვ. 100.

ერეკლე თავისიან ქალს მტრის ბანაკის კაცზე არ ათხოვებს. მტრის შემმუსრავე ბატონიშვილი ჭკუის საკითხავი, მრჩეველი და გზის მაჩვენებელია. ერეკლე ბრძნულ რჩევას აძლევს ქართველ ქალს, რომელსაც თითქოს სურს მტრის მხარის კაცს მისთხოვდეს. ჩვენის ფიქრით, მთქმელს განგებ შეუთხზავს დრამატიული სიტუაცია, რომ უფრო ნათლად და მრავალ გარემოში წარმოუდგინოს შთამომავლობას ერეკლე მეორის პიროვნება.

ხალხურ ძეგლში ერთი ლამაზი ქალიშვილი ამბობს:

ერეკლეს დაუბარებავ,
დავ, ნუ შეირთავ მტერსაო,
ცოტა ხანს შემომიკადე,
ქალაქ აგიდენ მტვერსაო.
შენსა მოგიკლავ საქმარეს,
ზედ გადავაფრენ ცხენსაო,
მოგიტან საპერანგესა,
დარაიასა ჭრელსაო,
ქმარსა მოგცემდი აგეთსა,
მხეს რომ ჰფიცავდეს ჩემსაო.¹

1793 წელს, II იანვარს ქ. თელავში გარდაიცვალა ომებგადახდილი, ქვეყნის წინაშე ვალმობილი ერეკლე II. ერეკლეს გარდაცვალებამ სამგლოვიარო ჰანგები კი არ შეჰქმნა, არამედ, პირიქით, სამშობლოს დაცვის, გმირული სულით შთაგონებული ზეპირი პოეზია. „გლოვის“ ლექსებში ბრძოლის ნატვრის სურათებია გაშლილი. კვლავ მხურვალე მოწოდებაა სამშობლოს დამარბეველ მტერთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლისა. ქართველ მოლაშქრეებს, ერეკლეს სტრატეგიის კვალობაზე, სურთ გავიდნენ ფიცხელ ომში, შეხვდნენ პირისპირ მტრის ლაშქრობას, სამარცხვინოდ დასცენ და გააჩანაგონ ის.

ხალხურ ლექსში რეტროსპექტულად არის გადახედული ერეკლეს მიერ სახელოვნად ჩატარებული ბრძოლანი, და მოლაშქრეები ნატრობენ, რომ მტერს შეხვდნენ ისინი კვლავ ერეკლეს მხედართმთავრობით.

ნეტავი იყოს ლაშქროვან,
ნეტავ გავიდეს ჯარია,
ნეტავი წელზე შეერთყას
ერეკლეს ჩვენსას ხმალია,
გატეხოს ციხის კარები.
გაქროლოს როგორც ქარია,

¹ იქვე, 83. 100.

გვერდითა ჩამოგვიყენა
ჩვენის არაგვის ყმანია,
თქვენ თვალთ გაყურებინათ,
ჩვენ გვაქნევინა ხმალია,
წინამც საომრად შეგვყარა
ყვენის შვილის ჯარია¹

პატრიოტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ლექსად გამოთქმული ერეკლეს ანდერძი. ამ ანდერძში ერეკლე II ხალხს არიგებს, ურჩევს, გაუფრთხილდით ქალაქს, ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტრის ოინებს, მის მოძრაობას ადევნეთ თვალი, რომ მუხანათურად არ ჩაგცეთ დანა ზურგშიო. ერეკლე მოკრძალებულად თავის დამსახურებაზეც მიუთითებს. ერეკლეს ანდერძი გმირული პათოსითაა გამთბარი.

მანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯექ,
მივძრენ-მოვძრენი ზღვანიო,
ახლა კი თქვენ გამიწირეთ
ფხა-სისხლიანი ხმალიო.
შეინახიდით, შვილებო,
ქალაქის მოედანიო,
ერთმანეთს ნუ უღალატებთ,
მტერმ შემოგართოს თვალიო.²

*
* *

ქართული ხალხური პოეზიის ერთი ძირითადი მოტივთაგანია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გმირობა, მებრძოლთა საოცარი ამტანინანობის ჩვენება და სამშობლოსადმი ერთგულება და მისთვის თავდადება. ქართული ხალხური ისტორიული სიმღერები და თქმულება-გადმოცემები, აგრეთვე ზღაპრები და ანდაზები იქმნებოდნენ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ამბის გარშემო, გამოჩენილ, სახელგანთქმულ ვაჟაკათა გარშემო, რომლებიც თავს ისახელებდნენ ხოლმე სამშობლოსა და ხალხის წინაშე, შინაური და გარეშე მტრების მამაცური თავგანწირულებით განადგურებაში.

განუზომელია ადამიანის სიყვარული და ტრფიალება სამშობლოსადმი, ამდენადვე განსაკუთრებულია მისი თავგანწირვა, თავდადება და გმირული ენტუზიაზმი თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სწორედ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ, მისმა სახელოვანმა დროშამ გამოაწერთო ქართველი ხალხის გმირული თვისებანი: ვაჟაკობა, ქედუხრე-

¹ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1, გვ. 107, 1937 წ. თბილისი.

² იქვე, გვ. 105.

ლობა, მტრისადმი ბრძოლაში შეუდრეკლობა და უშიშრობა, საკუთარი სამშობლოს ხსენისა და გადარჩენისათვის სიცოცხლის არად მიჩნევა. ხალხური ნაწარმოების ყოველი სტროფი ამჟღავნებს ხალხის მზადყოფნას კარებზე მომდგარ მტერთა შესამუსრავად, ბრძოლის მაღალუნარიანობას, და ეს გმირული პათოსი ხალხურ პოეტურ ნაწარმოებებს შესძინა თვით ჩვენი ხალხის ვაჟკაცურმა განწყობილებამ. ამ შემთხვევაში, ფოლკლორს დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მგზნებარე პატრიოტიზმის აღზრდისა და გამოწრთობისათვის.

ქართული სარაინდო ნაწარმოებნი გმირულია. ხალხმა ამგვარი ნაწარმოებნი შეთხზა რეალურ ურთიერთობათა კარნახით და მათ ჰქონდათ, ესთეტიკური მნიშვნელობის გარდა, აღმზრდელითი მნიშვნელობაც. მის დიდებულ ტრადიციებზე გმირული და პატრიოტული სულისკვეთებით იზრდებოდნენ მომავალი თაობანი.

ქართული საგმირო ეპოსის ბრწყინვალე ნაწარმოებნი, როგორცაა „ამირანი“, „ტარიელი“, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, „როსტომი და ზურაბი“, „არსენას ლექსი“, „ხირჩლა და ალუდა“, სხვა ისტორიულ გმირებთან დაკავშირებული ხალხური პოეტური ნაწარმოებნი გმირობასა და პატრიოტულ სურათებს შეიცავენ.

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედაო“, რომ სთქვა პოეტმა რაფ. ერისთავმა, თითქოს იგი ხალხის გულის ძაფებზე შერხეული პატრიოტული სიმღერა-გადაძახილი იყო.

ხალხური პოეზია უხვად იყენებს სიმბოლიკას, როგორც პოეტური გამოსახულების ხერხს. მაგალითად, ხმლის შერხევა ომის წყურვილის გამოცხადებას ნიშნავს.

ბეთლემის კარზე ჰკიდია,
 ვოჟა ჯურხაის ხმალიო,
 მაუგლის ომის ხალისი,
 ხანდახან შასძრავს ქარიო¹.

ქართულ ხმალს როცა მოშივდება, მას აღარ შეუძლია ერთ აღგილზე ეგდოს დაეანგული, მტვერგადაყრილი. იგი კაცის გულივით აღელდება, აზრი აღდება და მტრის მკერდს ეძებს, რომ გაიფეროს და გაპოხიერდეს. ქართველი გმირი, რომელიც იბრძვის მოძალადის, გამჭირდავის წინააღმდეგ, — პატრიოტული სულისკვეთებით, ეროვნული სიამაყის გრძნობითა და მოვალეობის შეგნებითაა შთაგონებული გმირი არაფრად იჩნევს ტკივილს, სხეულზე მიყენებულ მძიმე ჭრილობას. მან კარგად იცის, რომ იგი ქვეყნის დიდების საქმეს უწირვბა. ამ მოსაზრების საუკეთესო ილუსტრაციაა სიმღერა აფრასიონ მერკვილაძეზე.

¹ საუნჯე, ტომი I, გვ. 374, თბილისი, 1936 წ.

აფრასიონ მერკვილაძეს
 თავი უკვდავი ეგონა,
 ოცი ტყვია მოახვედრეს,
 ფეტვის კაკალი ეგონა.
 სტრაუნიკები შემოერთყენ,
 კოლო-ბუხები ეგონა,
 რაზმელების შეძახება,
 ტბილი სიზმარი ეგონა,
 გულგანგმირული მოძმენი,
 დაძინებული ეგონა.
 გვერდს სისბლი გადმომდინარე,
 წითელი ვარდი ეგონა.
 ვეფხვივით დანავარდობდა,
 მტერი—ჩიტები ეგონა.
 ნათელი რომ დაუბნელდა.
 მას დაღამება ეგონა,
 მდულარე ცრემლებს ვაფრქვევით,
 ჟუჟუნა წვიმა ეგონა¹.

განსაკუთრებული სიყვარულით მოსაეს ადამიანი თავის სამშობლოს. სამშობლო მისთვის „დედის ძუძუა“. მასთან შეზრდილა, მის წიაღში გაფურჩქნულა ადამიანის აზრი, ფიქრი, გონება. მასთანაა დაკავშირებული წარსული, აწმყო, მწუხარება, სიხარული, სიტკბო და ვარამი. ადამიანს უყვარს თავისი სამშობლოს მინდორ-ველები, ყოველი ხე, ბუჩქი, ქვა...

ძველ ქართულ პატრიოტულ ლირიკაში სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარული, ბუნებრივია, დაკავშირებულია საბრძოლო მზადყოფნასთან. ხალხი გმირობასა და მამაცობას იმიტომ იჩენს როგორც შრომაში, ისე საბრძოლო ველზე მტრებთან შეჯახებაში, რომ ქვეყანა უზრუნველი, ბედნიერი და თავისუფალი იყოს. მტერი მუხანათია, იგი ეძებს გზებსა და ბილიკებს, რომ მალულად შემოძვრეს და ხალხს დაადგას კისერზე მონობის მძიმე უღელი. ამიტომ ქართველი ხალხის მობილიზებული მდგომარეობა მშვენივრად არის წარმოდგენილი ზეპირსიტყვაობაში. ხალხური მომღერალი თავის ლექსში ჯერ აღწერს სამშობლოს ლამაზ ბუნებას, მის რელიეფს, მწვანით შეფარულ გარემოს და შემდეგ აღნიშნავს, რომ მისი ქვეყანა მუდამ მზადაა მოსულ ურდოს გმირულად შეხვედეს.

ჩემო სამშობლოვ, მთა-გორო,
 მიდამოვ ველებიანო,
 ქვევით ხეებო, გარშემო
 სულ მუდმივ თოვლის წყლიანო,

გალმა-გამოღმა კლდეებო
 და იქვე ჯიხნო რქიანო,
 მაღალ გორაზე სამებავ,
 ირგვლივ ველებო ტყიანო,
 ქვევით სოფლებო ხევისავ,
 ველებო, მუდმივ ცვრიანო,
 იქვე ჩვენებურ მეცხვარევ,
 სულ მუდმის ქვეყნად მტრიანო,
 სალი კლდით გამოზრდილი ხარ,
 ორბო, შე მძლავო მხრიანო,
 მტრებისთვის მუდმის მზათა ხარ
 სიმაგრევ, სპილოს ძვლიანო¹.

მეტაფორაში—„სიმაგრევ სპილოს ძვლიანო“ ოსტატურადაა გამოთქმული ქვეყნის ძალა და უძლეველობა.

ლენინის ბრძნული აზრი: „პატრიოტიზმი არის ერთი ყველაზე უფრო ღრმა გრძნობათაგანი“² მტკიცდება აგრეთვე ხალხური შემოქმედების ნიმუშებითაც. ხალხური პოეზიის საუნჯეებში, სადაც ხალხის ფიქრი და აზრია გამოვლენილი, სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავგანწირვა, რელიეფური სიღრმითა და გაშლილი ფორმით არის წარმოდგენილი. ხალხს იმიტომაც უყვარს თავის სამშობლო, რომ მან სასახელო ფურცლები ჩასწერა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. სამშობლომ წარმოშვა შორეულ წარსულში სახელმწიფოს უშიშარი ფალანგები, რომლებმაც საქართველოს მოუპოვეს მაღალი სახელი და დიდება. სამშობლოს ნოყიერ ნიადაგზე აღიზარდნენ თავისი ქვეყნისათვის თავდადებული სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწენი, სარდლები, გმირები, სახელგანთქმული პოეტები. ის, რაც სამშობლოსთანაა დაკავშირებული, ყველაფერი ძვირფასი და სანუკვარია ადამიანისათვის.

1914 წელს ვ. ი. ლენინი თავის წერილში „ველიკორუსთა ნაციონალური სიამაყის შესახებ“ სწერდა:

„ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო. ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მისი მშრომელი მასები (ე. ი. ³/₁₀ მისი მოსახლეობისა) ავიყვანოთ დემოკრატიებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდის. ჩვენთვის ყველაზე უფრო მტკივნეულია დანახვა და გრძნობა იმისა, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და დაცინვას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათებისა, აზნაურებისა და კაპიტალისტებისაგან. ჩვენ ვამაყობთ იმით,

¹ საუნჯე, ტ. III, გვ. 119, 1936 წ. თბილისი,

² В. И. Ленин, ტ. XXIII, გვ. 290, 1930 წ. რუს. გამოც.

რომ ეს ძალადობა იწვევდა შეტევას ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშევი, დეკაბრისტები, რევოლუციონერი-რაზნოჩინეცები 70-იანი წლებისა, რომ ველიკორუსის მუშათა კლასმა 1905 წელში შექმნა მასების რევოლუციური პარტია, რომ ველიკორუსის გლებმა იმავე დროს დაიწყო დემოკრატად ქცევა, დაიწყო მღვდლისა და მემამულის ჩამოგდება.¹

სწორედ ამიტომ უყვარს სამშობლო ჩვენს ხალხს, უვლის, ეფერება და თავს სწირავს მისთვის ქალი, კაცი, ყრმა და მოხუცი. თოფ-იარაღით შეჯავშნულმა ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მრისხანე ხვეულებში დაიცვა თავისი ქვეყანა.

*
*

საქართველოს ისტორია იცნობს არა მარტო მტრის შემმუსვრელ მამაკაცებს, არამედ ქალებსაც, რომლებიც სამშობლოსათვის მძიმე დღეებში თოფ-იარაღში სხდებოდნენ, მამაკაცებთან ერთად თავგანწირვით იცავდნენ ქვეყნის თავისუფლებას.

ერთ ქართულ ლექსში ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გამოქცეულ ქმარს აღშფოთებული ცოლი შოთას აფორიზმის მაგვარი სიტყვებით შერისხავს:

მურთაზ, რად გამოქცეულხარ,
რად შეგვიცხვინე გვარიო?
სირცხვილიანის მოსვლასა,
სიკვდილ სჯობს ნამუსიანი.

ანდა მეორე ისტორიული ფაქტი: ჯაბალ-ხანი განიზრახავს კახეთის აოხრებას და ლერწამტანიანი ლამაზი რუსუდანის გატაცებას. ეს ამბავი პოეტიზირებული ასპექტითაა შემონახული ხალხურ პოეზიაში. ჯაბალ-ხანი კახელებს მუქარის წერილს შემოუთვლის:

სასმელად არ მეყოფისო
ალაზანი და მტკვარიო,
მოსაძობლად ბალახნი,
თრიალეთისა მთანიო,
ქალი მე მომეც რუსუდან,
ლამაზი, ლერწმის ტანიო.

სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული ქალი, ლამაზი და გმირი რუსუდანი, ჯაბალ-ხანის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ შურისძიებით აენტება, მამაცურად მოახტება მამის თეთრ-ყურა ცხენს და რაინდულად დაიმქუხარებს:

ან მიპატრონეთ, მამანო,
ან ქალ შემაბით ხმალიო,
არვინ გაზრდილა სათათრე
ბაგრატიონთა გვარიო.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ., XVIIIგვ. 81.

მტრის მორჩილებაში ყოფნას მას ურჩევნია „ფირუზის ტარიანი“
დანით გამოიჭრას ყელი.

მაგრამ მეორე შემთხვევაში, ლეკების ტყვეობაში ჩავარდნილი
ქართველი ქალი დამპყრობლებს უმკლავდება, ანადგურებს მცვე-
ლებს, თავს ინთავისუფლებს. თუში ქალი ამ ამბავს ასე გადმოგვ-
ცემს:

ავდექ სამს გამოვსჭერ ყელი,
ქალმა დავცადე თავიო,
გამოველ, გამოვეპარე,
შენაქოს ვავლე თვალიო,
ნუ მტირით, სწორნო ქალგბო,
მელირსა მიწა-წყალიო.

ჩვენი ისტორია სათუთად ინახავს თავდადებული გმირე-
ბის—მამაკაცებისა და ქალების ნათელ სახეებს. მათ ბრძოლას აცის-
კროვნებდა, აზრი „რომ გულწრფელად მოეხადათ ქართლის შვი-
ლებს მათი ვალი“ (აკაკი წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“).

ქალთა ბრწყინვალე პლეადას ეკუთვნის ნამდვილი გმირი, მა-
თე-მაია, ყაჩაღად წოდებული. ამ გმირ ქალს ხალხი უმღეროდა:

მათე-მაიას ჭირიმე,
იყავ ფალავან-გმირია,
უზნეო ბატონებისა
სიკვდიმდე დიდი ჭირია.

მათე-მაია ერეკლე მეორის თანამედროვე იყო¹. ფიზიკურად
ძლიერმა და ზნეობრივად მაღალმა ქართველმა ქალმა, მათე-მაიამ,
ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინა. იგი, ხალხური პოეზიის წარმოდგე-
ნით, არის დიდბუნებოვანი ადამიანი, ჩაგრულთა შემწე და გულთა-
მხილველი, სამშობლოს უდიდესი პატრიოტი. მათე-მაია ადრე და-
ობლებულა, ცხოვრების სიმძიმისათვის ვერ გაუძლია, ბატონყმობის
უღელქვეშ სულშეწუხებულს გადაუწყვეტია ყაჩაღად გასვლით ეშ-
ველა თავისათვის. ჩაიცვა მამის ჩოხა-ახალოხი, შემოირტყა ქამარ-
ხანჯალი და თბილისში მეფე ერეკლესთან გამოცხადებულა. „მე ვარ ერ-
თი ობოლი ვაჟი—არც მშობლები მყავს, არც ბატონ-პატრონი, გეახე-
ლით, მეფევ, თქვენს წინაშე იმისათვის, რომ ყმად ამიყვანოთ. მინ-
და ერთგულად გემსახუროთ. მინდა თქვენი ბრძანებით დავიცვა
ქერივ-ოხერი, ობოლ-ქალი. ჩემი სახელია მათე“.

მეფემ მათე-მაია ჩარიცხა რჩეულ რაზმში. აქედან იწყება მისი
გმირობის ისტორია. მალე მოიხვეჭა ქართლ-კახეთის გმირის სახე-

¹ ვსარგებლობთ ი. კვინიხიძის ხელნაწერი შრომით: „ქართველ-
თა უდიდესი ბრძოლები დამპყრობთა წინააღმდეგ“.

მეფე ერეკლე შემთხვევით ეწვია სოფელს, რომელშიც ხანში შესული მათე-მაია ცხოვრობდა, მეფე დიდის ამბით მიიღეს. გაცილებაში შეიარაღებული მათე-მაიაც ლეზულობდა მონაწილეობას.

უეცრივ გზაზე ერეკლეს მტრები დახვდნენ. მათემ აქაც იჩინა თავი. ჯერ თოფი გაისროლა, შემდეგ ხმალდახმალ მიედევნა მტერს. სხვებიც ასე მოიქცნენ. თავდამსხმელნი გაიფანტნენ, ნაწილი გაფლეთილ იქნა. ამან დიდად გააოცა მეფე. მადლობის გადახდის უმაღლესი ჰკითხა: ძმობილო, ვინა ხარ ეგეთი გმირიო? მათემ უპასუხა: „მეფეო, მე გახლავარ მეფისაგან დევნილი მათე; თქვენ, დიდებულო, მოსაკლავად დამდევდით და აი ეხლა, თქვენს ხელთა ვარ. გნებავთ მომკალოთ, გნებავთ სიცოცხლე მაჩუქეთ. დიდი ხანია მინდოდა მენახეთ თქვენ პირისპირ. ვეძებდი შემთხვევას და მომეცა კიდევ საშუალება მეთქვა თქვენთვის ჩემი გულისპასუხი“.

მათემ უამბო, რომ ყაჩაღად იძულებით გავიდა, და, რომ იგი დედაკაცია, სახელად მაია, წყნეთიდან.

ერეკლე განცვიფრებულა დარჩა. აპატია მას ყოველივე. ამის შემდეგ მაიას დიდხანს აღარ უტოცხლია. სპარსელებთან ერთ-ერთ ბრძოლაში, უკვე ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი, ტყვედ ვარდება, მაია გზიდან გამოიპარება, მაგრამ სამშობლომდე ვერ აღწევს, მღევრები დაეწევიან და ერევნის ახლოს ხელჩართულ ბრძოლაში გმირულად კვდება.

ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

შარახედ იწვა უძრავად ხანჯლით დაჭრილი ქალია,
მომძეთა ნახვას ნატრობდა თბილელი გმირი მაია.
ბედმა უმტყუნა საბრალოს, არ აუსრულდა წადილი,
ერევნის ბოლოს დიაცსა მობადეს ლეჩაქ-მანდილი.

მათე-მაიას ბიოგრაფია გადმოცემულია ლექსში, რომელიც ხალხს შეუთხზავს. ამ ლექსში ამბავი პირველი პირითაა მოთხრობილი.

ქართლიდან გამოვეპარე ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგძლათა შიში და ცრემლის ღვარაო.
თრიალეთის ხევ-ღნარებში შევინახევი თავიო.
იქ ერეკლე ამობრძანდა, შევკადრე სიტყვა-აიო...
ბატონო მეფევე, რა მიყავ, რად მიქენ ესე ავიო?
ომი მოგვიხდა თათრებთან, სულ გაწყდნენ წყნეთელებიო,
აღარა დარჩნენ გმირები, ატირდნენ კლდე და მთებიო.
მე ტყვეთა მიპყრეს, შემბოჭეს, სპარსეთში ვიხსენ თავიო,
მაგრამ ერევნის ბოლოსა დავკარგე თავი, ვაიო.

აქ მშვენივრად, მოკლედ და სქემატურად არის გადმოცემული ერთი სახელგანთქმული ქართველი გმირი ქალის ბრძოლა და სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული მოღვაწეობა.

სახელოვან, გმირ ქალთა ბრწყინვალე პლეადას ეკუთვნიან ისტორიაში ცნობილი და უჩინარი ქალები. ცნობილია ქალთა გმირული სახეები, ასახული მრავალ ნაწარმოებში. ასეთ ქალებზეა გადმონაცემები, როგორიცაა „გმირი დედაბერი“, რომელმაც 1755 წელს თავი ისახელა ავარიის ხანის, ხუნძახის ბატონის ნურსალბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში მჭადის-ჯვრის ციხე-გალავანთან. გმირმა დედაბერმა მეციხოვნეთა საბრძოლო სულისკვეთება ასწია, პირდაპირი დამიხნებით განგმირა რა მტრის ურდოთა წინამძღოლი. ესეც არ იკმარა. ფარულად შეიჭრა მტრის ზურგში, დასწვა სამი საფარი, მაგრამ მღევრები დაეწივნენ და ხმლით აკუწეს. პატრიოტმა ქალმა სამშობლოს შესწირა სიცოცხლე.* ცნობილია აგრეთვე ამბავი ერეკლე მეფისა და ინგილო ქალის შესახებ, თეიმურაზ მეფისა და გლეხის ქალის ამბავი. ქართველმა გლეხის ქალმა მეფეს მიართვა ცხრა ბავშვი აკვანში ჩაკრული — ვსწირავ სამშობლოს დაცვის საქმესო. ამავე რიცხვს ეკვთენის თამარ ვაშლივანელიც, რომელმაც სახელი გაითქვა თათარ-ლეკთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც ერეკლემ თამარს აჩუქა ლურჯა ცხენი თავისი აკაზმულობით.

* * *

ქართველთა გმირობა, პირუტყვობა, საკუთარი მამულისადმი სიყვარული, — აი რა ძირითადი მოტივებია მხატვრულად გააზრებული ქართულ გმირულ შაირებში. ესენი ჩვენი ხალხის გმირული აფორიზმები, სენტენციები და შეგონებანია, რომლებშიც განსაკუთრებული პოეტური ძალითაა დახასიათებული პატრიოტული გრძობა, სილაჩრის გამობა, სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლა.

ამავე დროს ამ პოეტურ ფრაგმენტებში მოცემულია შესანიშნავი შედარებანი. ეს ალეგორიული შედარებანი გამსჭვალული არიან სიმედგრის, მამაცობის, შორსმჭვრეტელობისა და ქედუხრელობის იდეებით.

ამ გმირული აფორიზმების ძირითადი იდეაა — განსაზღვროს, თუ ვის უნდა ეწოდოს ვაჟკაცი, როგორია მისი თვისებები, რა თავგადასავლის გადატანის შემდეგ გახდება იგი ღირსი ატაროს გმირის მარადუქნობი გვირგვინი.

ყველა, ვინც ომში ჩამბულია, ვაჟკაცად ვერ ჩაითვლება. მას უნდა ახასიათებდეს თვალსაჩინო უპირატესობანი სხვა მებრძოლთან შედარებით. თვით შედარება — მეტაფორები: გული რკინისა, მუხლები — მგლისა, მხედველობა — ქორისა მშვენივრად ახასიათებს გმირის მაღალ ბუნებას.

აი, შეგონებანი ვაჟკაცის იდეალური სახის გამოსახატავად.

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო.
თვალნი ქორებულ მხედველნი,
მუხლები შავარდნისაო.

მამულის სიყვარულით აღფრთოვანებული რაინდი თავისი ხალხის უდიდესი მოტრფიალეა. „ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თვისი ერია, არ შეფრთხეს, თუნდა ბუზივით, ეხვიოს თავზე მტერია“. ვაჟკაცის ხმალი ორლესული, ფხიანი, რკინის გამკვეთი უნდა იყოს, ვაჟკაცის მკლავი სასწაულმოქმედი, ფოლადისა უნდა იყოს. ცარიელი კვებნა გმირობაზე, არაა მამულიშვილის თვისება. სიტყვა და საქმე ერთიანი, განუყოფელი აქვს პატრიოტს.

ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფელ შეწება თავისა,
უნდა მას ხმალი უჭრიდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.
ვაჟკაცსა ქალაჩუნასა
ქალი სჯობია თმიანი,
მტერსა ვერ უხამს მტრობასა,
მმას-მმობას ვაგლახიანი,
გონჯად იქცევა ყველასთან
თაე-ცხვირ-პირ ტალახიანი¹

აღსანიშნავია ერთი მომენტიც, კერძოდ, შექმებულია რა თავდადებული რაინდი, იქვე აღნიშნულია ქართველი დედის დამსახურება, კეთილშობილური გრძნობები დედისა, რომელმაც სასახელო შვილი მისცა სამშობლოს.

მე ვიცი შევარდნი ხარ,
მაგრამ რომელი ბუდისა?
ნეტაე რა დედამ გაგზარდა
ეგრე ფოლადი გულისა?²

ძველს ხალხურ პოეზიაში გმირი დედა და მისი სახელოვანი შვილი მრავალნაირი ეპიტეტითაა შემკობილი. დედა სარაინდო სიმღერებით ზრდიდა თავის პირმშოს, შვილმა იგი შეისისხლხორცა და გახდა მტერთა მშუსრავი, „ქვეყნის ორგულთა დამსჯელი“, მისი სისხლისმსმელი.

¹ ს. გორგაძე, ჩვენი ხალხური პოეზია, გვ. 25, თბილისი, 1920 წ.

² იქვე, გვ. 25.

ნეტ რა დედამ გაგზარდა
 ეგეთი მშვენიერიო,
 ზრდილი, ქველგმირი, მამაცი,
 ბრძენი და გონიერიო.
 გიხდება ბრტყელი მხარ-ბეჭი
 წვრილი, წერწეტი წელიო,
 ტურფა სახეზე თვალწარბი,
 შავი ულვაში, წვერიო.
 მოძმისთვის თავის გაწირვა,
 საჭირნახულო დღენიო,
 იარაღ-ჩაკიპულობა,
 ცქვიტი, მფრინავი ცხენიო.
 გული ამაცი, ფოლადი,
 მკლავი მტრებისა მსვრელიო,
 ქვეყნის ორგულთა დამსჯელო,
 ხარ მათი სისხლისსმელიო.
 ნეტა რა დედამ გაგზარდა,
 ეგეთი მშვენიერიო?
 მოყვარე ღმერთმა გიცოცხლოს,
 და გაგიწყვიტოს მტერიო.

ეს არის კალმით დახატული ქართველი რაინდის, ნამდვილი
 ეროვნული გმირის, გიორგი სააკაძის მაგვარი ვაჟკაცის თვისებების
 დახასიათება. ასეთი სასიქადულო რაინდი მტერთან შერკინებაში ლო-
 მია, უტეხი, მარდი და სწორუპოვარია. ასეთმა ადამიანმა კარგად
 იცის ხალხური სენტენციის რისხვა იმის შესახებ, რომ მშიშარა და
 ლაჩარი „მშობელი დედის მგმობია. თავლაფდასხმულსა სიცოცხ-
 ლეს სიკვდილი არა სჯობია?“. ასეთს გმირს შეუძლია გაიმეოროს
 მთის ხალხის სიამაყით აღსავსე სიტყვები:

სწორებში სირცხვილიანი
 არვინაა ჩვენს მთაზედა¹.

ხალხურ პოეზიაში მძლავრად ისმის ძალთა შეერთების, გაერ-
 თიანების, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მხარბეჭთა დაძმო-
 ბილები იმედიანი შეძახილები. ძმა-ძმას კი არ უნდა გაუჩნდეს
 მოშურნედ, არამედ საერთო ძალით მტერი უნდა განადგურდეს.

ბიჭნო, ყველასგან დევნილო,
 ძმა-ძმას რად უწევთ მტრობასა?
 ისა სჯობს მხარი-მხარს მივსევთ,
 უფრო შეშვენის ძმობასა.

ანდა:

¹ კ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება I, გვ. 43, 1937 წ.

მოდით, თუმნო და ფშაველნო,
ლაშქარი შავაზიაროთ,
ჩვენ ერთმანეთს ნურას ვერჩით,
ცხო მტერი დავაზიანოთ¹.

აი პატრიოტული მოწოდება, რომელიც ქართველი ხალხის გულში საბრძოლო განწყობილებას აგიზგიზებდა, რაც ვერაგ მტერზე გამარჯვების საწინდარი იყო.

მრავალი სურათია აღწერილი ფოლკლორში იმისა, თუ როგორ ესხმოდნენ გარეშე მოძალადენი საქართველოს, როგორ ისხამენ აბჯრებს, ქამარ-ხანჯალს ქართველნი, როგორ ჯდებიან საჭურველში, ეკვეთებიან მტრებს და სამარცხვინოდ ამარცხებენ. ხალხური პოეტები ხშირად მდგომარეობას ისე ხატავენ, რომ მტრის ძალები გაცილებით აღემატებიან დამხვედურ ქართველებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი პატრიოტული ცეცხლითა და გმირობის წყურვილით ანთებულნი, სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულნი სძლევენ მტრებს, რომლებიც გარბიან ან გულმოკლული ლაჩრულად დასტირიან თავიანთ სავალალო მდგომარეობას.

საქართველოს გმირი ხალხი სასახელოდ ამარცხებდა მტრებს.

ყვენი რომ წამოვიდა,
ქვეით ჯარსა დაუძახა.
აჰსწივა ავლაბრის ზიდსა,
ფიცხლავ წყალში ჩაუძახა:
ჩაყარა რკინის უღელი,
გაჰკრა, რუსეთს გაუძახა.
წყალი და ღვარი ადიდდა,
ღელეები ღვარმა დაბრა,
ასი-ორასი თათარი
ერთ ღელეში ჩაიმარხა.²

საინტერესოა ისტორიულ თემაზე შექმნილი ლექსი „სეფის ომი“. აქ აღწერილია ოსმალთა შემოსევა საქართველოზე. ისინი გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე დამხვედრნი. ოსმალები მოვიდნენ ჩვენი ხალხის დასამონებლად.

პირველ ამბავი მოვიდა:
ოსმალი მოდის მტერათა,
მართველმა ჯარი შაყარა,
ჯარი შაყარა ძველათა...
... გათენებამ მოატანა
და ცისკარი ამოვიდა,
ათი ათასი ოსმალი
ას კაცზედა წამოვიდა.³

¹ ძველი საქართველო, ტ. III, განყ. 2, გვ. 197. 1913 წ.

² პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 72, თბილისი,

კუთარ მიწა-წყალსაც იცავდნენ. ამგვარი გმირების შესახებ ჩვენი ხალხი ამბობდა: „ცხენსა შეჯდება ქარსა ჰგავს, დაუქვეითებს მგელია.“ ამ პოეტურ მეტაფორებში გამტკიცებულია აზრი—სისწრაფე, ძალა და სიმაგრე. საქვეყნოდ სადიდებელი ვაყები მტრისათვის რისხვას წარმოადგენდნენ. ამ გმირთა-გმირებს ქალიშვილები შესტროფოდნენ და სიმღერებად უგალობდნენ:

თუშის ქალმა სთქვა: შევირთავ
ბასრი ხმლის ამომღებელსა,
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა,
სახელის შინ მომტანელსა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან რუსეთს წასული მეომრები სასტიკად უსწორდებოდნენ რუსთა ქვეყნის ასაოხრებლად და დასამონებლად ამხედრებულ მტრებს. ისტორიულ წყაროებში, სამხედრო ქრონიკებსა და მემუარებში დაცულია საინტერესო ცნობები იმ ქართველ მებრძოლთა შესახებ, რომლებიც რუსეთის არმიასთან ერთად თავგანწირულად უტევდნენ და სდევნიდნენ ნაპოლეონის დამპყრობ ჯარისკაცებს 1812 წლის სამამულო ომის დროს.

აგრეთვე რუსეთის თვალუწვდენ ველებზე ქართველ მეომართა ბრძოლის შესახებ ხალხურ ნაწარმოებთა პოეტური ფრაგმენტები და ეპიზოდური ნაწყვეტებია დარჩენილი, რომელთა წყალობითაც შეგვიძლია აღვადგინოთ სრული სურათი მათი გმირობისა, მამულიშვილობისა და უანგარო მამაცობის ირგვლივ.

სამშობლოს მრისხანებისა, განსაცდელისა და უბედურების ეამს ქართველი რაინდები გვერდით ამოუდგებოდნენ ხოლმე ერთმორწმუნე რუს ხალხს, ორღესილ ხმალსა, წაწვეტილ შუბს ოსტატურად იყენებდნენ ფიცხელ ბრძოლაში, აგუგუნებდნენ ზარბაზნებს, ამსხერვედნენ მტრის წინააღმდეგობას, სწმენდნენ ქვეყანას მტარვალთაგან.

ამ მხრივ ყურადღების ღირსია ორი ხალხური ლექსი და რამდენიმე გმირული ფრაგმენტი. ისინი მოთავსებულია „ძველი საქართველოს“ II ტომში, რომელსაც სცემდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება (თბილისი, 1913 წელი, ე. თაყაიშვილის რედაქციით).

ერთი ლექსის სათაურია „თუშები რუსთა ლაშქრობაში“, ხოლო მეორე ლექსი, რომელსაც სათაური არა აქვს, მთლიანად მოაქვს ცნობილ ქართველ პოეტს ვაჟა-ფშაველას თავის სახელგანთქმულ წერილში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“.

ორივე ფოლკლორული ძეგლი გაქვნილია გმირობის სულით, გვიჩვენებს უცხო ველებსა და ზღვებზე ქართველ მეომართა ბრძოლის უნარიანობას, პატრიოტულ თავგანწირვას, სასახელო საქმისათვის მდგარი სულისკვეთებით სიცოცხლის არად მიჩნევას.

„თუშები რუსთა ლაშქრობაში“ მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია. იგი არა მარტო მხატვრული მოთხრობაა რუსთა ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ, არამედ მკვეთრად აღვივებს მასებში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას, გმირულ ენტუზიაზმს.

ლექსი ამავე დროს კონკრეტულად ასახელებს მამაც თუშთა გვარებსა და სახელებს, ასახავს მათს გმირობას და საბრძოლო დამსახურებას.

ლექსში დასახელებულია შემდეგი თუში მოლაშქრენი: ფიდაურიძე, ბაბო დიდოიძე, გიო მარხვაიძე, დავით კვესაიძე, პეტრე ფილაურიძე და კვესაიძე.¹ როგორც ლექსი გადმოგვცემს, ეს ვეფხეები გმირულად იბრძოდნენ რუს ჯარისკაცთა გვერდით და ანადგურებდნენ დამპყრობ ურდოებს.

თუშ გმირებს ლექსის ავტორი ქება-დიდების შარავანდედით ჰმოსავს. ლექსის მთქმელი მამაცობისა, სისწრაფისა და უძლეველობის მეტაფორებით ამკობს მებრძოლთა თვისებებს. ავტორის თქმით, ბაბო დიდოიძე არწივის ჯიშისაა, გიო მარხვაიძე—მალალი მთის მიმინოა, დავით კვესაიძე—თავისი ხალხის ერთგული ადამიანია, ხოლო ფიდაურიძემ „ხმალ შაირტყ მამ-პაპისა“.

ხალხური სარაინდო პოეზიისათვის დამახასიათებელი სტილითაა გამართული მთელი ნაწარმოები და ეს რელიეფურად სჩანს ეპიტეტებსა და მეტაფორებშიც, რომლებიც გმირთა დახასიათებას ეხებიან:

აღელდა ფიდაურიძე,
 ხმალ შაირტყ მამ-პაპისაო;
 ბაბოსა დიდოიძესა
 ჯიშ მოხდევს არწივისაო;
 გიოი მარხვაიძეი—
 მიმინო მალლის მთისაო;
 დავითი კვესაიძეი—
 ერთგული თვის ხალხისაო.

ეს ვაჟკაცი შეემზადნენ ბრძოლისათვის. ეს ის დროა, როცა „შეყარეს რუსის სალდათი, ხმა მოდის ჩექმებისაო, თან დაჰყვა ტყვია-წამალი პოვოსკებ-ზარბაზნისო“.

¹ კვესაიძის სახელი უცნობია. გ. ბ.

მებრძოლნი მიიყვანეს იქ, სადაც სასტიკი ბრძოლა და სისხლის ღვრაა, „ქუხილ დგა ზარბაზნისაო“. მათ ამ შეტაკებაში წარბიც არ შეუხრიათ. ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმული გიო მარხვადე და ბაბო დიდოძე მტერს გმირულად შეხვედრიან.

ბაბო და გიო ომობენ,
თოფის გამოდის ჩქამიო,
რა იქნა კვესაიძეი?
წკება გამოდის ხმლისაო;
თათარ და დავით შებმულან
ადგილსა ბუსურზნისაო.

მებრძოლები კარგად იცნობენ დავით კვესაიძეს. იციან, რომ იგი მამაცი მებრძოლია. მოწინააღმდეგე მას ვერაფერს აენებს. კვესაიძის გმირობით აღტყინებული თანამებრძოლები ყიჟინას დასცემენ: „თათარო, დავითს ვერ მოჰკლავ, არწივსა თუშეთისაო“.

ამ ომში გმირულად ილუპება მამაცი პეტრე ფიდაურიძე. ამხანაგები მძიმე წუხილს მოუტაცვთ, გულდაწყვეტილნი ამბობენ:

თოფი დაგვიკრეს პეტრესა,
ფიდაურიძის შვილსაო.

3. ფიდაურიძე დანანებით ამბობს, რომ მას არ დასცალდა გმირულად ეომნა, ეელიტა მტრის ჯარისკაცები. როგორც თვითონ ამბობს, მას ეწადა ომში სახელის მოპოვება, მაგრამ არ დასცალდა. სიკვდილის ეამს იგი ეთხოვება მებრძოლ ამხანაგებს:

მშვიდობით, ამხანაგებო,
სულეთს ვარ წამავალიო.
არ დამცალდ, ომი მეწადა,
ტყვიამა მიყო ძალიო.
მსახური გამომაყოლეთ,
მოვატანინო წყალიო...

უკანასკნელ ორ სტრიქონში დაცულია მთიელთა უძველესი რწმენა: მტრის ხელით მკვდარს საიქიოს („სულეთს“) ესაჭიროება მსახური—წყლის მომტანი, უამისოდ მკვდრის სული იტანჯება. მსახური უნდა იყოს მკვლელთა ბანაკიდან, ან მის თანამოძმეთაგან. აქედან წარმოიშვა ადათი—სისხლის ძიება, სისხლის აღება.

თუში რაინდები გამარჯვებული დაბრუნდნენ სამშობლოში, საქართველოში. მათ ისახელეს თავი, დაეხმარნენ რუს თანამოძმეებს. კვესაიძემ, როგორც ლექსის ავტორი იუწყება, ვაჟაკურად შეამსხვრია ხმალი რუსთა ქვეყნის მოსისხლეებს. მეომრებს, სახელოვნად ომგადახდილებს, სამშობლოში მოუვიდათ ჯილდოები მამაკობისათვის.

აი ზოგიერთი მათგანი, რიგითი მებრძოლები, უჩინარი ადამიანები, ხალხისა და სამშობლოს ერთგული პატრიოტები.

მარტიავ, მამსურის შვილო,
 ხმალს როდის მოგიშივდებო...
 ომჩი შახოლ და გამოხოლ,
 გული არ შაგიშინდება,
 სისხლისა ნაგუბარზედა
 ფეხი არ აგიცურდება.
 ... ფირანა ოტიაშვილი
 ხაჯარივითა ხტისაო,
 თოფი ჰკიდია სიათა,
 მუკით წამალსა ჰყრისაო...

ფირანა ოტიაშვილი კავკასიონის არწივთა ნაბუდრიდანაა აფრენილი. იგი უშიშარი და გაბედულია. ხალხმა მას ათქმევინა თავისი გულის საწადელი, როცა განაცხადა:

... თათრებო, ჩამომეცალეთ
 ამაღამ ჩალიანსა,
 არზრუმამდის ასე მოგდევ,
 როგორც ქორი ვარიასა,
 ცხენ-ჯორ დაგატოვებებ,
 ძუა-ფაფარ ლალიასა.

ანდა:

პაკაცის თოფი გავარდა,
 ხმა ჰქონდა ხარბახნისაო.

აი ნათელი და ტრადიციული პოეტიკით შემკობილი ლექსი:

ელუმო თალუმიშვილო,
 ვეფხვი ხარ, ვეფხვის კანჯარი,
 მარჯვენა ხელიც შეგრჩება
 ზურაბს შენ დაეც ხანჯარი.

გმირის ხმალს ქარქაშში რა გააჩერებს. ლურჯა ცხენი ლაგამს კვენეტს, ქშინავს, მიწას ტორავს, ვერ ისვენებს. მისი პატრონი მტრის შესამუსრად ემზადება.

აი ამ აზრის პოეტურ-ისტორიული ილუსტრაცია:

კახეთში კოზმანაშვილო,
 შენი ხმა თუშეთს ამოდის,
 გაგიმაგრებავ კონდოლი,
 ჯარი ველარსით შემოდის,
 ეგ ჩვენი ცხენი ლურჯაი
 თელავში მალ-მალ შემოდის.
 ეგ ჩვენი ხმალი ფრანგული
 ქარქაშში ლალად ამოდის.

ომარ-ხანის შემოსევის დროსაც ბრწყინვალედ ისახელეს თავი ქართველმა მეომრებმა. ქართველები სამშობლო მიწის სიყვარულის დიადი დროშით უტევენდნენ მოძალებულ დამარბველებს.

მოიცადე, ომარ-ხანო,
მალე გაცვლევინებ პირსა.
... ხარბახნები დაუშინეს,
ლურჯათ თოფის ტყვია წვიმსა.
(ჩვენი) გრიგოლ ჯანდიერი
მონატები არის კლდისა.
ისე შედის ცხარე ომში,
როგორც რძალი მეზობლისას.
ჯომანთასა თავი მოსჭრა,
ვითა კიტრი მებაღისა,
მისგან ნახოცი ლეკნიცა
პანტასავით ჩამოდისა.

ასე ფართოდ, ოსტატურად, ნათელი პოეტური საღებავებით აისახა ძველს ქართულ ხალხურ პოეზიაში გმირობისა და პატრიოტიზმის მოტივები. ხალხმა თავის პოეტურ საუნჯეებში შეაქო, ადიდა, დიდების შარაფანდედით შემოსა ამ გმირთა სახელები. ქართველთა სიმამაცით აღფრთოვანებული პოეტი გრიგოლ ორბელიანი მშვენიერად ამბობდა:

გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება.
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
კაბუჯი ხმალსა მისწვდება...

~~~~~





ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო  
 კალინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942 წ.  
 Труды Кутаисского Государственного  
 Педагогического Института имени  
 А. Цулукидзе, т. IV, 1942 г.

მ. მახათაძე

სამხედრო ხელოვნება „ვეფხის ტყაოსანში“

„ვეფხის ტყაოსანი“ იმ დროს წარმოიშვა, როცა დასავლეთის ხალხები დაქსაქსული იყვნენ საფეოდალო ერთეულებად, ხოლო ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა ძლიერს, გაერთიანებულ მონარქიულ სახელმწიფოს, რომლის სათავეშიც თვითმპყრობელი მეფენი იდგნენ. ეს არის ძირითადი იმ პირობათაგან, რომლებიც განსაზღვრავენ მე-12—მე-13 საუკ. ფეოდალური დასავლეთისა და ქართული სამხედრო ხელოვნების კოლოსალურ განსხვავებას.

მართლაც, ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივ დაქუცმაცების პირობებში არც მასშტაბით და მსხვერპლთა რაოდენობით, არც არმიის ორგანიზაციის და საბრძოლო წყობის დარგში, არც ტაქტიკის, სტრატეგიის და ბრძოლის წარმოების ხაზით ფეოდალური დასავლეთის ომები სამხედრო ხელოვნებაში მნიშვნელოვანს არაფერს წარმოადგენენ და ახალს არაფერს ქმნიან<sup>1</sup>.

სრულებით სხვაგვარია ქართული სინამდვილე.

გაერთიანების შემდეგ, როდესაც მთელს წინააზიაში უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, მონგოლთა შემოსევამდე ჩვენი ქვეყნის სათავეში ისეთი სახელმწიფო მოღვაწენი და სამხედრო გენიოსები იდგნენ, როგორიც ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, დავით სოსლანი. მათ დროშას მიჰყვებოდნენ ახალციხელები, მხარგრძელები, თმოგველები და სხვ. გამოჩენილი სარდლები. არა მარტო სამხედრო, არამედ ქვეყნის ყველა წოდება და კლასი თამარის ეპოქისა დაუფლებული იყო სამხედრო საქმეს. სხვას არც ეკლესია ჩამორჩებოდა: შამქორის ომის დასასრულს, მემატიანის მოწმობით, „შემოიქცა მეფე წინა და

<sup>1</sup> Ф. Энгельс, „Избранные Военные Произведения“, т. I, Москва, 1936 г., ст. 163-164. Проф. Е. Разин, „История Военного искусства“, ч. 2-я, ст. 62.



ბევა ოლთისისა და ბანისა; მესხთა და თორელთა—კარისა და აშორნისა; ამირ-სპასალარსა და სომხითართა—მტკუარს აქეთ ვიდრე განძამდის; თვით ხასაგიანთა ლიხთ-იმერთა და ქართველთა—განძაის დამართებით მტკურის პირი იმიერ და ამიერ ხლათამცის; ჰერთა და კახთა—ალაზნის შესართავით ვიდრე შირვანამდის. იქმნა ესევეითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა სახე არაოდეს ვის ეხილა“ (იქვე, გვ. 65, 382—83). გიორგი III-ის მიერ გადახდილ ლაშქრობათა ძირითად ტაქტიკურ პრინციპს და ტემპს იგივე მემატიანე ბიბლიური ელია წინასწარმეტყველის ელვის ეტლით გატაცების სისწრაფეს ადარებს და ამბობს, რომ იგი იყო „მსგავსი ვეფხისა მის ფრთოვანისა, წამსა შინა მლაშქრველი“ (გვ. 65, 383).

ასეთ გარემოში წარმოიშვა „ვეფხის ტყაოსანი“. იგი მე-12—მე-13 საუკ. ქართული ცხოვრების ენციკლოპედიაა. ამიტომ არის, რომ რუსთაველის სამხედრო ხელოვნება ესოდენ მალლა დგას საშულო საუკუნეთა და ფეოდალური დასავლეთის სამხედრო ხელოვნების დონეზე.

დღეს, როდესაც პირსისხლიანი ფაშისტური გერმანია და მისი სამხედრო მანქანა ვანადგურებით ემუქრება ჩვენს ქვეყანას, ხოლო მონობის ბორკილებით—მთელს კაცობრიობას, ჩვენ დიდი პასუხისმგებლობით ვაქვეყნებთ ამ ნარკვევს. ერთგვარად იგი ნათელს ჰფენს საბჭოთა კავშირის ხალხთა სამხედრო ხელოვნების შემოქმედებით პოტენციას, რაც, თავის მხრით, ერთ-ერთი საწინდარია ჩვენი აუცილებელი გამარჯვებისა სამამულო ომში. მეორე მხრით, ვიმედოვნებთ, რომ იგი ხელს შეუწყობს რუსთაველის სამხედრო ხელოვნების შესწავლისადმი ინტერესის ზრდას, რაც შესაძლებლობას ხსნის რუსთაველოლოგიის მთელი რიგი ძირითადი პრობლემები გადაჭრილ იქნას ახალი თვალსაზრისით.

\*  
\*  
\*

„ვეფხის ტყაოსანში“ გარდა ცალკეულ გმირთა შეტაკებებისა ამა თუ იმ ხასიათის ჯგუფებთან (ტარიელისა—როსტევეანის მონებთან და ხატაელ ძმებთან, ავთანდილისა—ზღვის მეკობრეებთან) და მცირე მასშტაბის ომისა (ფრიდონის პირველი შეტაკება ბიძა-ბიძაშვილებთან), სამი დიდი ბრძოლა გვხვდება: ინდო-ხატაელთა, ფრიდონის სამშობლოს გამაერთიანებელი და ქაჯეთის ბრძოლები. სამივე მათგანი სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში ხდება, სხვადასხვა მათში მონაწილე ძალთა თანაფარდება, სახეობა, ტექნიკური საშუალებანი (შეიარაღება) და მათთან დაკავშირებით—სტრატეგია და ტაქტიკაც.



ამგვარად, ინდო-ხატაელთა ომს წინ უძლოდა მეტად მწვავე დიპლომატიური მიწერ-მოწერა, რომლის შემდეგაც აუცილებელი გახდა ომი ორ მეზობელ ქვეყანას შორის.

ტარიელმა გასცა ბრძანება ლაშქრის შეკრების შესახებ და დაგზავნა სათანადო უფლებებით აღჭურვილი მარხაპანები (402). შეიკრიბა დიდძალი ლაშქარი:

იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია...

ერთობ ლაშქრითა აიესო მინდორი, კლდე, კაპანია (402).

ამრიგად, ხატაეთზე გალაშქრების წინ გამოცხადებულ იქნა ინდოეთის მოსახლეობის მობილიზაცია, თორემ ინდოეთს ჰყავს მუდმივი არმიაც, რომლის ყოველდღიურ სამწყობრო გაწვრთნა-მომზადებას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. აქი ტარიელი ერთგან შენიშნავს: სვედისა და ავადმყოფობის გამოო,

ველარ ვუჭვრეტდი ლაშქართა, მინდორს თამაშად მავალთა (361).

ნესტანის საქორწილო ზეიმზეაც გამოწვეულ იქნა ინდოეთის მუდმივი ჯარის ნაწილები:

შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ მოდგეს ზვარაზმელნი,

მათ ლაშქართა, ერთგან მყოფთა, ვერ იტევდეს ვერცა ხმელნი (550).

სამხედრო ხელოვნების ისტორიამ იცის, რომ ბერძნები არიან რეგულარული ქვეითი და ცხენოსანი ჯარების პირველი შემქმნელები (Проф. Е. Разин, „История Военного Искусства, 1940 г., Москва, ст. 60). მათვე შემოიღეს ჯარის სამხედრო გაწვრთნა-მომზადება, ხოლო სპარტაში „საბრძოლო მზადყოფნის შესამოწმებლად პერიოდულად ეწყობოდა სამხედრო შემოწმებანი... სამხედრო შემოწმებანი თავდებოდა ხოლმე შეჯიბრებებით“ (იქვე).

გალაშქრების წინ „აღლუმი ვნახეო“ (403), გვიამბობს სარდალი. იგი კმაყოფილი დარჩა თავისი ჯარის დისციპლინით, მოკაზმულობით, სიჩაუქით, ტაიქთა სიმალით და საომარი იარაღის მაღალი ხარისხით. ტარიელი განაგრძობს:

ავმართე დროჲა მეფისა, აღმითა წითელ-შავითა (404)...

დილასა შევჯე, ვუბრძანე: „ჰქარით ბუქსა და ნობასა“ (420).

ტარიელმა გადალახა ინდო-ხატაელთა საზღვარი და გადავიდა მტრის ტერიტორიაზე.

როგორც კლასიკური დასავლეთის და ძველი აღმოსავლეთის, ისე ახალი ქვეყნების ისტორიას კარგად ახსოვს დიდ, უზარმაზარ არმიების მიერ გაუფალ გზებითა და დაბრკოლებებით სავსე უდიდეს მანძილთა გადალახვა, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მოსაზრებით. გავიხსენოთ, მაგალითად, ბერძენ-





რამაზმა გაახშირა ღესპანების გზა, რამაც საბედისწერო შედეგი მოუტანა მას: ერთ-ერთმა მოციქულმა ტარიელს აცნობა:

რომე ცუდად არ მოლორდე, ისი კაცი გლალატობენ;

შენს გასანადგურებლად რამაზს სხვადასხვა ადგილას დამალული ჰყავს 130000 მეომარი; აქედანვე,

აწვე თავსა არ ვწვევი, ფათერაკსა შეგასწრობენ(434).

მეფე ცოტად მოგეგებვის, ვის მკვრეტნი ვერ გლევიან...

კვამლსა შეიქმენ, ლაშქარნი ყოველგნით მოგებვევიან,<sup>1</sup>

რა ერთსა გცემდენ ათასნი, ვგრეცა მოგერევიან(435).

ტარიელმა ცნობა დამალა, როგორც კორი. ვითარების შესაფერისად კი მთავარ სარეზერვო ძალებს აცნობა, წამოდითო:

შეესთვალე: „ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია“(437).

მიუახლოვდნენ რამაზის მთავარ ბანაკს და დადგა მძიმე განსაცდელის ჟამი.

მაშინ კუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დაფუსახე(439),

და ტარიელმა მოწოდებით მიმართა, თავის მოწინავე მხედრობას (440).

მოწინააღმდეგეს კი შესანიშნავი საომარი გეგმა შეუდგენია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მან განიზრახა ტარიელის მცირერიცხოვანი რაზმით შეტყუება. მისი ჯარის რაოდენობა კი 130000 კაცით განისაზღვრება, რომლის დიდი შენაერთები საიდუმლოდ არის განლაგებული ტაქტიკური თვალსაზრისით ხელსაყრელ პუნქტებში:

ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ,

კვლა სხვაგან გითქს სამი ბევრი (434),—

აცნობეს ტარიელს.

ასეთ მანევრის ჩანასახს ვხედავთ ბერძენ-სპარსელთა ომებშიც, ხოლო კლასიკურ და ბრწყინვალე მაგალითს—ჰანიბალის მიერ 217წ. ჩ. წ-დე ტრაზიმენის ტბასთან რომაელების წინააღმდეგ გადახდილ ბრძოლაში, რომლის შემდეგაც ეს მანევრი დღემდე ინარჩუნებს უდიდეს მნიშვნელობას სამხედრო ხელოვნებაში.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო მაინც მტრის ტაქტიკური ხერხია, რომლითაც იგი ცდილობს ინდოეთის არმიის ავანგარდის და მთავარსარდლის მოსპობას: „ლაშქარნი ყოველგნით მოგებვევიან“(435),—გადასცა მოამბემ ტარიელს. როგორც ვხედავთ, მტერი აპირებს იმავ ჰანიბალის მიერ 216 წ. ჩ. წ-დე ქ. კანთან დადგენილ

<sup>1</sup> აკადემიური გამოცემით: „კვამლსა შეიქმენ ლაშქარნი, ყოველგნით მოგებვევიან“, რაც სწორი არ არის, რადგან აქ ნათქვამია, რომ ხატაელნი ბრძოლის დაწყების ნიშანს მისცემენ კვამლით, ხოლო ლაშქარი ყოველგნით მოგებვევაო.

შესანიშნავ ტაქტიკურ პრინციპის გამოყენებას: ფიქრობს ტერიტორიულად, ტაქტიკურად გარემოიკვას ტარიელი და მიიტანოს მასზე იერიში ყოველმხრივ და მოულოდნელად.

მცირე დიპლომატიური მოლაპარაკებების შემდეგ მტერი იძულებული გახდა მიეღო ბრძოლა. მან აუშვა სასიგნალო კვამლი, გამოიყვანა ჩასაფრებული ჯარების დიდი შენაერთები, რომლებიც დაყოფილია მრავალკეც რაზმებად და ორი მხრიდან დაიძრა ტარიელის წინააღმდეგ:

კვამლი შექმნეს ლაშაქრთათვის, დამალული გაამჟღავნეს ;  
 სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავენს,  
 შექმნეს რაზმი მრავალკეცი,

მაგრამ ტარიელს ვერა აენეს რა: „თუცა, ღმერთო, ვერა მაენეს (444)“, — შენიშნავს ტარიელი, რადგან

მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად (445).

ეს ნიშნავს, რომ ხატაელთა დისციპლინიზირებულ დიდძალ ჯარს აკლდა მოქნილობა, ხოლო სარდლებს — სწრაფი ორიენტირების უნარი. ტარიელმა კი დაუყონებლივ ისარგებლა მათ მიერ დაშვებულ შეცდომით და შეტევაზე თვითონ გადავიდა, მაგრამ შეტევა დაიწყო არა ფლანგების, არამედ მთავარი ძალების წინააღმდეგ:

მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან სად უფროსი ჯარი დგესა (446), — აღნიშნავს იგი და მისი თავგანწირვა, მონდომება და გმირობაც ადამიანურის საზღვრებს ცილდება და ზღაპრულ ელფერს ატარებს:

შიგან არსე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვათა ქორი,  
 კაცი კაცსა შემოგტყორნე, ცხენ-კაცისა დაედგი გორი;  
 კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,  
 ერთობ სრულად ამოვსწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი (447).

მტერი ერთგული რჩება მის მიერ არჩეულ კანის, ტერიტორიულ გარემოცვის პრინციპისა და ბრძოლის მსვლელობისას განახორციელებს კიდევ მას. ტარიელი აღნიშნავს:

ერთობილნი მომეხვიენეს, მრგვლივ შეიქნა ომი დიდი (448).

ამრიგად ტარიელი გარემოცული აღმოჩნდა მტრის მიერ. უნდა ვიფიქროთ, რომ რამაზის ჯარები, რომელთაც „თავნი ორგნით აქარავენს“, ე. ი. რომლებიც ორი, ალბად, მოპირდაპირე მხრიდან დაიძრენ ტარიელისაკენ, ახერხებენ „მრავალკეც რაზმების“ სათანადო ფლანგებად გაშლას. სწორედ ამის გამო მოექცა ინდოგეთის არმიის ავანგარდი მტრის რკალში.

მაგრამ ტარიელი ტყუილა არ აღნიშნავს, „წავე დიდითა სწრაფითა-ო“ (44). მან იერიში დიდი სისწრაფით და ენერგიით აწარმოა. ასე რომ შმაგადაც კი ჩათვალეს:

ახლოს მივე, შემომხედეს, შმაგიაო, ესა თქვესა (446).

ეს სისწრაფე და ფიცხელი შეტევა ტარიელის ტაქტიკის ძირითადი მომენტია. მისი ბრწყინვალე ნიმუში სამხედრო ხელოვნების ისტორიას პირველად იულიოს კეისარმა უჩვენა 48 წ. ჩ. წ—ღვთსალიაში ვარსალთან პომპეუსის წინააღმდეგ ბრძოლაში (იქვე, გვ. 137). ეს სისწრაფე დამახასიათებელია იულიოს კეისრის მიერ ჩატარებულ ყველა სამხედრო ოპერაციის და შემდეგი დროის გამაჩინილი სარდლები არაერთხელ მიმართავდნენ ხოლმე მას.

სწრაფმა, ფიცხელმა და არაზანტმა შეტევამ გასჭრა. თუ ბრძოლის დაწყებისას რამაზის ჯარი „წყნარად დგეს და აუშლელად“, ე. ი. დისციპლინირებულად, პირველივე შეტაკების შემდეგ მასში თავი იჩინა სრულმა დეზორგანიზაციამ. ტარიელი გვიამბობს:

სითაც ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი (448).

მალე მტერი წავიდა სამარცხვინო კაპიტულაციამზე:

სალამო ჟამ დაიხანა ქედით მათმან დარაჯამან:

„ნულარა სდგათ, წადითო, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან:

მოვა მტერი საწინელი, შეგვაწინა ამაღ ამან,

ნუთუ სრულად ამოგწყვიდნეს უთვალავმან, ბევრმან სპამან“ (449)!

ამრიგად, დამარცხებულმა მტერმა ფრონტი მოხსნა.

მაგრამ მოსალოდნელია მან ძალა მოიკრიბოს და თავისი რიგები შეავსოს და აღადგინოს, რასაც შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგი. ვის არ ახსოვს ნაპოლეონის დამარცხება ვატერლოოსთან, რაშიაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ნაპოლეონის მიერ დამარცხებულმა და უკუგდებულმა, მაგრამ არა ბოლომდე განადგურებულმა ბლუხერის არმიამ. ჯერ კიდევ ბერძენმა ევპამინონდმა ნათელყო, და თვით დღევანდელი ტაქტიკაც აღიარებს, რომ „გადამწყვეტი იერიში უმთავრესი მიმართულებით, რომელიც მთავრდება კვალდაკვალ განუწყვეტელი დევნით, დასრულდება მოწინააღმდეგის ძალების და საშუალებათა მოსპობით“ (იქვე გვ. 86).

განავითარა რა ბერძნული სამხედრო ხელოვნების პრინციპები, ალექსანდრე მაკედონელმა ნათელყო მეორე დიდი პრინციპი, რომლის მიხედვითაც „ცხენოსანი ნაწილების შეტევა უნდა დაწყებულ იქნას ყოველთვის, როცა მოწინააღმდეგე მზად არ არის ორგანიზებულ წინააღმდეგობისათვის, როცა მისი თავდაცვის სისტემა დარღვეულია“ (იქვე).

ამავე პრინციპებს იცავს ტარიელიც. მან გაფანტა და დაშალა რა მტრის რიგები, რამაზიც დაატყვევა:

რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავებრმდენით (451).





ფრიდონს და მის ბიძა-ძეთ ურთიერთშორის სამამულო დაფა აქვთ კუნძულისათვის, რომელიც გაყოფისას პაპამ ფრიდონს არგუნა. მაგრამ ნათესავეებმა არ იცნეს ფრიდონის უფლებები კუნძულზე და განახორციელეს სადაო ტერიტორიის ოკუპაცია, ან არ დასცალეს, არ გაიყვანეს მისგან გაყოფისას იქ მდგარი თავისი ჯარის ნაწილები: „თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა“ (601) კუნძულიო, უამბობს ფრიდონი ტარიელს. თავის მხრივ არც ფრიდონი ცნობს ბიძა-ძეთა რაიმე უფლებებს კუნძულზე: „არ მივსცემდი, მომერჩოდეს“ (601), — აღნიშნავს იგი. ასეთი პოლიტიკური ხასიათის წინამძღვრები დაედო საფუძვლად ფრიდონის შეტაკებას ბიძა-ბიძაშვილებთან, რასაც მოჰყვა ფრიდონის სამშობლოს გაერთიანება.

ერთხელ ფრიდონი გამოვიდა სანადიროდ ზღვის პირზე, იქვე დატოვა მხლებელი სპა და თვით მხოლოდ ხუთი ბაზიერის თანხლებით დაედევნა ქორებს (602). მან ნავით გადაჭრა სრუტე და გადავიდა სადაო კუნძულზე ისე, რომ ანგარიშიც არ გაუწია მტრის სანაპირო დამცველ რაზმებს, მესაზღვრეებს, ანუ, „გამყოფთ“:

არ ამოვკრეფდი გამყოფთა, ვთქვი, ჩემთა რად დაეჭრიდო, და (603)

მაგრამ მოძალადეთა მესაზღვრეებმა იწყინეს ეს დემარში:

მართლად იჯაერეს, წუნობა მათი თუ ესე ხმდა ვითა (604).

და მოხერხებული რევანშით უპასუხეს. ფრიდონი გვიამბობს:

გამომპარნეს ლაშქარნი, გზანი შემიკრნეს ნავითა.

ამრიგად, სარდალი მოწყვეტილი აღმოჩნდა ლაშქარს, რითაც ისარგებლა მოწინააღმდეგემ:

თვით ბიძა-ძენი ჩემნიცა შესხდეს მათითა თავითა,

ჩემთა გაუხდეს ლაშქართა ომად მათითა მკლავითა (604).

როცა ფრიდონმა ეს დაინახა, მან, როგორც ჰგავს, გაარღვია მტრის წინააღმდეგობა, ჩაჯდა ნავში და გაემართა მტრისაკენ: „ნავი ვსთხოვე მენავეთა... ზღვასა შევე-ო“ (605), — გადმოგვცემს იგი. მტრის საზღვაო ძალებმა მას აქაც გზა გადაუჭრეს: „მომეგება მეომარი, ვითა ღელვა“ (605), — გვიამბობს გმირი. მოწინააღმდეგეს სურდა დაეღუპა ფრიდონი, სანამ იგი შეუერთდებოდა თავის რაზმს, მაგრამ ეს ვერ მოახერხა:

სწადდა, მაგრა ველარა ქმნეს ჩემი ზედა წამოჭელვა (605), —

ამბობს ფრიდონი და ცოტა ქვემოთ იმეორებს: „ერთგნით ვერ მომერეოდეს-ო“ (606). მაშინ მოწინააღმდეგემ გამოიყენა თავისი რიცხვობრივი უპირატესობა და ფრიდონისკენ ზურგის მიმართულებით დასძრა ახალი ძალები:

კვლა სხვანი დიდნი ლაშქარნი უკანა მომეწეოდეს (606), —



გვიამბობს იგი. ამრიგად, ფრიდონი მარწუხში მოექცა, რასაც თვითვე აღნიშნავს ხაზგასმით: „იქით და აქით მომიხდეს-ო“ (606). მტერმა ვერ გაბედა პირისპირი, ხელჩართული შეტაკება. ფრიდონი აცხადებს:

არ მომწუროვოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე ოდეს (606).—

მტერი, რომელმაც მნიშვნელოვანი ტაქტიკური უპირატესობა მოიპოვა, ორმხრივ აწვებოდა ფრიდონს და მარწუხის პირს თანდათან ავიწროებდა. ბოლოს და ბოლოს საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა, რადგან, ალბად, შორიდან დაშენილ ისრებით ფრიდონს ვერაფერი დააკლეს. ფრიდონი თავს გაშმაგებით იცავდა, მაგრამ მას ისარი დაეღია, ხმალი გაუტყდა (606) და მხლებელნიც დაუხოცეს (607). ბოლოს თვითონაც დაიჭრა. მას უკვე ტყვედ ჩავარდნის საფრთხე ელოდა, მაგრამ იხსნა მისმა შესანიშნავმა მერანმა (607).

ეს თავისი მასშტაბით მინიატურული, ხოლო წარმოების ხერხებით და მეთოდებით შესანიშნავი საზღვაო ბრძოლა ადასტურებს, რომ ტარიელს ისევე, როგორც ხატაეთსა და ქაჯეთში, სერიოზულ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან აქვს საქმე, თორემ მთავარი ბრძოლა, რომელიც ამის შემდეგ გაიმართა და რომელშიაც ფრიდონის მხარეს ტარიელი სარდლობდა, ისე დამთავრდა, რომ ამ უკანასკნელმა მოწინააღმდეგეს შესაძლებლობაც არ მისცა გამოემჟღავნებინა და გამოეყენებინა თავისი სამხედრო უპირატესობანი.

მართლაც, როდესაც ბიძაშვილებთან შეტაკებაში დაჭრილი ფრიდონი გამოკეთდა, მან და ტარიელმა გადაწყვიტეს რევანში და მოემზადნენ საომრად, რის შესახებაც ტარიელი გვიამბობს:

დავკაზმეთ ნავი, კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა (613).

გაილაშქრეს. მოწინააღმდეგეც დიდი მასშტაბის საზღვაო ბრძოლისთვის შემზადებულია. ტარიელი აცხადებს:

ნავი წინა მომეგება, არა ვიცი იყო თუ რვა (614).

ამრიგად, ამ საზღვაო ომში ძალთა შეფარდება დისპროპორციულია მტრის სასარგებლოდ, მაგრამ ტარიელმა მაინც გაიმარჯვა. რატომ?

თუმცა ტარიელი დიდი ფიზიკური ძილის მქონე გმირია, მაგრამ რუსთაველი, მხატვარი-რეალისტი, არ დაუშვებს ისეთ ჰიპერბოლას, რომ ტარიელმა მთელი ხომალდები ქუსლით დალეწოს, ან ხელით ააყიროს და ზღვაში დანთქას. მართალია, ამ ომშიაც ტარიელმა გამოიჩინა დიდი სამხედრო ტალანტი, გამბედაობა და სწრაფი ორიენტირების უნარი, რაც მუდამ იყო, არის და იქნება

ყოველი მებრძოლის დამამშვენებელი თვისება და სამხედრო ხელოვნებაში — ერთერთი გადამწყვეტი ფაქტორი, მაგრამ ომის ბედი აქ სხვა გარემოებებმაც განსაზღვრეს.

ტარიელმა ორი საბრძოლო ერთეული გაიყვანა ზღვაზე, მაგრამ აქედან ერთი კატარლა იყო, ანუ შეიარაღებული საბრძოლო ხომალდი. ტარიელის მოწმობა: „ქუსლი ვჰკარ“ (614), „მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა“ (615) და დავლუპე მტრის ხომალდებო, უნდა გულისხმობდეს რალაც ნავსამსხვრევ და ნავამწვევ, ნავგამანადგურებელ მანქანა-დანადგარების არსებობას კატარლაზე. ამგვარ ნავსამსხვრევი დანადგარების სრულ დახასიათებას რუსთაველი გვაძლევს ავთანდილის ზღვის პირატებთან, მეკობრეებთან ბრძოლის სურათში:

გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა,  
მას ნავსა ნავთა საღეწლად სახნისი ჰგია ძელითა (1037).

როდესაც მეკობრეები მიუახლოვდნენ ავთანდილის ნავს,  
აძვრეს ძელი, რომელსა ზედა სახნისი ჰგებოდა (1042).

ასეთ ყოველმხრივ აღწერას ტარიელის ხომალდებისას, მართალია, რუსთაველი არ გვაძლევს, მაგრამ სამაგიეროდ გვეუბნება, რომ ტარიელმა „დაჰკაზმა კატარლა“. მოწინააღმდეგეს კი მხოლოდ ნავები (ჩვეულებრივი სამგზავრო ხომალდები) ჰქონდა, თუმცა მათი რიცხვი ბევრად ჰარბობდა ტარიელის საბრძოლო ერთეულთა რიცხვს. ამგვარად, კატარლამ, უეჭველია, დიდი როლი შეასრულა ამ საზღვაო ომში.

რა თქმა უნდა, არც მხოლოდ კატარლას შეეძლო გადაეჭრა საკითხი ტარიელის სასარგებლოდ.

ამ ბრძოლაში მტერმა დაუშვა ტაქტიკური შეცდომა. მან ვერ ისარგებლა თავისი რიცხვობრივი უპირატესობით და ტარიელისკენ წამოვიდა სწორი ხაზით ერთი მეორის შემდეგ, ე. წ. კილვატერით, უსისტემოდ შეჯგუფული, ან გაფანტული სახით, რასაც ექვიმუტანელად ადასტურებს ტარიელის მოწმობა:

ნავი წინა მომეგება, არა ვიცი იყო თუ რვა (614).

მტერი რომ გაშლილი სწორი ხაზით (ფრონტალურად), ნამგლისებურად (ნახევარწრედ), ან ირიბულად (პელენგით) წამოსულიყო, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა ტარიელის ხომალდები სწრაფად გარემოეცვა, და განეხორციელებინა ეს გარემოცვა, სარდალი ამას უსათუოდ საგანგებოდ აღნიშნავდა, როგორც უკვე აღნიშნა ხატაელთა ასეთი ტაქტიკის შესახებ სახმელეთო ომში (448). მტერმა ვერც „თავნი ორგნით აქარავნა“, ან „იქით და აქით მოუხდა“ ტარიელს, როგორც ეს განახორციელა ფრიდონთან პირველ შეტა-



სრული ვანადგურებით დამთავრდა: „მათნი ლაშქარნი გაგვექცეს...  
გაცაფჳანტენით... წაუღეთ ქალაქი“ (618),

ფრიდონ ნახნა საჭურჭლენი და ბეჭედნი მისნი დასხნა,  
თვით ორნივე ბიძა-ძენი დაპყრობილნი წამოასხნა (619).

მაგრამ როგორ? ე. ი., რა ტაქტიკური ხერხით იქნა წარმოებულ-  
ლი ბრძოლა და რა იარაღით იქნა გადაწყვეტილი მთელი ამოცანა?  
რუსთაველი ყოველთვის გვიჩვენებს იმ ტაქტიკურ ხერხებს,  
რომელთა მეშვეობითაც აწარმოებენ ბრძოლას მოწინააღმდეგეები.  
ეს ხერხები ყოველთვის სხვადასხვაა, თუმცა თვით ტარიელის  
ტაქტიკას ახასიათებს ძირითადი საერთო პრინციპი, რომელსაც  
სარდალს ჰკარნახობს საკუთარი ძალების სტრატეგიული ვითარება:  
იგი თითქმის ყოველთვის მცირერიცხოვანი რაზმით იბრძვის მრავალ-  
რიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. ძალთა ასეთი შეფარდებით და-  
იწყოს ბრძოლა თვით ხატაეთშიაც კი, თუმცა იქ ტარიელს დიდი  
არმია ახლდა. ამიტომ მისი ძირითადი ტაქტიკური ხერხია არახან-  
ტი, სწრაფი და ფიცხელი შეტევა. ეს ტაქტიკური ხერხი გა-  
მოიყენა ტარიელმა საზღვაო ომშიც, და ასევე მოიქცა იგი, როცა  
ბრძოლა ხმელეთზე გადაიტანა:

მათნი ლაშქარნი გაგვექცეს; ვეცენით, გაცაფჳანტენით.

ფიცხლად წაუღეთ ქალაქი, არ თავნი გავახანტენით (618).

ახლა—რა იარაღით იქნა გადაწყვეტილი ეს ბრძოლა.

რუსთაველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჯარის ტექ-  
ნიკურ შეიარაღებას, რადგან პოეტმა იცის, რა როლს ასრულებს  
იარაღი ბრძოლაში. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ომის ტაქტიკა და  
სტრატეგია დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სა-  
ხის იარაღით და ტექნიკური საშუალებებით წარმოებს ბრძოლა,  
და რომ იარაღის შეცვლა და გაუმჯობესება იწვევს სტრატეგიის  
და ტაქტიკის პროგრესულ ცვლებადობას.

აღარ ჩამოვთვლით იარაღებს, ან მათი დამხმარე ნაწი-  
ლების სახელებს, რომელთაც ვხვდებით პოემაში. აღვნიშნავთ მხო-  
ლოდ, რომ იქ არა გვხვდება არც ცეცხლმსროლელი იარაღი—თო-  
ფი, დამბაჩა, ზარბაზანი, ან სხვ., არც სახმელეთო ომში სახმარი  
რაიმე რთული სახის ცივი სასროლო მანქანა, მანქანა-იარაღი, ან  
სხვა მანქანა-დანადგარი, საომარი ეტლები, მეომარი სპილოები  
და სხვ., რასაც ძველი ქვეყნები იყენებდნენ ხოლმე ბრძოლაში ველ-  
ზე, ციხის ალყის დროს, ან ალყის გასარღვევად და მოსაგერიებლად.

პოემის გმირები მხოლოდ მარტივი სახის ცივ ნაჭედ იარაღს  
იცილობენ და მითვე აწარმოებენ გიგანტურ ბრძოლებსა და ომებს.





ქვითა დაჰვლენეთ წვივები, ჩვენ იგი გავანატენით (618).

ერთი შეხედვით აქ გარკვევით არ არის ნათქვამი, ვისი წვივები დალენეს ქვით მებრძოლებმა, რადგან ცხენები მოხსენებულია ნაცვალსახელით „იგი“. მაგრამ ამ სტროფის პირველ ორ ტაეშში ლაპარაკია იმაზე, თუ რა ტაქტიკური ხერხით იქნა აღებული ქალაქი. ეს არის სწრაფი, ფიცხელი, არახანტი შეტევა. მესამეში კი ავტორი გვაცნობს იმ საშუალებას, რომლითაც დამარცხებულ იქნა მტრის ცხენოსანი ნაწილები მანამდე, სანამ ისინი მოახერხებდნენ ტარიელ-ფრიდონის ქვეით ნაწილებისთვის შემოტევას და მათთან უთანასწორო ხელჩართულ ბრძოლის გამართვას: ჩვენ ქვით დავლენეთ (ცხენთა) წვივები, ისინი ნატებად ვაქციეთო. „ნატი“ ქვეშაგებად დამუშავებულ ცხოველის ტყავს ეწოდება. შეად., მაგ.:

მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები,

მაზედა დაჯდა იგი ყმა (267)...

მეტაფორულადაც არ შეიძლება ადამიანის გადაქცევა ქვეშაგებ ტყავად. ამასთანავე, ამხედრებულ მეომართა წვივების ქვით დალენვა შეუძლებელია: გასროლილი ქვა ან ცხენებს მოხვდება, ან მეომრების ზედატანს.

ამგვარად დაამარცხა ტარიელ-ფრიდონის სადესანტო ქვეითმა ჯარებმა მტრის ცხენოსანი ნაწილები<sup>1</sup>.

გადავიდეთ ქაჯეთის ბრძოლაზე. მოწინააღმდეგე ძალები აქ ერთმანეთს ხვდებიან არა გაშლილ ველზე, ან ზღვზე: ძმადნაფიცებმა უნდა აიღონ მიუვალ კლდეზე აღმართული ციხე-სიმაგრე.

<sup>1</sup> თვით რუსთაველის დროს „რიჩარდ ლომ-გულს თავს დაესხა დაახლოებით 7000 მამულუკი და ქურთი, მაშინ, როცა... მას ჰყავდა 55 რაინდი, რომელთაგან მხოლოდ 15 იყო ცხენოსანი, 2000 კი ქვეითი ისრისმტყორცნელი, გენჯისა და პიზის ფლოტელები. მან შექმნა შუბოსანთა ხაზი, რომლებმაც დაიჩოქეს ცალ მუხლზე და დაუშინეს შუბები (მოწინააღმდეგეთა) ცხენებს მკერდში. მათ უკან დადგნენ ისრისმტყორცნელები, რომელთაც ებრძანათ დაეშინათ (ისარი) განუწყვეტლად... ამრიგად, ისრები ცვივოდა სეტყვისებურად... მოძრავ ცხენებიდან გამოგზავნილ ისრებით (ქურთ-მამულუკებმა) ვერაფერს მიაღწიეს, თვით კი განიცადეს დიდი დანაკლისი... ასე ბრძოლა გაგრძელდა... ბოლოს თურქებმა. დატოვეს რა ბრძოლის ველზე 700 კაცი და 1500 ცხენი, დაიხიეს, მაშინ, როცა ჯვაროსნებმა დაკარგეს მხოლოდ 2 კაცი“ (ჰანს დელბრუკი, „სამხ. ხელ. ისტ.“, რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1938 წ. ტ. III, გვ. 299). ეყრდნობა რა ომანს, ასე აგვიწერს სამხედრო ხელოვნების გერმანელი ისტორიკოსი ჰანს დელბრუკი 1192 წ. ქ. იფასთან მომხდარ ბრძოლას, და თან დაუსაბუთებლად ეჭვს გამოთქვამს ამ ფაქტების სინამდვილისადმი. მაგრამ დელბრუკი უარყოფს მთელ რუსულ სამხედრო ხელოვნებასაც, თუმცა სწორედ ეს რუსული სამხედრო ხელოვნებაა, რომელმაც გააჭანტა და მტერად აქცია ჰანს დელბრუკის ქვეყნის და მისი ჯარების ყბადალებული „უძღველობის“ მითი. ასევე, იმავე 1192 თუ 93 წ. ქართველების წინააღმდეგ ქ. ბარდავში „წარმოდგეს ბანსა ზედა და შუკთა შინა ისრის მსროლელნი და ქვის მტყორცნელნი“ („ისტ. და აზმ.“, გვ. 98; ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ისტ.“, წ. 2 გვ. 599)-



ალექსანდრე მაკედონელმა უჩვენა, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა ორივე სახის დაზვერვას. ასევე, იულიოს „კეისრის კამპანიის გეგმა ყოველთვის გამოდიოდა რეალურ ვითარებიდან. ამისათვის თავის პირველ ამოცანად კეისარი აუცილებელ ცნობების შეგროვებას სახავდა“ (Е. Разин, ч. I-я, ст. 183).

პოემაშიც აეთანდლის თხოვნით ფატმანმა ნესტანს მისწერა:

ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოვგზავნეთ თქვენსა წინა,

ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, მოსრულანცა ქაჯნი შინა?

მანდაურთა მემოართა ანგარიში წვრილად გვინა,

ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინა.

რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამჟღავნე (1273-4).

სხვათაშორის, ინდო-ხატაელთა და ფრიდონის სამშობლოს გაერთიანებისათვის გადახდილ ბრძოლებში ტარიელს არც დაუყენებია, არც გადაუჭრია მოწინააღმდეგის ტაქტიკურ და სტრატეგიულ დაზვერვის ამოცანა. ადვილად შესაძლოა, ტარიელს რომ რამაზ მეფის მოციქული არ დახმარებოდა, რომელიც თავისი სურვილით გამოცხადდა ინდოეთის სარდლობის მთავარ ბანაკში, მთელი ხატაელთა კამპანია ტარიელის დამარცხებით დამთავრებულიყო. ტარიელი არ უარყოფს გამბედაობის ერთგვარ მნიშვნელობას ბრძოლაში. როდესაც ხატაელმა აცნობა, რამაზი 130000-ანი არმიით გელოდებოდა ჩასაფრებულო, მან განაცხადა:

რაცა იქმნების, იქმნების, ყოველი თათბირი სწორია (437),—

და 300 კაცით დაიძრა 130000-ან ჩასაფრებულ არმიის წინააღმდეგ. ამრიგად, ტარიელი ფიქრობს, რომ ომში გადამწყვეტი ბრძოლის ველია და იქ განხორციელებული ნაბიჯები. აეთანდლის აზრით კი გამარჯვების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოწინააღმდეგის ძალთა შესწავლა. გამოდის, რომ აეთანდელში სჭარობს სტრატეგი, ტარიელში—ტაქტიკოსი.

დავუბრუნდეთ ქაჯეთის ბრძოლის გაანალიზირებას. ნესტანმა შესანიშნავად გაიგო თავისი ამოცანა:

აჟ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები,

ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯელ ათასი გმირები (1286);

ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე,

მაგრა სპანი უთვალავნი მცვენ (1287)...

სწერდა იგი ფატმანს. ტარიელს კი აცნობებდა:

ციხეს ვზი ეხომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,

გზა გვირავითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,

დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან (1300).

მაგრამ ნესტიანის აზრით, სრულიად ზედმეტია ქაჯეთის ალე-  
ბაზე ფიქრიც კი:

რასა ჰქვიან ძებნა ჩემი, არ ეგების, დაიჯერე (1287).





ავთანდილმა სიხარულით გადასცა ეს ცნობა ფრიდონს (1320), ხოლო ეს უკანასკნელი გმირებს აფრთხილებს: ვისწრაფოთ, ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, თორემ

თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა-ო (1386).

აქედან ჩანს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ რუსთაველის გმირები სარდალს, სარდლობას, რითაც ისინი სამხედრო თეორეტიკოსთა რიგებში დგებიან.

ამ კოლექტიურ განცხადებით კი პოემის გმირები გვაცნობენ თავის შეხედულებას სამხედრო საქმეზე, როგორც სამხედრო ხელოვნებაზე. მათ კარგად იციან, რომ მასების კონგლომერატთა უბრალო, პირდაპირი შეტაკებისას მოსალოდნელია უკუქცეული და დამარცხებული აღმოჩნდეს სწორედ მცირერიცხოვანი მხარე, და აღიარებენ:

რა ერთსა გვემდენ ათასნი, ვგრეცა მოგერვეიან (435).

მათ საუკეთესოდ ესმით, რომ „კამეჩის სტრატეგია“ პირდაპირ, ჯიქურ დაწოლისა, ან „შუბლის ცემა“ მტრის სიმაგრეზე სამხედრო ხელოვნება არ არის<sup>1</sup>, რომ ამა თუ იმ ომის წარმოებისას აუცილებელია „გამორჩევა“, ე. ი. ომის და ბრძოლის წარმოება კონკრეტულ საოპერაციო გეგმის მიხედვით, ისეთი სტრატეგიით და ტაქტიკით, რომელიც მოცემულ გეოგრაფიულ გარემოში, ტოპოგრაფიულ ვითარებაში, ძალთა თანაფარდებაში, ე. ს., მოცემულ საბრძოლო პირობებში უზრუნველყოფს ნამდვილ გამარჯვებას.

ფრიდონი თავის მიერ ერთხელვე აღიარებულ გეგმას იცავს: მას სურს ქაჯეთის ტექნიკას, საიდუმლოებებს და გრძნეულებათ დაუპირისპიროს თავისი მუშაითობა (ჯამბაზობა). მან შემოიტანა წინადადება გაეჭიმათ გრძელი საბელი ციხეზე. ფრიდონი გაივიღდა ზედ მთელი საბრძოლო შეკაზმულობით, ჩახტებოდა ციხეში, გაალებდა კარებს და წარმატებაც გმირების მხარეზე იქნებოდა (1393-96).

ავთანდილი არ იზიარებს ფრიდონის გეგმას. ქაჯებს უკეთესი ტექნიკა აქვთ: მოსალოდნელია მტერმა გადაჭრას საბელი, რაც ფრიდონის აუცილებელ დაღუპვას გამოიწვევს და მთელ კამპანიას ჩაშლის. იგი ფიქრობს, რომ ქაჯეთის ტექნიკა და საიდუმლოებები უნდა დაძლეულ იქნას მოტყუების გზით. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ ავთანდილი ვაჭრულად ჩაცმული შეიპარება ციხეში და ერთი ჯორით შეიტანს საჭურველს (1397-1401).

ცნობილია, რომ თათბირზე მიღებულ იქნა ტარიელის გეგმა.

სამხედრო ხელოვნებაში უშესანიშნავესი იერიში ციხეზე, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სამხედრო გენიის კონცენტრირება და შემოქმედებითი შედეგები შედეგები, — ეს არის ქაჯეთის ეპოპეა. იგი შვევერვალა ტარიელის სამხედრო მოღვაწეობაში. მართალია, ინდო-ბატაელთა ომში ტარიელმა მტრის 130000-ანი არმია გაანადგურა, მაგრამ როგორი მაღალი კლასისაც არ უნდა იყოს ამ ომში ტარიელის ტაქტიკა და ოპერატიული ხელოვნება, ბრძოლის ბედი საბოლოოდ მაინც იმ გარემოებამ გადაჭრა, რომ მასში ჩაბმულ იქნა ინ-

<sup>1</sup> ასეთი იყო, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, გერმანული სარდლობის — ლუდენდორფის და ჰინდენბურგის — „ტაქტიკა“ პირველ მსოფლიო ომში.

დოელთა უზარმაზარი ცოცხალი სამხედრო ძალა (402). პოემის მეორე დიდ ომში საზღვაო ბრძოლის ბედი არა მარტო ტარიელის ტაქტიკამ, ან მტრის ტაქტიკურმა შეცთომამ გადაჭრა, არამედ მასში დიდი როლი შეასრულა კატარამაც, თუმცა მტრის საბრძოლო ერთეულთა რაოდენობა მკვეთრად ჭარბობდა ტარიელისას. ასევე რიცხვობრივად არათანაბარი ძალები შეხვდნენ ერთმანეთს ამ ბრძოლაში ხმელეთზე. პოემაში თუმცა ეს ნათქვამი არ არის, მაგრამ სადესანტო ჯარები, ცხადია, უფრო მცირერიცხოვანი იქნებოდა, ვიდრე ფრიდონის ბიძაშვილთა მთელი სახმელეთო ძალები. მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე ქაჯეთში მებრძოლ ძალთა შეფარდება, რადგან განაყოფებს ასე თუ ისე ცოტათი მეტ-ნაკლები ძალის გამოყენა შეეძლოთ.

სხვა მდგომარეობაა ქაჯეთის ციხის ზღურბლთან. აქ ძმადნაფიცების განკარგულებაშია მხოლოდ 300 რჩეული მხედარი. ამ ძალის მეშვეობით მათ უნდა აიღონ მიუვალ მწვერვალზე დადგმული ციხე, რომელსაც 19000 მეომარი იცავს, მაგრამ იცავს არა უბრალო, ჩვეულებრივი, არამედ გასაოცარი ტექნიკური საშუალებებით. ქაჯები ხომ არიან „გახელოვნებულნი“, ისე, რომ

იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრძობენ,  
 ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამზობენ,  
 ვითა ხმელსა, გაირბენენ წყალსა, წმინდად დააშრობენ,  
 სწადდეს, დღესა ბნელად იქმენ, სწადდეს, ბნელსა ანათობენ (1248).

და ეს მაშინ, როცა ძმადნაფიცებს არ შეუძლიათ ასეთ განვითარებულ თავდაცვით ტექნიკას დაუსპირისპირონ განვითარებული შეტევითი ტექნიკა.

მაგრამ ქაჯეთი განსაკუთრებული სიმაგრეა. მისი დაცემის სიძნელე მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მას 19000 მეომარი იცავს, რომ ქაჯეთი მიუვალ კლდეებითაა შემოზღუდული, რომ ქაჯეთის ტექნიკას განცვიფრებაში მოჰყავს ყველა. ამ დაბრკოლებათა გადალახვა ასე თუ ისე შეიძლება. ქაჯეთის აღების მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ქაჯებს შეუძლიათ არც მიიღონ პირისპირ ბრძოლა. ალყა კი, როგორი ხანგრძლივიც არ უნდა იყოს იგი, ქაჯების წინააღმდეგობას ვერ გასტეხს. მაშინ მთელი კამპანია განწირული აღმოჩნდება ყოველგვარ შეტევისა და შეტაკებათა გარეშეც კი:

ათასწელ ვერსით შეფუვალთ, თუ ხედ დაგვიზან კარია (1393),—

აღიარებს, როგორც მწარე სინამდვილეს, ფრიდონი. ამრიგად, ტარიელის წინაშე დგას ამოცანა: გამონახოს ისეთი ტაქტიკური ხერხი, რომელიც აიძულებს ქაჯებს მიიღონ ბრძოლა, და მოიგოს ეს ბრძოლა.

ბრძოლაში ხშირად ერთი მოწინააღმდეგე მხარე მეორეს აიძულებს გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც ამა თუ იმ თვალსაზრისით ხელსაყრელია პირველისათვის. ეს მანევრირებაა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს სარდალს, რადგან მის ჩაშლას შეუძლია გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები: მთელი კამპანია მომანევრე მხარის სრული განადგურებით დამთავრდეს.

ტარიელმა გადაწყვიტა მანევრირება, რომელსაც მტერი აუცილებლად ბრძოლით უპასუხებს. ამისთვის საჭიროა შეყვანილ იქნას მტერი შეცთომაში თავდამსხმელი მხარის მცირერიცხოვანობით, რომლის პოტენციალური შესაძლებლობის შესახებ მტერს არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე წარმოდგენა.

მტერს რომ თავდამსხმელი ძალა უმნიშვნელო ეჩვენოს, ტარიელმა გადაწყვიტა თავისი ისეც მცირერიცხოვანი მხედრობა სამ გუნდად გაჰყოს და თითოეულს დააკისროს დამოუკიდებელი ამოცანა: იერიში თითო კარზე. მაგრამ იერიში მიტანილ უნდა იქნას ერთდამივე დროს სამივე მხრიდან, და უთუოდ განთიადისას. განიხილა რა ტარიელმა ფრდონის და ავთანდილის გეგმები, რომლებიც მან, სხვათაშორის, თავაზიანობისათვის სუბიექტური თვალსაზრისით დაიწუნა, და არა როგორც ობიექტურად უვარგისი სამხედრო გეგმები, თქვა:

მაგა თათბირსა ვეგ სჯობს, ექმნათ ჩემი მონახსენები:

გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები.

სამთავე სამგნით მივჰმართოთ, ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები,

მოგვეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალსა მივსცეთ მძლე ნები (1404).

ამ უაღრესი გაბედულებით მოხაზულ სამხედრო ოპერაციის განხორციელებაში ტარიელი მთელს იმედებს ფიცხელ, სწრაფ შეტევაზე ამყარებს, რომლის გამოც მტერი, თუ მან კარები გააღო და ბრძოლა მიიღო, ვეღარ მოასწრებს მათ დახურვას და ბრძოლაც მძინაფიცების გამარჯვებით დამთავრდება: „ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები“, ამბობს იგი და განაგრძობს:

ფიცხლად შეგებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა (1405).

და რადგან არ შეიძლება მტერი რიცხვობრივად, ან პოტენციალურად ყველგან თანაბარი სიძლიერისა იყოს, „ამიტომ სამთაგან ერთი შეეუვალო-ო“, აცხადებს ტარიელი. გმირებმა, რა თქმა უნდა,

დაასკვნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები (1408).

აპის შემგეგ

სამთაგემ სამად გაიყვეს თვითომან თვითო კარები...

მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები (1412),





სამხედრო ხელოვნების კლასიკური ხანა! ამიტომ ინდო-ხატაელთა და ქაჯეთის ომების შედარება მე-12—მე-13 საუკ. ომებთან არ არის მოკლებული ერთგვარ საფუძველს. მაშინ აღმოჩნდება, რომ გენიალური შემოქმედი რეალურ სინამდვილიდან იხატავდა თავისი პოემის ბატალურ სურათებს, რომ პოემაში დახატული ომების პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები, დიპლომატიური მიწერ-მოწერა და მოლაპარაკებანი ომის წინ, ჯარის ორგანიზაცია თემობრივ-ტერიტორიული პრინციპის დაცვით, დიდ შენაერთებად და რაზმებად დაყოფა ჯარისა, მისი შეკრების წესი შიკრიკების, მალემსობოლთა და მარზაპანების მეშვეობით, მუდმივი ჯარის არსებობა, ომში მონაწილე ძალთა რაოდენობა და შეფარდება, აღლუმები, სამხედრო გასართობები და ცერემონიალი დროშებით, ჯარის სამწყობრო გაწვრთნა-მომზადება, ტაქტიკური თვალსაზრისით ხელსაყრელი ადგილების შერჩევა და იქ ჩასაფრება, ომის წარმოების ტემპი, მზვერავთა ინსტიტუტი, სწრაფი და ფიცხელი შეტევა, რეზერვის გამოყოფა და მისი დროული ჩაბმა ომში, ჯარის ნაწილების საბრძოლო გადაჯგუფება, მოწინააღმდეგეთა გარემოცვა და მარწყუხში მომწყვდევა, მოწოდებით მიმართვა ჯარისადმი, მთელი არმიების და მეფე-მთავართა დატყვევება, მილოცვანი და გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმები, ქალაქთა გასაღებების ჩაბარება, სამხედრო ხარკის და დავლა-ალათის აკრეფა, სამშვიდობო ბრძანებანი ომის დამთავრების შემდეგ, მახარობელთა და დავლა-ალათის გაგზავნა სამშობლოში, გამარჯვებულთა საზეიმო მიღება მეფისა და სამშობლოს მიერ, დამარცხებულთა შეწყალება; ან—იერიშები ციხეზე, მანევრირება და მოწინააღმდეგის შეტომაში შეყვანა მცირერიცხოვანი, მაგრამ დიდი პოტენციალური ძალის მქონე ლაშქრის მეშვეობით, თათბირები და საომარი გეგმების შედგენა ბრძოლის წინ, ფიცხელი და სწრაფი შეტევა განთიადისას, ისე, რომ მოწინააღმდეგემ კარების დაკეტვაც ვერ მოასწროს, სტრატეგიული და ტაქტიკური დაზვერვა, ჯარის სახეობა, შეიარაღება, —ველაფერი ეს ზოგიერთი გამონაკლისით, ან სხვა, აქ აღუნიშნავი მომენტები, სამხედრო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციები, სამხედრო ტექნიკა და მთელი სამხედრო ხელოვნების ვითარება, რომელსაც ვხედებით პოემის ინდო-ხატაელთა და ქაჯეთის ომების სურათებში, ქართული სამხედრო ხელოვნების, ქართულ სახელმწიფო

<sup>1</sup> მონგოლთა შემოსევისას, მართალია, ბრწყინვალე ტალანტები მოღვაწეობდნენ, მაგრამ არა ისეთი, როგორნიც წინამავალ ეპოქაში. შემდგომ დროთა დიდი სარდლების—გიორგი სააკაძის და ერეკლე II-ის სამხედრო ხელოვნებამ თუმცა კლასიკურ სრულყოფას მიაღწია, მაგრამ მათ ხელს უშლიდათ ხან უგუნურ ფეოდალთა რეაქციული და ანტინაციონალური საქმიანობა (შადიმან ბარათაშვილი და მისი ხროვა), ხან სამეფოს უკიდურესი ეკონომიური ჩამორჩენილობა და მის მმართველთა ცალკეული პოლიტიკური შეტომები (ერეკლე II-ის უარი იმერეთის შეერთებაზე).





ფოებრივ ცხოვრებაში დადგენილ სამხედრო ტრადიციების მხატვრული უკუფენაა, ხოლო ზოგიერთი დეტალი ამ ომებისა შეიძლება გადახატული იყოს ახლო აღმოსავლეთის სინამდვილიდან.

მაგრამ მე-12—მე-13 საუკ. ომების ყოველმხრივი შედარება პოემისეულ ომებთან დიდ ადგილს დაიჭერდა. ამიტომ შესაძლოა მხოლოდ მთავარ მომენტებზე მითითებებით დაკმაყოფილდეთ.

დავიწყოთ ინდო-ხატაელთა ომის მიმოხილვით.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „შარვანშა... დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო და საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა“ („ქართ. ერის ისტ.“, წ. II, გვ. 602). აღარბადაგანის მფლობელმა ამირ-ბუბქარმა დაამარცხა შარვანშა და მისი სიძე ამირ-მირმანი, წაართვა მათ სამფლობელოები და „თვით დარჩა განდიდებული და განლაღებული“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1941 წ. გვ. 101; „ქართლის ცხოვრება“ მარიამ დედოფლისა, ბექდური გამოცემა, გვ. 455)<sup>1</sup>.

ხელყოფა ყმადნაფიც მეფის სახელმწიფოს ტერიტორიისა და უარი ხარკზე, რომელსაც, ცხადია, იტყოდა გაძლიერებული ამირ-ბუბქარი, საქართველს სამეფო კარსა და ადერბეიჯანის სახანოებს შორის ისტორიულად დადგენილ ურთიერთობის დარღვევას ნიშნავდა. ამასთანავე, ისეთი დიდი და გაერთიანებული სახელმწიფოს არსებობა ჩვენს მეზობლად, როგორც ამირ-ბუბქარმა შექმნა (მან ზელში ჩაიგდო თითქმის მთელი ჩრდილოეთ სპარსეთის ბატონობა), თვით საქართველოს ძლიერებას საფრთხით ემუქრებოდა. ამიტომ, როცა გარდახვეწილთა დესპანებმა საქართველოს მეფეს დახმარება სთხოვეს, მან „უბრძანა იმედი შუელისა და ხელის-აპყრობისა“ მაძიებელთ (იქვე, გვ. 102, 456). სხვაგვარად ვერ წარმოვიდგინებთ ამ „შუელისა და ხელის-აპყრობის“, ანუ ამირ-ბუბქარისთვის ომის გამოცხადების მიზეზს. პოემაშიც ვკითხულობთ:

ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია.

აწ მათნი ჯავრნი ჩვენხედა ჩვენგან არ დასათმონია (377).

ამის შემდეგ მეფემ „განსცა ბრძანება და წარავლინა შიკრიტნი და მალემსრბოლნი წუევაგად ლაშქრისა იმერეთით და ამერეთით“ (იქვე, გვ. 102, 456). პოემაშიც:

ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზანე მარზაპანია (402).

<sup>1</sup> წინამდებარე წერილი 1940 წ. აპრილში გადაეცა განსახილველად პროფ. ალ. ბარამიძეს და შესწორდა მიღებულ შენიშვნების საფუძველზე. 1942 წ. 24 მარტს შეგებულ სახით წაკითხულ იქნა ქუთაისში საჯარო მოხსენებად. ციტირებას ყველგან მარიამ დედოფლის ვარიანტით (პირველი ბექდური გამოცემა) ვაწარმოებდით. ამჟამად, როცა აკად. კორნ. კეკელიძის მიერ აღდგენილი ტექსტი ცვლასათვის ხელმისაწვდომია, ციტირებას იმ უკანასკნელით მოვახდენთ.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა პროფ. ალ. ბარამიძეს უდიდესი მადლობა მოვახსენო იმ დახმარებისთვის, რომელიც დაუხარებლად გაგვიწია ჩვენს მუშაობაში.

მემატიანით, ამ ბრძანების შემდეგ მეფენი „დიდთა ლაშქართა შემყრელნი დადგეს დასითა, რომლისა სიმაგრითა და სიმრავლითა აღივსნეს მტკურის პირი, ალგეთის პირი, კციის პირი და ქურდ-ვაჭრის პირი, ესე ოთხნივე მდინარენი, ტფილისით ყარალაჯამდის“ (იქვე, გვ. 102, 457). ტარიელი კი მოგვითხრობს: ბრძანების გაცემის შემდეგო,

იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია,  
შორით და ახლოთ ყველაი მართ ხემვენ მონასხანია,  
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია (402).

მატიანით, ლხინისა და ზეიმების შემდეგ, რომლებიც უკვე საქართველოში ჩამოსულ უცხო სტუმრებს—შარვანშას და ამირ-მირმანს გაუმართეს, მოხდა რალაც ამხანაგური შეჯიბრი სტუმრების ამაღასა და ქართველებს შორის (იქვე, გვ. 104, 460-461), რომელშიაც გამარჯვებულნი ქართველები გამოსულან. მაგრამ მემატიანე შენიშნავს: ამ გამარჯვებით გამოწვეულ „სიხარულსა და შუებასა შინა ეკაზმოდეს და ემზადებოდეს დამასკუნელნი შულღისანი-ო“ (იქვე). აქ უკვე სამხედრო ხასიათის სამზადისზეა ლაპარაკი. როგორც ჩანს, ასეთი შეჯიბრებანი, მანევრები, სამხედრო ხასიათის სამზადისი და აღლუმები წინ უძღოდა ყველა ლაშქრობას, თუ იგი ჩვეულებრივს პირობებში ტარდებოდა ხოლმე. ასეთ აღლუმის საუკეთესო, კლასიკურ სურათს და მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას მემატიანე ქართველთა სპარსეთში გალაშქრების სამზადისის აღწერისას გვაძლევს: „დაასკუნეს ლაშქრობა და იწყეს კაზმა... მოვიდეს ტფილისს მეფის წინაშე. გაინახნა სპანი... და იხილნა აბჯართა კეთილითა და პატიოსნითა და მოეწონა აბჯარი და ცხენ-კეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა... და მოილო დროშა სუიანად ხმარებული“ (იქვე, გვ. 132, 516). პოემაშიც სწორედ აღლუმის კლასიკური სურათია წარმოდგენილი. ტარიელი გადმოგვცემს: ხატაეთზე გალაშქრების წინო,

აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,  
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,  
ტაიჭთა მათთა სიმაღე, აბჯართა ზვარაზმულობა (403).  
ავმართე დროშა მეფისა, აღმითა წითელ-შავითა (404).

მატიანით ამირ-ბუბქარი განძიდან შამქორს მოეგება ქართველებს. მემატიანე მოგვითხრობს, რომ ამირ-ბუბქარი საომრად „სამე გამორჩევითა და გაზრახეითა მოსრულ იყვნეს ადგილსა მას“ (იქვე, გვ. 105, 463), შამქორის მახლობლადო. რამაზი ჩაგისაფრდაო, აცნობა პოემაშიც ტარიელს ერთ-ერთმა მოციქულმა:

რომე ცუდად არ მოლორდე, ისე კაცნი გლალატობენ,  
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ;  
კვლა სხვაგან გითქს სამი ბევრი, ასრე ფიცხლად მით გიზნობენ (434).

ახლოს დგანან ერთმანეთთან ბრძოლის შემდგომი სურათებიც. მემატიანე გვიამბობს: „წარემართეს და წარვიდეს სიახლესა შანქორისასა... და განყო რაზმი მიმახლებელმან ქალაქისამან“ მეფე დავითმაო (იქვე, გვ. 106, 466). პოემაშიც ტარიელი გადმოგვცემს:



პოემითაც ბრძოლას მოწინავე რაზმი იწყებს, მაგრამ მას თვით მთავარსარდალი შეთაურობს (446). მას პირდაპირი იერიში მიაქვს მთავარ ძალებზე, და არა საფლანგო, მარჯვენა, ან მარცხენა მხრიდან:

მუნ მივჭმართე მკვლავ-მაგარმან, საღ უფროსი ჯარი დგესა (446).

ამრიგად, ამ ორი ბრძოლის ტაქტიკური ხერხები განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ პოემაშიც ბრძოლა მთავარსარდალის პირადმა უშეგალითო გმირობამ დაასრულა გამარჯვებით:

ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა ვერძო რაზმი ორი (447).

და როგორც შემატინე შენიშნავს: „რაჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხვა ღმრთისა უხილავი... აოტეს და გააქციეს... და მეფე იქცეოდა მსგავსად აქილევისა-ო“, პოემაშიც ტარიელი გვეუბნება:

სითაც ვიყვი, გამეჭვიან, მათ შექმნიან ჩემი რიდი (448).

ბასიანის ომში კი მთავარსარდალს, „მეფესა დავითს უნდოდა, რათა ზედამიჭმართა, სადა დაბანაკებულ იყო სულტანი, ბასიანისა ადგილსა, ბულოკერტად წოდებულსა“ (იქვე, გვ. 126, 502), ე. ი., სადაც დაბანაკებული იყო მტრის მთავარი ძალა.

როგორც ვნახეთ, შამქორის და ასევე—ბასიანის ომებში მონაწილეობა მიიღეს მხარგრძელთა სარეზერვო ნაწილებმა. ტარიელმაც დიდი ხნიდან შეამზადა და დროულად ჩააბა ბრძოლაში რეზერვი:

ჩემნი ლაშქარი, რომელნი წამომეტანნეს მე არა,  
 რა ვენა, წამოსულიყვნეს, დამე წამორთვით ვარა...  
 გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლასა, ბუკმან ხმა გაიხვარა...  
 იგი ნახეს, გასაქცევლად გამართნეს, შევჭკვივლენით (450-51).

ტარიელმა დაატყვევა რამაზ მეფე:

რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავებრძლენით (451).

მატიანით კი „ათაბაგი მხოლოდ განერა ერთითა მონითა“ (გვ. 107, 468). მაგრამ ბასიანის ომშიც, მოგვითხრობს ლაშა გიორგის დროინდელი შემატიანე: „მოასხნეს სულტანი და ამირანი ტყუედ ერზინიელი, შამელი და ბივრიტელი“ (გამოც. აკად. ივ. ჯავახიშვილისა, გვ. 15). „ისტორიანი და აზმანი“ კი ამავე ბრძოლის ფინალის შესახებ მოგვითხრობს: „ვიდრე ღამემდე დევნა უყვეს და ჰზოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“ მტერს ქართველებით (გვ. 127-28, 504). პოემაშიც ტარიელი გადმოგვცემს რამაზის შესახებ:

მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოგვკლენით...  
 უკანნიცა ლაშქარნი მოესწოეს მათ ვაქცეულთა,  
 დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა (451-52).

ბრძოლისა და მტრის რაზმებისადმი დევნის დამთავრების შემდეგ, მატიანით: „შემოიქცა მეფე... მაშინ მოვიდეს დიდებულნი... და სპასალარნი და სპასპეტნი, თვით შარვანშა და ამირ-მირმან პირითა მხიარულითა, გარდამოხდეს, თაყუანი სცეს, დალოცეს და ქება შეასხეს (მეფეს) ბუმბერაზთა მისთა“ (იქვე, გვ. 108, 469). პოემითაც, ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ, გადმოგვცემს ტარიელი:

მას ადგილსა ნაომარსა გარდავჭხედით მოსვენებად...  
 ჩემნი სპანი მოვიდიან საჭვრეტლად და ჩემად ქებად,  
 ვერ იტყვიან, ვერ მიმხვდარან ქებისაცა მოხსენებად (453).



მემატიანით, „ვითარცა განთენდა, მოვიდეს შანქორელნი და მოართვეს კლიტენი; და ამღებელმან ქალაქისამან და ყოველთა მისთა მიმდგომთა ქალაქთა და ციხეთამან, ითაყუნა ამირ-მირან“ (იქვე, გვ. 108, 469). ტარიელიც გადმოგვცემს: ბრძოლის შემდეგო,

გავგზავნენ ყოვლგნით ლაშქარნი, ალაფი ავალღბინე...  
 არ ვპბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავადღბინე (455).  
 მაშინლა შევე ხატეთს, მოვლად და მოსათვალავად,  
 კლიტენი საქურჭლეთანი მომართვნეს დაუმალავად (459).

მემატიანით დავითმა შამქორში დარბაზობა და ზეიმი მოაწყო და გაემართა განძას, რომელიც უბრძოლველად დანებდა. აქაც მან გადაიხადა უდიდესი ზეიმი, რის შემდეგაც საქართველოში „წარმოგზავნეს მახარობლად... კიაბერი“ (იქვე, გვ. 107, 470). პოემაშიც:

წიგნი დაწერე: „მეფეო, სვემცა არს თქვენი სვიანად!..  
 ჩემი ამბავი დასტური ამად გაცნობე გვიანად“ (463).

როდესაც ქართველი მხედრობა შამქორიდან დაბრუნდა, მეფემ დიდი პატივით მიიღო გამარჯვებულნი, დარბაზობა გამართა და „შეიწყალა“ ლაშქარი და ქვეშევრდომნი: „მივიდეს სრასა და მოვიდა მეფე და მის წინაშე ლაშქარნი, საესენი... სახელითა მიუწოდმელითა და სარგებლითა გამოუთქმელითა. მოიღეს ნიჭი, არმადანი და განძი აურაცხელი: კაცი, — ხელმწიფე-ახნაურითგან მონამდის, — ათორმეტი ათასი, ავაზა ორმეოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შვიდათასი, აქლემი ათხუთმეტი ათასი, დროშათა სხუათა, სიმრავლეთა საქურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინაიცა იქმნა ამარი“ (გვ. 109, 471)?

პოემითაც ტარიელმა დიდძალი დავლა და ალაფი გავგზავნა ინდოეთს: „დაეშვრები, თუ დავსთვალვიდეო“, და მოკლედ დაამთავრა:

ჯორ-აქლემი ათჯერ ასი, ყველაკაი წვივ-მაგრობდა.  
 დატვირთული გავუგზავნე (462)

მეფესო. ხოლო როდესაც ტარიელი ინდოეთში დაბრუნდა, მას მეფე დიდი პატივით მიეგება. მეორე დღეს კი

მეფემან ბრძანა: „ლაშქარნი უხმენით, შემოჯარენით,  
 დღეს ხატაელი მიჩვენეთ, ტყვენიცა შემომგვარენით“ (467).

განსაკუთრებული პატიოტული აღმაფრენით და სიხარულით ხატავს მემატიანე იმ ზეიმს, რომელიც დავით სოსლანმა გადაიხადა განძას სულთნის სასახლეში: „მაშინდელი ზარი და ზეჰიმი ვისნამცა ენამან გამოთქუა... შეიქმნა პურობა, ნადიმობა შესატყვისი ეამთა და მის დღისა“ (გვ. 108, 470).

ასეთივეა ინდო-ხატაელთა ომის ფინალიც. გამარჯვებულთა ინდოეთში დაბრუნების შემდეგ:

შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა:  
 სხვა გახარება ასეთი არს უნაბავი თვალისა (483).

და უსაზღვროა მეფე-დედოფლის სიხარულიც. ასეთია ინდო-ხატაელთა და შამქორ-ბასიანის ომების ზოგიერთი შეხვედრის წერტილი, ან პარალელი.



გადავიდეთ ქაჯეთის ციხის და ქაჯეთის ბრძოლის საკითხზე, რომელიც დიდი ხანია რუსთველოლოგთა გაცხოველებულ მსჯელობის საგნად იქცა.

ქართველ-სპარსელთა 1210 წლის ომებში პირველი იერიში მიტანილ იქნა მარანდაზე, რომლის ტოპოგრაფიულ თვისებებისა და ადგილმდებარეობის რელიეფის შესახებ მემატიანეს ძვირფასი ცნობები მოეპოვება: ქართველები „წარემართნეს სპარსეთედ... და აღვიდეს მარანდსა. ხოლო მარანდელნი, ამისნი მცნობელნი, შევილტოდეს კლდეთა შინა“. ქართველთა 500 კაცისაგან შემდგარმა რაზმებმა „აღვლეს აღმართნი მარანდისანი, აღვიდეს ვაკესა, თავსა მარანდისასა, და დადგეს მთასა მას ზედა... იხილეს მითთ მარანდელთა, რომელნი შელტოლვილ იყვნეს ღირღალთა და კლდეთა მალალთა, რომელ არს ზედა-კერძო თავსა მთისა მარანდისასა, უმაღლეს სხუათა მთათა, სავსე ქვითა და კლდითა“ (იქვე, გვ. 133, 518-19)... „ვეფხისტყაოსანშიც“ თვალში გვეცემა ქაჯეთის „კლდე მალალი და გრძელი“ (1242). ქაჯები „მინდობიან კლდესა სალსა“ (1246). ნესტანი ქაჯეთიდან იწერებოდა: „ახლოს მახლვან დიდნი კლდენი-ო“ (1303). ფრიდონის მოწმობითაც ქაჯეთი

ყოვლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების (1388).

და ავტორიც აღნიშნავს, რომ ქაჯეთი „გარე კლდე იყო“ (1391).

მარანდაზე ვიწრო მისასვლელი გზა არსებობს, რომლითაც მიადგა მას ქართველი ლაშქარი: „შევლეს ვიწრო იგი ხევი დარადუზისა და აღვიდეს მარანდსა“ (იქვე). „ვეფხისტყაოსანშიც“ ფატმანი უამბობს ავთანდილს:

ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მალალი და გრძელია.

მას კლდესა შიგან გვირაბი ასაძრომელი ხერვლია (1242).

აგრეთვე, „გზა გვირაბითა შემოვო-ო“ (1300), — წერდა ნესტანი ტარიელს, ხოლო რუსთაველი შენიშნავს:

გვირაბის კარსა ჰაბუჯი ათითასი მცველია (1392).

დასასრულ, ქაჯეთის ციხეში ავთანდილს და ფრიდონს

გზანი დახვდეს შვაჟთუნი, შევიდეს და გაძვრეს ხერვლსა (1420).

ამგვარად, მარანდაზე — „ვიწრო იგი ხევი დარადუზისა“, პოემაში — „გვირაბი“.

ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ქაჯეთის ციხის აღების სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც მე-13 საუკუნის პირველ ათეულში გადახდილ ომების და განსაკუთრებით — მარანდის დაპყრობის სტრატეგიის და ტაქტიკის დიდი გავლენით არის შესრულებული.

არდაველის სულთანი ანისის ასაოხრებლად „წარმოვიდა... აღვლო რახსის პირი და უგრძნობლად მოვიდა ანისსა. გზა-გზა არავის ავნო“ (გვ. 130, 510) და ააოხრა ანისი. როდესაც ეს ამბავი გაიგეს, მხარგრძელებმა „ჰრქუეს მეფესა: ... ამეფო, ამცენ სპათა შენთა, რათა მზა იყვნენ არდაველისა სულტანსა ზედა; წარვიდეთ ანისს და, ვინ სადა ვპოოთ სპარსთაგანი, მოვინადიროთ. ნუ დიდნი წარვალთ, რათა არა სცნან, გარნა მცირენი, რომელ, თუ

დიდნი წარვალთ, სცნობენ და სიმაგრეთა შევლენა“, ამიტომ „მცირითა ლაშქრითა შემეწიე-ო“ (130, 512). აგრეთვე, როდესაც ქართველი ჯარები მარანდაში მივიდნენ, „დაარჩიეს ხუთასი მხედარი და რჩეული აზნაური... და წარემართნეს“ მთად (იქვე 133, 517).

პოემაშიც ქაჯეთის ალების შესახებ ფრიდონმა ჯერ კიდევ მულღაზანზარს განაცხადა:

თუ იდუმალ არ შეფუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების,  
 მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალვით ვერ მოგვეყვების (1388)-  
 დიდთა რას ვაქნეთ ლაშქართა, კარგი გვინდა და ცოტანი.  
 სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტანი (1387).

გმირებიც სწორედ ამ რჩეული რაზმით გაემართნენ, და როცა ქაჯეთს მიუახლოვდნენ, ფრიდონმა კვლავ შემოიტანა წინადადება:

აქათგან ღამით სლვა გვიანდა, მით არას გამჟღავნებულთა (1390)-  
 რუსთაველიც შენიშნავს:

რა გაუთენდის, დადგინ და ღამით ფიცხლად ვლიდიან (1391).

მარანდის მალლობზე ზაქარია ამირსპასალრმა გაგზავნა 500 კაცი თაყაიდინ თმოგველის მხედართმთავრობით, რომელსაც უბრძანა: „არავის ბრძოლოს... თუ დიდი ლაშქარი ნახონ, აცნობონ ზაქარიას, და რაიცა მან ჰრქუას, ყონ“ (გვ. 133, 517). ამრიგად, ამ ოპერაციას ზვერვითი ხასიათიც აქვს. პოემაში:

მას ღამით უქნეს სადარხო. უტრუო, ანაჩქარები (1412).

ქალაქი ანისი არდაველის სულთანის მიერ აოხრებულ იქნა აღდგომა დილით: „ვითარ ცისკარი მოეხლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი“ ანისელებმა, მაშინ არდაველის სულთანის ლაშქარი „მიეტყვენეს კარსა ქალაქისასა, შეუტყვეს ცხენი... შევიდეს ქალაქად, იწყეს ხოცად, კლვად და ტყუევნად“ (გვ. 130, 511). არდაველის სულთანსაც ქართველებმა სამაგიერო აზღვევინეს მთრელები დღესასწაულზე, „ოდეს გახშირდა მუყრთა ყივილი“, ე. ი., განთიადისას (გვ. 131, 513).

პოემაშიც ტარიელი მოითხოვს: შეეუტოთ, „რა ღამე ჩნდეს ნათენები-ო“ (1404), რაც განახორციელეს კიდევ (1412).

როდესაც არდაველის სულთანის ლაშქარმა ანისს შეუტია, ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ანისელებმა „ვერ მოასწრეს დახშუად კარნი“ (130, 511), რის გამოც ქალაქი დაეცა. პოემაშიც ტარიელმა მოითხოვა:

ფიცხლად შეგებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა (1405).

არდაველის სულთანს განთიადისას „ყოვლგნით ცხენი შემოუტყვეს მხარგრძელთა“ (131, 513) და არდაველიც დაეცა. პოემაშიც ტარიელმა მოითხოვა: „სამთავე სამგნით მიემართოთ-ო“ (1204). ე. ი., ყველა მხრიდან შემოვერტყათო. ასეც მოიქცნენ:

სამთავე სამად გაიყვეს თვითომან თვითო კარები (1412).

მაგრამ კარდინალური მნიშვნელობა მაინც ქაჯეთის ციხის ალების ტაქტიკურ ხერხს მანევრირებას უნდა მიეცეს.

ქართველმა 500 კაციანმა რაზმმა მარანდის მალღობი დაიკავა უბრძოლველად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მარანდა აღებულია: მარანდელთა ცოცხალი ძალა ჯერ ხელუხლებელია. მართლაც, მარანდელებმა, რომლებიც „შელტოლვილ იყვნეს ღირღალთა და კლდეთა მალალთა... იხილეს მცირე ლაშქარი, აღიჭურნეს, მოუხდეს ზარითა და ამბოხებითა მარანდელნი, რამეთუ საწუნელ უჩნდეს სიმკროსთვის“ ქართველნი (იქვე, გვ. 133, 518). ქართველთა ლაშქარი მარანდელებს მცირერიცხოვანობის გამო დაუწუნიათ. ამიტომ ისინი სიმაგრეებიდან გამოსულან და ბრძოლა მიუღიათ. ტარიელმაც თათბირზე განაცხადა: ქაჯეთს განთიადისას ას-ასი კაცით შევუტიოთ სამივე მხრით, მაშინ

მოგვეგებვიან, ვმცრობით, ჩვენ ხრმალსა მისცეთ მძლე ნები-ო (1404).

ასეც მოხდა და ქაჯეთის ციხეც დაეცა.

ასეთია ქაჯეთის ეპოპეის შეხვედრის წერტილები არდაველის სულთანზე და მარანდაზე ლაშქრობის მატინანისეულ ინტერპრეტაციასთან, რაც დიდ განსხვავებათა მიუხედავად, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქაჯეთის ციხის ტოპოგრაფიული თვისებების, მისი აღების ტაქტიკურ და სტრატეგიულ ხერხების, საერთოდ—მთელი ეპოპეის შექმნისას პოეტს უსარგებლნია ჩამოთვლილ ლაშქრობათა და ბრძოლების ზოგადი სურათებით და საბრძოლო ხერხებით.

\* \* \*

ზედმეტი არ იქნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო ხელოვნების შედარება „ილიადას“, „შაჰ-ნამეს“, „ნიბელუნგების“ და სხვა დიდი დოკუმენტების შესაბამ მონაცემებთან. ყველა მათგანში ომი და ბრძოლა წარმოდგენილია ან დიდი მასების პირდაპირ შეჯახებად, ან გმირთა და ჯაბუკების ინდივიდუალურ შეტაკებად. ეს დოკუმენტები არ იცნობენ ამ მოვლენის ისეთ მაღალ კლასს, როგორსაც—„ვეფხისტყაოსანი“, და მათი სამხედრო საქმე არ ასულა ვეფხისტყაოსნისეულის დონემდე. მაგრამ ჩვენი პოემის ამ მხრივ სრული შეფასება, ან იმის განსაზღვრა, თუ რა შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში, პატარა წერილის ფარგლებს სცილდება და მონოგრაფიულ გამოკვლევას საჭიროებს. ამიტომ აქ მხოლოდ ზოგიერთი მომენტის აღნიშვნით დაკმაყოფილდებით.

რუსთაველის სამხედრო ხელოვნება ისე, როგორც ქართული, მაღლა დგას საშ. საუკუნეთა და ფეოდალური ეპოქის სათანადო მონაცემებზე. მაგრამ საზღვაო ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრე-



ბული გეოგრაფიული პირობებისა გამო, არ იცის საქართველოც ისტორიამ. ამიტომ პოემაში შემოტანილი საზღვაო ბრძოლის ბრწყინვალე სურათი იმის მაჩვენებელია, რომ რუსთაველის სამხედრო ხელოვნება მოიცავს როგორც კლასიკურ, ისე საშუალო საუკუნეთა ყველა მიღწევებს სამხედრო ხელოვნებაში.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული სტრატეგიული და ტაქტიკური პრინციპები—სწრაფი გადასლვა, ფიცხელი შეტევა, ჩასაფრება, ტერიტორიული გარემოცვა, რეზერვის გამოყენება, მანევრირება და სხვ.—დღესაც ინარჩუნებენ დიდ მნიშვნელობას სამხედრო ხელოვნებაში და მათ წარმატებით იყენებენ სახელოვანი წითელი არმიის სარდლობა და ნაწილები. გერმანელ ფაშისტ უაჩაღთა არმიების და დივიზიების გარემოცვანი, მათი განადგურება მოსკოვთან, მოსკოვის ოლქის გაწმენდა გერმანელ დამპყრობთაგან, ლენინგრადის, სევასტოპოლის, სტალინგრადის გმირული დაცვა, ბრძოლები ტიხვინთან, კალინინთან, ტულასთან, და სხვ. ბრწყინვალე ოპერაციები, რომელთა განხორციელებაშიც ჩვენი ჯარების სარდლობა იყენებდა და იყენებს აქ ჩამოთვლილ კლასიკურ, აგრეთვე ახალ ტაქტიკურ პრინციპებს, ამის ცოცხალი დასტურია.

თვით მოულოდნელი თავდასხმა, რომელიც ღერძის ქვეყნების ძირითად ტაქტიკურ პრინციპად იქცა, არ არის უცხო პოემისათვის. ქაჯეთზე, რომელზეაც შეტევა ტარიელის დისპოზიციით სწარმოებდა, გმირები განთიადისას

პირველ ამოდ მიდიოდეს, მგზავრთა რათმე მაგიერად.

ამის გამო

მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახედეს გულ-ხმიერად.

გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად.

მაგრამ ძმადნაფიცებმა „მუზარადი დაიხურეს ეამიერად“ (1413), და მოულოდნელად,

ანახდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.

ქაჯები მოტყუდნენ: მათ თავდამსხმელნი

რა ნახეს, კარნი გაახენეს, ქალაქით გახდა ზრიალი.

სარდლებმა კი

სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი (1414)

და გაიმარჯვეს. ამრიგად, აქ მოულოდნელ თავდასხმის და შეტევის მთელი ეპოპეაა წარმოდგენილი.

მაგრამ ტარიელმა ხომ პატიოსნად აცნობა ხატაელებს: „ზედა არ მოგეპარებით-ო“ (388). ფრიდონის ბიძაშვილთაგანაც ბრძოლის წინ მას „ესმა დაპირება“ (614), ე. ი., საბრძოლო თანხმობა. როგორც ვხედავთ, იგი არსად არ აწარმოებს მოულოდნელ თავდასხმას.





ბ. კ ა ქ ა ბ ა ძ ე

დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი

ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა დავით აღმაშენებლის ხანა. ამ დიდი მმართველის და მხედართმთავრის სახელი ყოველგვარ გაქირვებულ მდგომარეობაში ამხნევებდა ქართველ ხალხს და უნერგავდა მას იმედს გამარჯვების და უკეთესი მომავლისას. ცნობილია, რომ დავითის გამეფებისას (1089 წ.), მისი მმართველობის პირველ წლებში საქართველო იყო უაღრესად დაძაბუნებული და დაჩაგრული. წინააზიაში ამ დროს მძლავრობდნენ ეგრედწოდებულნი თურქ-სელჯუკნი, რომელთაც შექმნეს უზარმაზარი სახელმწიფო ინდოეთიდან ეგვიპტემდის და თავის ხელქვეით დაიმორჩილეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები თითქმის ყველა ხალხები. დავითის მამის გიორგი II-ის დროს თურქ-სელჯუკებმა დაიმორჩილეს საქართველოც. ამ დამორჩილებას წინ უძღოდა თურქების ჯარების რამოდენიმე შემოსევა საქართველოზე. ამ შემოსევათაგან ყველაზე უფრო ამოხრებელი და გამანადგურებელი ჩვენი ქვეყნისათვის იყო თურქების შემოსევა 1080 წელს, როდესაც მათ ერთსა და იმავე დღეს გადასწვეს ქალაქი არტანუჯი მესხეთში (მაშინ სამხრეთ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი) და ქალაქი ქუთაისი. განსაკუთრებით დიდი აოხრება წილად ზედა ქართლს (როგორც მის სამხრეთ ნაწილს, ისე ჩრდილო ქართლსაც). მემატიალის სიტყვით, ქართლი მაშინ აოხრდა ისე, რომ იქ თითქმის არ დარჩა მოსახლეობა ციხე-სიმაგრეების გარდა. გიორგი II იძულებული გახდა თვითონ წასულიყო თურქ-სელჯუკების სულთანთან მორჩილების გამოსაცხადებლად და რაიმე შეთანხმების მისაღწევად. ეს შეთანხმება გამოიხატა იმაში, რომ საქართველო გადაიქცა სულთანების მოხარკედ.

თბილისი თავისი მიმდგომი მხარით მანამდისაც ცალკე საამიროს წარმოადგენდა. სათავეში ამ საამიროს (სამთავროს) ედგა არა-

ბული წარმოშობის მმართველი დინასტია. თბილისის ეს ამირებიც ეხლა დაემორჩილნენ თურქებს. თურქებსავე დაემორჩილა კახეთის მეფეც (კახეთი რანის, ანუ ჰერეთის ტერიტორიით ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენდა), რომელმაც თურქ-სელჯუკების სულთანისადმი ერთგულების დასამტკიცებლად არჩია სარწმუნოების გამოცვლა და მაჰმადიანობაში გადასვლა.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც 1089 წელს საქართველოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება: გიორგი II გადაყენებულ იქმნა მეფობიდან და მის მაგივრად მეფედ გამოცხადებულ იქმნა მისი 16 წლის შვილი დავითი (მომავალი დავით აღმაშენებელი). მაშინდელი პატრიოტები ფიქრობდნენ ამ გადატრიალებით თავისი ქვეყნის გადარჩენას დალუპვისაგან და არც მოტყუვდნენ. დავითმა დავაჟაკებისას თანდათან მოახდინა თავისი ქვეყნის მართველობის რეორგანიზაცია, კვლავ აღადგინა თურქებთან ბრძოლების დროს დაღუპული თუ მეტად შემცირებული ფეოდალური ლაშქარი, სიცოცხლის სული ჩაბერა თავისი მომხრე პატრიოტებზე დაყრდნობით სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს და შემდეგ გადავიდა შეტევაზე გარეშე შემომტევ მტრებისაგან თავის ქვეყნის მთლად განსათავისუფლებლად.

იმ ხანგრძლივ და ცალკე გმირული ეპიზოდებით სავსე განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა მაშინდელი საქართველო დავითის ხელმძღვანელობით, განსაკუთრებით აღინიშნება გარდატეხითი მნიშვნელობის მქონე ორი ომი, რომელთაგან ერთი ჩატარებული იყო თურქებთან 1103 წელს კახეთის სამეფოს საბოლოოდ შემოერთების მიზნით, მეორე კი ცნობილია დიდგორის ომის (1121 წ.) სახელით. ეს დიდგორის ომია, რომელმაც მოუპოვა დავითს განსაკუთრებით დიდი სახელი და რომელმაც იმავე დროს ერთი საუკუნით შეუქმნა საქართველოს საკმაოდ დიდი სახელმწიფოს სახელი. შევხვით ჯერ კახეთის სამეფოს შემოერთებასთან დაკავშირებულ ეგრედ წოდებულ ერწუხის ომს (ჰერეთში).

დავითი 1100 წლის ახლო დროიდან შეუდგა მზადებას კახეთის სამეფოს შემოსაერთებლად. გადაწყვეტილი იყო შიგნით გადატრიალების მოხდენა კახეთის იმდროინდელი მეფის აღსართანის შეპყრობით. მემატთანე ამ აღსართანს ჰხატავს ყოვლად სუსტ პიროვნებად. სახელდობრ ის ამბობს, რომ აღსართანი „კახთა მეფედ ხსენებული“ იყო. ეს ნიშნავს, რომ აღსართანი მხოლოდ სახელით იწოდებოდა კახეთის მეფედ, ნამდვილად კი ის იყო სხვების ხელში სათამაშო ბურთი, რომ მისი სახელით სხვები განაგებ-

დნენ კახეთის საქმეებს. ვინ იყვნენ ეს სხვები, მატეანიდან არ სჩანს, მაგრამ ვეცნობა, რომ ისინი ყოფილან კახეთ—ჰერეთის დიდებულთა წამყვანი ნაწილისაგან და რომ ამ მრჩეველებს აღსართანნი და კახეთის სამეფო მიჰყავდათ დავითის და საქართველოს საწინააღმდეგო გზით. მაშინ როდესაც დავითს ჯავშირი ჰქონდა გაწყვეტილი თურქებთან, კახეთის მესვეურნი პირიქით კარგ განწყობილებაში და მფარველობით თანაკიდებულებაში იმყოფებოდნენ თურქეთის მფლობელებთან. საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა თვით აღსართან მეფის ხელთ ჩავდება. ეს შედარებით ადვილი საქმე აღმოჩნდა. ჰერეთის დიდებულებმა არიშიანმა და ბარამმა (სჩანს, ძმებმა) და მასთან ერთად მათმა ბიძამ ქავთარ ბარამისძემ შეიპყრეს მეფე აღსართანი და მიჰგვარეს ის დავით მეფეს, რომელიც გადავიდა კახეთს და დაიკავა ის. მაგრამ კახეთის მესვეურ დიდებულებმა თავიანთი რაზმებითურთ და მრავალი კახელითურთ შესძლეს გაქცევა საზღვარზე და თხოვნით მიმართეს დახმარებისათვის განძის ათაბაგს და თვით სულთანსაც. სულთანმა დაავალა განძის ათაბაგს გაელაშქრა დავითის წინააღმდეგ. ათაბაგი დიდის ჯარით გაემართა ჰერეთისაკენ, სადაც მას შეხვდნენ გამოქცეულ ჰერეთ-კახთა დიდებულები თავ-თავიანთი რაზმებით. კახელები იყვნენ საკმაოდ ბლომად, მემატეანის სიტყვით „უმრავლესი კახთა და ქვეყნისა ერი“, ე. ი. კახელების დიდებულთა უმეტესობა და მათთან ერთად კახეთის ქვეყნის ჯარიც. როგორც სჩანს, მაშინ როდესაც კახეთის დიდებულთა უმეტესობა დავითის წინააღმდეგ იყო ამხედრებული, წვრილ მეომართა მხოლოდ ნაწილი იყო მათთან ერთად (უნდა ყოფილიყო უმეტესად თვით ამ დიდებულთა რაზმები). აზგვარად გამოდის, რომ კახეთის საქართველოსთან შეერთების ლოზუნგი საკმაოდ პოპულარული იყო წვრილ მეომრებში („ერში“), მაგრამ ამის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო დიდებულთა უმეტესობა. დასახელებული სამი დიდებული 2 არიშიანი და ბარამისძე უმცირესობას შეადგენდნენ. (ამის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საერთოდ დიდებულთა რიცხვი კახეთ-ჰერეთში 7—8 ვეარი მაინც უნდა ყოფილიყო). ბრძოლა მოპირდაპირეთა შორის მოხდა ერწუხს. ამ ადგილის მდებარეობა გამოსარკვევია, მაგრამ თუ აქ ერწოს მიმდგომი იგულისხმება, გამოდის, რომ თურქებს და კახელებს გადმოულახავთ კახეთის სამეფოს მეტი ნაწილი და ბოჭორმის ციხის არეში დამდგარან, შესაძლებელია, თვით ამ ბოჭორმის ციხის თავის დასაყრდენ ბაზად გამოყენებით. თურქებმა კახელებითურთ ალყა შემოარტყეს დავითის ჯარს და გარღვევისა-



გან თავისი ხაზის უზრუნველსაყოფად გააკეთეს თხრილები. იქვე იყო ტყე, რომელიც თურქეთის პოზიციას ზურგს უმაგრებდა. ტყე, საფიქრებელია, გაუვალი იქნებოდა (ეხლაც, მაგ., უჯარმის და ბოქორმის მხარეში ხშირია მეტად ძნელად გასასვლელი ნაძვნარი ტყე). თურქები თავიანთ ბანაკში კარგად იყვნენ მოწყობილნი. მათ ჰქონდათ ბლომად სანთლებიც (ალბათ მაშხალები და სხ.)

დავითს ჰყავდა მეტად მცირე ჯარი. როგორც ეტყობა, სიჩქარის გამო მეტის შერება ვერ შესძლო. მოწინააღმდეგე, ცხადია, სიმრაგლის გამოყენებით შესძლო დავითის ჯარს „გარეშე მოსდგომოდა“, როგორც საფიქრებელია, რომელიღაც გამაგრებულ პუნქტში. ხომ არ იყო ეს პუნქტი ბოქორმის ციხე? მდგომარეობა დავითის ჯარისათვის იყო მართლაც მეტად მძიმე. მაგრამ დავითი არ დაიბნა და „ქმნა წყობანი დიდნი“, ე. ი. დაუწყვია თავისი ჯარი მეტად მტკიცედ. ძალთა სიკარბე ამგვარად მტრის მხარზე იყო, სტრატეგიული უპირატესობაც აგრეთვე. მაშ როგორ შესძლო დავითმა სულ მცირე ლაშქრით თვით მემატიანისათვის საკვირველად დარჩენილი გასაოცრად დიდი გამარჯვების მოპოვება. თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დავითის გენიალური სამხედრომთავრო ნიჭის გარდა აქ უნდა იგულისხმებოდეს დავითის ჯარის მნიშვნელოვანი ტექნიკური უპირატესობაც. დავითს ამ დროს უკვე ჰყავდა გაწვრთნილი მხედრობა ცხენიან-საქურველიანი, ე. ი. მძიმედ შეიარაღებული. დავითის მხედრობა შესდგებოდა, როგორც მემატიანის სიტყვებიდან სჩანს, „მცირედის ლაშქრისა და განწირულისა ერისაგან“. მთავარ ტაქტიკურ ძალას წარმოადგენდა სწორედ ეს „მცირედი ლაშქარი“, რომელიც უნდა ყოფილიყო მძიმედ შეიარაღებული რაინდული მხედრობა.

დავითს არ შეეძლო ხანგრძლივად დარჩენილიყო ამ თავის გამაგრებულ პუნქტში მტრის მიერ „გარეშემოსდგომილად“. საფიქრებელია, რომ ის არც სურსათით იყო სათანადოდ მომარაგებული და ამიტომ უმოკმედოდ სიმაგრის შიგნით ყოფნა მის ძალას მხოლოდ დაასუსტებდა. ამიტომ დავითმა გადასწყვიტა გაეშართა მტერთან ბრძოლა თავისი მცირე ძალითაც.

სამხედრო ისტორიაში ცნობილია სწორედ ამაზე ცოტა ადრე 1098 წ. 28 ივნ. ჯვაროსნების მიერ ანტიოქიასთან გადახდილი ომი. ქრისტიან ჯვაროსნებმა უკვე დაიკავეს ანტიოქიის ქალაქი ზედაციხის გარდა, რომელსაც ალყა შემოარტყეს, რომ ანტიოქიასთან გაჩნდა მუსულმანების დიდი ჯარი მოსულის ამირას კერბოგის მეთაურობით. კერბოგის არმიამ ალყა შემოარტყა ქალაქ ანტიოქიაში



მყოფ ჯვაროსანთ, რომელნიც დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ და სასტიკ სიმშლეს განიცდიდნენ. ჯვაროსნებს სხვა გზა არ დარჩენოდათ თუ არ უკანასკნელი თავგანწირულობით ცდილიყვნენ მოწინააღმდეგე როგორმე დაემარცხებინათ და უსუფდოთ. ამ დროს ერთმა ბერმა სიზმარში ჩვენების თანახმად იპოვა საკურთხეველში წმინდა შუბი (რომლითაც ვითომ განგმირული იყო იესო ქრისტე). ამ წმინდა შუბის პოვნამ (რაც, რასაკვირველია, სრულს მისტიფიკაციას წარმოადგენდა) ჯვაროსნებში გამოიწვია იშვიათი აღფრთოვანება. კერზოვის არმიაში კი ამავე დროს სუფევდა უთანხმოება, ერთმანეთისადმი უნდობლობა და ღალატიც. ასეთ პირობებში ჯვაროსანთა ჯარი (დაახლოებით 2 ათასი რაინდი-მხედარი და გარდა ამისა, ქვეითნიც) გამოვიდა ქალაქის გალავნიდან და გავიდა იქვე მდინარე ორონტზე გადებულ ხიდზე. კერზოვმაც თავისი არმიის მეტი ნაწილი გადაიყვანა იმავე მდინარის მეორე ნაპირას და შეახვედრა ქალაქიდან გამოსულ ჯვაროსნებს, რომელთაც ამასობაში მოასწრეს თავისი ჯარის დაწყობაც. ფრონტის სიგრძე უნდა ყოფილიყო 2—4 ათასი ნაბიჯი. მთელი ეს ხაზი ეჭირა ჯვაროსანთა 2 ათას რაინდ-მხედარს, რომელნიც ერთმანეთისაგან საკაოდ დაშორებული იყვნენ („ჩვენ გავებნივენით ფართო არეზე ისე, როგორც ამას შერებიან სამღვდელონი საეკლესიო პროცეიების დროს; არსებითად ჩვენი წინსვლაც ასეთი იყო“, — სწერს თანამედროვე წყარო). რაინდების წინ იდგნენ ქვეითნი, რომელნიც თვით ბრძოლის დროს რაინდების უკან დადგნენ. ომის დროს თურქები დაეცნენ ზურგში ამ ქვეითთ, მაგრამ ისინი შემჭიდროვდნენ ვიწრო რველ წრედ და მედგრად იგერიებდნენ თავდასხმას, სანამ ომის შედეგი გამოირკვეოდა. ის მალე გამოირკვა კიდევ—ჯვაროსან-რაინდებმა შედარებით ადვილად დაამარცხეს ამირა კერზოვის არმია და ის გააქციეს, მთელი ამ ომის სიმძიმე ამგვარად გადაიტანეს მხედარ-რაინდებმა, რომელთა მძიმე შეიარაღებას ვერ დაუმაგრდა თურქების არმია და დაამარცხდა.

ქალაქ ანტიოქიის ჯერ აღება ჯვაროსნების მიერ და შემდეგ მის შესანარჩუნებლად გადახდილი ომი (1094 წ. თებერვ.-ივნ.) იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი იყო. ანტიოქიის აღების შემდეგ გრძელდება ჯვაროსანთა წინსვლა, რომელიც დამთავრდა საქრისტიანოს წმინდა ქალაქის—იერუსალიმის და აგვებით. ანტიოქიის აღება მოხსენებულბ აქვს დავითის მემატიანესაც. ექვს გარეშვა, რომ ამ ომების დეტალები ცნობილი იქნებოდა საქართველო-





ლის შედეგი მოწინააღმდეგისათვის იყო პარდაპირ კაჩასტროფული. თურქები გაიქცნენ, კახელებს კი გასაქცევი გზაც არ ჰქონდათ (ხად უნდა წასულიყვნენ თავისი ქვეყნიდან) და მასობრივად ნებდებოდნენ გამარჯვებულთ ხელის შეუბრუნებლივ. მალე დაღამდა კიდევ და გამარჯვებულთ მოწინააღმდეგის ბანაკშივე პოვნილ სანთლებით გამოჰყავდათ ტყეში და თხრილებს უკან მიმალული კახელები.

ყველაფერი ეს მემატთანეს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: „ერწუხს ქმნა (დავითმა) წყობანი დიდნი და ხმა-განსმენილი (სახელგანთქმული) იგი და დიდი ძლევა, რომელ მცირედით ლაშქრითა და განწირულითა ერთთა დაკოცნა სულტნისა იგი სპანი ურიცხვნი; ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქვეყნისა ერი, მტერთავე თანა გარე-მოდგომილი ჩვენთანა, ესეოდენ ადვილად და მოსწწრაფელ ხელთ უსხნა ღმერთმანა საკვირველებათა მან (ე. ი. საკვირველების მომქმედმა ღმერთმა), როჲელ ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ხელითა იპყრობდა და ორთა არა თუ წარექცივნეს ბევრნი (ათი ათასნი), არამედ სანთლითა თვით მათვე ტყეთათ და მიხრებლთათ (ტყეებიდან და თხრილებიდან) ტყვედ მოჰყავნდეს იგინი ყოველნი ქრისტიანენი.

„ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხვაი ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზრახებდა, ვითარცა ერთი მრავალთაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთა თვით წინა უვიდოდა (ყველაზე წინ მიდოდა) და ვითარცა ლომი შეუზახებდა ხმითა მალლითა და ვითა გრივალი მი-და-მოიქცეოდა, თვით გოლიათებრ მიმართებოდა მკლავითა მტკიცითა და ხმობდა ახოვანთა (უძახებდა თავის ახოვან მხედრებს); სვრიდა და დასცემდა წინა-დამთხვეულთა ყოველთა ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა (ბიბლიურსა) დავითს ელიაზარის ხელი ხრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ხრმლითა მისითა უკ-მომდინართა სისხლითა წელნი აღსავსედ ეტვირთნეს. (რაიცა) რა ეამს შემდგომად ომისა გრდახდის და (შემდგომად) სარტყლისა განხსნისა საცნაურ იქმნა, ქვეყანად (მიწაზე) რა დაითხრა ესე ოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომეო განხილვისა (პირველი შეხედვით) თვით მისგან ეჭვონებდით გამოსრულად. და მას დღესა სამნი ცხენნი გამოჲკლეს და მეოთხესა-ლა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი“.

კახეთის დიდებულები ადვილად შემორიგებულ იქმნენ. დავითი დაადგა ღმობიერების გზას, რამაც სავესებით განაიარაღა აქამ-

დის მასზე გაბორცებული კახელი დიდებულები. ერთი რამ დავითმა მაინც გაატარა, სახელდობრ, ციხეები და სიმაგრეები ჩამოართვა ფეოდალებს და თავისი რაზმებით დაიკავა. მემატიანის სიტყვით, ეს ციხეების დაკავება მომხდარა „ნებიერად“, ე. ი. წინააღმდეგობის გაუწევლად და ყოველს მსხვერპლს გარეშე. მემატიანე ამას გადმოგვცემს შემდეგი სიტყვებით: „ესრეთ რა თვითმპყრობელობით დაიპყრა (დავითმა) ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აიხვნა ციხენა და სიმაგრენი მათნი, მხეებრ მიჰვინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყნისასა“ (იგულისხმება კახეთ-ჰერეთს).

ერწუხის ომზე ბევრად უფრო დიდი მასშტაბით იქმნა ჩატარებული დავითის მკერ დიდგორის ომი 1121 წ. დიდგორის მთები მდებარეობს თბილისის ჩრდილო-დასავლეთით და საფიქრებელია, რომ ეს ომი ამ მთების არემარში მოხდა. ამ დროისათვის საქართველო დავითის ხელმძღვანელობით უკვე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. დავითი თავისი თავდასხმებით მეტად ავიწროებდა თურქ-სელჯუკების ხელისუფალთ და მათ სამხედრო ძალებს და საფრთხეს უქმნიდა თბილისში მოკალათებულ თურქების ჯარს. საჭირო იყო რაიმე გარდამწყვეტი ზომების მიღება და ეს მოხდა კიდევ 1121 წელს, როდესაც თურქების ხელისუფალთ ყოველი მხრიდან შეკრიბეს დიდძალი ჯარი, სულ მცირე ანგარიშით—150 ათასი კაცი. უფრო გაზვიადებულ ცნობით—600 ათასი კაცი, და გამოემართა საქართველოსაკენ ამ ქვეყნის კვლავ დასამორჩილებლად, დავითის და მისი პატრიოტების გასანადგურებლად.

ქართველი მემატიანე ამ ომის ისტორიას აგვიწერს შემდეგნაირად:

ქართველების თარეშობისაგან და თავდასხმებისაგან „შეიწრობულნი თურქმანნი და კვალად ვაჭარნი ვანძელ-ტფილელ და მანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე და (წინაშე) ყოველსა სპარსეთსა. შეიღებნეს შავად რომელთამე პირნი და რომელთამე ხელები და რომელნიმე სრულიად და ესრეთ მიჰთხრნეს ყოველნი ჰირნი მოწყენულნი მათ ზედა. აღძრნეს (ისინი მათ) წყალობად თვისად და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა. მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს სადაყისძესა და მისცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი და აჩინა სპასალარად ელლაზის ძე არდუხისი, კაცი დაჰმანი (ე. ი. დაჰიმ-ის მქონე, სპარს. დაჰიმ ნიშნავს ძალაუფლებას) და მრავალ-ლონე და უბრძანა თურქმანობასა სადალაცა ვინ იყო დამასკოთ და ჰალაბითგან (ალეპოთგან) აღმომართ ყოველსა, მხედრობად (ე. ი. ცხენზე ომად შემძლებელსა) (და) ამათთანა ათაბაგსა გან-

ძისასა მისითა ძალითა (ვარდან დიდი ამ ათაბაგს ეძახის განძაგის ე. ი., განძის სულთან მუსინ-ს) და ყოველთა ამირათა სომხითისათა. ქარონიკონი იყო 341 (1121 წ.).

„შეკრიბეს ესე ყოველნი, შეითქვენეს, შეიმტკიცენს სიმრავლითა, ვითარცა ქეიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა და აგვისტოსა ათვრამეტსა მოვიდა თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერა ეტეოდეს ამათ ადგილთა“.

მე-12 საუკუნის სომეხ ისტორიკოსის მათე ედესელის სიტყვით 570 წელს სომხური სათვალავით (ე. ი. 19 თებ. 1121 წ.—18 თებ. 1122 წ.) განძაკის ქვეყნის ამირამ გაზიმ, რომელიც იყო კაცი სისხლისმზმელი, უსირცხვო, ბოროტი და კაცის-მკვლელი, მოინდომა ცუდი საქმე. ის იყო ქართველების (ქვეყნის) მეზობელი, ქართველების ხელმწიფის მეგობარი და ყმა, მაგრამ შეკრიბა 30-ათასი თურქი, შეიჭრა ქართველების ქვეყანაში, დაატყვევა მცხოვრებთა ნაწილი და მოგლიჯა ისინი თავიანთ კერას. შემდეგ ის დაბანაკდა თავის ქვეყანაში. დავითმა ამ ცნობის მიღებისთანავე გაგზავნა თავისი ჯარი თურქების დასასჯელად, ეს ჯარი გაემართა ჩუმად, (მოულოდნელად) თავს დაესხა თურქებს და ამოსწყვიტა მათგან 30 ათასი კაცი. ქართველებმა შეიპყრეს მათი ცოლები, შვილები, ცხვრის ფარები და დაბრუნდნენ დიდძალი ნადავლით დატვირთულნი. თურქებმა, რომელთაც კი გადაარჩინეს თავი ქართველების ხმალს, დამწუხრებულთ გარემოების ასე შეტრიალებით, შემოივლიჯეს თავისი ტანისამოსი და დაიყარეს თავს ნაცარი. ჩაცმულნი ძაძებში და თავ-შიშველა, ისინი წავიდნენ განძაკს საჩივლელად თავიანთ სულთან მელიქთან, დაფარის ძესთან, და ტირილით თხოვდნენ მას შებრალებას მათს მდგომარეობაში. სხვები გაემართნენ არაბებთან გარმიანის მხარეს ამირა ილაგზისთან და მწარე ტირილით მოუთხრეს მას მომხდარი უბედურება. ილაგზიმ, როგორც ძლიერმა და ამპარტავანმა, ბრძანება გასცა შეეკრიბათ დიდი ჯარი და მოეწვიათ ყველა თურქები დაწყებული საბერძნეთიდან (ბიზანტიიდან), ვიდრე აღმოსავლეთამდის, აგრეთვე გარმიანის ქვეყნიდანაც. მან აღრიცხა თავისი მეგობრები, რომელნიც 150 ათასამდის აღმოჩნდნენ. მან გაგზავნა კაცები სამხრეთისაკენ არაბებში მათი მეფის სადაკას დუბაის ძის მოწვევის მიზნით. ეს ხელმწიფე მამაცი მეომარი იყო. მას დაერბია ქალაქი ბალდადი და სამჯერ კარგი შედეგით შებრძოლებოდა სპარსელების სულთანს დაფარს. ის იყო წარმოშობით რაგადელი (მუსულმანთა ერთი სექტის მიმდევარი. ეს სექტა სპარსეთში ვარდაიქცა ე. წ., შიიზმად), მაჰმადის და მისი რჯულის მკიც-





ხველი. მის თავისი კარვები გაშლილი ჰქონდა ეთიოპიასა და ინდოეთს შუა (ე. ი. არაბეთის ნახევარ-კუნძულის მხარეებში). ეს სადიკამოვიდა და შეერთო ცოლად ამირა ილგაზის ქალი. ამ წელს ამირა ილგაზი მოვიდა განძაკს დიდ ძალი ჯარით და გამოემართა საქართველოსაკენ.

მათე ედესელი გადმოგვცემს ამასთანავე საინტერესო ცნობას, თუ რამდენი ჯარი შეახვედრა დავითმა თურქების ამ მძლავრ ლაშქარს. მისი სიტყვით, დავითის ჯარი შესდგებოდა 41 ათასი კაცი საკუთრივ დავითის (ე. ი. ქართველების) ლაშქრისაგან, 15 ათასი იყო ყივჩაღი (ყივჩაღები—თურქული მოდგმის მომთაბარე ხალხი, რომლებიც დავითმა გადმოიყვანა თავის სამსახურში ჩრდილოეთ კავკასიიდან), 5 ათასი ოსებიც (ქირით ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოყვანილნი) და 100 ფრანკი, ე. ი. ევროპელი, (იგულისხმებიან ევროპელი რაინდები, რომელნიც, ამგვარად, დავითის სამსახურში ყოფილან).

თვით ომის მიმდინარეობას ქართველი მემატიანე აგვიწერს შემდეგნაირად:

„ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულისთა და თუ ვითარ განაწყო სპა მისი და თუ ვითარ ყოველი საქმე შეენიერად და ღონიერად ჰყო, რაბამ (როგორ) რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო და თუ ვითარ თავისნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამით ყოველთათვის ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედ-მიწევნით ყოველსავე. რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და (მტერი) იელ ჯოდა... ვითართა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მბრძოლნი არაბეთისანი და ანუ მეოტთა (გაქცეულთა) ვითარ სიმარჯვითა და განკრძალულად (სიფრთხილით) სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა. ხოლო სპანი ჩვენნი და უფრორად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა. სრაფარლაგებითა, სხვითა უცხოთა ქურქლებითა, (ხოლო) საბრძოლველთა თვითსახეთა, ქოსთა და ფილაკაევანთათა, სასმურთა, ტურთათა და სანადიმოთა, საბანელთა და სამზარეულოთათა (რიცხვი), რაოდენ მან ქარტამან (ქალაღმან) და მელანმან დაიტოოს აღწერად. რამეთუ გლეხთა იხილემცა ოდეს არანთა მეფენი მოჰყვანდეს ტყვედ და სხვათა გოლიათთათვის რადლარამცა გვინდოდა თქმად!“



მემატიანის სიტყვით, დავითის „ესოდენი წინა-განწყობა (ე. ი. თვით ომი) სამ ჟამამდი იყო“ (გაგრძელებულა სამ საათს).

ლათინური ქრონიკის ფრანგი ავტორი გოტიე, „Bella Antiochena“ (ანტიოქიის ომები) დიდგორის ომის თან მედროვე, ამბობს, რომ ელლაზის ამ ომისთვის ჰყავდა თურქნების და არაბების დიდი ჯარი, რომელითაც ის გაემართა დავით მეფის წინააღმდეგ, რათა მისი მოსპობით უზრუნველყო თავისი მფლობელობა ანტიოქიასა და იერუსალიმში. მასთან იყო ხორასანის სულთანიც (Soldanus Chorocensium) და 600 ათ. მეომარი. დავითის ჯარი შესდგებოდა მიდიელთა და ქრისტიანეთაგან და უდრიდა 80 ათას კაცს. მან დააწყო თავისი ჯარი ორს მთას შუა, რომლებიც დაფარული იყო ხშირი ტყით, და გაჩერდა ერთს ვაკეზე, რომელზედაც მოწინააღმდეგეს უნდა გაეელო. ის მოუწოდებდა თავის ჯარს გამარჯვებისა, ან სიკვდილისაკენ და რათა თავისიანებისთვის გაქცევის ყოველგვარი საშუალება მოესპო, მან ვაკე-ველის გასასვლელი დააკავებინა ცალკე რაზმებს. როგორც კი დავითმა მოასწრო თავისი ჯარის სათავეში ორასი ფრანგი (ე. ი. ევროპელი) დაეყენებინა, მაშინვე გამოჩნდა მოწინააღმდეგე. ფრანგები (იგულისხმება საერთოდ ქართველების ჯარი) ეცნენ ამ მოწინააღმდეგეს და დახოცეს 400 ათასი კაცი როგორც ბრძოლის ველზე, ისე სამი დღის სიგრძეზე დაღვენების დროს. თვით ალლაზიც დაიჭრა თავში. ის გადაარჩინა საფრთხეს ბრძოლის ველზე არაბების მფლობელმა დებისმა.

აი თანამედროვე ფრანგ გოტიეს ცნობა სიტყვა სიტყვით: „ალაბით (ე. ი. ალეპოთი) წამოსულმა (ალლაზიმ) შეკრიბა თურქმანების (თურქების) და არაბების ურიცხვი ჯარი. როდესაც მან ნახა შეკრებილი (ჯარის) სიმრავლე, უალრესად ამპარტავნებით თავგასულმა გარდასწყვიტა მოეწყო ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად ლაშქრობა დავით მეფის წინააღმდეგ აფხაზეთში. (მიზანი იყო), რათა მისი (დავითის) დაღუპვის ან განდევნის შემდეგ თავისუფლად და სრულიად (დაუბრკოლებლივ) შეუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანეთა ამოწყვეტას. მაგრამ მას (ასეთი) სიამაყით მოლაშქრეს წინ უდგა ღვთის რისხვა. იმავე დღეს, როდესაც სულტანი და თვით ელლაზი ექვსასი ათასი მეომრით საომრად შევიდნენ მეფის ქვეყანაში, წმინდა ჯვრის ნიშნით აღჭურვილი მეფე დავითი ოთხმოცი ათასი მიდიელი და ქრისტიანე მეომრით აწყობს რაზმებს და დგება ერთს ხეობაში—ორს მთას შორის მდებარე დაბურულ ტყეში, რომლის მიმართულებით, როგორც ხმებდა



გოტიეს ამ მეტად საყურადღებო ცნობაში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რომ რომის ბედი ორასმა ფრანკმა (ევრობელმა) გარდასწყვიტაო. ექვს გარეშეა აქ იგულისხმებიან ევროპელი რაინდები, რომელნიც დავითის სამსახურში იმყოფებოდნენ დი რომელნიც მოქმედებდნენ ქართველ რაინდებთან ერთად, რომელთა რიცხვი რამოდენიმე ასი, და შესაძლებელია, ერთი-ორი ათასი უნდა ყოფილიყო (იგულისხმებიან მძიმედ შეიარაღებული და საუკეთესოდ განწყვრთნილი რაინდები). მართლაც სავსებით შესაძლებელია, რომ დიდგორის ბრძოლაში ამ მძიმედ შეიარაღებულ რაინდებს გარდამწყვეტი როლი შეესრულებინათ, მაგრამ მართო ეს რასაკვირველია არ კმაროდა. საჭირო იყო სათანადო მხედართმძღვანობაც. მართლაც ქართველი მემკვიდრე განსაკუთრებით ქებით ახსენებს დავითის მიერ დიდგორის ომში მხედართმძღვანობას. ის იგონებს ჰომერს, არისტოტელს და იოსებ ფლაბიუსს, რომელთაც შეაქეს—პირველმა (ე. ი. ჰომერმა) აქილესი, მეორემ ალექსანდრე მაკედონელი და მესამემ ვესპასიანე კეისარი და ამბობს, მათ თავიანთ გმირთა შესაქები ფაქტები რომ საკმაოდ არ ჰქონდათ, რიტორებითი მრავალ-სიტყვიანობას იშველიებდნენო. მაგრამ მათ რომ ხელთ ჰქონებოდათ დავითის საქმეთა დაგვარი ფაქტები, მაშინ მათი რიტორებრივი ნიჭი იპოვიდა შესაფერ გასაქანს და მართლაც მოიპოვებდნენ თავისს შესაფერ ქებასო. „ხოლო ამათ რა თხრობად მოვიწიე, ვაებისა (შებრალებისა) ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი სახელოვანნი გამოიმეტყველნი, ვიტყვი უკვე უმიროზს, არისტობულს ელლინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა... და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა ჰქონდეს კმად მისათხრობელად, ამისთვისცა მის ხელოვნებისა რიტორებისათა განავრცელეს, ვითარცა იტყვის თვით სადამე ალექსანდრიელი: არა დიდ იყავ აქიველი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროზს(ს). რამეთუ ოცდარვა წელი განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა რა ღირსი ქებისა იქმნა... ჰქონებოდესცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორებისა მსგავსად და მაშინლამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა“.

ასეთი იყო ეს დიდად მნიშვნელოვანი ეპოპეა ქართველი ხალხის გმირულ წარსულში.



ჭუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო  
 პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942 წ.  
 Труды Кутаисского Государственного  
 Педагогического Института имени  
 А. Цулукидзе, т. IV, 1942 г.

სიმ. ჟაუხიძე

ბერძნულის დასახლების ისტორია საქართველოში

შესავალი

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში არაფერია ნათქვამი საქართველოში ბერძნული მოსახლეობის არსებობის შესახებ. ამიტომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ აწინდელ ბერძნულ მოსახლეობას საქართველოში რაიმე კავშირი ჰქონდეს იმ ძველ ბერძნულ მოსახლეობასთან, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნიდან გაჩნდა დასავლეთ საქართველოში. აწინდელი ბერძნული მოსახლეობის გაჩენა საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით, XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს ეკუთვნის.

ისტორიკოსი ომან ხერხულიძე გადმოგვცემს, რომ ერეკლე მეორის ეკონომიური პოლიტიკიდან გამომდინარეობდა მისი სამეფოს ტერიტორიაზე არსებული მადნების დამუშავება და ამ მიზნით ბერძნების მოწვევა „საბერძნეთიდან“. მას მოუყვანია ახტალაში ოქროს და ვერცხლის დამუშავების საქმეში დახელოვნებული ბერძნები<sup>1</sup>. ომარ ხანის შემოსევის დროს ახტალის ციხე აულიათ და მადნებზე მომუშავე ბერძნები და ქართველ-სომეხნი დაუტყვევებიათ<sup>2</sup>.

ს. ბურნაშოვის აღწერით მის დროს (ე. ი. 1783-1787 წწ.) აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს შეადგენდნენ ვაჭრები, ხელოსნები, მეტწილად კი მემთამადნენი, რომლებიც ამუშა-

<sup>1</sup> „მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსი და ვეცხლისა, რომელმანცა იპოვა სომხეთის მამულსა შორის ალტალას, რომელ არს მამულობით თავადთა სომხითისა მელიქისა, და მოიყვანნა საბერძნეთით ბერძენნი მკირდენი, გამომდნობელნი ოქროსა და ვეცხლისა მიწისანი. ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშავება, ისარგებლა მით ფრიად“ (ხ. კიკნაძის გამოც. თბილისი, 1913, გ. 269).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 275.





ომარხანის შემოსევის დროს (1785 წ.) ბერძენთა რაოდენობა ახტალის სამადნო ბუდობების რაიონში დაახლოვ. 1000 კაცი უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

XV<sup>1</sup>/II საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში მოწვეული ბერძნები შეიძლება იმ ოსტატთა რიცხვიდან იყვნენ, რომელნიც ბაიბურთის მახლობლად არსებულ ქარხნებში მუშაობდნენ (Акты, VII, 805).

ალავერდის ბერძნები კარგი ოსტატები ყოფილან. როდესაც, მაგალითად, ერევნის სარდლის მიერ 1804 წლის მახლობლად მოწვეული ბერძენი მემთამადნენი შეუდგნენ დარაჩიჩალის ქარხნის განახლებას, მათ არაფერი გამოუვიდათ და მოიწვიეს „ალავერდის ქარხნიდან დნობაში გამოცდილი ოსტატები“ (Акты, VII, 82).

ამრიგად, აღმ. საქართველოში, სახელდობრ ბორჩალოში, ბერძნული მოსახლეობის გაჩენა უკავშირდება სამთამადნო სამუშაოებს, რომელთა ჯეროვანი წარმართვისათვისაც საქართველოს მესვეურნი მიზანშეწონილად სთვლიდნენ სამთამადნო საქმეში გამოცდილ ანატოლიელ ბერძნების მოწვევას.

როგორც ჩანს საბუთებიდან, დასავლეთ საქართველოშიაც ფიქრობდნენ ანატოლიელი ბერძნების გამოყენებას ამავე მიზნებისათვის. ასე, მაგალითად, 1785 წლის 8 ივლისს პოტიომკინისათვის შირთმეულ ბარათში თავადი ზურაბ წერეთელი უმტკიცებს მას იმერეთის შეერთების („შეძენის“) უპირატესობას და სხვათა შორის მიუთითებს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, კინტრიშში ან ციხისძირში, ციხე-სიმაგრის აგება განამტკიცებს რუსეთის ძალა-უფლებას. შემდეგ ის განაგრძობს: «Сие место легко и скоро населится Греками азиатскими, ибо оно изобилует пресною водою и многочисленными металлами, шелком, хлопчатой бумагою, пеньбою, воском, корабельными лесами и на разные употребленья способными деревьями» (Бутковъ, II, 139).

იმერეთშიაც ყოფილან მემთამადნე ბერძნები. სტატკი სდვეტნიკი ლიტვინოვი თავის რაპორტში თავ. ციციანოვისადმი (11 აგვ. 1803 წ. თარიღით) წერს: «Повеление Вашего Святельства о доставлении некоторого количества руды остается неисполненным, так как уже имел честь довести, до времени. Здешние же жители ут-

<sup>1</sup> როგორც ბურნაშოვის რაპორტიდან ჩანს (4 ოქტ. თარიღით, № 42), ომარხანს ამ რაიონში 640 კაცი ორივე სქესისა ამოუყვებია, ხოლო 860 სული — უმეტესწილ ქარხანაში მომუშავე ბერძნები — ტყვედ წამოიყვანია (Дубровин, II, 141).

верждают, что свинец и железо, для употребления нужные, получаются из Ахалциха, медь из Грузии, что рудников здесь никаких нет, а находятся оные в Сванетах. Поощрения для разработки руд, в равные времена Грекам деланные, остались бесполезны (АКТЫ, II, 393).

ბერძნები მოდიოდნენ საქართველოში აგრეთვე XIX საუკუნის პირველ მეოთხედში წარმოებული ბერძენ-თურქთა ომის დროს (ე. წ. ბერძენთა განმათავისუფლებელი მოძრაობა). ამ დროს ბერძნები შემოხიზნულან საქართველოს ტერიტორიაზე, და თურქეთის მთავრობა მოითხოვს მათ დაბრუნებას უკან. 1822 წ. 22 თებერვალს ერმოლოვი სწერს ნესელროდეს: რა საბუთით უნდა მივცეთ უკან გადმოხიზნული ბერძნები, გაიხსენონ 1820 წლის ამბები, როდესაც თურქები აჯანყებულ გურიასა და იმერეთს ეხმარებოდნენო (АКТЫ, VI, II, გვ. 434).

საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნების მოსახლეობა მასობრივად მოიპოვება: 1. წალკაში (თრიალეთში), 2. ციხისჯვარსა და მიქელწმინდაში (მესხეთში) და 3. აფხაზეთში. იმათი დასახლების ისტორია, ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით, შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

## 1. წალკა

1829 წლის 2 სექტემბერს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ იქმნა ხელშეკრულება (ადრიანოპოლის ზავი), რომლითაც დასრულდა 1828-29 წ. ომი. ამ საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთმა დასტოვა არზრუმის ვილაიეტში ომის დროს დაკავებული ადგილები, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა, რომლის ერთი ნაწილი რუსეთს ეხმარებოდა საომარ ოპერაციებში, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. მასალებიდან ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივი ბერძნები რუსის ჯარში მსახურობდნენ, საგანგებო რაზმიც (Греческая дружина) კი მოეპოვებოდათ<sup>1</sup>. ამიტომ, ცხადია, ბერძნები იყვნენ რომ რუსის ჯარის მიერ საზავო ხელშეკრულების ძალით არზრუმბაიბურთ-გიუმიშხანის დაცლის შემდეგ, შუამდგომლობა აღძრეს პას-

<sup>1</sup> 1831 წლის 26 იანვარს პასკევიჩისადმი მირთმეულ თხოვნაში ბერძენი ოჯახში გიუმიშხანიდან კონსტანტინე გრიგორი სწერს, რომ ის სამხედრო სამსახურში ყოფილა ბერძნულ „დრუჟინაში“, ხოლო შემდეგ, ბერძნები რომ წალკაში გადმოსახლებულან, სამხედრო სამსახურისათვის თავი დაუწებებია (საქმე № 2, ფ. 213), ამ ცნობას ადასტურებს შემდეგ კაპიტანი კაციერი (იქვე, ფ. 301).

კევიჩის წინაშე რუსეთში დაესახლებინა ისინი. «После вытупления вѣнск наших из Гюмнлхане и из Бейбурга, 60 греческих семейств, не желая остаться под турецким правительством, обратились ко мне с просьбою переселить их в наши пределы» — სწერს გრაფი პასკევიჩი 1829 წ. 7 სექტემბერს ტფილისის სამხედრო გუბერნატორს (საქმე № 1, გვ. 3). და როდესაც შემდეგ გიუმეშხანის ამ ბერძნებს ფულადი დახმარება აღმოუჩინეს, ამას კომიტეტი ასაბუთებდა იმით, «что они оставили сей город в один сутки, в то время когда выходили оттуда Российскне войска, что они примерно своей привязанностью с усердием к нашему правительству так вооружили противу себя турок, что, дабы спасти свою жизнь, должны непременно расстаться с своею родиною, пожертвовать всем нажитым имуществом и, одним словом, выйти ни с чем. тогда как прочие переселенцы армяне и католики не были при таких обстоятельствах, переходят в Российскне пределы по собственному желанию и имели время на переселение почти 8 месяцев (საქმე № 7, ფ. 14, Общий Отчет по Комитету переселения из Турции в Российскне пределы христиан по 26 мая 1830 года).

პასკევიჩიც, ჯერ კიდევ 1829 წლის 10 ოქტ. არზრუმიდან რაპორტს უგზავნის მეფეს, სადაც აღნიშნავს, რომ თურქეთის ქრისტიანები ეხმარებოდნენ რუსის ჯარს და ახლა მათი დატოვება თურქეთის ანაბარა საშიშია; საჭიროა დაეუფასოთ ღვაწლი და გადმოვასახლოთო (საქმე № 4, ფ. 8-9).

ბერძენი კოლონისტების პირველი წყება თურქეთიდან წალკისაკენ დაიძრა 1829 წლის სექტემბერში. ამ წლის 7 სექტემბრის თარიღით მთავარსარდალი გრაფი პასკევიჩი არზრუმიდან აცნობებს კავკასიის საგანგებო კორპუსის შტაბის სამმართველოს, რომ წინწყაროში იგზავნება 60 ბერძნული ოჯახი (სულ 396 სული) გიუმეშხანიდან და მადანიდან, და წინადადებას აძლევს შტაბის სამმართველოს უზრუნველყოს აღნიშნული ბერძნები სატრანსპორტო საშუალებებით<sup>1</sup>.

გადმოსახლებულ ბერძენთა მარშრუტია ყარსზე და გუმბრზე, და გრაფი პასკევიჩი სწერს განკარგულებებს ყველა

<sup>1</sup> «Отправляя в Цинсхар 28 семейств, вышедших из Гюмнлхане и 32 из Мадены, поручаю оному Управлению отпустить первым к вьюшним уже у них 14 арбам еще 11, а последним, сверх установленных им, еще 14 ароб, кои все должны им служить только до Цинцсхар» (თურქეთიდან ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტის ფონდი, საქმე № 1<sup>9</sup> გვ. 2).











| №  | თურქეთის სოფლის სახელწოდება              | სანჯაყი ანუ სოფელი | მცხ. | მსლ.   | წამოსვ. თუ მოსვ. დრო               | ბელობა     |
|----|------------------------------------------|--------------------|------|--------|------------------------------------|------------|
| 11 | გიუმბეთი (ფ. 59,117-118)<br>(ფ. 161-165) | კიგინის სანჯ.      | 5    | 38 392 | 1830.V. <sup>1</sup><br>1830.VII.2 |            |
| 12 | უმედუმი (ფ. 84-87,92-98)                 | ოვის ოლქი          | 5    | 38     | 1830.VII.5 <sup>2</sup>            |            |
| 13 | ჩურმუტი " "                              | " "                | 2    | 13     | " "                                |            |
| 14 | აწყალა " "                               | " "                | 4    | 13     | " "                                |            |
| 15 | ილიჯი " "                                | " "                | 5    | 31     | " "                                |            |
| 16 | ტუი " "                                  | " "                | 1    | 7      | " "                                |            |
| 17 | კონკლუსი " "                             | " "                | 1    | 7      | " "                                |            |
| 18 | სიმბეკი " "                              | " "                | 18   | 99     | " "                                |            |
|    | (ფ. 161-165)                             | " "                | 2    | 19     | 1830.VII.2                         | მიწათმოქმ. |
| 19 | ევრანი (ფ. 84-87,92-98)<br>(ფ. 161-165)  | " "                | 19   | 105    | 1830.VI.5 <sup>2</sup>             | მიწათმოქმ. |
|    | (ფ. 161-165)                             | " "                | 6    | 28     | 1830.VII.2                         | მიწათმოქმ. |
| 20 | ოზნუ (ფ. 84-87,92-98)                    | " "                | 1    | 6      | 1830.VI.5 <sup>3</sup>             |            |
| 21 | ნარტივანი " "                            | " "                | 2    | 16     | " "                                |            |
| 22 | ევრანელი " "                             | " "                | 3    | 4      | " "                                |            |
|    | (ფ. 163-165)                             | " "                | 26   | 138    | 1830.VII.2                         |            |
| 23 | ჯინილი (ფ. 84-87,92-98)                  | " "                | 1    | 1      | 1830.VII. <sup>2</sup>             |            |
| 24 | გეპატა " "                               | ზემ. ბასიანის სან. | 19   | 167    | " "                                |            |
| 25 | ომიჩეკრენი (ალიჩეკრენი)                  | " "                | 6    | 51     | " "                                |            |
| 26 | ტერჯანი " "                              | " "                | 72   | 327    | " "                                |            |
| 27 | პარმაქსიზი                               | კიგ. ოლქ. თუ სან.  | 69   | 350    | 1830.VII.5                         |            |
| 28 | ტაბოგარონი<br>აბალქალაქიდან <sup>3</sup> | " "                | 30   | 210    | 1830.VI.29                         |            |
| 29 | ხალანკი (ფ. 161-165)                     | კიგინის სანჯაყი    | 19   | 202    | 1830.VII.2                         | მიწათმოქმ. |
|    | " "                                      | " "                | 16   | 78     | " "                                |            |
| 30 | უნია (ფ. 161-165)                        | " "                | 10   | 89     | " "                                |            |
| 31 | ბაშკოვი " "                              | " "                | 9    | 39     | " "                                |            |
| 32 | კარაკოში " <sup>4</sup>                  | " "                | 9    | 70     | " "                                |            |

<sup>1</sup> 3 ივლისს ამათ (და ამათ წინ მოხსენებულებმა პარმაგსურიდან) უკვე მიიღეს წალკაში დახმარება პურისა და ფულის სახით (ფ. 59).

<sup>2</sup> 5 ივლისს გამოვიდნენ ყარსისკენ.

<sup>3</sup> 29 ივნისს პრაპორშიკ არტემიევს მოუყვანია აბალქალაქის ციხიდან წალკის ციხეში გადმოსახლებული სომხები (239 კომლი), в числе коих греков 30 сем. и католиков 5 (ფ. 120-121). თუ საიდან არიან ესენი, არა ჩანს.

<sup>4</sup> სოფლის სახელწოდების გვერდით ფრჩხილებში მიწვრილია ფურცლის გვერდი № 2 საქმისა, სადაც ეს ცნობებია მოთავსებული.



როგორც ვთქვით, პირველ ხანებში გადმოსახლებულები დროებით წინწყაროში დაბინავდნენ. ხოლო იქიდან მათ თანდათან იწყეს დამკვიდრება წალკის რაიონის სხვადასხვა ადგილებში. წალკის ეს ადგილები იმ ხანებში თითქმის სრულიად ცარიელი იყო: მოსახლეობა იქიდან XVIII საუკუნის განმავლობაში თანდათან გასულა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბერძნებმა თავიანთ ახალ სოფლებს უწოდეს იმ ძველ თურქულ სოფელთა სახელები, საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ: ბაშკოი, ხადიკი, სანამერი, ახალიკი და სხვა. მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევაში დასტოვეს ძველი სახელწოდება (ალბათ, იმიტომ რომ აქ ჯერ კიდევ იყო ნაშთი ძველი მოსახლეობისა), იმასაც ზოგჯერ თავისებურად ცვლიდნენ (ბეშქენაშენი-ბეშთაშენი, „ხუთი ქვა“).

1830 წლის დამლევისათვის ბერძნებს უკვე 18 სოფელი აქვთ წალკაში გაშენებული<sup>1</sup> (საქმე № 2, ფ. 207-208, 232).

## მცხოვრებთა რაოდენობა

1830 წ. 19 დეკემბ. 1831 წ. 30 იანვ.

|                          |     |     |
|--------------------------|-----|-----|
| 1. ბეშთაშენი             | 200 | 200 |
| 2. შეპიაკლი              | 130 | 132 |
| 3. კერიკი                | 205 | 249 |
| 4. პაშკოი-კენდიგი        | 240 | 240 |
| 5. ხადიკ-სანამერ-ახალიკი | 265 | 265 |
| 6. ბარმაქსიზი            | 401 | 401 |
| 7. სემეკ-კეზელჩიზი       | 153 | 153 |
| 8. მენევიკი              | 54  | 49  |
| 9. პეტროვანსი            | 113 | 113 |
| 10. კენდეგი              | 55  | 55  |
| 11. ეკიბატი              | 129 | 129 |
| 12. ბულლასონ-კეივანქი    | 133 | 110 |
| 13. ჯენისი               | 194 | 190 |
| 14. კუმბეთლი             | 336 | 336 |
| 15. ავრენი               | 173 | 280 |
| 16. გუნია                | 159 | 160 |
| 17. გოლანკლი             | 305 | 305 |

<sup>1</sup> 1830 წლის 10 ოქტომბერს კოლონისტებს უკვე ბინებიც ჰქონდათ აშენებული და თავიანთი მეურნეობაც გაჩენილი (საქმე № 7, ფ. 28).





## В Е Д О М О С Т Ь

Цальское поселение с пояснением ка(к) ныне именуются, прежде именовались пустопорожные места, и кому принадлежат.

| №№ | Ныне именуются          | прежде именовались | Кому принадлежат                              |
|----|-------------------------|--------------------|-----------------------------------------------|
| 1  | Бешташен                | Бешкенашен         | Дворянина Магалова                            |
| 2  | Шелякли                 | Эдзени Сопели      | Казенная                                      |
| 3  | Керяк                   | Нижний халшены     | Князя Элиозова                                |
| 4  | Пашкой кендыги          | Верхний Ахалшены   | дворянина Магалова                            |
| 5  | Хадык Сенамер<br>Ахальк | Когты              | князя Баратова                                |
| 6  | Дерекной                | Парахеты           | } дворянина Саакадзе,<br>купил князь Шаршидзе |
| 7  | Джиние                  | Карушеты           |                                               |
| 8  | Ашкала                  | Црыцы              |                                               |
| 9  | Кумбатли                | Кахадже            | князя Цецианова                               |
| 10 | Аврени                  | Тезы               | князя Джавахова                               |
| 11 | Лока                    | Реха               | князя Цецианова                               |
| 12 | Кизиль елиси            | Нижний Авлады      | князя Джавахова                               |
| 13 | Гуниа                   | Чанчабежа          | казенная                                      |
| 14 | Голыхли                 | Алтыс              | казенная                                      |
| 15 | Куци                    | Кюльпареха         | дворянина Саакадзе                            |
| 16 | Нардыван                | Хеварши            | казенная                                      |
|    |                         | Адран              | казенная                                      |
|    |                         | Сатре              | князя Орбельянова                             |
|    | Пустопорожные           | Купрацховели       | казенная                                      |
|    |                         | Кучей              | казенная                                      |
|    |                         | Куней              | казенная                                      |

როგორც ჩანს, თვით ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელსაც არ ჰქონია ცნობები ყველა დასახლებული სოფლის ძველ სახელწოდებათა შესახებ, თუ არა იმავე პორუჩიკ კაციერს იმავე (1832) წლის 16 აპრილს შედგენილი აქვს ყველა ბერძნული (და სომხური) სოფლების სია, რომელშიაც, ზემოჩამოთვლილი სოფლების გარდა, სხვა სოფლებიც არის მოხსენებული. ბერძნებს ზემოჩამოთვლილ პუნქტთა გარდა (ნარდევანის, ყუშის, ყიზილ-ქილისას, დარაკიოისა და აშყალას გამოკლებით, რომლებშიაც სომხები დასახლდნენ) ამ დროს (1832 წლის 16 აპრილს) უჭირავთ შემდეგი პუნქტე-



ფილიყო დასახლებული შესაფერ ადგილას (ვაჭარი ქალაქში და სხ.)<sup>1</sup>

2. კოლონისტები უნდა დაესახლებინათ მხოლოდ სახაზინო მიწებზე: თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, უნდა შემდგარიყო პროექტი მათ დასასახლებლად განსაკუთრებით საეკლესიო მიწებზე. თუ ესეც არ იკმარებდა, მებატონეთა მამულებში უნდა დაესახლებინათ ისინი (თანახმად 1829 წ. 22 ოქტომბერს დამტკიცებული უმაღლესი დებულებისა: „0 принятия помещиками в Грузию поселенцев, выходящих из заграницы и о водворении их на собственных землях“).

3. ამავე დებულების ძალით გადმოსახლებულებს ეძლევათ შეღავათი: «дается льгота от платежа казенных податей на шесть, а от земских повинностей на три года, со времени перехода и водворения их в наших провинциях».

4. გადმოსახლებულებს უნდა მიეცეს აგრეთვე დახმარება, მაგრამ «значенные пособия в круглом счете не должны превышать двадцати пяти рублей серебром на каждое семейство» (საქმე № 4, ფ. 4 შდღ.)

დახმარება უნდა მიეცეს გარჩევით. მთავრობა ზრუნავს პურის მომარაგებაზე როგორც შეძლებულთათვის, ისე ხელმოკლეთათვის. პირველად უნდა მიაწოდონ პური ნაღდ ფულზე, მერე ნისიად ან უფულოდ<sup>2</sup>. ფულადი დახმარება—პურის გარდა—არა უმეტეს 7 მანეთისა ოჯახზე (საქმე № 4, ფ. 77).

სომეხ გადმოსახლებულებზე მუდამ ხაზგასმულია ის, რომ ისინი არ ითხოვენ დახმარებას, ისინი ითხოვენ მხოლოდ ნებართვას ახალ ადგილებზე დასახლებისას.

5) რაც შეეხება სახნავი მიწების რაოდენობას, ჩვენს მასალებში აღმოჩნდა ცნობები კერძოდ სომეხთა შესახებ. ვფიქრობთ, რომ ბერძნებისათვისაც ისეთივე ნორმა იქნებოდა. მასალებში სწერია: ოჯახს სულზე 8 დღის სახნავი მიწა მიეცესო. ისინი უნდა იქნენ დასახლებული მთელი სოფლებით, როგორც წინათ ცხოვრობდნენ (საქმე № 4, ფ. 80), ან ერთმანეთის ახლო. ქრისტიანები არავეითარ შემთხვევაში არ უნდა შეურიონ მაჰმადიანებს (ფ. 81). იზრუნონ,

<sup>1</sup> «Всех переселенцев должны разделить на три класса: 1. купцов или торгующих, 2. мастеровых и вообще упражняющихся в каком-либо промысле, и 3. хлебопашцев или поселян» (საქმე № 4, ფ. 4 შდღ.)

<sup>2</sup> პასკევიჩი, მაგ. 1830 წ. 10 თებერვალს კომიტეტისადმი ამ დებულების საპასუხოდ გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: ბაიაზეთის 2000 ოჯახმა პური თვითონ წამოიღოსო. არზრუმის 2000 ოჯახს კი პურით დახმარება ესაჭიროებოდა (ფფ. 87—89).



3) მიუხედავად გადმოსახლებულთათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათებისა, ისინი, როგორც ჩანს, ბეგარაზე ვაჰყავდათ, და 1831 წლის 24 ივლისს საქირო გახდა კომიტეტის საგანგებო მითითება პორუჩიკ კაციერისადმი, «что по Высочайшему повелению 22 октября 1819 года все переселенцы освобождаются на 6 лет от податей и на 3 года от земских повинностей, а по сему они ни в коем случае не обязаны давать подвод наравне с коренными жителями» (საქმე № 2, ფ. 356).

4) არც დახმარების საკითხში იჩენდა მთავრობა დიდ შროშენველობას. ახლად დასახლებულთათვის ნავარაუდები იყო სამოსახლო ადგილების, სააღმშენებლო მასალების, სათესლე ხორბლისა და სხვათა მიცემა. როგორც ჩანს, გადმოსახლებულებს ყველა ამაზე შროშენვა უხდებოდათ პირადად, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე. სათესლეს რომ მთავრობა არ აძლევდა, ისინი დადიოდნენ მახლობელ სოფლებში და იქ ყიდულობდნენ სათესლე ხორბალს, რაც ხშირად იმდენად უვარგისი აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ხალხი სწეულდებოდა. 1831 წლის 16 ოქტომბერს პორუჩიკი სწერს კომიტეტს: «Деревня поселенные в урочише Гумареты, числом 12, сем. 253, не весне покупали у тамошних старожилов на посевы пшеницы, где ныне по уборанию хлеба уродилось (в) большей частью какого то семя называемый по татарски делиджов то есть бешеное», და ამის მკამელი მთელი თვეებით თითქო მთვრალია (საქმე № 2, ფ. 398). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თუმცა ე. წ. „მთრობელა“ ხორბლის რაიონებში აქა-იქ მუდამ გამოერევა ხოლმე, მაგრამ წალკაში ამას პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი მიუღია. ამ პირველი სათესლე ხორბლის მოხმარების შედეგებიდან წალკელები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ვერ განთავისუფლებულან და რამდენიმე სოფელში, ჩემი მოგზაურობის დროს, ჩემ შეკითხვებზე მათი წარსული ცხოვრების პირობების შესახებ მოხუცი ბერძნები მიპასუხებდნენ ხოლმე: რა ჯანი და დოვლათი უნდა შეგვჩინოდა, როდესაც მთელი ჩვენი სიცოცხლე, „დელიჯანს“ ვკამდითო.

ყველაფერ ამას ემატებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციის თავგასულობა. მრავალი საბუთი მოიპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი კაპიტანი კამენსკი<sup>1</sup>, რომელსაც ებარა გადმოსახლებულთა საქმე, არა თუ არ იჩენდა ინიციატივას კოლონისტებზე შროშენვისათვის, არამედ მათ

<sup>1</sup> კაპიტან კამენსკის რეზიდენცია სოფ. წინწყაროშია (საქმე № 2, ფ. 350).





ლი, უკვე 3381 სულია დასახლებული 18 სოფელში), როგორც ჩანს, განაგრძობენ ბერძნები გადმოსახლებას და 1864 წელს მათი რიცხვი წალკაში უკვე 9245-ს უდრის (იხ. Н. Зейдлиц, Греки на Кавказе; „Кавказ“, 1864, № 9). თუ რომელი სოფლები იქმნა დასახლებული 1833—1864 წლებში, მასალებიდან არა ჩანს („გადმოსახლებულთა კომიტეტის“ ფონდში საქართველოს ცენტრარქივში 1832 წლის შემდეგდროინდელი მასალები ჯერ-ჯერობით არა ჩანს). რაც შეეხება ადგილობრივ შეკრებილ ზეპირ ცნობებს, იმათ მიხედვით დანარჩენი 9 სოფელიც (ელი-ქილისა, იმერა, ყარ-ყომი, ლივანი, ნეონ-ხარაბა, სანდა, საფარ-ხარაბა, ტავექილისა, ხანდო) 1832 წლის მახლობელ წლებში უნდა იყოს დასახლებული<sup>1</sup>. ამ სოფლების მოხუცი ყველანი ერთხმად იმეორებენ—ჩვენი პაპა პასკევიჩის დროს გადმოვიდა თურქეთიდანო. ეს, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. მაგრამ რამდენადაც არც ერთ მათგანს თვითონ არ ახსოვს გადმოსახლების ამბავი, ისინი სამოციანი წლების შემდეგ არ უნდა იყვნენ აქ მოსული. გარდა ამისა ამ სოფლების სახელწოდებებიც იმავე გიუმიშხანიდან და არზრუმის ვილაეტიდან არის წამოღებული, საიდანაც ბერძნები აყარა 1828—29 წლის ომმა, ასე რომ ეს დანარჩენი სოფლებიც უნდა გამოჰყოლოდნენ 1829—1832 წელს გადმოსახლებულ სოფლებს.

მეტად გაჭირებულ მდგომარეობაში იყვნენ წალკაში დასახლებული ბერძნები. სახნავი მიწების მოუწყვსრივებელი განაწილების გამო ხელისუფლების უზრუნველობის წყალობით, ბევრი მათგანი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით მცხოვრებლები ხშირად იცვლიდნენ სამოსახლო ადგილს, ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდნენ. და როდესაც 1878 წელს ყარსის ოლქი რუსეთმა შეიერთა, მცხოვრებლებმა დააპირეს მთლიანად იქ გადასახლება (აღბათ, ნაწილობრივ, იქიდან იყვნენ). ნაწილმა მოასწრო კიდევ წასვლა. ასე, მაგ. თეჯისი, რომელიც დღეს თურქებით არის დასახლებული, 1878 წლის წინა ხანებში ბერძნული სოფელი იყო (41 კომლი): ისინი ყარსის ოლქში გადასახლდნენ. 1880—1885 წლებში წალკიდან წავიდა სულ 116 კომლი ბერძენი (Ф. В. Фриксон, Об условиях быта и санитарного состояния Цалкивских поселений: „Мед. Сборник“ Кавк. Мед. Общ. № 61, 1898, стр. 211).

<sup>1</sup> გარდა სოფელ თარსონისა, რომელიც შედარებით გვიან გამოვეყოს სოფელ გიუმბეთს.



- 4) *Ενταφιασθη ο δουλός του Μυ  
Ιωρδανης Θεοδ Γερασιμηδη  
εγεντο 1839  
ετελευτισαι το 1894 μαρ 5  
πατρις μεν αυτου  
Χαλδια ενορι  
α Μηκελ Τσμιντα*

როგორც ამ წარწერებიდან ჩანს, უძველესი თარიღი თურქეთიდან გადმოსახლებული და მიქელწმინდაში დაბინავებული ბერძნის გარდაცვალებისა არის 1869 წელი, რაც ეთანხმება 1864 წლის გაზეთის მიერ მოცემულ თარიღს. მიქელწმინდის ბერძნები, როგორც წარწერებიდან ჩანს, ქალდიის თემიდან (თურქეთიდან) არიან მოსული.

ს ა რ ჩ ე ვ ი

|                                                                                                                                                          |     |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| 1. დოც. ლ. ჭელიძე—ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტი სამამულო ომის დღეებში                                               | 5   |
| 2. დ. კოპალიანი—ანტიპიტლერული კოალიცია ძლიერდება . . . . .                                                                                               | 19  |
| 3. გ. ჩხეიძე—ლენინურ-სტალინური მოძღვრება კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარებისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ . . . . . | 31  |
| 4. Доц. Т. Картвелишвили—Некоторые проблемы категории формы и содержания в «Капитале» К. Маркса . . . . .                                                | 61  |
| 5. დოც. კ. მეძველია—პატრიოტიზმი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში . . . . .                                                                               | 95  |
| 6. ფ. გოკიელი—ერნსტ ჰემინგუეის შემოქმედებითი გზა                                                                                                         | 115 |
| 7. დოც. გ. სამხარაძე—გმირობა და პატრიოტიზმი ძველ ხალხურ პოეზიაში . . . . .                                                                               | 137 |
| 8. მ. მახათაძე—სამხედრო ხელოვნება «ვეფხისტყაოსანში» . . . . .                                                                                            | 169 |
| 6. პროფ. ს. კაკაბაძე—დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი . . . . .                                                                                           | 205 |
| 10. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი—ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში . . . . .                                                                             | 219 |





## О Г Л А В Л Е Н И Е

1. Доц. Л. Челидзе—Кутаисский Госпединститут имени Ал. Цулукидзе в дни отечественной войны . . . . . 5
  2. Д. Копалиани—Крепнет антигитлеровская коалиция . . . . . 19
  3. Г. Чхеидзе—Ленинско-Сталинское учение о неравномерном развитии капитализма и о возможности победы социализма в одной стране . . . . . 31
  4. Доц. Т. Картвелишвили—Некоторые проблемы категории формы и содержания в «Капитале» К. Маркса . . . . . 61
  5. Доц. К. Медзвелия—Патриотизм в грузинской литературе XIX столетия . . . . . 95
  6. П. Гокиели—Творческий путь Эрнста Хемингуэя . . . . . 115
  7. Доц. Г. Самхарадзе—Героизм и патриотизм в старинной народной поэзии . . . . . 169
  8. М. Махатадзе—Военное искусство в «Вепхис Ткаосани». . . . . 205
  9. Проф. С. Какабадзе—Две большие войны Давида Возобновителя . . . . . 205
  10. Проф. С. Каухчишвили—История поселения греков в Грузии . . . . . 219
-

დაიბეჭდა ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის  
პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის  
დოც. ლ. ა. ქელიძის განკარგულებით

სარედაქციო  
კოლეგია

პროფ. ა. ბოჭორიშვილი  
პროფ. გ. თავზიშვილი  
დოც. ლ. ქელიძე (პ/მგ. რედაქტორი)  
დოც. გრ. ხაქალია  
დოც. გ. როგავა  
პროფ. მ. ბეჭაია

Редакционная  
коллегия:

Проф. А. Бочоришвили  
Проф. Г. Тавишвили  
Доц. Л. Челидзе (отв. редактор)  
Доц. Гр. Хажалия  
Доц. Г. Рогава  
Проф. М. Бекая

გამომშვები—  
ტიპრედაქტორი

შ. ჩარკვიანი

უფ . . . 5660  
შეკვეთის № 355  
ტირაჟი: 250  
ფორმატი: 6×10

**მთავარ შეცთომათა გასწორება**

| დაბეჭდილია: |                | უნდა იყოს:                       |                                      |
|-------------|----------------|----------------------------------|--------------------------------------|
| გვ. 99 სტრ. | მე-2 ქვევიდან: | ტკვილია . . . . .                | ტკვილია                              |
| " " "       | მე-18 "        | ოველთვის . . . . .               | ყოველთვის                            |
| " " "       | მე-19 "        | ალბს . . . . .                   | ხალბს                                |
| " 169 "     | მე-3 "         | „Избранные Военные Произведения“ | „Избранные военные произведения“     |
| " 169 "     | მე-2 "         | „История Военного Искусства“     | „История военного искусства“         |
| " 170 "     | მე-2 "         | „Избр. Воен. Произ.“             | „Избр. воен. произ.“                 |
| " 173 "     | მე-18 "        | „История Военного Искусства“     | История военного искусства“, ч. 1-я. |
| " 175 "     | მე-3 "         | აკადემიური გამოცემით             | ყველა ცნობილ გამოცემით.              |
| " 176 "     | მე-3 "         | (44) . . . . .                   | (441)                                |
| " 178 "     | მე-9 "         | „ასჯერ ასი . . . . .             | „ათჯერ ასი                           |

